არჩილ ქიქოძე, ნათია ჯალაბაძე, ეკატერინე ფირცხალავა, ლავრენტი ჯანიაშვილი

სტუმრად მუსლიმ მესხებთან

თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

რედაქტორი ლავრენტი ჯანიაშვილი

რეცენზენტი ვალერიან ვაშაკიძე

კომპიტერული უზრუნველყოფა ანა რუაძე

თბილისი 2023

შინაარსი

რედაქტორისაგან
I ნაწილი – მკვლევართა ჩანაწრები
§ I. იანეთში მცხოვრები რეპატრიანტები

1. იანეთელი მესხები (ა. ქიქოძე)
2. მუსლიმი მესხები სამტრედიის რაიონში (ნ. ჯალბაძე)
§ II. ნასაკირალი – „მესხების კუნძული“
1. საველე მუშაობის ანგარიში (ე. ფირცხალავა)
2. მესხეთის ქუჩა ნასაკირალში (ლ. ჯანიაშვილი)
II ნაწილი – საველე მასალა
1 ფრაგმენტები საველე დღიურიდან (ლ. ჯანიაშვილი)
2. რამდენიმე ინტერვიუ იანეთელ მუსლიმ მესხ ქალებთან (ნ. ჯალაბაძე)

ეძღვნება ნანა სუმბაძის ხსოვნას

რედაქტორისაგან

2004 წლის ნოემბერ-დეკემბრში ოთხი საველე მკვლევარი მონაწილე–დამკვირვებლის სტატუსით იმყოფებოდა ოზურგეთის რაიონის სოფ. ნასაკირალში, "მესხების უბანში" და სამტრედიის რაიონის სოფ. იანეთში, ე.წ. „კოპიტნარის მესხების დასახლებაში". საველე სამუშაოები წარმოადგენდა მასშტაბური კველვითი პროექტის ნაწილს, რომელსაც ფოლკსვაგენის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით ახორციელებდა „უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრი" (ჩ I). კვლევა შესრულდა ფოლკსვაგენის ფონდის პროგრამის, „ევროპასა და აღმოსავლეთს შორის – ფოკუსი ცენტრალური აზიისა და კავკასიის კვლევასა და განათლებაზე", ფარგლებში. სამხრეთ საქართველოდან 1944 წ. დეპორტირებული მოსახლეობის შესწავლაში ჩართული იყვნენ მეცნიერები მსოფლიოს 12 ქვეყნიდან. საველე სამუშაოები ჩატარდა დეპორტირებულთა მაშინდელი განსახლების ადგილებში (9 ქვეყანაში). ამ მოცულობის სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზება ბუნებრივად უკავშირდებოდა უამრავ სირთულეს, მრავალრიცხოვანი და საკითხის შესახებ განსხვავებული კონცეფციის მქონე ავტორებისათვის სრულყოფილი კვლევითი მეთოდოლოგიის შემუშავებიდან დაწყებული, საკვლევი ჯგუფის სახელწოდებაზე შეთანხმებით დასრულებული. ზემოთქმული სათანადოდ აისახა პროექტის განხორციელების შედეგად ინგლისურ და რუსულ ენებზე გამოცემულ მონოგრაფიაშიც. ხსენებული წიგნის რედაქტორებმა შეგნებულად დაუშვეს, რომ ნაშრომში წარმოჩენილიყო სამეცნიერო წრეებში გავრცელებული სხვადასხვა შეხედულება. შედეგად, ცალკეული თავები ზოგჯერ წინააღმდეგობრივია, რადგან კონკრეტული ავტორების პოზიცია მნიშვნელოვან საკითხებზე რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისაგან.

შედარებით სისტემურად ჩატარდა საველე სამუშაო, რომელიც ემპირიული მასალის შეკრების ერთიან მეთოდოლოგიურ სქემას ემყარებოდა და უფრო თავისუფალი იყო მკვლევართა სუბიექტური განწყოებებისაგან. საქართველოში პროექტს სამეცნიერო კოორდინირებას უწევდნენ ნანა სუმბაძე და გიორგი თარხან-მოურავი. ემპირიული მასალის შეკრება დაევალა ოთხ მკვლევარს: ფსიქოლოგ ეკატერინე ფირცხალავას, მწერალ არჩილ ქიქოძეს, ეთნოლოგებს – ნათია ჯალაბაძეს და ლავრენტი ჯანიაშვილს. ბუნებრივია, ველზე მუშაობის და მასალის დამუშავების დროს ისინი სხვადასხვა მეთოდს იყენებდნენ. მკითხველი შეამჩნევს, რომ წინამდებარე წიგნში შესული ნარკვევები თხრობის მანერით განსხვავდება, თუმცა, ავტორთა შეხედულებები, რაც – მესხებთან ცხოვრებისას ჩამოუყალიბდათ, და დასკვნები თითქმის იდენტურია. წინამდებარე მასალა თითქმის ოცი წლის წინანდელია, მაგრამ აქამდე არ გამოქვეყნებულა.

მკვლევართა ჩანაწერები, რომელიც ასახავს მათ იმდროინდელ განწყობებს, გაკეთებულია 2004-2005 წლებში და თითქმის უცვლელად ვბეჭდავთ (თუ არ ჩავთვლით მცირეოდენ რედაქტირებას). მიგვაჩნია, რომ საკითხით დაინტერესებულ მკვლევართათვის და ქართული საზოგადოებისათვის ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს გაეცნოს როგორი იყო ჩვენი საუკუნის დასაწყისში რეპატრირებული მესხების ყოველდღიური ყოფა, მათი ჩასახლების ადგილებში არსებული ვითარება და ძირითადი ეთნოკულტურული ტენდენციები. გარკვეული მოაზრებებიდან გამომდინარე (რამდენიმე გამონაკლისის გარდა)

დაცულია რესპონდენტთა კონფიდენციალობა. ფრაგმენტების სახით ვაქვეყნებთ ასევე ცალკეულ ინტერვიუს საველე დღიურებიდან.

აქვე გვსურს უდიდესი მადლიერება გამოვხატოთ, როგორც ჩვენი მასპინძელი ოჯახების, ასევე ნასაკირალის უბან „კუნძულის" და იანეთის რეპატრიანტების მიმართ, რომლებიც, მძიმე ეკონომიკური ვითარების მიუხედავად, გულუხვად გვმასპინძლობდნენ, ჩვენს საქმიანობაში კი მუდმივად ვგრძნობდით მათ მხარდაჭერას, კეთილგანწყობას და მეგობრულ დამოკიდებულებას!

ლავრენტი ჯანიაშვილი

ნაწილი I.
მკვლევართა ჩანაწერები

I §. იანეთში მცხოვრები რეპატრიანტები

1. იანეთელი მესხები (ა. ქიქოძე)

ქუთაისსა და სამტრედიას შორის, კოპიტნარის აეროდრომის სიახლოვეს, მთავარი საავტომობილო ტრასიდან ხელმარჯვნივ რამდენიმე ასეულ მეტრში არის დასახლება, რომელსაც იანეთის მეცხრე უბანი ეწოდება. ეს დასახელება ძალიან პირობითია, რადგან თავად სოფელი იანეთი აქედან რამდენიმე კილომეტრში მდებარეობს და ზედ სამტრედიაზეა მიბმული. იყო დრო, როდესაც ფირნიშზე სხვა წარწერა იყო – „იანეთის მესხთა დასახლება“. ეს წარწერა ერთ-ერთი აწ განსვენებული „საზოგადო მოღვაწის“ დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ ჩამოხსნა ადგილობრივმა ხელისუფლებამ.
მესხთა დასახლება ოცდაათამდე შენობას წარმოადგენს, რომელთაგან 25 მეოცე საუკუნის ოთხმოციან წლებში ააშენა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მაშინდელმა მთავრობამ უზბეკეთიდან და აზერბაიჯანიდან ჩამოსული მაჰმადიანი მესხებისთვის.
ამ ხალხზე და მის ბედზე საუბრისას, ყოველთვის გვექმნება უხერხულობა მათ სახელთან დაკავშირებით. როდესაც 2004 წლის გვიან შემოდგომაზე მესხთა დასახლებაში საცხოვრებლად მივდიოდი, რომ ევროპული ფონდის ჩ I-ს დავალებით საველე სამუშაოები ჩამეტარებინა, თვენახევრის მანძილზე მათ ოჯახში მეცხოვრა და ამეღო ინტერვიუები, ვიცოდი, რომ მივდიოდი თურქ მესხებთან. სოფელში, სადაც ჩემი და ჩემი კოლეგის გამოჩენას დიდი ენთუზიაზმით არავინ შეხვედრია, სახელის თურქი მესხების ხსენებამ ჩემი მომავალი მასპინძლების (იბრაგიმოვ-ჩხეიძეების ოჯახთან დღემდე მეგობრული და ძალიან თბილი ურთიერთობა მაკავშირებს) ხმაურიანი პროტესტი გამოიწვია. მას მერე ჩემს ანგარიშებში იანეთის მეცხრე უბნის მკვიდრებს, რომელთაც სიტყვა „თურქი“ ძალიან უხეშად მოხვდათ ყურში, მაჰმადიან მესხებად ვიხსენიებდი და ჩემს სტატიაშიც ასე მოვიხსენიებ.
როგორც აღვნიშნე, 2004 წლის ნოემბერ-დეკემბერში თვენახევარი ვიცხოვრე იანეთის მეცხრე უბანში და ძალიან გამიჭირდა იქაურების ნდობის მოპოვება. ყველა ეჭვის თვალით მიყურებდა, როგორც მოგზავნილს და მინიმუმ უშიშროების აგენტს. ყველაზე მტკივნეულად აღიქმებოდა ჩემი სამუშაოს ის ნაწილი, რომელიც ანკეტირებას ეხებოდა, განსაკუთრებით შეკითხვები მრწამსის შესახებ და იანეთელ მესხებს სულაც არ მოსწონთ, რომ მათ გაუთავებლად აკვირდება ვიღაც. როდესაც შარშან ზაფხულში დამიკავშირდა დანიელი სტუდენტი გოგონა, რომელიც მესხების თემაზე მუშაობდა და რომელსაც ასევე რამდენიმე თვით სურდა იანეთში ჩასახლება და ადგილზე საველე სამუშაოების ჩატარება, მე მას ბინა ვერ ვუშოვე, თუმცა დანიელი სტუდენტი მზად იყო საკმაოდ კარგი საზღაური გადაეხადა. მესხთა რეაქცია მსგავს დაკვირვებებზე ასეთია: „რით ვერ შეგვისწავლეს ამდენი წლის მანძილზე, ლამის 30 წელიწადია აქ ვცხოვრობთ; ან შემოუშვან ჩვენი ხალხი, ან გაგვყარონ ჩვენც, თუკი ამას გვიპირებენ.“ იგივე პრობლემებს მეც შევეყარე. მე და ჩემს კოლეგას, ნათია

ჯალაბაძეს, გვიყურებდნენ, როგორც რაღაც აუცილებელ ჭირს და ამიტომ ითმენდნენ ჩვენს იქ ყოფნასა და შეკითხვებს. ჩემი იქ ყოფნის ბოლო კვირეების მანძილზე ნდობა ჩვენს შორის მძიმედ მაგრამ მაინც ჩაისახა, ხოლო როცა რამდენიმე თვის შემდეგ საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიამ დეპორტირებულ მესხთა პრობლემებზე გადაღებული ფილმი გაუშვა, სადაც ერთ-ერთი რესპონდენტი მეც ვიყავი, დასახლებაში ეს ფილმი ნახეს და ეკრანიდან მოისმინეს ჩემი პოზიცია, რომელიც არაფრით განსხვავდებოდა მათთან პირად საუბარში ჩემს მიერ გამოთქმული აზრებისგან, იანეთიდან ბევრმა გახარებულმა ადამიანმა დამირეკა მადლობის სათქმელად და ჩვენს შორის ნამდვილი, უანგარო მეგობრობა დაიწყო.

ახლა ოდნავ უკან წავალ და იმას გიამბობთ, თუ როგორ გაჩნდა მესხთა დასახლება სამტრედიის მახლობლად დაცემულ ტრიალ მინდორზე. ამის გასაგებად მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ დამოკიდებულება ხალხის მიმართ, რომელთაც ბევრი დღესაც „თურქ მესხებს“ უწოდებს, საქართველოში ყოველთვის არ ყოფილა მკვეთრად უარყოფითი. სამოცდაათიანი წლების ბოლოს მათი სამშობლოში დაბრუნება ეროვნულ საქმედ აღიქმებოდა, როგორც ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილის, ასევე დისიდენტური მოძრაობის მიერ. არსებობს ედუარდ შევარდნაძის სახელზე მიწერილი მაშინდელი წერილი მესხთა სამშობლოში დაბრუნების თხოვნით, რომელსაც არაერთი გამოჩენილი და სახელოვანი ქართველი აწერს ხელს. თავად დეპორტირებულებს მესხეთში (და არა საქართველოში – სამშობლოდ „ვათან“ (თურქ.) ისინი სწორედ მესხეთს აღიქვამენ და არა მთლიანად საქართველოს.) დაბრუნების მცდელობა მანამდეც ჰქონდათ. სტალინის სიკვდილის შემდეგ მათი დიდი ნაწილი უზბეკეთიდან აზერბაიჯანისკენ დაიძრა, იქიდან გარკვეულმა ჯგუფმა თბილისშიც შემოაღწია და მიტინგიც კი გამართა ცენტრალური კომიტეტის შენობასთან. მაშინ დეპორტირებულები არ მიიღეს და მათი დიდი ნაწილი სამუდამოდ დარჩა აზერბაიჯანში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ საათლისა და საბირაბადის რაიონებში, ხოლო უფრო შეძლებულები (მათ შორის, 1918 – 1921 წლებში დამოუკიდებელი საქართველოს წინააღმდეგ მომხდარი ორი პროთურქული აჯანყების მოთავე – გამუსლიმებულ მესხ თავადთა შთამომავლები, რომლებიც ამავე დროს პროთურქული ორიენტაციის მქონე ორგანიზაციის „ვათანის“ ლიდერები არიან) ბაქოში სახლობენ.

ოთხმოციანი წლების ბოლოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ დეპორტირებულთა ნაწილს სამშობლოში დაბრუნების უფლება მისცა, თუმცა მესხეთი მათთვის ისევ მიუწვდომლად დარჩა (არსებობს თურქულ ენაზე დაწერილი საკმაოდ ცნობილი ლექსიც, რომლის სათაური ასე ითარგმნება: „სამშობლოს კარიბჭე დახშულია“. გადმოცემით ეს ლექსი აწყურშია (ე.წ. ტეკთან) შექმნილი, იმ ადგილას, რომლის იქით იწყებოდა მითოლოგიზირებული სამშობლო, სადაც შეღწევა დეპორტირებულთათვის ტურისტის სტატუსითაც კი შეუძლებელი იყო). საქართველოში გაჩნდა მაჰმადიან მესხთა რამდენიმე დასახლება, მათ შორის იანეთის მეცხრე უბანიც – მეცხოველეობის უზარმაზარ კომპლექსზე მიბმული დაბა. თავიდანვე ასე იყო ჩაფიქრებული. სახელმწიფო მესხებს სახლებს უშენებდა. თავიდან დაპირებული მესხური სოფელი 150 სახლისგან უნდა შემდგარიყო, მაგრამ დანაპირები არ შესრულდა და მხოლოდ 25 სახლი აშენდა. ჩასახლებულთა დაახლოებით ნახევარი პირდაპირ უზბეკეთიდან ჩამოვიდა, ნახევარი კი – აზერბაიჯანიდან. სანახევროდ სახლის

საფასურს საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკა ფარავდა, მეორე ნახევარი კი მესხებს თავად უნდა გადაეხადათ. ეს თანხა მათ რეგულარულად ექვითებოდათ ხელფასიდან, რომელსაც მეცხოველეობის კომპლექსში იღებდნენ. ასე იქცნენ ადამიანები, რომლებიც შუა აზიაში ცხოვრებისას ზოგი ფიზკულტურის მასწავლებელი იყო, ზოგი კინომექანიკოსი და ზოგიც რკინიგზის მუშა, მეცხოველეებად. ოღონდ საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ კომპლექსიც დაინგრა, გაპარტახდა და გაიძარცვა, მესხები კი დარჩნენ მარტოები ტრიალ მინდორზე, სადაც მათ 5 კილომეტრის რადიუსში არ ყავთ მეზობელი, სადაც მიწა საკმაოდ მწირია და თუკი არ წვიმს, მუდმივად ქარი უბერავს. წინ კიდევ სამოქალაქო ომების, ძარცვის, გლეჯვის და განუკითხავობის წლები იყო. ამ წლებმა მთელი საქართველო დააზარალა და გამონაკლისი არც ერთი მუჭა აქაური ხალხი გამხდარა. ხოლო გეოგრაფიულმა იზოლაციამ იანეთელების ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის საქმეში ძალიან ცუდი როლი ითამაშა. მეორე მესხური დასახლება, რომელიც გურიაში, სოფელ ნასაკირალში მდებარეობს ბევრად უფრო ინტეგრირებულია და ქართული ენის ცოდნის პრობლემა იქ პრაქტიკულად არ დგას.

იანეთის მესხთა დასახლებასთან დაკავშირებით კიდევ ერთ აბსურდულ სიტუაციას აქვს ადგილი. დასახლების ნაწილი სამტრედიის რაიონს ეკუთვნის, ნაწილი წყალტუბოსას, რაც გაუთავებელ პრობლემებს ქმნის. ხოლო სოფლის გარშემო საძოვრები საკმაოდ მოშორებით მყოფი სოფლების: მაღლაკისა და ფარცხანაყანების საკუთრებაა, რომლის მკვიდრებსაც მესხები საძოვრებით სარგებლობისთვის იჯარას უხდიან.

სამტრედიის რაიონის გამგეობის სტატისტისკის სამსახურის მონაცემებით 2004 წელს (როდესაც მე ჩემს კვლევას ვატარებდი) იანეთის მეცხრე უბანში მუდმივად მესხთა 29 ოჯახი, სულ 171 ადამიანი ცხოვრობდა.

დღევანდელ დღეს დასახლება საკმაოდ პასიური სოციალური ცხოვრებით ცხოვრობს. ერთადერთი მესხური არასამთავრობო ორგანიზაცია „მაიაკი“ მიძინებულია, თუმცა გარკვეულ კონტაქტებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან ინარჩუნებს (კავკასიური სახლი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სოროსის ფონდი), როგორც უფროსი თაობის ადამიანთა მონაყოლებიდან ჩანს, ყოველთვის ასე არ ყოფილა. ოთხმოციანი წლების დასაწყისში, როდესაც მესხთა ჩამოსახლება ქართული საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ ეროვნულ და საჭირო საქმედ იყო აღქმული, იანეთის მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ბევრად აქტიური ცხოვრებით ცხოვრობდა. ბევრი მათგანი პირადად იცნობდა ადამიანებს, რომელთაც მესხების ბედში გადამწყვეტი როლი ითამაშეს (ზვიად გამსახურდია, იუსუფ სარვაროვ-დიდებულიძე და სხვები); ხელისუფლებაში პრეზიდენტ გამსახურდიას მოსვლის და პირადად მისი პოზიციის ნეგატიურისკენ შეცვლის შემდეგ, რასაც საზოგადოების ძირითადი ნაწილის პოზიციის შეცვლაც მოჰყვა, მესხთა აქტივობები შეწყდა და მათი ძირითადი საზრუნავი საკუთარი თავის, ოჯახების თუ მატერიალური დოვლათის გადარჩენა გახდა.

გამსახურდიას მმართველობის და შემდეგ სამოქალაქო ომების პერიოდში კი ამ ხალხს მართლა ბევრი რამ ცუდი გადახდა. ჯერ იყო ეროვნულ და რელიგიურ ნიადაგზე დევნა, შემდეგ კი – უბრალოდ ბანდიტიზმი, რომელსაც იზოლირებულად მცხოვრები პატარა დასახლება ვერაფრით უპირისპირდებოდა. იყო გაუთავებელი საქონლის ქურდობა – თითქმის არ დარჩენილა ოჯახი, სადაც

ნიღბიანი და კარგად შეიარაღებული ყაჩაღები არ შევარდნილან და არ გაუძარცვავთ.
1993 წელს კი იანეთის მესხთა დასახლება ზ. გამსახურდიას მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა დაპირისპირების ასპარეზიც გახდა. მაშინ სამტრედიის მხრიდან გამოსროლილმა „გრადის“ ჭურვებმა 16 წლის გოგონას და სამი წლის ბიჭის სიცოცხლე იმსხვერპლეს.
მესხები ახლაც ვერ გრძნობენ თავს მთლად დაცულად, მით უმეტეს მას მერე, რაც დანარჩენი მესხების ჩამოსახლების საკითხი (საქართველოს მიერ ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულება) აქტუალური გახდა და ტელევიზიაში, უფრო კი პრესაში, გახშირდა მათ შესახებ მომზადებული სიუჟეტები. იანეთელ მესხებს ეშინიათ, რომ საზოგადოების პრობლემისადმი ნეგატიური დამოკიდებულება, იგივე საზოგადოებას მათ მიჩუმათებულ არსებობას შეახსენებს, რამაც შეიძლება ძალადობის ახალი ტალღა გამოიწვიოს.
სწორედ 2004 წელს ჩემი დასახლებაში ყოფნის მანძილზე გახშირდა საგაზეთო პუბლიკაციები, როგორც რესპუბლიკურ, ასევე ადგილობრივ პრესაში. ამ პროცესისთვის თვალის მიდევნების საშუალება მეც მქონდა, რადგან მესხები აგროვებდნენ იმ პუბლიკაციებს, რომელიც მათ ეხებოდა და ხშირად უფროსი თაობის ადამიანები მე მთხოვდნენ მეთარგმნა, ამიტომ, არათუ მხოლოდ პუბლიკაციებს ვეცნობოდი, საშუალება მქონდა მათი რეაქციისთვისაც მედევნებინა თვალი. მით უმეტეს, რომ ერთი ქუთაისური და მეორე სამტრედიის გაზეთის პუბლიკაციები სწორედ მათ დასახლებას ეხებოდა, უფრო სწორად, ზოგადად „თურქი-მესხების“ პრობლემა იყო განხილული იანეთის დასახლების ჭრილში (რისაც იანეთელ მესხებს ყველაზე მეტად ეშინიათ).
მესხები ძალიან უჩიოდნენ ჟურნალისტთა თვითშემოქმედებას, გამონაგონს და მათი ნათქვამის არასწორ ინტერპრეტაციას. ბევრი მათგანი შეგნებულად ამბობდა ინტერვიუებზე უარს, რადგან თვლიდა, რომ მათი სიტყვები მაინც დამახინჯდება.
ასეა თუ ისე, მესხთა დასახლება არსებობას განაგრძობს. ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისში იგი გადაურჩა დარბევას და გასახლებას, განსხვავებით ხონის, ბანძის და კიდევ რამდენიმე დასახლებისა. ეკონომიკურად იანეთს ისევე უჭირს, როგორც მთლიანად ქართულ სოფელს. აქაურთა ძირითად შემოსავალს სოფლის მეურნეობა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მესაქონლეობა შეადგენს. ჩემი 2004 წლის გამოთვლებით, იანეთელ ოჯახს საშუალოდ 6-7 სული მსხვილფეხა საქონელი ყავდა (რა თქმა უნდა, არსებობენ შედარებით ღარიბი და მდიდარი ოჯახები). ყველს და რძეს ისინი სამტრედიის ბაზარზე ყიდიან, სადაც ადგილობრივ მოსახლეობასთან გვერდი-გვერდ ვაჭრობენ და მშვენიერი ურთიერთობა აქვთ (მესხურ ქორწილში, რომელსაც მე დავესწარი, დაპატიჟებული ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესობა სწორედ სამტრედიის ბაზარში მათ გვერდით მოვაჭრე ქალები იყვნენ).
ამას გარდა, მთელს რაიონში იანეთის მეცხრე უბანი ერთადერთი დასახლებაა, სადაც თითქმის ყველა ოჯახს ყავს ცხვარი, რომლის ხორცი ქართულ რეალობაში (ქელეხი – ჭირის სუფრა, რიტუალური მსხვერპლშეწირვა) გარკვეულ და საკმაოდ მნიშვნელოვან დატვირთვას ატარებს. ჩემი დასახლებაში ყოფნის მანძილზე ალბათ არ ყოფილა დღე, რომ ერთი ან რამდენიმე მანქანა არ მოსულიყო მახლობელი სოფლებიდან, უფრო კი ქუთაისიდან ცხვრის ან ბატკნის ყიდვის სურვილით. მესხები ვაჭრობაში საკმაოდ მომჭირნეები არიან. მე

თითქმის არ მინახავს შემთხვევა, რომ მათ თავიდან დასახელებული ფასისთვის ოდნავ მაინც დაეკლოთ და ცხვრის ყიდვის მსურველები ხშირად ხელცარიელები გაბრუნებულან.
ამავე დროს მესხთა თითქმის ყველა ოჯახი ფლობს მიწის პრივატიზების შედეგად მიღებულ 1,5 ჰექტარ ნაკვეთს (რამდენიმე ოჯახს იჯარით ბევრად დიდი ტერიტორიები აქვს აღებული), რომელზეც ყველა იმ კულტურას თესავს, რაც რეგიონში მოდის. ესენია: სიმინდი, კვახი, პომიდორი, კარტოფილი და სხვა. მაგრამ იქაური მიწა საკმაოდ მწირია და მუდმივი მოხმარებისგან გამოფიტული. მწირია ამ კულტურებისგან მიღებული მოგებაც და ხშირად, მოუსავლიანობის შემთხვევაში, ისეც ხდება, რომ მესხები წაგებაში რჩებიან.
არის კიდევ ერთი კულტურა, რომელიც რეგიონში მესხებმა უზბეკეთიდან შემოიტანეს. ესაა მიწის თხილი, რომელსაც თითქმის ყველა ოჯახი თესავს. მოწეული მოსავლიდან ნაწილს ყიდის, ნაწილს კი წლის განმავლობაში თვითონ მოიხმარს. მიწის თხილს თავიდან, თურმე, უფრო სარფიანად ყიდიდნენ, მაგრამ დროთა მანძილზე იმერლებს მათგან სათესლედ შეძენილი მიწის თხილის მოყვანა თვითონაც დაუწყიათ და ახლა ეს კულტურა რეგიონში დიდ იშვიათობას აღარ წარმოადგენს.
სოფლის მახლობლად განთავსებულია თბილისური ფირმა, რომელსაც რამდენიმე იანეთელი ოჯახის მიერ იჯარით აღებულ მიწებზე დიდი სათხილე აქვს გაშენებული. ეს იჯარით აღებული მიწები მუდმივი დავის და შუღლის საგანია დასახლებაში, რადგან მიწის მფლობელები და შესაბამისად ფირმაზე მომუშავე ოჯახები სისხლით ნათესავები არიან და მხოლოდ თავის ნათესავებს ამუშავებენ სათხილეში. ფაქტია, რომ ამ ხუთ ოჯახს გარკვეული და ალბათ მნიშვნელოვანი შემოსავალი სათხილედან აქვს.
რამდენიმე იანეთელი ახალგაზრდა სოფლის სიახლოვეს მდებარე ორ ბენზინგასამართ სადგურზე მუშაობს და ითვლება, რომ იქაური პირობებისთვის მათ კარგი სამსახური აქვთ. სხვათა შორის, მათ ძალიან ეხმარებათ თურქული ენის ცოდნა, რადგან იქვეა პარკი, სადაც თურქეთიდან მომავალი სატვირთო მანქანები ჩერდებიან ღამის გასათევად და სხვადასხვა პრობლემებზე თურქი მძღოლები სწორედ ბენზინგასამართ სადგურზე მომუშავე იანეთელებს მიმართავენ დახმარებისთვის. საეთოდ თურქული ენა იანეთელებს ძალიან ადგებათ. უკანასკნელი წლების მანძილზე უკვე რამდენიმე ახალგაზრდა ჩამოვიდა თბილისში მშენებლობებზე სამუშაოდ. მშენებლები ძირითადად არიან თურქები, რომელთაც იანეთელები თარჯიმნობას უწევენ და მრავალი პრობლემის მოგვარებაში ეხმარებიან. იანეთელები სამუშაოდ დადიან თურქეთშიც (ძირითადად ხოფაში, რიზეში, ტრაპზონში და შავიზღვისპირა ქალაქებში), სადაც მეტწილად მშენებლობებზე მუშაობენ.
წვრილი ვაჭრობით და აღებ-მიცემობით იანეთელები ნაკლებად არიან დაკავებულები. სოფელში არ არსებობს მაღაზია. ამბობენ, რომ სანამ რუსეთი სავიზო რეჟიმს შემოიღებდა, მესხები უფრო აქტიურად იყვნენ დაკავებული ვაჭრობით. მიემგზავრებოდნენ რუსეთის იმ რეგიონებში, სადაც მათი თანამოძმეები ცხოვრობდნენ და იქიდან გასაყიდად მანქანის ნაწილები და მსგავსი წვრილმანები ჩამოჰქონდათ. ახლაც თუკი მოხდა ისე, რომ აზერბაიჯანში გაემგზავრნენ, ცდილობენ ხელს რამე ისეთი გამოაყოლონ, რომ სამგზავრო ხარჯები მაინც დაფარონ.

ნამდვილად ვერ ვიტყვი, რომ იანეთელი მესხები რეგიონში რაიმე ეკონომიკურ ნიშას იკავებენ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ისინი საამისოდ ძალიან ცოტანი არიან. ხოლო ის ეკონომიკური სიდუხჭირე რომელსაც მესხები განიცდიან, მთლიანად რეგიონისთვის და ზოგადად ქვეყნისთვისაა დამახასიათებელი.

აქვე ერთ-ორ სიტყვას ვიტყვი განათლებაზეც. უკანასკნელ წლებამდე იანეთის მეცხრე უბანში ფუნქციონირებდა საბაზისო სკოლა, რომლის პედაგოგები უდავოდ დიდ შრომას სწევდნენ. საქმე იმაშია, რომ იანეთელი მესხების მშობლიურ (ოჯახში სალაპარაკო) ენად დღემდე რჩება თურქული. ამ ენაზე ლაპარაკობენ მოხუცები – ოჯახის უფროსები. სკოლაში წასულ პატარა იანეთელებს ექვსი წლის ასაკში (ზოგს კი უფრო გვიან) უხდებოდათ ქართულის შესწავლა. დასაწყისში სკოლას ძალიან ეხმარებოდა „ფონდ ღია საზოგადოება საქართველოს“ გრანტები, მასწავლებლები იღებდნენ კარგ ხელფასს და გახანგრძლივებულად მუშაობდნენ ბავშვებთან. შემდეგ გრანტები შეწყდა, მაგრამ სკოლას მუშაობა არ შეუწყვეტია და არც მასწავლებლებს მოჰკლებიათ ენთუზიაზმი. მათ კარგად ესმოდათ, რომ იანეთის მეცხრე უბნის საბაზისო სკოლა ერთადერთი ადგილი იყო, სადაც იზოლაციაში მცხოვრებ მესხ ბავშვებს ქართულის სწავლა შეეძლოთ. მით უფრო, რომ რვა კლასის დამთავრების შემდეგ, იანეთელი ბიჭები სოფელ დიდი ჯიხაიშის კოლეჯში აგრძელებდნენ სწავლას, სადაც მუდამ წარმატებულ მოწაფეებად ითვლებოდნენ. მაგრამ მოხდა ისე, რომ განათლების სამინისტრომ სკოლას აკრედიტაცია არ გაუგრძელა და იანეთის მეცხრე უბანიც სკოლის გარეშე დარჩა. ჩემთვის ეს ძალიან საწყენი ფაქტია, მით უმეტეს რომ ჩემი მესხურ დასახლებაში ყოფნის მანძილზე არაერთხელ ვწვევივარ სკოლას, დავსწრებივარ გაკვეთილებს და ზეიმებს და იმის გარდა რომ ვიცი, რა მნიშვნელობის სამუშაოს ატარებდნენ პედაგოგები – უბრალოდ მიყვარს იქაურობა.

იანეთის მეცხრე უბანი არის სოციუმი, სადაც ოჯახი და ნათესაობა ალბათ ყველაზე ძლიერ ინსტიტუტს წარმოადგენს. ყველა სხვა ფასეულობა თუ გრძნობა (მეგობრობა, სიყვარული...) თითქოს უკანა პლანზე იწევს, ფერმკრთლდება და იჩაგრება იმ დიდი ინსტიტუტის ფონზე, რასაც მესხური პატრიარქალური ოჯახი ჰქვია (სხვანაირი იანეთში მე არც მინახავს).

ამ ოჯახის სიძლიერე პირველ რიგში დამყარებულია აქსიომაზე, რომ ასაკით უფროსი ყოველთვის მართალია. მას მეტი უნახავს, იგი უფრო გამოცდილია...

იანეთის სკოლაში მოღვაწე პედაგოგები მიამბობდნენ, რომ ერთადერთი, რაც მათ ურთულეს სამუშაოს უადვილებდა, იყო მესხების თითქმის სისხლში გამჯდარი უფროსის პატივისცემა, მისი ყურის გდება და მისი აზრის გათვალისწინება.

თავად მესხები აღიარებენ, რომ ამ უფროსისადმი ბრმა მორჩილებამ მათი ბედის გადაწყვეტაში ბევრჯერ უარყოფითი როლი ითამაშა. რადგან მათი სახელით ყველაზე ხშირად ლაპარაკობდნენ უხუცესები, რომლებსაც ამა თუ იმ პოლიტიკური, თუ ყოფითი სიტუაციისთვის ალღო არ ქონდათ აღებული, ანდაც უბრალოდ დროს იყვნენ ჩამორჩენილები. მაგრამ ლოკალურ დონეზე უფროს-უმცროსობა თითქმის ერთადერთი ბერკეტია, რაც მესხურ ოჯახს კეთილდღეობას, მორალურ სახეს და ერთიანობას უნარჩუნებს.

ბევრი რამ იცვლება და ახალგაზრდებს ხშირად აღარ უნდათ დედის მიერ არჩეულ ქალიშვილთან ოჯახის შექმნა, მაგრამ არა მგონია, რომ რომელიმემ

მხოლოდ საკუთარი სურვილით, მშობლების თანხმობის გარეშე ცოლის მოყვანა გაბედოს.
უფროსი თაობის ადამიანები ჩივიან, რომ უფროს-უმცროსობა ნელ-ნელა იკარგება და თუ მათ ბავშვობაში და ყრმობაში დედის ან მამის ერთი წარბის აწევა იყო საკმარისი, ახლა შვილების გადასარწმუნებლად ჩხუბი და აყალ-მაყალი უწევთ. მაგრამ ეს მოსაზრებები მგონი გადაჭარბებულია. უფროს-უმცროსობა ამ სოციუმში ხშირად ჩემთვის პარადოქსულ და გაუგებარ ფორმებს იღებს (30 წლის კაცი ვერ ეწევა სიგარეტს ორი წლით უფროსი ძმის თანდასწრებით, რომელიც თავის მხრივ ვერასდროს მოწევს სიგარეტს და ვერ დალევს სასმელს მშობლების ან სიმამრის თანდასწრებით).
ძალიან ძლიერია ნათესაური კავშირებიც. ნათესავი არის საუკეთესო მოკავშირე და პარტნიორი ნებისმიერ წამოწყებაში. „ჩემთვის ისეთი კარგი კაცი იყო, რომ შეიძლება ბევრ ნათესავზე უკეთესი.“ – ერთ-ერთი მოხუცის მიერ ნათქვამი ეს ფრაზა, მგონი, უკვე ბევრ რამეზე მიუთითებს.
მაგრამ დავუბრუნდები ოჯახს, სადაც როლები ძალიან მარტივად არის განაწილებული. ოჯახის მამა მართავს დანარჩენ წევრებს მეუღლესთან ერთად. თუკი ოჯახის მამა იღუპება, მის ადგილს, და შესაბამისად ოჯახის უფროსობას, დედა იკავებს. ანკეტირების დროს, როდესაც ვკითხულობდი, თუ ვინ იყო ოჯახის უფროსი და დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემს მიერ გამოკითხული ახალგაზრდა კაცი მეტყოდა: „მე ვარო,“ ორჯერ პასუხად მივიღე: „დედაჩემი“ ან „დეიდაჩემი.“
მშობლების მერე იერარქიაში მოდიან უფროსი ვაჟი, საშუალო ვაჟი და ა.შ. ქალიშვილებს ოჯახში თითქოს არანაირი როლი არ აკისრიათ. ეგრე მომეჩვენა, რომ მშობლების ოჯახი მათთვის მხოლოდ რაღაც მოსამზადებელი ეტაპია იმ როლისთვის, რომელსაც გათხოვების შემდეგ, თავიანთ ახალ ოჯახებში დაიკავებენ.
რძალი კი მართლაც ოჯახის ყველაზე ჩუმი და მშრომელი წევრია, რომელიც ხმაამოუღებლად ასრულებს ყველას დავალებას, მითითებას და ბრძანებას. ემსახურება სუფრას, რეცხავს სარეცხს და სხვა. ამავე დროს კარგი რძალი დიდი განძია და ოჯახის დიასახლისისთვის ნამდვილი შვება, რომელიც შრომას უმსუბუქებს და შედარებით იოლ სიბერეს პირდება. ამიტომაა, რომ რძლის არჩევაში ვაჟების დედები ძალიან აქტიურად მონაწილეობენ და გადამწყვეტი სიტყვა სწორედ მათ ეკუთვნით.
მესხთა სოციალური ქსელები სწორედ ნათესაობაზეა დამყარებული. სხვათა შორის, მესხები ბიძაშვილ-მამიდაშვილებსაც ძმებს ეძახიან, რაც ჩემი კვლევების დროს ხშირად გაუგებრობას იწვევდა. ეს ქსელები ძალიან ძნელი შესანარჩუნებელია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არათუ ბიძაშვილები და შორეული ნათესავები, ძმები და დებიც კი სხვადასხვა ქვეყნებში არიან მიმოფანტულები. მესხები ყველაზე მტკივნეულად განიცდიან იმას, რომ ერთმანეთის ავ-კარგი არ იციან. დროულად ვერ იგებენ ნათესავის, ხანდახან კი ძმის ან დის გარდაცვალებას და თუ იგებენ, ხშირად სხვა ქვეყანაში გასამგზავრებელი ფული არ აქვთ, ან დროზე ვერ ასწრებენ გამგზავრებას, რომ გასვენებაში ჩაასწრონ. როდესაც დანარჩენი მესხების საქართველოში ჩამოსახლებაზე მიდგებოდა ლაპარაკი, მათი ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი იყო ის, რომ ყველანი ახლოს იქნებიან, ნუ იქნებიან ყველანი მესხეთში, მაგრამ ერთ ქვეყანაში იცხოვრებენ და ერთმანეთის ლხინის და ჭირის გაზიარების საშუალება

ექნებათ – ერთმანეთისგან რამდენიმე საათის სავალზე მყოფებს, არც გასვენება გამორჩებათ და არც ქორწილი.
თავად მესხები ამბობენ, რომ მობილური ტელეფონების გამოჩენამ მათ შორის კონტაქტი გააიოლა. და მაინც, რამდენადაც მე დაკვირვების საშუალება მომეცა, იანეთელ მესხებს მეტი კავშირები ჰქონდათ აზერბაიჯანში და რუსეთში – სტავროპოლის და კრასნოდარის მხარეებში მცხოვრებ მესხებთან. ეს ხდებოდა არამარტო იმიტომ, რომ სწორედ ამ მხარეებში ცხოვრობდნენ მათი ნათესავები ან ყოფილი მეზობლები. მომეჩვენა, რომ ამ მხარეებთან უფრო ადვილი იყო კონტაქტი, უფრო ხშირი იყო მიმოსვლა. მესხებმა დანამდვილებით იცოდნენ, როგორ იყვნენ და რას აკეთებდნენ ამ მხარეში მცხოვრები მათი ნათესავები და ძალიან ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ, თუ რას შვრებოდნენ ყირგიზეთში თუ უკრაინაში, თუნდაც თურქეთში მყოფი მათი ძმები ან დები.
ჩემ იქ ყოფნაში იყო ერთ-ერთი საინტერესო მომენტი, როდესაც 2004 წლის 15 ნოემბერს, მათი სამშობლოდან დეპორტაციის 60 წლისთავზე ტელეკომპანია „იმედის“ ყოველკვირეულმა გადაცემა „დროებამ“ კრასნოდარიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში წასული მესხების შესახებ გაუშვა სიუჟეტი. გადაცემის გასვლამდე ერთ დღით ადრე, როცა უკვე რამდენიმე დღის მანძილზე ტრიალებდა გადაცემის და შესაბამისად სიუჟეტის ანონსი, ერთმა ქალმა ჩემ თვალწინ მობილურით შვილს დაურეკა კრასნოდარში და ამ უკანასკნელმა უკვე იცოდა, რომ კვირას თბილისის ტელევიზიით ამერიკაში წასული მესხების შესახებ უნდა ყოფილიყო სიუჟეტი...
ნამდვილად გამიჭირდება იმის თქმა, რომ დღევანდელ დღეს ამა თუ იმ სოფლიდან წარმოშობა ამ ხალხის სოციალურ ორგანიზებაში რამე როლს თამაშობდეს. შეიძლება ეს იქიდანაცაა გამომდინარე, რომ თავად იანეთის დასახლებაა პატარა და ყოფილი თანასოფლელები ერთად თითქმის არ ცხოვრობენ. სამაგიეროდ ცოცხალია ბევრი ანეკდოტი ამა თუ იმ სოფლის მკვიდრებზე. ეტყობა, ნათესაობის შემდეგ, წარმოშობა (ვგულისხმობ სოფელს) რიგით მეორე ფაქტორი იყო პიროვნულ იდენტიფიკაციაში. ანუ დაახლოებით ასეთი სქემა გამოდის: ადამიანი – ოჯახი – სანათესაო – სოფელი – ჩვენი ხალხი.
თვითონ მესხები ახსენებდნენ განსხვავებას, რომელიც იანეთში პირდაპირ უზბეკეთიდან ჩასულ და აზერბაიჯანში ნაცხოვრებ მესხებს შორის არსებობს. ამბობდნენ, რომ ეს განსხვავება აისახება რაღაც წეს–ჩვეულებებში, რომლებიც უკანასკნელებმა აზერბაიჯანლებისგან გადაიღეს და რომლებიც მათი – მესხური არ არის. მაგრამ სამწუხაროდ, მე ვერაფერს ვერ ვიტყვი ამ განსხვავებების შესახებ, რადგან თუკი ისინი არსებობს, ჩემთვის, გარეშე თვალისთვის, ექვსი კვირის მანძილზე შეუმჩნეველი დარჩა. ალბათ იმიტომ, რომ განსხვავებები ბევრად მცირეა იმ დიდთან შედარებით, რაც ამ ადამიანებს აერთიანებს. ეს კი უდავოდ მათი საერთო ხვედრია.
ჩვენი ხალხი – ბიზიმ შენნიკ, ჩვენიანი – ბიზიმ სის და სურგუნ ლმიშლარ? – გადასახლებულებიდან ხარ? ეს ის სიტყვებია, რასაც მესხები საკუთარ თავს ეძახიან, რითიც არკვევენ, ესა თუ ის ადამიანი მათ ეკუთვნის თუ არა.
თავიანთ ხალხთან ერთად ცხოვრების სურვილთან შედარებით, ყველა დისკუსია და კამათი, მესხად, ქართველად, თვლის ადამიანი თავს თუ თურქად, მეორე პლანზე იწევს.

იანეთის დასახლებაში ცხოვრობს ერთი ქურთული ოჯახი – გვარად კუჟმიანები. ჩემ იქ ყოფნაში ოჯახის მამა, ძია პავლე, სოფლის ყველაზე კოლორიტული ფიგურა იყო. ეს კაცი თითქოს პირდაპირ ემირ კუსტურიცას ფილმიდან იყო სამტრედიის რაიონში მოხვედრილი. თუმცა ყველამ იცოდა, რომ პავლე ძია და მისი შვილები ქურთები იყვნენ, ისინი საკუთარ თავს მაინც მესხებს უწოდებენ. მათ ჩვეულებრივად შეუძლიათ მუსლიმ მესხებთან ოჯახის შექმნა და მუდამ სასურველი სტუმრები არიან, რადგან ამ ხალხთან საერთო ისტორია, საერთო ბედი აქვთ.

ასევე გავიგე, რომ დასახლებას ხშირად სტუმრობს ბათუმში მცხოვრები ხემშილების (მაჰმადიანი სომხები, რომლებიც აჭარის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ და რომლებიც 1944 წელს ასევე იქნენ დეპორტირებულნი) ოჯახი და დიდი მეგობრობა და მისვლა-მოსვლა აქვთ.

საერთო ტრაგიკულმა ბედმა და იმის შეგრძნებამ, რომ მათთვის არავის კარგი არ უნდა, მესხები ძალიან ჩაკეტილ სოციუმად აქცია. ოჯახების შექმნისას კი პირველი კრიტერიუმი სწორედ თავისიანზე, „ჩვენიანზე“ გათხოვება და ცოლად მოყვანაა. ან არადა, საქართველოში იანეთელ მესხებს არჩევანი არც ისე დიდი აქვთ. თუმცა ისიც ხდება, რომ ცოლები აზერბაიჯანიდანაც მოყავთ, მაგრამ ძირითადად ან თანასოფლელებთან ქმნიან ოჯახებს, ან ნასაკირალში მცხოვრებ მესხებთან. ამის გამო ხშირია შორეულ ნათესავებზე ქორწინება ან ერთი და იმავე ოჯახთან ორჯერ დანათესავება (მაგ. ორ ძმას ორი და მოყავს ცოლად). თუმცა იტერვიუებში მესხები მუდამ მპასუხობდნენ, რომ წინ არასოდეს აღუდგებიან საკუთარი შვილების სხვა ეროვნების ან რწმენის ადამიანზე ქორწინებას, არა მგონია, მათი პასუხები მთლად გულახდილი იყოს. თუმცა ისიც სათქმელია, რომ არც ადგილობრივი მხარე (იმერლები) იკლავს თავს მესხებთან დანათესავების სურვილით.

იზოლირებულ სოფელს, სადაც განსხვავებული რელიგიის და ადათ წესების მქონე, ძირითადად უცხო ენაზე მეტყველი ხალხი ცხოვრობს, ადგილობრივები მესხებისთვის ძალიან საწყენ სახელს „თათრების დასახლებას“ ეძახიან. თავად მესხებს არავინ ეძახის მესხებს ან „თურქ მესხებს“ – მხოლოდ თათრებს.

ძირითადად ადგილობრივებს არანაირი წარმოდგენა არა აქვთ არათუ ამ ხალხის წარმოშობაზე, არამედ თავად დასახლებაში მცხოვრებლების სოციალურ-ეკონომიურ მდგომარეობაზე, ანდაც იმაზე, თუ რამდენი „თათრული“ ოჯახი ცხოვრობს იანეთში. როდესაც იმერლები იგებდნენ, თუ სად ვცხოვრობდი, ყველა გაოცებული მიყურებდა და მერე დაახლოებით ამ ტიპის შეკითხვებს მაძლევდა: „რას აკეთებენ? რითი ცხოვრობენ? რას თესავენ?“...

თავად მესხებზე რეგიონში მრავალი ანეკდოტი და მოგონილი ამბავი დადის – ძირითადად მრავალცოლიანობასთან (მესხებს არა აქვთ მრავალცოლიანობა) და მუსლიმურ ადათებთან დაკავშირებული, ეს ანეკდოტები, რომლებიც მესხებს განსაკუთრებულად სწყინთ, ძირითადად გამონაგონია და სიმართლესთან არანაირ კავშირში არ არის.

დასახლებაში ყოფნის მანძილზე ვნახე მხოლოდ ერთი ადამიანი (ქუთაისის მკვიდრი, შესანიშნავი ადამიანი და სამწუხაროდ აწ განსვენებული ვაგნერ გვასალია), რომელიც ამ ხალხთან მართლა გულთბილად მეგობრობდა, აინტერესებდა და იცოდა მათი ტრადიციები, ნებისმიერ დროს შეესვლებოდა მათ ოჯახებში, მისი შვილები მეგობრობდნენ მესხთა შვილებთან და ა.შ.

ინტერვიუებში და საუბრებში მე აღმოვაჩინე ადგილობრივი ადამიანები, რომლებსაც მესხებთან მტრული თუ არა, უარყოფითი პოზიცია აქვთ, მაგრამ ძირითადად მოსახლეობის იანეთელი მესხებისადმი დამოკიდებულება (ჩემი დაკვირვებით) არის ირონიული ინტერესი, როგორც რაღაც უცხოს და ჯერ უნახავისადმი.

ასეთ დამოკიდებულებაზე ყველაზე მტკივნეულად მესხი ახალგაზრდები რეაგირებენ, სწორედ ისინი, ყველაზე მეტად ინტეგრირებულები, ენის მცოდნენი, ქართველობას და ამ ქვეყნის სრულფასოვან წევრობას დანატრებულები. ახალგაზრდები, რომლებიც უკვე აქ, საქართველოში არიან დაბადებული ან ძალიან ადრეულ ასაკში არიან ჩამოსული; რომლებსაც ბევრი რამ მოსწონთ აქაური და ყველაფერს მათგან დამოკიდებულებულს აკეთებენ, რათა ეს თავიანთი უზარმაზარი სურვილი სხვასაც დაანახონ. მე ვნახე იანეთის საბაზო სკოლაში გამართული კონცერტების ვიდეო ჩანაწერები, როდესაც თბილისიდან საგანგებოდ ჩამოსული სტუმრებისთვის იანეთელი ახალგაზრდები ყველაზე პატრიოტულ, გამორჩეულად სამშობლოს – საქართველოსადმი მიძღვნილ სიმღერებს მღერიან, ლექსებს ამბობენ, ასრულებენ ქართულ ხალხურ ცეკვებს, მაგრამ ამ კონცერტებს არავინ ესწრება იმათ გარდა, ვისაც მესხების პრობლემისადმი მკაფიოდ დადებითი დამოკიდებულება (ვგულისხმობ ჩამოსახლების მომხრეებს) აქვთ. ასეთები კი ძალიან ცოტანი არიან. დანარჩენები მიწვევას ყოველთვის იგნორირებას უკეთებენ და ღონისძიებებზე არ ჩამოდიან.

ძალიან საწყენია, რომ იანეთის ახალგაზრდები, რომლებიც უფროსი თაობის წარმომადგენლებზე ბევრად ლაღები და გახსნილები არიან (მათ არ მოუწიათ უცხო მიწაზე ერთი ადგილიდან მეორეზე უსასრულოდ ხეტიალი) ასე იჩაგრებიან და უსაზღვრო სევდას დაატარებენ გულით. ეს მათთან ჩატარებულ პირად საუბრებში (და არა ინტერვიუებში) აშკარად ჩანდა. თვითონ ამბობენ, რომ იმის იმედად არიან, რომ მათი შვილები მაინც შესძლებენ ამ ქვეყნის სრულფასოვანი მოქალაქეები იყვნენ.

ახალგაზრდებს კარგად ესმით, რომ მათი საზოგადოებისგან გარიყულობის, თუ მათდამი ირონიული დამოკიდებულების მთავარი განმსაზღვრელი მათი განსხვავებული რელიგია – ისლამია. საერთოდ რელიგია ერთ-ერთი ის საკითხია, რაზეც მესხები საკმაოდ მტკივნეულად რეაგირებენ, მაგრამ ამაზე მაინც ბევრს მესაუბრებოდნენ და მუდამ ცდილობდნენ აეხსნათ, რომ თავად ისლამში ცუდი არაფერია, რომ ისლამი ცნობს იესო ქრისტეს როგორც წინასწარმეტყველს, რომ ფაქტობრივად ეს ორი რელიგია ერთსა და იმავეს ქადაგებს და ბოლოს, რომ მათ წინაპრებს მუსლიმური რელიგია ძალით მოახვია ოტომანურმა თურქეთმა. ამავე დროს მესხები ცდილობდნენ ჩემთვის მიეთითებინათ იმ წესებსა და ტრადიციებზე, რომლებიც მათი აზრით, ქრისტიანული გადმონაშთია (მიცვალებულს გულზე გახსნილ მაკრატელს ადებენ ჯვრის ფორმით, ამბობენ იმისთვის, რომ არ გასივდეს, მაგრამ ეს იმდროინდელი გადმონაშთია, როცა მესხები თურქებისგან ფარულად ძველი ადათების შენარჩუნებას ცდილობდნენ; ანდაც: ახალ ოჯახში შესვლამდე პატარძალს თაფლში აწებინებენ თითს და იგი ახალი სახლის კარზე თაფლიანი თითით ჯვარს გამოსახავს).

ძნელია შეაფასო, თუ რამდენად მორწმუნე მუსლიმები არიან მესხები. ჩემს იქ ყოფნაში რამაზანის მარხვას ცოტა ვინმე თუ იცავდა, უფრო მეტად უფროსი თაობის წარმომადგენლები და ისინიც იშვიათად... რამაზან ბაირამი უფრო საერო

დღესასწაულის სახეს ატარებდა, ვიდრე რელიგიურის (თუმცა, ბაირამის დილას ერთ-ერთ ოჯახში აუცილებელი ნამაზი შესრულდა, რომელსაც თითქმის მთელი სოფლის მამაკაცები დაესწრნენ). სხვათა შორის ბაირამის დღესასწაული, რომელიც ერთ-ერთ ეზოში გამართული ახალგაზრდობის დიდი დისკოთეკით დასრულდა და რომელიც ჩემს დღიურებში დეტალურად მაქვს აღწერილი, სამის ნაცვლად მხოლოდ ერთ დღეს გაგრძელდა, რაც ასე ამიხსნეს, რომ „მუჰამედი და მისი თანამოაზრეები ვაჭრები და დიდებულები იყვნენ, გასართობი და დასასვენებელი დრო ბევრი ჰქონდათ, ჩვენ კი ძალიან ბევრი სამუშაო გვაქვს და ერთ დღეზე მეტის დასვენების უფლებას საკუთარ თავს ვერ მივცემთო.“

ისიც სათქმელია, რომ, თუმცა მოსახლეობის უმეტესობა რამაზანის მანძილზე მარხვას არ ინახავს, ამ პერიოდში ალკოჰოლს მაინც არ ეტანება, იშვიათი გამონაკლისის გარდა.

იანეთის რელიგიურ ლიდერებს რაც შეეხება, არაბულის მცოდნე სამი ადამიანიდან ორი მოლას სტატუსს ატარებს (იანეთში არ არის მეჩეთი ან რაიმე სხვა საკულტო ნაგებობა). ამ ორიდან მხოლოდ ერთი სარგებლობს ავტორიტეტით, რადგან მეორე რელიგიური ლიდერისთვის არასახარბიელო ჩვევებშია შემჩნეული (გადამეტებული სმა, ხულიგნობა, უპატიოსნება და სხვა), და მაინც, ის ერთადერთი, ყველასგან აღიარებული მოლა, რომელიც ამავე დროს ტრაქტორისტი, ხელმარჯვე და სიმპათიური ადამიანია, ვერაფრით ითავსებს დასახლების სახელით მოლაპარაკე საერო ლიდერის სტატუსს. უფრო მეტიც, ასეთი ლიდერი იანეთის მეცხრე უბანში საერთოდ არ არსებობს.

მე არ შემიმჩნევია, რომ იანეთელ მესხებს (იანეთელ მესხებს შორის სუნიტების გარდა სხვა რელიგიის წარმომადგენლები არ ცხოვრობენ) საქართველოში მცხოვრებ სხვა მუსლიმებთან (აჭარლებთან, აზერბაიჯანლებთან) რაიმე სულიერი კავშირი ჰქონდეთ, თუმცა ადრე ისიც მომხდარა, რომ რომელიმე იანეთელი ბაირამის წინა ნამაზზე მეჩეთში დასასწრებად ბათუმს გამგზავრებულა.

ჩემი დაკვირვებით, რელიგია ამ ხალხისთვის (ზოგადად მესხებს ვგულისხმობ) კიდევ ერთი გამაერთიანებელი და მათი საერთო ტრაგიკული ბედის მახასიათებელია. ამავე დროს ისლამი, საქართველოში მიმდინარე ზოგადი გლობალიზაციური პროცესების ფონზე, რომლებსაც ისინი თვალს ადევნებენ, მყარი გარანტიაა მათი პატრიარქალური ოჯახების და ნათესაური კავშირების შენარჩუნებისა.

მესხებმა ჩემთან საუბარში რამდენჯერმე შეადარეს თავიანთი ბედი ებრაელების ბედს და ხუმრობით ისიც თქვეს: „იმდენს ვწვალობთ, რომ შეიძლება ჩვენგანაც გამოვიდეს რამეო.“). საერთოდ მაჰმადიანური მესხური საზოგადოება არის სოციუმი, რომელშიც ძალიან პოპულარულია სტერეოტიპები. პირველი მათგანი არის ის, რომ მესხებისთვის კარგი არავის არ სურს. „უზბეკეთში იმიტომ წაგვიყვანეს, რომ ბამბის მოსავალი გაგვეზარდა – ჩვენ ხომ ყველაზე მშრომელები ვართ.“ „ეხლა ამერიკაში უნდათ ჩვენი ხალხის წაყვანა, რომ იქაც ბამბაზე გვამუშავონ, იქ ხომ ზანგებსაც აღარ უნდათ ბამბაზე მუშაობა, იქ ნიანგებია, მძიმე შრომაა და ვინ იმუშავებს – თუ არა მესხები.“ ძალიან მიამიტურად ჟღერს, მაგრამ მსგავსი რეპლიკები იანეთში მე არაერთხელ მომისმენია. ეს არის ძირითადი სტერეოტიპი საკუთარი თავის შესახებ – მშრომელი ხალხი, რომელიც სამოთხედ აქცევს ნებისმიერ მიწას, სადაც კი მოხვდება (შუა აზიაში რომ ჩაგვასახელეს, იქ ისეთი ადგილი დაგვხვდა, რომ არათუ მოსავალი, სასმელი წყალიც კი არ იყო. ცხენი თუ გაივლიდა სადმე, მერე

მოწვიმდა და იმის ნაკვალევში ჩამდგარ წვიმის წყალს ვსვამდით. ცოტა ხანში კი იქაურობა ისე ავაყვავეთ, რომ იმ მხარეს „გულისტანი“ – „ვარდების ქვეყანა“ დაარქვეს“). სწორედ ამიტომ, მათ ხან აქეთ მოისვრიან და ხან იქით. მხოლოდ იმისთვის, რომ მერე მათივე მიერ აყვავებული, ადრე უნაყოფო მიწიდან გამოაძევონ. 2005 წელს მე ვიმოგზაურე აზერბაიჯანში და საათლის და საბირაბადის რაიონში იქაურ მაჰმადიან მესხებსაც შევხვდი (რომელთა დიდი ნაწილი თურქული ორიენტაციისაა) და არათუ იგივე სტერეოტიპები დავინახე, ჩემთვის კარგად ნაცნობი იგივე ფრაზებიც კი გავიგონე.

მეორე მთავარი სტერეოტიპი სამშობლოს, ანუ მესხეთს ეხება – მითოლოგიურ, მშვენიერ კუთხეს. მოხუცები, რომლებიც 44 წლის გასახლებისას ბავშვები იყვნენ, მიყვებოდნენ, რომ ქვეყნად არ არის მეორე ასეთი ლამაზი კუთხე, ხილს არსად აქვს ასეთი გემო, ნაკადული არსადაა ასეთი სუფთა, ხოლო ტყეები ნადირითაა სავსე. ერთმა მოხუცმა ისიც მითხრა, ჩვენთან ირმები, დათვები, ტახები და მაიმუნები ცხოვრობდნენო. რომ გავიკვირვე, ეწყინა: „რა გიკვირს, ჩვენთან ბევრი მაიმუნი იყოო!“ ყოველმა მესხმა, გინდ სულ პატარა ბავშვი იყოს, აუცილებლად იცის თავისი მშობლიური სოფელი, საიდანაც სამოცი წლის წინათ მისი ოჯახი იქნა გასახლებული. იანეთის მცხოვრებლები მეტწილად ადიგენის რაიონის სოფლებიდან არიან, უფრო ცოტანი არიან ახალციხიდან, ასპინძის რაიონიდან კი არავინაა. მშობლიური სოფელი მათ პიროვნულ იდენტიფიკაციაში ძალიან დიდ როლს თამაშობს.

ხშირად მოისმენთ ისტორიებს, მატერიალურად შედარებით უზრუნველყოფილი შუა აზიაში მცხოვრები მესხები როგორ იღებდნენ ბორჯომის საგზურს და საქართველოში ჩამოდიოდნენ დასასვენებლად, რომ რამდენიმე კვირა სამშობლოს სიახლოვეს გაეტარებინათ. შუა აზიაში დაბრუნების წინ კი აუცილებლად ჩადიოდნენ აწყურის პოსტზე და სამშობლოს დახშულ კარიბჭესთან შლიდნენ სუფრას, ტიროდნენ და უკან ბრუნდებოდნენ.

ზოგი მათგანი, ქრთამითა თუ ნაცნობობით, მაინც ახერხებდა მესხეთში შეღწევას და მშობლიური სოფლების თუ ნასოფლარების მონახულებას. ისინი ყვებიან, რომ მესხეთის ის მოსახლეები (კათოლიკე ქართველები – „ფრანგები“), რომელთაც მათი კეთილმეზობლობა ახსოვდათ, სიხარულით ხვდებოდნენ და გულუხვად უმასპინძლდებოდნენ. უკან შუა აზიაში, თუ აზერბაიჯანში დაბრუნებულ მესხებს დანარჩენი რეპატრიანტებისთვის ყველაზე ძვირფასი საჩუქრები ჩაჰქონდათ: იქაური ვაშლი, მესხური სიმინდის ფქვილით გაკეთებული მჭადი, სამშობლოს მიწა. ასეთ საჩუქრებზე თურმე დიდი ტაციაობა იყო.

ერთ-ერთი მათგანი, ვინც საბჭოთა კავშირის დროს მესხეთში მოგზაურობა მოახერხა, იყო იანეთში მცხოვრები ზაქარია ეიუბოვის აწ განსვენებული მამა – ჯემალი, რომელიც ცნობილი ავტორიტეტი, ხალილ გოზალიშვილის თანამოაზრე და, შესაბამისად, მესხთა პროქართული ფრთის წარმომადგენელი იყო. ჯემალ ეიუბოვმა მოინახულა მაჰმადიან მესხთა თითქმის ყველა სოფელი და ნასოფლარი და თითოეულზე ლექსი დაწერა. ეს ლექსები, რომლებიც აზერბაიჯანში დაბრუნებულმა საჩუქრად უძღვნა იქ მცხოვრებ სხვადასხვა სოფლებიდან აყრილ მესხებს, დღესაც დიდი პოპულარობით სარგებლობს.

რა თქმა უნდა, ბევრი უკვე გადასახლებაში დაბადებული მესხი აღიარებს, რომ, როდესაც საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ, მშობლიური სოფელი მოინახულა, იქაური შთაბეჭდილებები სულაც არ დაემთხვა უფროსების მონაყოლების

მიხედვით მის ცნობიერებაში ჩამოყალიბებულ სამშობლოზე წარმოდგენებს. ბევრი ახალგაზრდა გულახდილად ამბობს, რომ საცხოვრებლად იქაურობა მათთვის უვარგისია – აქ ურჩევნიათ დიდ ქალაქებთან, ქუთაისთან და სამტრედიასთან სიახლოვეს, მაგრამ სამშობლო – მესხეთი მაინც შეუცვლელია.
ამის მიზეზი არამარტო 1944 წელს გასახლებული მამების და ბაბუების მიერ მითოლოგიზებული ნაამბობები უნდა იყოს. თავად მოხუცების მონათხრობიდან ჩანს, რომ ისინი ცუდად ან სულ არ იცნობდნენ დანარჩენ საქართველოს – ხაშურს იქით ხომ თითქმის არასდროს მგზავრობდნენ. ამიტომ შვილებს და შვილიშვილებს ვერაფერს მოუყვებოდნენ დანარჩენი საქართველოს შესახებ... ხოლო საკუთარ ქართულ წარმომავლობაზე „ქართული ფრთის“ წარმომადგენლებმაც კი საკმაოდ გვიან შეიტყვეს (მაგ. იგივე ჯემალ ეიუბოვმა, რომელსაც ხალილ გოზალიშვილმა თურმე ბევრი ისტორიული წიგნი წააკითხა, გაანათლა და მესხთა ქართულ საზოგადოებაში დაბრუნებისთვის მებრძოლად გახადა; ანდაც, იანეთში მცხოვრები სხვა მესხის მაგალითი, რომელიც ყოველნაირად ცდილობს შვილები ქართულ წესზე გაზარდოს და ქართულ გარემოში ინტეგრირებულები გახადოს. ის თურმე 18 წლისა ჯარში ციხის სამეთვალყურეო ნაწილში მსახურობდა და იქ ერთ ქართველ პატიმარს – „ცეხავიკს“, მისი წარმოშობა რომ გამოუკითხავს, უთქვამს: „შენ ქართველი ხარო!“ ახალგაზრდა მესხს კი მაშინ ეს არ დაუჯერებია. ანდაც, იგივე ადამიანის ყირგიზეთში მცხოვრები მოხუცი დეიდის ამბავი, რომელსაც სტუმრად ჩასულმა იანეთელმა მესხმა უთხრა: „ქუთაისის მუზეუმში თამარ მეფის სურათი ვნახე და, დეიდა, შენ გგავდა ძალიანო!“ მოხუცი კი გაბრაზებულა: „რა უნდოდა თამარ მეფეს ქუთაისის მუზეუმში, ის ხომ ჩვენი მეფე იყო, რა, ქართველებმა უკვე ეგეც წაგვართვესო?!“). როგორც თვითონ მესხები ხსნიან, 44 წლამდე ისინი თავს არც ქართველებს ეძახდნენ, რადგან ქართველი – გიურჯი, ქრისტიანთან იყო ასოცირებული, და არც თურქებს. მაშინ სოციუმის შიგნით ყველაზე გავრცელებული დასახელება „იერლი“ იყო, რაც თურქულად აქაურს, ამ მიწის შვილს ნიშნავს და აქაურობაში კი სწორედ მესხეთი მოიაზრება და არა სხვა რომელიმე რეგიონი.
ამას გარდა, როგორც თავად ამბობენ, არ არსებობდა საბჭოთა კავშირის რომელიმე რეგიონი (შემდგომში კი ქვეყანა), სადაც მესხები თავს სახლში გრძნობდნენ და არ ჰქონდათ შეგრძნება, რომ იქ დროებით იმყოფებოდნენ. თავად ფერღანაშიც 1988 წლის მოვლენებამდე დიდი ხნით ადრე, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში ადგილი ჰქონია რაღაც მსგავს, ოღონდ ნაკლებ მაშტაბურ დაპირისპირებას (იხ. ინტერვიუ ტელმან ერისთავთან). იანეთელი მესხების მონაყოლებიდან ჩანს, რომ ისინი არასოდეს ეშურებოდნენ ისეთი მატერიალური დოვლათის შეძენას (მაგ. ავეჯი), რასაც ადვილად ვერ წაიღებდნენ თან, თუკი ახალ ადგილას გადაბარგება მოუწევდათ („სულ ჩემოდნებზე ვიჯექით, რამე ხდებოდა და ჩვენივე ხელით ვამტვრევდით ყველაფერს, რისი წაღებაც არ შეგვეძლო და ვბარგდებოდით“ – ალიხან იბრაგიმოვთან პირადი საუბრიდან). ამ საერთო ფონზე, ცოდნა იმისა, რომ სადღაც არსებობს მიწა, რომელიც იმთავითვე შენი იყო, სადაც მამა-პაპის ძვლებია დამარხული და საიდანაც უსამართლოდ, ღალატით გაასახლეს უმწეო მოხუცები, ქალები და ბავშვები (მამაკაცები ფრონტზე იბრძოდნენ), ამ მიწას, სამშობლოს სულ სხვანაირ დატვირთვას აძლევს.

მაგრამ სამშობლოსთან – მესხეთთან დაკავშირებით ყველაზე ხშირად მახსენდება ჩემი მასპინძლის, ალიხან ჩხეიძე-იბრაგიმოვის მონაყოლი მესხეთში მოგზაურობის შესახებ, რომელიც ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში. ეს არის ამბავი, თუ როგორ წავიდნენ პირველად ძია ალიხანი და მისი ძმა მუსტაფა (სამწუხაროდ, უკვე განსვენებული) მესხეთში და როგორ მოინახულეს პირველად სოფელი ქიქინეთი, საიდანაც მათი მშობლები 1944 წელს გაასახლეს. „ჩვენი სოფელი სულ ბოლოოსაა, უკვე მთებში“, – მიყვებოდა ძია ალიხანი, – „იმის იქით აღარაფერი აღარაა – ულამაზესია იქაურობა“ (შარშან მე ვნახე ქიქინეთი და ის, რა თქმა უნდა, განსხვავდებოდა იმ ზღაპრული ადგილისგან, ჩემმა მასპინძელმა რომ ამიღწერა). ძმები საკუთარი მანქანით ჩავიდნენ ქიქინეთში, იქაურობა დაათვალიერეს და როცა ადგილობრივებს უთხრეს, ვინც იყვნენ, ამან დიდი დაძაბულობა და აურზაური გამოიწვია. „სტუმრად როცა გინდა ჩამოდიო,“ – ასე გვითხრეს, – მაგრამ მეზობლად ვერ მიგიღებთ, კარგი ხალხი ჩანხართ, მაგრამ სოფელში მაინც ვერ შემოგიშვებთო“... სინამდვილეში მე არ ვიცი, თუ რა ფორმით და როგორ ელაპარაკნენ მათ ქიქინეთელები (ეს სოფელი ადიგენის რაიონში სოფლების ვარხანის და წახანის სიახლოვეს მდებარეობს), მაგრამ ამ ისტორიაში მე სხვა სურათი უფრო მაღელვებს – როდესაც ძმები უკან გამობრუნდნენ და კრიჭაშეკრულები დაადგნენ გზას, ერთერთმა, რომელიც საჭესთან იჯდა, უსიტყვოდ გააჩერა მანქანა და ორივე ხმისამოუღებლად გაიქცა გზისპირა ბაღებისკენ აკრძალული ხილის, იქაური ვაშლის საჭმელად. იმ ვაშლის, რომელზეც ამდენი რამ ჰქონდათ გაგებული ბავშვობიდან. ამ სცენაზე მართლა ბევრი მიფიქრია, ამიტომ შეიძლება მსგავსი შინაარსის სტატიისთვის შეუფერებლად მხატვრული გამომივიდეს, მაგრამ ძალიან მაღელვებს ორი, უკვე თითქმის ასაკოვანი, თავიანთ საუკეთესო სამოსში გამოწყობილი კაცი, მაღალ ბალახში რომ მიიკვლევენ გზას ვაშლით დახუნძლული ხეებისკენ. და მესხური ვაშლი ხომ მართლაც საოცარია.

მესხები ხშირად ამბობენ, რომ მათ ატყუებენ, როცა ეუბნებიან, თითქოს მესხეთში საცხოვრებელი ადგილი და თავისუფალი მიწები არ არსებობს. ისინი ნამყოფები არიან რეგიონში და ამბობენ, რომ იცნობენ იქაურ დემოგრაფიას. იანეთელები ხშირად იშველიებდნენ შოთა ლომსაძის წიგნის „მესხეთი და მესხების“ რუსულ გამოცემას, სადაც მოცემული იყო მესხეთის რუქა და ზედ დატანილი იყო 220-ვე (ეს ციფრი ყველამ კარგად იცის) მესხური სოფელი. ამათგან შავი წერტილებით აღნიშნული იყო ის სოფლები, რომლებიც 1944 წლის გასახლების შემდეგ მთლად დაცარიელდა და აღარასოდეს აღარ აღდგენილა. ასეთი წერტილები (რომლებიც რუქაზე საკმაოდ ბევრია) არის დასტური იმისა, რომ თავისუფალი ადგილები მესხეთში მაინც არსებობს, ოღონდ საქართველოს მთავრობას არ გააჩნია ნება, რომ დეპორტირებული მაჰმადიანები ძველ ადგილას დააბრუნოს.

ის, რომ ქართული მთავრობა და საზოგადოება სწორედ მათ მაჰმადიანობას უფრთხის, იანეთელ მესხებს კარგად აქვთ გაცნობიერებული („ჩვენ რომ სომხები ან ბერძნები ვყოფილიყავით, უფრო იოლად გადაწყდებოდა ჩვენი საკითხი“). ჩემი აზრით, თავად პრობლემა უფრო ღრმაა და ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ არც ერთ მხარეს (მესხები – ქართული საზოგადოება), წლების მანძილზე წარმოებული პოლიტიკური თამაშების და დეზინფორმაციის შედეგად, არა აქვს გარკვეული, თუ ვინ არის ეს ხალხი. წლების განმავლობაში წარმოებული პროთურქული პროპაგანდის წყალობით მესხებს უკვე მთლად

არეული აქვთ გონება, ხოლო ქართულმა საზოგადოებამ რეალურად არაფერი იცის ამ ე.წ. „ეთნოსის“ წარმოშობის შესახებ, ამ საზოგადოების ყველაზე განათლებულმა ნაწილმა კი, რომელსაც ყველაზე მეტი მოეთხოვებოდა, არაფერი გააკეთა (თუ არ ჩავთვლით სამოცდაათიანი წლების ბოლოს ინტელიგენციის გარკვეულ აქტივობებს) საზოგადოების ინფორმირებულობისთვის და მესხების ამ საზოგადოების წიაღში დაბრუნებისათვის. ამ ხალხისთვის თითქმის არავის უთქვამს, რომ ისინი მთელი საქართველოს შვილები არიან და ისინიც საქართველოს მიწა-წყალზე ისევე სტუმრად გრძნობენ თავს, როგორც უკრაინასა თუ უზბეკეთში...

დღესდღეისობით დისკუსია 1944 წელს დეპორტირებულთა სამშობლოში დაბრუნება-არდაბრუნების შესახებ, დროებით შეწყვეტილია, მაგრამ გავა დრო და ეს საკითხი აუცილებლად კვლავ იჩენს თავს. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ მე ამ დროსაც არ მექნება ზუსტი პასუხი შეკითხვაზე – რა ფორმით, რა რაოდენობით, რა სისტემატურობით უნდა დაბრუნდნენ სამშობლოში მესხები და სად უნდა იცხოვრონ მათ. არა მგონია, შექმნილ სიტუაციაში აზერბაიჯანში, შუა აზიაში, რუსეთში თუ თურქეთში მცხოვრებ რეპატრიანტთა მენტალიტეტშიც რამე შეიცვლოს და მათ უარი თქვან თავიანთ, ჩემი აზრით, საბედისწერო შეცდომაზე (რომელშიც ყველაზე ნაკლებად მესხთა დღევანდელი თაობაა დამნაშავე, ყველაზე მეტად კი კავკასიის ბედუკუღმართი ისტორია და გეოპოლიტიკა) და სამშობლოდ არამხოლოდ მითოლოგიზირებული მესხეთი, არამედ მთელი საქართველო აღიარონ. საერთოდაც ძალიან ბევრი რაღაცა მაფიქრებს და მაეჭვებს, არამარტო მაჰმადიან მესხთა, არამედ მთელი ჩემი ქვეყნის, ჩემსა და ჩემი შვილების მომავალში. მაგრამ ყოველთვის, როდესაც მესხეთში მოვხვდები, ამ ადგილებს სხვა თვალით ვუყურებ, რადგან თვენახევრის მანძილზე მოსმენილი მითები უკვე ჩემშიცაა გამჯდარი. ყოველთვის, როდესაც რეპატრიანტთა პრობლემა მახსენდება, ანდა მას ტელევიზორის ეკრანიდან მახსენებენ, მუდამ ჩემი მასპინძლები და იანეთის მეცხრე უბანი და ერთი კონა მუდმივად საკუთარ და თავის ხალხის მომავალზე დაფიქრებული და გაფაციცებული, საკუთარ წარსულში და მომავალში ეგრეც ვერგარკვეული ხალხი მიდგება თვალწინ. მე მათი შეყვარება მოვახერხე იმიტომ, რომ ღია გულით მივედი იქ და, როგორც თვითონ მესხები იტყვიან, გულში „ეშმაკობა“ არა მქონია. ეს ხალხი დღემდე მიყვარს და მათი ბედიც მადარდებს, მათი კარგი გამიხარდება და მათი ჭირი მეწყინება. სულ ეს არის, ეს არც ძალიან ცოტა მგონია და არც ძალიან ბევრი.

2. მუსლიმი მესხები სამტრედიის რაიონში (ნ. ჯალაბაძე)

2003 წლის 1 ნოემბრიდან 12 დეკემბრამდე დანიურ-გერმანული ინსტიტუტის უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრის (ჩ I) ხელშეკრულებით მივლინებით ვიმყოფებოდი სამტრედიის რაიონის სოფ. იანეთში (მე -9 უბანი) საველე ეთნოგრაფიული კვლევის ჩასატარებლად. კვლევის მიზანი იყო შეგვესწავლა საქართველოში ჩამოსახლებულ მუსულიმ მესხთა ერთი ნაწილის ყოფა, ტრადიციები, მათი პრობლემები, სოციალური და ფსიქოლოგიური განწყობა.

დაგეგმილი იყო საველე ეთნოგრაფიული მასალის შეკრება — უშუალო დაკვირვების შედეგების ფიქსაცია დღიურის ფორ მით, მოსახლეობის აღწერა (მესხური ოჯახების მონაცემების შესახებ ანკეტების შევსება), მუსლიმი მესხებისა და არამუსლიმი მოსახლეობისაგან ინტერვიუების ჩაწერა. საკვლევი ეთნოგრაფიული ჯგუფის კულტურული და ეთნო-ფსიქოლოგიური სპეციფიკის გათვალისწინებით. ძი რითადად ვიმუშავე მდედრობითი სქესის რესპონდენტებთან. შევკრიბე მონაცემები 14 მესხური ოჯახის შესახებ, აუდიოფირზე ჩავიწერე 18 ინტერვიუ სხვადასხვა ასაკის ქალბატონებთან, მათ შორის, ადგილობრივ მესხებთან — 11, სამტრედიაში ქრისტიან ქართველზე გათხოვილ მესხთან — 1, ქრისტიან ქართველთან — 5 და ერთიც აჭარელთან.

ქალებთან მუშაობას გარკვეული სირთულეები ახლდა თან. ყველაზე მთავარი პრობლემა ენობრივი ბარიერი იყო: ასაკოვან ქალთა უმრავლესობამ არც რუსული და არც ქართული ისე არ იცის (ან საერთოდ არ იცის), რომ რაიმე გაგაგებინოს, ამიტომ თარჯიმნობას ახალგაზრა ქალები ან მამაკაცები მიწევდნენ. ამავე დროს, გამუდმებით შრომაში მყოფ მესხ ქალებს ინტერვიუსათვის დროის გამონახვა ცოტა უჭირთ. პრობლემა არ შექმნილა ახალგაზრდა რესპონდენტებთან ურთიერთობისას. აქაური ქალები პირად საუბარში გეუბნებიან ერთს და ინტერვიუირებისას გაწერინებენ მეორეს, ანუ ისინი მაინც ბოლომდე გახსნილები არ არიან. უშუალო საუბრების დროს (მაგნიტოფონის გარეშე) ისინი ბევრად უფრო გულწრფელები იყვნენ. არამუსლიმი მესხების ჯგუფიდან შევარჩიე ქალთა ის კონტინგენტი, ვისთანაც იანეთელ ქალებს ყველაზე ხშირი და ახლო კონტაქტები ჰქონდათ. ასეთად ჩავთვალე იანეთის სკოლის მასწავლებლები და სამტრედიის ბაზარზე მომუშავე ქართველი ქალები (სამწუხაროდ სომეხმა ქალებმა მესხების შესახებ საკუთარი აზრის დაფიქსირებაზე კატეგორიულად განაცხადეს უარი).

როგორც ეთნოლოგს, მუსლიმ მესხებთან მანამდე არასდროს მიმუშავია, მაგრამ კარგად ვიცოდი ის პრობლემები, რაც შეიძლება მოჰყოლოდა განსხვავებული კონფესიის დახურულ ეთნიკურ ჯგუფთან მუშაობას. გამომდინარე კავკასიური ტრადიციიდან — „ჩემი მეგობრის მეგობარი— ჩემი მეგობარიცაა", მე და ჩემმა კოლეგამ გადავწყვიტეთ საზოგადოებაში შესვლა არა პირდაპირ, არამედ ახლობლების მეშვეობით, რაც ჩვენის აზრით, დადებით მუხტს შეიტანდა მომავალ ურთიერთობებში და სოციო-ფსიქოლოგიური ბარიერის გადალახვას გაგვიადვილებდა.

სამტრედიელ ნაცნობთან წინასწარი მოლაპარაკების საფუძველზე შეირჩა ორი ოჯახი, სადაც 6 კვირის განმავლობაში უნდა გვეცხოვრა. მე ალიხან იბრაგიმოვის (ქართული გვარი —ჩხეიძე) ოჯახში დავბინავდი.

მასპინძელი ოჯახი. ჩემი მასპინძელი ქუთაისის წყალსაცავში მუშაობს, მისი ოჯახი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც სამტრედიის რაიონში ჩამოვიდა (1983წ). ალიხანის მშობლები ადიგენის რაიონიდან, სოფ. ქიქინეთიდან, იყვნენ. ალიხანს მეუღლე და 6 შვილი ჰყავს — 3 ვაჟი და 3 ქალი. აქედან 2 ქალიშვილი იანეთშივეა გათხოვილი. ვაჟებიდან მხოლოდ ერთია ცოლიანი და ისიც მამასთან ცხოვრობს. მისი მეუღლე ნასაკირალიდანაა. მათ წლინახევრის ვაჟი ჰყავთ. ალიხანის მეუღლე ზულეიხა (ქართული გვარი ქალთახჩიშვილი) ელია წმინდელი მესხების შთამომავალია. ისინიც უზბეკეთში იყვნენ გადასახლებული. ალიხანის ოჯახის საქართველოში ჩამოსვლა მისი მშობლების სურვილმა განაპირობა. მიუხედავად იმისა, რომ უზბეკეთში კარგად

ცხოვრობდნენ (კეთილმოწყობილი საკუთარი სახლი, ნორმალური საარსებო პირობები, შემოსავალი და ა. შ.) სამშობლოში დაბრუნების სურვილი იმდენად ძლიერი იყო, რომ ისინი ყოველივე ამას შეელიენ. საქართველოში ჯერ ალიხანი და მისი მშობლები ჩამოვიდნენ, მოგვიანებით კი მისი და და ძმა, თავიანთი ოჯახებით. ალიხანის ძმა, მუსტაფა ცოლთან და 4 შვილთან ერთად დღეს იქვე, ცალკე სახლში ცხოვრობს, და კი რუსეთში გადავიდა საცხოვრებლად. ალიხანი სოფელში საკმაოდ დაფასებული და პატივსაცემი კაცია. ის იოლად შეეთვისა ქართულ გარემოს და მიუხედავად იმისა, რომ ქართულად ვერ ლაპარაკობს, ენა კარგად ესმის. მუსლიმი მესხების გარდა, თან ბევრი ადგილობრივი ქართველი მეგობარი ჰყავს. თავის დროზე, მუსლიმ მესხთა საქართველოში დაბრუნების პრობლემებთან დაკავშირებით, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავასთან ჰქონდა ურთიერთობა.

ჩვენი სოფელში ჩასვლა საყოველთაო ინტერესის საგანი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ დაუფარავად ავუხსენით ჩვენი ვიზიტის მიზეზი, უნდობლობის მომენტი რამდენიმე ხანს მაინც არსებობდა. ეს ასედაც უნდა ყოფილიყო, რადგან მუსლიმ მესხთა ტრადიციულ და ჩაკეტილ საზოგადოებაში უცხო ელემენტის მიღება საკმაოდ რთულად ხდება. მით უმეტეს, რომ მოსახლეობას უკვე ჰქონდა კორესპონდენტებთან და სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებთან არასასურველი და მათთვის არასახარბიელო ურთიერთობის პრაქტიკა. ამიტომაც საჭიროდ ჩავთვალე ცოტა მეტი დრო დამეთმო ჩემი ე. წ. ინტეგრაციისთვის. როგორც გაირკვა, 15 ნოემბერს ალიხანის ძმისშვილის ფერიდეს ქორწილი იყო დანიშნული. ეს იყო საუკეთესო შანსი ჩემთვის, არამარტო, როგორც ეთნოლოგისათვის, არამედ შედარებით იოლი გზაც პირადი კონტაქტების დასამყარებლად.

სოფლის ისტორია. იანეთის მე-9 უბანი სოფლის ცენტრიდან დაახლოებით 5-6 კმ-ის მოშორებით მდებარეობს და დასახლებულია მხოლოდ მუსლიმი მესხებით (29 კომლი), თუ არ ჩავთვლით 1944 წელს ახალციხის რაიონიდან დეპორტირებული ქურთი კუჟმიანის ოჯახს, რომელიც ამჟამად მამედოვის გვარს ატარებს და იანეთში 1996 წელს ჩამოვიდა რუსეთიდან. მუსლიმი მესხები სამტრედიის რაიონში 1980-ანი წლებიდან იწყებენ ჩამოსვლას. ეს დეპორტირებულ მესხთა ის ნაწილია, რომელიც საქართველოში ქართველ დისიდენტთა და ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენლის მეცადინეობით დაბრუნდა; თავდაპირველად ნალჩიკიდან, შემდეგ შუა აზიიდან და აზერბაიჯანიდან. აქ მესხები უფრო მოგვიანებითაც, ფერღანის ამბების მერე, რუსეთის სხვა რაიონებიდანაც გადმოვიდნენ. მესხთა საქართველოში გადმო-სახლება უმთავრესად პატრიოტული მოტივებით იყო შეპირობებული. ყოველ შემთხვევაში პირველი ნაკადი, ანუ დეპორტაციის მომსწრე თაობა, აქ სამშობლოში ყოფნის მოთხოვნილებამ წამოიყვანა. იანეთში არიან ისეთი ოჯახებიც, რომლებიც საქართველოში აუცილებლობის გამო ჩამოვიდნენ, ამის მიზეზი ან ავადმყოფობა, ან მძიმე სოციალური და ეკონომიკური პირობები იყო.

დღევანდელი მე-9 უბნის ტერიტორიაზე (1980-იან წლებში იქვე ფუნქციონირებდა რაიონში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საქონლის ფერმა) სახელმწიფომ სპეციალურად დეპორტირებული მესხებისათვის ეტაპობრივად ააშენა 20-ზე მეტი კაპიტალური საცხოვრებელი სახლი. მანამდე ისინი დიდ ჯიხაიშში საერთო საცხოვრებელში იყვნენ და მშენებლობის დამთავრებას ელოდებოდნენ. ისე რომ, სოფლის დასახლებაც ეტაპობრივად მიმდინარეობდა. თავდაპირველად,

გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მუსლიმი მესხები და ფერმაში მომუშავე ადგილობრივები გვერდიგვერდ სახლობდნენ. მაგრამ 90-იან წლებში, საერთო არეულობის გამო, ფერმამ ფუნქციონირება შეწყვიტა. ადგილობრივმა მოსახლეობამ სახლები გაყიდა და იანეთის მე-9 უბანი დატოვა. ხოლო მათი სახლები მუსლიმმა მესხებმა (ძირითადად ახლად შექმნილმა ოჯახებმა) შეისყიდეს. სოფელში 9 სახლი არატიპურია, ამათგან 6 – ძველი ფინური კოტეჯია.

სოფლის მიწების საკითხი დღემდე საბოლოოდ გარკვეული არ არის — სადემარკაციო ხაზი სამტრედიისა და წყალტუბოს კუთვნილ მიწებს შორის ზედ სოფლის ტერიტორიაზე გადის. ასე რომ, სამტრედიის რაიონში შემავალი სოფლის მოსახლეობის ნაწილი წყალტუბოს რაიონის კუთვნილ ტერიტორიაზე ცხოვრობს. ეს სიტუაცია ბევრ პრობლემას ქმნის, როგორც თვითონ ჯგუფის შიგნით, ისე ადმინისტრაციის დონეზედაც. მაგალითად, არჩევნების დროს იანეთელების ერთი ნაწილი, რომელიც წყალტუბოს რაიონის ტერიტორიაზე სახლობს, სამტრედიაზეა მიწერილი და ა. შ.

დასახლების სტრუქტურა და საცხოვრებელი. სოფელში შესვლისთანავე თვალში გეცემათ მჭახე ცისფრად და მწვანედ შეღებილი სახლების ფასადი, რაც აქაური მოსახლეობის მუსლიმურ სამყაროსთან სიახლოვის ასოციაციას ბადებს. საგულისხმოა ისიც, რომ რამდენიმე სახლი, რომელიც ცოტა ხნის წინ იქნა გარემონტებული, უკვე ღია ტონებით გამოირჩევა. სახელმწიფოს მიერ აშენებული სახლები ორსართულიანია, თითო სართულზე 4 ოთახია, აქვს ფართო აივანი და გარე კიბე. ყველა ოჯახს საცხოვრებელი სახლის უკან აქვს დამხმარე სამეურნეო სათავსოები — სასიმინდე, ფურნე, სახელოსნო, ცხვრის ფარეხი, საქონლის ბაკი, საქათმე, საკუჭნაო, საპირფარეშო და სხვ. ალბათ, საგულისხმოა ის, რომ სახლები ერთმანეთისაგან (ერთი-ორი გამონაკლისის გარდა) მხოლოდ მავთულის ბადით არის გამოყოფილი და უმეტესობას ერთიმეორესთან გვერდიდან დამაკავშირებელი გასასვლელი აქვს, ისე რომ მეზობლები ფაქტობრივად იზოლირებული არ არიან. ანუ, იმდენად, რამდენადაც მესხთა საზოგადოება მეტ-ნაკლებად იზოლირებულია გარე სამყაროსაგან და ჩაკეტილია გარეშესათვის, შიგნით ის ღიაა. როგორც საქართველოს თითქმის ყველა კუთხის სოფლებში, მესხური ოჯახიც ძირითადად პირველ სართულზე ცხოვრობს. მეორე სართული სტუმრებისთვისაა განკუთვნილი, ამიტომ ის ყოველთვის განსაკუთრებულად მოწყობილი და დასუფთავებულია. ოთახების დიზაინში თვალსაჩინოა აღმოსავლური, მუსლიმური კულტურის ელემენტები: იატაკზე დაფენილი და კედლებზე გაკრული ხალიჩები (თუმცა იშვიათად ნახავთ ძველებურ ნახელავს), უზარმაზარი ტახტი „სექუი“, ზედ დაწყობილი გრძელი ლეიბებითა და უშველებელი ბალიშებით, მრგვალი ან მართკუთხედის ფორმის დაბალი მაგიდები, შედარებით იაფფასიანი ბროლის და ფაიფურის მოოქროვილი ჭურჭელი, ფიალები და წელში გამოყვანილი ჭიქები ჩაისთვის, სპილენძის სურები, შუა აზიიდან წამოღებული ფლავის სახარში ქვაბები ... მესხური სახლის აუცილებელი ელემენტია ე. წ. „ სექუი”. მას თითქმის ოთახის ნახევარი აქვს დათმობილი და სამივე მხრიდან კედლებს ებჯინება. ტახტზე П-სებურად მოთავსებულია არასტანდარტული ზომის ფერადი ლეიბები, საზურგეებად კი კედლებზე მიწყობილია განიერი ბალიშები. ტახტის შუაში ცარიელ ადგილზე დაფენილია ფარდაგი და განკუთვნილია სუფრისთვის. სუფრა შეიძლება პირდაპირ ფარდაგზე ან დაბალ მაგიდებზე გაიშალოს. ამ

ტახტზე შლიან სუფრას სტუმრებისთვის; ის ქალებისთვის თავშეყრისა და მოსვენების ადგილსაც წარმოადგენს; გარდა ამისა, სტუმრიანობის დროს (ქორწილი, დასაფლავება, რელიგიური დღესასწაულები) დასაძინებლად ტახტზე საკმაოდ ბევრი ადამიანის მოთავსება შეიძლება. ამას გარდა, თითქმის ყველა ოჯახში მოწყობილია კუთხე, სადაც Г-ს ფორმის ხის ტახტია მოთავსებული, წინ კი მაგიდა დგას. აქ უკვე მუსლიმი მესხები ჩვეულებრივ მაგიდასთან ტრაპეზობენ. ეს ადგილი ოჯახის წევრების მოსასვენებელი და ახლობლების მისაღებიცაა; აქვე აქვთ ტელევიზორი, რომელიც, იანეთში ყველა ოჯახშია. უნდა დავძინო, რომ სოფელში რამოდენიმე ოჯახს აქვს სატელიტური ანტენა, რომლის მეშვეობითაც თურქეთის სატელევიზიო გადაცემებს ღებულობენ. მესხებს სამზარეულო სახლშიც აქვთ და გარეთაც. სახლში თხევადი გაზის ბალონებს და ელექტროქურებს ხმარობენ, ზამთარში – შეშის ღუმელს. სხვა დროს კი შეშის ღუმელი გარეთ უდგათ. შუა აზიური ქვაბებისათვის გამართული აქვთ სპეციალური ღუმელი, რომელიც გადაჭრილ განიერ მილს წარმოადგენს და წაკვეთილი კონუსის ფორმის ძირის მქონე ქვაბის ჩასადგმელად ძალზე მოსახერხებელია. ოჯახებში ნახავთ ძალიან დიდი ზომის ქვაბსაც (დაახლოებით 30 ლიტრიანი), რაშიც ძირითადად ხარშავენ ფლავს ქორწილებისა და დიდი სუფრებისთვის.

ეზოში ყველას აქვს არტეზიული ჭა, მაგრამ იანეთში ერთეული ოჯახებია, ვისაც წყალი სახლის სამზარეულოში აქვს შეყვანილი და აბანოც შინ აქვს მოწყობილი. ამისათვის წყალს სპეციალურად დამონტაჟებულ დიდ ავზებში იმარაგებენ. საერთოდ იანეთში წყლის პრობლემა აქვთ. ადრე სოფელში წყალსადენიდან მილი იყო გამოყვანილი და ჭების საჭიროება არ იყო, მაგრამ დღეს ეს სისტემა მოიშალა. მოსახლეობამ დამოუკიდებლად თავი ვერ მოაბა მილის აღდგენას, გამგეობას კი ამისათვის სახსრები არ გააჩნია.

სოფელში არ არის მაღაზია, რის გამოც მოსახლეობა იძულებულია სავაჭროდ სამტრედიაში ან დიდ ჯიხაიშში წავიდეს. სამარშრუტო ტაქსი— იანეთი — სამტრედია კვირაში ორჯერ, ოთხშაბათს და კვირას დადის.

სოფლის ბოლოში რკინის ბადით შემოღობილი სასაფლაოა. აქაური საფლავებიდან ზოგი ტიპური მუსლიმური ყაიდისაა; უკანასკნელ ხანებში კი შეიმჩნევა ქართული გავლენა და უკვე მარმარილოს წარწერებიანი ქვით გაფორმებული საფლავები გვხვდება.

ჩაცმულობა.შუახნისა და შუახანს გადაცილებული მუსლიმი მესხი ქალების ჩაცმულობა აზერბაიჯანელი ქალის ჩაცმულობის ანალოგიურია: თავზე წაკრული თავშალი, კოჭებამდე სიგრძის გულდახურული გრძელსახელოებიანი კაბა ან ზედატანი. თავშალი გათხოვილი ქალის აუცილებელი ატრიბუტია, რასაც გაუთხოვარი ქალებიც ატარებენ, თუმცა სურვილის მიხედვით. ქალებს გრძელი თმა აქვთ. მათ უმრავლესობას ზამთარშიც კი პალტოს მაგივრად თბილი შალის ჟილეტი აცვია, ალბათ, შრომაში მეტად მოხერხებულობის გამო. თვალშისაცემია შუა ხნის მესხთა (უმეტესად ქალების) ოქროს გვირგვინიანი წინა კბილები, რაც, აქაურთა თქმით, აზერბაიჯანული გავლენაა და ამ ნიშნით შესაძლებელია საქართველოში და აზერბაიჯანში მცხოვრებ მესხთა გარჩევაც კი. აზერბაიჯანის მესხი ქალები, საქართველოში მცხოვრებთაგან განსხვავებით, უფრო მეტ სამკაულს (ოქროს ან ოქროსფერს) ატარებენ. იანეთელი მესხები, ამ თვალსაზრისით, მეტი სისადავით გამოირჩევიან. ქართველი მუსლიმი და ქრისტიანი მამაკაცების ჩაცმულობა ერთმანეთისაგან მკვეთრად არ განსხვავდება,

თუმცა იანეთში ხანდახან თვალს მოჰკრავთ ცილინდრიან და ჩალმასავით თავზე ნაჭერწაკრულ მამაკაცებს (ისევ შუა აზიური და აზერბაიჯანული ანალოგი). ახალგაზრდა თაობა ამ მხრივ უფრო ინტეგრირებული ჩანს. გოგონებს აცვიათ შარვლები, იკეთებენ მაკიაჟს; თუმცა კაბის სიგრძე მაინც "მაქსია". ახალგაზრდა ვაჟების ჩაცმულობა ქართველი ახალგაზრდების ჩაცმულობის იდენტურია. სხვათა შორის, აქაური ახალგაზრდების თანამედროვე ჩაცმულობას და ქართულ იერს ჩვენთან საუბარში მუდამ ხაზს უსვამდნენ სამტრედიელი ქართველები.

ენა, განათლება. იანეთელი მესხების სალაპარაკო ენა თურქულია, უფრო სწორად თურ ქუ ლი ენის ანატოლიური დიალექტი. თავად მუსლიმი მესხები მას „ჩვენ ენას" ეძახიან და ხაზს უსვამენ, რომ მათი ენა თურქულისაგან განსხვავდება და წარმოადგენს ქართულისა და თურქულის ერთგვარ ნაზავს. მესხთა უფროსმა თაობამ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ქართული არ იცის. ეს განსაკუთრებით ქალებს ეხება. შუახნის მამაკაცებმა და ქალებმა ქართული უკეთ იციან, რადგან ადგილობრივ მოსახლეობასთან აქვთ კონტაქტი (ქალები ქართველებთან ერთად მუშაობდნენ ფერმაში, მათ გვერდით ვაჭრობენ ბაზარში) მამაკაცებს ქართველებთან შეხების მეტი წერტილები აქვთ და ამიტომაც ქალებთან შედარებით ქართულად უკეთესად ლაპარაკობენ. რამოდენიმე წლის წინ აქ გახსნილი იყო ქართული ენის შემსწავლელი უფასო კურსები, სადაც ძირითადად მამაკაცები დადიოდნენ. ახალგაზრდა თაობამ, ე.ი. ვინც აქ დაიბადა და განათლებას უკვე ქართულად იღებს, ენა კარგად იცის. ამ შემთხვევაშიც მამაკაცების უპირატესობა შეიმჩნევა. იანეთელ მესხთა უმრავლესობა, ძირითადად ქალები, ძალიან განიცდიან ქართულის არცოდნას და თვლიან, რომ მათი დასახლების ფორმა, ანუ იზოლაცია, ამის ერთ-ერთი მიზეზია. შუა აზიაში მათმა ცხოვრების გამოცდილებამ ნათელყო, რომ შერეულად დასახლება საუკეთესო გზაა უცხო ეთნოსის კულტურის შეთვისებისა და უცხო ენის შესასწავლად. სხვათა შორის, შუა აზიაში დაბადებულ და იქ განათლება- მიღებულ ქალთა უმრავლესობას, რომელიც საქართველოში 20 წელზე მეტია ცხოვრობს, კარგად ახსოვს უზბეკური და ხშირად საუბრის დროსაც კი უზბეკურ სიტყვებს ხმარობს. სამაგიეროდ, მათ ქართულის სწავლა გაუჭირდათ. დღეს, შერეულად დასახლების უპირატესობას თავად მესხები აღიარებენ და იხსენებენ, რომ იმ მუსლიმ მესხთა ოჯახებიდან, ვინც პირველად დასახლდა იანეთში და ვინც ქართველების მეზობლად ცხოვრობდა, ქართული ყველამ ნორმალურად ისწავლა. სამწუხაროდ აქაურ ქალთა უმრავლესობამ „ბაზრის ენა" იცის, ბავშვების უმეტესობა კი ოჯახში თურქულად საუბრობს.

იანეთელი მესხებისათვის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული სკოლის გახსნა (1996 წ.), რაც ე. შევარდნაძის დამსახურებად მიაჩნიათ. ამის შემდეგ აქაური ბავშვები, რომლებიც, ზოგი სამტრედიის რაიონში ინტერნატში სწავლობდა და ზოგიც რუსულ სკოლაში, უკვე ადგილობრივ 9-წლიან სკოლაში იღებენ განათლებას. დღემდე პრობლემას წარმოადგენს ის, რომ აქაურმა ბავშვებმა სკოლაში მისვლამდე ქართული არ იციან და ენას მხოლოდ სკოლაში სწავლობენ. სოფელში წინათ ჰქონიათ საბავშვო ბაღიც, მაგრამ ის ამჟამად აღარ ფუნქციონირებს. აქაურების ოცნებაა ბაღის აღდგენა, რაც მათ ბავშვებს, ერთი მხრივ, ქართული ენის შესწავლას გაუადვილებდა და, მეორე მხრივ, დედებს გაცილებით შეუმსუბუქებდა ყოფას. დღეს ახალგაზრდა მამაკაცების ნაწილში შეიმჩნევა ოჯახში შვილებისათვის ქართულის სწავლების ტენდენცია. ახალგაზრდები (ვაჟები) ერთმანეთში ხშირად ქართულადაც საუბრობენ.

იანეთის 9-წლიანი სკოლის არსებობის პირველ ეტაპზე სახელმწიფო უფრო მეტ ყურადღებას იჩენდა მუსლიმ მესხთა ახალგაზრდა თაობის განათლების მიმართ, იყო გარკვეული პროგრამები, რაც გულისხმობდა სასკოლო ასაკს გადაცილებული ახალგაზრდების დაჩქარებულ და სკოლამდე- ლი ასაკის ბავშვების სწავლებას, იმართებოდა საღა მოები, კონკურსები, სადაც იწვევდნენ სტუმრებს როგორც რაიონიდან, ასევე თბილისიდან, ეწყობოდა ექს- კურსიები, სკოლაში მოქმედებდა (ნაწილობრივ, ახლაც მოქმედებს) ცეკვისა და სიმღერის წრეები, მოსწავლეები მონაწილეობდნენ მუსიკალურ ფესტივალებში (იყვნენ ლაურეატებიც). ის ახალგაზრდები, ვისაც იანეთში იმ პერიოდში მოუწია განათლების მიღება, ამჯერად სწავლას უმაღლეს სასწავლებელში ან რაიონის კოლეჯებში აგრძელებენ. ისინი უკვე თავიანთი სასწავლებლების მხტვრულ კოლექტივებში მოღვაწეობენ. მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს სახელმწიფო გაცილებით ნაკლებად ზრუნავს იანეთელ მესხთა განათლებაზე, ასევე, შედარებით ნაკლებია აქაურ ბავშვებში სწავლის მიმართ ენთუზიაზმი.

მუსლიმ მესხთა ტრადიციით, ქალები სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლას აღარ აგრძელებენ. მათი აზრით, „ქალი ოჯახისთვისაა, ის უნდა გათხოვდეს, შვილები გააჩინოს და ქმარ-შვილს მოუაროს.” ამიტომ ქალი, ამ თვალსაზრისით, ერთგვარად დაჩაგრულია. ახალგაზრდა ქალებში შეიმჩნევა სწავლის გაგრძელების განსაკუთრებული სურვილი, ხოლო შუახნის ქალებში — სინანული, თავის დროზე სწავლის ვერ გაგრძელების გამო. თუმცა, დედები თავიანთი ქალიშვილების მიმართ, ამ თვალსაზრისით, დღესაც საკმაოდ კონსერვატულები არიან. იანეთის სკოლის მასწავლებლების აზრით, საკმარისია ერთმა ოჯახმა მაინც გაუშვას ქალი სწავლის გასაგრძელებლად, რომ, მათი შემხედვარე, დანარჩენებიც იგივეს გააკეთებენ.

ოჯახი. მესხთა ოჯახები მრავალსულიანია (საშუალოდ 6-8 სული). დღეს სულ რამდენიმე ოჯახია, სადაც დეპორტაციის მომსწრე მესხს შეხვდებით. მაგრამ ეს მეორე თაობაა, რომელიც იმ პერიოდში ჯერ კიდევ ბავშვები (2 წლიდან — 12 წლამდე) იყვნენ. პირველი თაობა, ანუ უხუცესები, აქ უკვე აღარ არიან—ისინი ან დაიხოცნენ ან 1990-იან წლებში საქართველო დატოვეს. სოფლის მოსახლეობის ძირითად ნაწილს შუა ხნის თაობა (მესამე) და ახალგაზრდები (მეოთხე-მეხუთე) წარმოადგენენ; ანუ, ერთი ნაწილი, რომელიც შუა აზიაში დაიბადა, განათლება იქ მიიღო და იქ დაოჯახდა, მეორე ნაწილი კი უკვე აქ არის დაბადებული და განათლებაც აქ აქვს მიღებული (ან ამჟამად სწავლობს).

იანეთის მოსახლეობა რამოდენიმე გვარის განაყარი ოჯახებით არის წარმოდგენილი. მაგალითად, 1983 წელს სამტრედიის რაიონში ჩამოსული სეიფულ იბრაგიმოვის შთამომავლები დღეს იანეთში 4 ოჯახად ცხოვრობენ. იზნოების გვარს 4 განაყარი ოჯახი აქვს და ა. შ. თითოეული გვარში სულ ცოტა 2 განაყარი ოჯახია. დღეს ახლადშექმნილი ოჯახებისთვის საცხოვრებლის პრობლემა მწვავედ დგას.

მუსლიმ მესხთა ოჯახების ნაწილი ნუკლეარულია. ისინი უმთავრესად განაყარი ახალგაზრდა ოჯახებია. აღსანიშნავია, რომ ახალგაზრდა ოჯახებში შეიმჩნევა ნაკლები შვილის ყოლის ტენდენცია: თუ ადრე 6-8 შვილს აჩენდნენ, ახლა 3-4 მაქსიმუმია. ამის მიზეზად ისინი მძიმე ეკონომიკურ და სოციალურ პირობებს მიიჩნევენ. ახალგაზრდა ოჯახებში უმთავრესად ისევ ძველი საოჯახო ყოფისთვის დამახასიათებელი ურთიერთობათა და ჩვეულებათა ნორმები

მოქმედებს: უფროსი თაობის პატივისცემა, შრომისმოყვარეობა, სტუმართმოყვარეობა, თავშეკავებულობა, პატიოსნება და ა. შ.

მუსლიმ მესხთა ოჯახს აშკარად აქვს ზოგადკავკასიური ტიპის ოჯახის მახასიათებლები: ოჯახის უფროსი მამაკაცის განუსაზღვრელი უფლებები — ოჯახის მართვის ავტორიტარული ფორმა, უმცროსი თაობის უსიტყვო მორჩილება უფროსებისადმი, ოჯახში ქალის დამოკიდებული მდგომარეობა, ოჯახის უფროსი ქალის უპირატესობა სხვა ქალებთან მიმართებაში, შრომის რეგლამენტაცია სქესობრივ-ასაკობრივი ნიშნით, ე. წ. „განრიდების“ წესების დაცვა.

მესხურ ოჯახში შემონახულია მამაკაცების უპირატესობის ტრადი ცია. მამა ოჯახში უფროსად ითვლება და მისი დასტურის გარეშე ოჯახში არც ერთი საქმე არ გადაიჭრება. იგი პასუხისმგებელია და გეზს აძლევს ოჯახის საშინაო თუ საგარეო საკითხების გადაწყვეტას. ოჯახის უფროსის უკითხავად ქალი ვერანაირ გადაწყვეტილებას ვერ მიიღებს. საოჯახო საქმიანობას მესხურ ოჯახში ქალი უძღვება, მაგრამ ის, ამავე დროს, ემორჩილება ქმრის ნებას. მამა ძირითადად ვაჟის აღზრდას ხელმძღვანელობს. ასწავლის სასოფლო და სასაქონლო სამეურნეო საქმიანობას, სა მე ურ ნეო იარაღის მოხმარებას და სხვა. 12 წლის შემდეგ ვაჟს აზიარებენ რელიგიურ და ტრადიციულ წეს-ჩვეულებებს. უნდა ითქვას, რომ რეალურად იანეთელ მესხთა ოჯახებში მამაკაცი იშვიათად თუ წარმოგვიდგება ერთპიროვნულ მმართველად. ოჯახში საკმაო ავტორიტეტით სარგებლობს ოჯახის უფროსი ქალი. მას დიასახლისის და ოჯახის დედის სტატუსი აქვს. მისი (დედამთილის, დედის) სტატუსი კარგად იკვეთება გაუყრელ ოჯახებში, სადაც ის ნაკლებად დასაქმებულია. მის ფუნქციებში შედის შრომითი საქმიანობის ორგანიზაცია, საქმის განაწილება ოჯახის წევრებს შორის, ახალგაზრდა თაობის აღზრდა (ბავშვების აღზრდაში, ნაწილობრივ, მონაწილეობას იღებს ბაბუაც), ზნეობრივი ტრადიციებისა და საწეს-ჩვეულებო რიტუალების ხელმძღვანელობა. იგი წარმართავს საოჯახო საქმიანობას, აკონტროლებს საოჯახო სურსათის მოხმარებას, განკარგავს ჭირნახულის მარაგს, არის ოჯახის ხაზინადარი. სადავო სიტუაციებში მის აზრს აუცილებლად ითვალისწინებენ და ოჯახური კონფლიქტი მისი ჩარევის გარეშე არ გადაწყდება. ტრადიციის თაობიდან თაობაზე გადაცემა მის დამსახურებად ითვლება. ქალიშვილებს ცხრა წლიდან ასწავლიან ლოცვების კითხვას და რელიგიურ წეს-ჩვეულებებს. ამას გარდა, აჩვევენ საოჯახო საქმიანობას – სახლის დალაგებას, საჭმლის კეთებას, სარეცხის რეცხვას, კერვას, ქსოვას, უფროსებთან ურთიერთობას. უფროსი ქალი შედარებით ნაკლებად არის დატვირთული ისეთი შიდა საოჯახო საქმიანობით, როგორიცაა რეცხვა, დალაგება, საჭმლის მომზადება. ამ ფუნქციებს რძალი და ქალიშვილები ინაწილებენ. ის ძირითადად საქონლის მოვლა-პატრონობით არის დაკავებული, ამზადებს რძის პროდუქტს, აცხობს პურს. ასე რომ, მესხურ საზოგადოებაში შრომის განაწილებას, გარდა სქესობრივისა, ასაკობრივი პრინციპიც უდევს საფუძვლად. მუსლიმ მესხებში ქალს საკუთრებაში წილი არ აქვს. მისი პირადი ქონება წარმოდგენილია მზითევით, ინდივიდუალური შრომითი შემოსავლით, საჩუქრებით. განსაკუთრებით ხაზგასასმელია დედის მიმართ შვილების დამოკიდებულება; ისინი მას გამორჩეული პატივით ექცევიან, ცდილობენ, შრომა შეუმსუბუქონ. საერთოდ, მესხი ქალები ძალიან მორიდებულნი არიან. უცხო მამაკაცთან ერთად სუფრასთან არ დასხდებიან, სტუმართან ძალიან მოკრძალებულად უჭირავთ

თავი. აღსანიშნავია რძლის დამოკიდებულება ქმრის მშობლების, განსაკუთრებით, მამამთილის მიმართ. ჩემი დაკვირვებით, იანეთელ მესხებში, ნასაკირალელი თანამოძმეებისაგან განსხვავებით, ზოგიერთი ტრადიცია გაფერმკრთალებულია, რაც ჩემთვის, ალიხანის რძალთან (ნასაკირალიდანაა გამოთხოვილი) ურთიერთობისას გახდა ნათელი. ე.წ. "განრიდების წესებს" იგი მეტად იცავდა ვიდრე აქაურები. ეს ჩანდა მის განსაკუთრებულ მორიდებულობაში მამამთილისა და ქმრის ნათესავი სხვა მამაკაცებისა და ასევე სტუმრის მიმართ (კარგა ხანს არ ჯდებოდა სუფრასთან, განსაკუთრებით სტუმარი მამაკაცის თანდასწრებით), მეუღლეს მიმართავდა შერქმეული სახელით (ჩვენთან მიღებული არ არის ქმარს სახელით მიმართოო). „განრიდების წესებს" განეკუთვნება უმცროსების მიერ უფროსების თანდასწრებით თამბაქოს არმოწევის წესი.

გვარები. რაც შეეხება მესხთა გვარებს, მოსახლეობის უმეტესობას ახსოვს თავისი ქართული გვარები, მაგრამ ყველამ ვერ მოახერხა მათი ოფიციალურად აღდგენა. ეს მხოლოდ რამოდენიმემ შეძლო და დღეს სოფელში უკვე არიან— ერისთავები, ჩხეიძეები, შაქრიძეები, აბულაძეები, მამისაშვილები. ქართული გვარები უმთავრესად ახალგაზრდა თაობას აქვს, ე.ი. ვინც უკვე საქართველოშია დაბადებული. იანეთში არიან ოჯახები, სადაც უფროსი თაობა არაქართულ გვარს ატარებს, უმცროსი კი – ქართულს. ყველა იანეთელ მესხს თავისი ქართული გვარის დაბრუნების დიდი სურვილი აქვს, მაგრამ ადმინისტრაციული ხასიათის წინააღმდეგობანი ჯერ-ჯერობით ამის საშუალებას არ აძლევს. რაც შეეხება სახელებს, აქაურებს უმთავრესად მუსლიმური სახელები ჰქვიათ, მაგრამ ყოფაში მათ შერქმეული სახელებით მიმართავენ. ამ შერქმეულ სახელებში იმ ხალხის ეთნო-კულტურული გავლენა შეიმჩნევა, ვის გვერდითაც მათ ცხოვრება უწევდათ. მაგალითად, შუა აზიაში დაბადებულ თაობას იქაური, ხოლო საქართველოში კი ქართული ყაიდის შერქმეული სახელები აქვს. შუა აზიაში დაბადებული ზუბაიდა–ზოიაა, ზორაიდა–ზამირა, ალი–ალიკა. საქართველოში კი შაქირა – შორენაა, მახადინი – მალხაზი, ზახადინი–ზაქრო და ა.შ., რაც ინტეგრაციის გარკვეულ ტენდენციებს ავლენს.

ოჯახი, საოჯახო ურთიერთობები. იანეთელ მესხთა ჯგუფის შიგნით ენდოგამიური საქორწინო ურთიერთობები აღინიშნება. მუსლიმი მესხები თავს არიდებენ შერეულ ქორწინებებს, ყველანაირად ცდილობენ რძალიც და სიძეც ისევ მესხებში შეარჩიონ, თუმცა არ გამორიცხავენ, რომ სხვა ეროვნების წარმომადგენლის შეყვარების შემთხვევაში, მათ დაქორწინებას ხელს არ შეუშლიან. თვით იანეთში შერეული ქორწინების არც ერთი შემთხვევა არ ფიქსირდება. როგორც ჩანს, შერეული ქორწინებები შედარებით უფრო ხშირი იყო, და ახლაც არის, შუა აზიაში და რუსეთში მცხოვრებ მესხებში. იანეთელ მესხებს ასეთ შემთხვევაში ყველაზე სასურველ პარტნიორად, თეორიულად, ქართველები (იგულისხმება მართლმადიდებელი ქრისტიანი ქართველი) მიაჩნიათ. საერთოდ, შერეული ქორწინებები ინტეგრაციის ერთ-ერთი საუკეთესო გზაა. ეს იანეთელ მესხებსაც კარგად ესმით, მაგრამ შეგნებულად ეწინააღმდეგებიან მას, რამდენადაც, როგორც თვითონ ამბობენ, მათი მომავალი ჯერ გაურკვეველია და მათ საქართველოდან გასახლების მუდმივი შიში აქვთ. ინფორმატორთა აზრით, მესხის მესხზე დაქორწინების ტრადიცია არის „ნაციის" გადარჩენის ერთ-ერთი გზა. ისინი პირდაპირ მიუთითებენ, რომ ასეთი მკაცრი კანონები რომ არ ჰქონოდათ, გაქრებოდნენ, როგორც „ხალხი".

ენდოგამია მუსლიმ მესხთა შიდა ქორწინების ფორმაა. ენდოგამიას განაპირობებს მუსლიმ მესხთა ეთნო-სპეციფიკა, ეთნო-კულტურა და კონფესია. ის ამავე დროს, დახურული ჯგუფის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანიცაა. ეს არის ერთმანეთთან კომუნიკაციის საშუალება, კონფესიის შენარჩუნების მიზნით, რაც, ერთი მხრივ, ხელს უწყობს იდენტიფიკაციას და, მეორე მხრივ, ეთნიკურ დიფერენციაციას. იანეთელ მესხებში ენდოგამიას ხელს უწყობს მათი დასახლების ფორმაც, ანუ ისინი იზოლირებული არიან სხვა ეთნიკური და კონფესიური ჯგუფებისაგან, რაც პრაქტიკულად ყოველმხრივ იზოლაციაში აქცევს მათ.

მუსლიმ მესხებთან ჯერ კიდევ სიცოცხლისუნარიანია მაჭანკლობის ინსტიტუტი. წინათ ის ოჯახის შექმნის ყველაზე გავრცელებული ფორმა იყო, განსაკუთრებით მესხების შუა აზიაში ყოფნის პერიოდში. თუმც ის ახლა ისეთი აქტიური აღარ არის, მაგრამ მაინც ხშირია შემთხვევები, როცა ოჯახს გარიგებით ქმნიან.

მესხების პრინციპი ასეთია: არ უნდა დარჩეს არც ერთი გაუთხოვარი ქალი და არც ერთი უცოლო კაცი. ოჯახი აუცილებლად უნდა შეიქმნას. და მართლაც, თუ სერიოზული ფიზიკური და გონებრივი ნაკლი არ აქვს ადამიანს, ყველა დაოჯახებულია. ესეც თვითგადარჩენის იმპულსის ერთგვარი რეალიზაციაა.

მესხები ძალიან განიცდიან, როდესაც შვილი საქორწინო ასაკს გადააბიჯებს. ქალიშვილებს საშუალოდ 18 წლის ასაკში ათხოვებენ, მამაკაცებს კი შედარებით გვიან – 23-25 წლის ასაკში მოჰყავთ ცოლი.

იანეთელ მესხებში ნათესავზე დაქორწინების აკრძალვა, ჩვეულებრივ, ხუთ თაობაზე ვრცელდება, სისხლის აღრევა, თეორიულად, მათშიც ცოდვად არის მიჩნეული. მაგრამ, პრაქტიკულად, ქორწინების შემთხვევები მესამე თაობის წარმომადგენლებს შორისაც ფიქსირდება. თავად მესხები ამ წესს თურქულ გავლენად მიიჩნევენ, რადგან თურქებში ბიძაშვილები და დეიდაშვილები ერთმანეთზე ქორწინდებიან. მუსლიმ მესხებში მკაცრად იკრძალება ბიძაშვილ-მამიდაშვილებს შორის ქორწინება. მართალია ისლამში მრავალცოლიანობა ნებადართულია, მაგრამ იანეთელი მესხებისათვის მსგავსი რამ მიუღებელია.

ნათესაური ურთიერთობები. იანეთში არ არის ოჯახი, რომელსაც ნათესავი არ ჰყავდეს იმ ქვეყანაში, სადაც ამჟამად მუსლიმ მესხთა დიასპორა არსებობს. ჯერ მარტო, მესხთა საქართველოში გადმოსახლების შემდეგ, შუა აზიაში, აზერბაიჯანში და ყაბარდო–ბალყარეთში მათი ნათესავების დიდი ჯგუფები დარჩნენ. ფერღანის მოვლენების მერე მესხთა ნაწილი რუსეთში წავიდა. 1990-იან წლებში მესხები რუსეთში, უკრაინაში და თურქეთში უკვე საქართველოდან გადავიდნენ; ასე რომ, იანეთელ მესხს შეიძლება ერთი შვილი შუა აზიაში ჰყავდეს, მეორე უკრაინაში, მესამე რუსეთში, მეოთხე აზერბაიჯანში და ასე დაუსრულებლად. შვილების გარდა სხვადასხვა ადგილებში არიან მათი ძმები, დები, ბიძები, ბიძაშვილები. არიან ოჯახები, რომელთაც ნათესავები 15 და მეტი წელი არ უნახავთ. ბებიები და ბაბუები საკუთარ შვილიშვილებს არ იცნობენ. იანეთელი მესხებისთვის ნათესავებისაგან მოშორებით ყოფნა და მათი უნახაობა ძალზე მტკივნეულია. სწორედ ამიტომ, იანეთელი მესხები ცდილობენ ისევ საქართველოში მცხოვრები მუსლიმი მესხი მოიყვანონ ცოლად და აქ შეკრან ნათესაური კავშირები, რადგანაც ქალის სხვა ქვეყანაში გათხოვება მათთვის შვილის დაკარგვის ტოლფასია. ყველაზე მოსახერხებელი ნასაკირალელ მესხებთან ურთიერთობაა და საქორწინო კავშირების დამყარებას ძირითადად ამ სოფლის მცხოვრებლებთან არჩევენ. საბჭოთა კავშირის პერიოდში ისინი

ახერხებდნენ მისვლა-მოსვლას და ამის ფინანსური საშუალებაც ჰქონდათ. მაგრამ პოსტ-საბჭოთა პერიოდში შექმნილმა ვითარებამ (სავიზო რეჟიმი, რეგისტრაციის არქონა, ეკონომიკური გაჭირვება და ა.შ.) უფრო მეტად გაამძაფრა სიტუაცია და იანეთელ მესხებს ნათესავებთან, არა მარტო მიმოსვლის საშუალება მოუსპო, არამედ, ტელეფონით დაკავშირების შესაძლებლობაც შეუზღუდა. შედარებით იოლია აზერბაიჯანში მყოფებთან ურთიერთობა, რადგანაც აქ ვიზა საჭირო არ არის და მგზავრობაც უფრო იაფია.

ნათესაობა და, საერთოდ, ნათესაური სისტემა ეთნიკური იდენტობის, შინაგანი მთლიანობის და სტაბილურობის განმაპირობებელი ერთ-ერთი ფაქტორია. საქართველოდან თავდაპირველად შუა აზიაში დეპორტირებულმა მესხებმა, რომლებიც სხვადასხვა რაიონებში გაფანტეს, დროთა განმავლობაში ნათესავები მოძებნეს და, შემდეგ ერთად, ერთ რაიონში (სოფელში) დასახლდნენ. ამით მათ მოახდინეს იმ ნათესაური კავშირების შეკვრა-შემომტკიცება რაც, ზოგადად, უცხო გარემოში მოხვედრილ ეთნიკურ ჯგუფს თვითმყოფადობას უნარჩუნებს. როგორც თავად ამბობენ, შუა აზიაში ცხოვრების დროს, ნათესავებს თითქმის ყოველდღიური ურთიერთობა ჰქონდათ ერთმანეთთან, ხოლო უფრო შორს მყოფებთან კვირაში ერთხელ მაინც მიდიოდნენ. დღეს საქართველოში მცხოვრებ მესხთა მოთხოვნა მათი ნათესავების სამშობლოში დაბრუნება და კვლავ ერთად წინაპართა მიწაზე ცხოვრებაა. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის მთელი ჯგუფის მოლოდინი და წარმოიდგინეთ, რომ უმრავლესობისათვის იანეთი ერთგვარი შუალედური რგოლია, დროებითი სცხოვრისი, მათი ტერმინალური ღირებულების მისაღწევ გზაზე.

ცნობილია, რომ ეთნიკურობა უკავშირდება ნათესაობას და, თავისი მასშტაბურობით, იგი ჯგუფურ ნათესაობას მოიცავს, რომლის ცნობიერება გენეტიკურ კოდშია ჩაბეჭდილი. ეს კოდი არსებობდა ყოველთვის, ათასეული წლების წინათაც, როდესაც ნათესაური ჯგუფების წევრთა მიერ ერთმანეთის შეცნობა სასიცოცხლო პირობა იყო თვითგადარჩენისთვის (კ. იუნგი). ეს ფორმულირება არაჩვეულებრივად ხსნის იმ დამოკიდებულებას და განწყობას, რაც იანეთელ მესხებს აქვთ სხვა ქვეყნებში მყოფი თავიანთი ნათესავების მიმართ და მათ უდიდეს სურვილს, რომ ყველა ნათესავი გვერდით ჰყავდეთ. ეს კარგად ხსნის იმ ფაქტსაც, რომ შუა აზიაში გადასახლებულმა და სხვადასხვა მხარეს დაფანტულმა მესხებმა თავიანთი ნათესავები მოძებნეს და შემდეგ ერთად, კომპაქტურად დასახლდნენ. მათი ყველა ნათესავის სამშობლოში ერთად დასახლება მესხთა ოცნებაა. ისინი თავიანთ საზოგადოებაში განსხვავებული კულტურული ტრადიციის ელემენტების შეღწევას ეწინააღმდეგებიან. არც ხელოვნური ნათესაობის და არც შერეული ქორწინების სახით, არ აქვთ არანაირი ნათესაური კონტაქტი თავიანთ ქრისტიან მეზობელ ქართველებსა თუ სხვა ეთნოსის წარმომადგენლებთან (სისხლით ძმადნაფიცობის ერთადერთი მაგალითი დავაფიქსირეთ ჯემალ ეიუბოვსა და მის მეგობარ ქართველ გიორგის შორის). ყოველივე ამას კი თვითგადარჩენისათვის სწრაფვა შეიძლება ვუწოდოთ.

მიუხედავად იმისა, რომ იანეთელი მესხები იზოლირებულად ცხოვრობენ, მათ მაინც აქვთ კონტაქტები ადგილობრივ არამესხ მოსახლეობასთან. კონტაქტების დიდი წილი მამაკაცებზე მოდის, რადგან, მათი სამსახურებრივი საქმიანობის გამო, ეს კავშირები ძალაუნებურად არსებობს. იმ ახალგაზრდებ- საც, ვინც რაიონში და ქალაქში სწავლობს, ბევრი მეგობარი ჰყავს. აქაური ქალების სამეგობრო წრე უფრო ადგილობრივებისაგან შედგება, თუმცა ბაზარში სიარულმა

და ვაჭრობამ მათ ადგილობრივი ქართველი ამხანაგებიც შესძინა; ოღონდ, მამაკაცებთან შედარებით, აქაური ქალები მათთან მიმოსვლას ხშირად ვერ ახერხებენ. ისინი ერთმანეთს ძირითადად განსაკუთრებულ დღეებში სტუმრობენ (ქორწილი, რელიგიური დღესასწაულები). უფრო ხშირი კონტაქტები აღინიშნება ნასაკირალელ მესხებთან, რადგანაც სოფელში თითქმის არ არის ოჯახი, ვისაც იქაური სიძე ან რძალი არ ჰყავდეს. იანეთში მხოლოდ ერთი-ორი კაცია, ვინც ნასაკირალელი მესხების გარდა საქართველოს სხვა კუთხეებში მცხოვრებ მაჰმადიან მესხებს იცნობს.

სამეურნეო საქმიანობა. იანეთელთა ძირითადი საქმიანობა მიწათმოქმედება და მესაქონლეობაა (უმრავლესობას ჰყავს მსხვილფეხა საქონელი, ცხვარი და ფრინველი — ქათამი, ინდაური, ბატი, იხვი). აქ ყველა ოჯახს აქვს 1,25 ჰა საკარმიდამო და 1 ჰა კუთვნილი სახნავ-სათესი მიწის ნაკვეთი. გარდა ამისა, თითქმის ყველა ოჯახს იჯარით აღებული აქვს რამდენიმე ჰექტარი მიწა, სადაც ძირითადად თესავენ სიმინდს, ქერს, მიწის თხილს, ლობიოს, სოიოს, კომბოსტოს და სხვადასხვა ბაღჩეულ კულტურას. თესავდნენ ხორბალსაც, მაგრამ ცუდი მოსავლიანობის გამო, ბოლო დროს აღარ მოჰყავთ. იანეთში ჰავა საკმაოდ ტენიანია, გარემო — ნესტიანი. ამიტომ კარტოფილი ვერ გვარობს, პომიდვრის მხოლოდ პირველი მოსავალია ნორმალური, ნესტის გამო კი ლობიოს ჭია უჩნდება. გარდა ამისა, აქ ხშირი ქარები იცის, რაც ხილის მოსავალზედაც უარყოფითად მოქმედებს.

თითოეულ ოჯახს საშუალოდ 3-4 მეწველი ძროხა ჰყავს. რძის პროდუქტებიდან ძირითადად ამზადებენ ყველს, ხაჭოს და ნადუღს, რაც ბაზარზე გააქვთ გასაყიდად. ყიდიან მსხვილფეხა საქონელს, ცხვარს და ფრინველსაც. იანეთში იშვიათია ოჯახი, ცხვარი (საშუალოდ 15–20) რომ არ ჰყავდეს. ის ერთადერთი სოფელია სამტრედიის და, ალბათ, მიმდებარე რაიონებშიც, სადაც მეცხვარეობას მისდევენ. სოფელში თითქმის ყოველდღე მოდიან ცხვრის საყიდლად. საქონელი საბალახოდ სოფლის გარშემო არსებულ საძოვრებზე გაჰყავთ. ნახირში ორი ოჯახიდან თითო კაცი მიდის ყოველდღე. აქ ხშირი იყო ქურდობა და ამიტომ საქონელს მეთვალყურე აუცილებლად სჭირდება.

რამოდენიმე ოჯახში აქვთ ტრაქტორი, რაც მათი შემოსავლის წყაროდაც იქცა — მათ მეზობელ სოფლებში სახნავ-სათესი მიწების დასამუშავებლად ქირაობენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბჭოთა კავშირის პერიოდში იანეთში იყო საქონლის ფერმა, სადაც ადგილობრივები და დეპორტირებული მესხები ერთად მუშაობდნენ, მაგრამ საერთო ვითარებამ დასაქმების ეს წყარო მოსპო. დღეს უკვე დანგრეული ძველი ფერმის შენობაში კერძო პირის საქონელს თითო-ოროლა იანეთელი ქალი თუ უვლის და ისიც კაპიკების ფასად (თვეში 60 ლარი).

იანეთელი მესხები ძირითადად შიდა სამეურნეო საქმიანობით არიან დაკავებული, მამაკაცების ნაწილი საჯარო ან კერძო სტრუქტურებშიც მსახურობს (საავადმყოფო, პოლიცია, ბენზინგასამართი სადგური, წყალსაცავი, უცხოური ფირმა...). უმუშევრობა ჩვენს სახელმწიფოში საყოველთაო პრობლემაა. მესხების სტატუსი ნამდვილად არ არის ის ფაქტორი, რომელიც მათ უსამსახურობას განაპირობებს, თუმცა ზოგიერთ მათგანს, ამ მხრივ, თავი დაჩაგრულის როლში წარმოუდგენია. სინამდვილეში, ისინი ისეთივე მდგომარეობაში არიან, როგორც ზოგადად საქართველოში მცხოვრები სხვა კუთხის ქართველი თუ სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები. პირიქით, თურქული ენის ცოდნა

რამდენიმე მათგანისთვის ნორმალური სამსახურის შოვნის წინაპირობაც კი გახდა (თარჯიმნობა თურქულ ფირმაში). ოფიციალური სამსახურის ქონა ხელს არ უშლის იანეთელებს სამეურნეო საქმიანობის წარმოებაში. ისინი კარგად უთავსებენ ერთმანეთს მესაქონლე-მიწათმოქმედისა და სამოქალაქო მოსამსახურის საქმიანობას.

საერთო ჯამში იანეთელი მესხების ძირითადი შემოსავლის წყარო, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთის ხელფასს, პენსიებსა და მრავალშვილიანთა დახმარებებს, ვაჭრობაა. ისინი ძირითადად სამტრედიაში ვაჭრობენ. ჰყავთ მუდმივი კლიენტები, რომლებიც გარდა ბაზრისა, მათთან ადგილზედაც ჩადიან და პერიოდულად იძენენ რძის პროდუქტს, ხორცს, მიწის თხილს. მესხებს სხვა ბიზნესი არ აქვთ, როგორც თვითონ ამბობენ, "მათი ბიზნესი — ძროხა და ქათმებია".

იანეთის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი საშუალოდ ცხოვრობს, მცირე ნაწილს ძალიან უჭირს, ხოლო შედარებით შეძლებული რამოდენიმე ოჯახია. შეძლებული ოჯახები კარგად გარემონტებულ და კეთილმოწყობილ სახლებში ცხოვრობენ. ჰყავთ ცხვარი და საქონელი, აქვთ მანქანა, ფერადი ტელევიზორი, მობილური ტელეფონი. გაჭირვებულ ოჯახებს ცხვარი საერთოდ არ ჰყავთ, საქონლიდან კი, ერთადერთი ძროხა ოჯახის წევრების მოთხოვნილებებს ძლივს აკმაყოფილებს. ასეთ ოჯახებს ელემენტარული კვებისა და ჩასაცმლის პრობლემა უდგას.

საკვები. იანეთელ მესხთა კვების რაციონი წარმოდგენილია მესხური ტრადიციული და აღმოსავლური (შუა აზიური) კერძებით. შეიძლება ითქვს, რომ ჩვეულებრივ იანეთელები ადგილობრივ იმერულ კერძებს არ ამზადებენ, თუმცა იციან (ამით უფრო ახალგაზრდა თაობა ინტერესდება. პურს ოჯახში აცხობენ, ძირითადად ელექტროქურაში ან შეშის ღუმელში; აქვთ ფურნეც, რომელსაც თვითონ მესხურს ეძახიან. ფურნე აგურისაგანაა აშენებული და საშუალოდ 1/1,5X1/1,5 ზომისაა. შუაში გაყოფილია რკინის ცხაურით, რაზედაც ცომიან ყალიბებს აწყობენ. წინ ამოჭრილი აქვს ფანჯარა, რომელსაც, სიმხურვალის შესანარჩუნებლად, ცხობის დროს თუნუქის ფირფიტას აფარებენ. ასეთი ფურნის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მას გასახურებლად ბევრი შეშა არ სჭირდება და სიმხურვალეს დიდხანს ინარჩუნებს. ამგვარი ფურნეები მესხებს უზბეკეთშიც ჰქონიათ. პურს იშვიათად, მხოლოდ აუცილებლობის შემთხვევაში ყიდულობენ.

ტრადიციული მესხური საჭმელებიდან აკეთებენ ღომს (ეძახიან ფაფას), მჭადს (რომელიც განსაკუთრებით უყვართ), ხინკალს, ხაჭაპურს, ლობიოს. უზბეკური საჭმელებიდან – ფლავს, უზბეკურ პელმენს, სამსას, მანთს. იანეთელი მესხები საჭმელში დიდი რაოდენობით ბრინჯსა და ხახვს ხმარობენ. აქ მიეჩვივნენ სუნელების გამოყენებას, რასაც თითქმის ყველანაირ კერძს უკეთებენ. ყოველი პურობა სრულდება ჩაის სმის აუცილებელი რიტუალით. ჩაის სვამენ ქორწილშიც და მიცვალებულის სახელზე გამართულ სუფრაზედაც. სვამენ როგორც მწვანე, ისე შავ ჩაის. თვითონ ამბობენ, რომ ჩაის სმას ისინი უზბეკეთში მიეჩვივნენ, საქართველოში ყოფნის დროს კი, ჩაის მაგივრად თურმე წყალს სვამდნენ, რადგან საქართველოში საუკეთესო წყლები იყო, შუა აზიაში კი ჩაიზე გადავიდნენ. ამბობენ, რომ ახალციხეში ჩამოსახლებული მესხები, დღეს უკვე ჩაის ისეთი ინტენსივობით აღარ სვამენ, როგორც შუა აზიაში.

მუსლიმი მესხები დღეში სამჯერ ჭამენ: დილით ადრე საუზმობენ, შუადღის მერე სადილობენ და მხოლოდ მზის ჩასვლის შემდეგ ვახშმობენ.
რელიგია.იანეთელი მესხები სუნიტები არიან, მაგრამ ისინი არ არიან ფუნდამენტალისტები და ეს კარგად ჩანს მათი ყოველდღიური ყოფიდან. ისლამიდან მესხთა ყოფაში მყარად დამკვიდრებულია წინადაცვეთის (დასუნათება), მარხვის, ქორწინების, დაკრძალვის და სხვა წესები. მაგრამ, ისინი მკაცრად ვერ იცავენ ისეთ მუსლიმურ დოგმებს, როგორიცაა ღორის ხორცის და სასმელის აკრძალვა. მართალია, ისლამი კრძალავს ღვინის სმას, უზომო გართობას, მაგრამ ქართველი მუსლიმისთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მესხები აღნიშნავენ, რომ ყურანში სასმელი ზომიერად ნებადართულია სადღესასწაულო დღეებში, მაგრამ უმეტესობა მაინც ზომაზე მეტად სვამს. ისინი სახლის გარეთ ღორის ხორსაც კი ჭამენ. შუახნის თაობას და ახალგაზრდებს თითქმის ყველას გასინჯული აქვს ღორის ხორცი, ზოგს ჯარში, ზოგს ქართველებთან სუფრაზე ყოფნის დროს.
იანეთში არც ოფიციალური მოლა ჰყავთ და არც ჯამე აქვთ. მაგრამ ზოგიერთმა ლოცვების კითხვა იცის და სათანადო რიტუალების დროს მოლის ფუნქციებს ასრულებს, ხელმძღვანელობს ჯგუფურ ნამაზს. ნამაზი გულისხმობს დღეში ხუთჯერ ლოცვას. არსებობს ინდივიდუალური და ჯგუფური ნამაზი. ჯგუფურ ნამაზს ატარებენ განსაკუთრებულ დღეებში: ბაირამობას, მიცვალე- ბულზე და ა. შ. იანეთში ინდივიდუალურ ნამაზს ქალებიდან ცოტანი ასრულებენ. ხანში შესული ქალები ამის მიზეზად ზოგი ავადმყოფობას და ზოგი მოუცლელობას ასახელებს – დღეში ხუთჯერ რომ ილოცო, ამისი დრო უნდა გქონდესო. შუახნის ქალები შედარებით მეტად არიან დაკავებული საოჯახო საქმიანობით და, მით უფრო, ვერ იცლიან ამისათვის. ისინი ძირითადად მარხვას ინახავენ. ახალგაზრდებთან ნამაზის საკითხი საერთოდ არ დგას, თუმცა რამაზანს ისინიც იცავენ. გოგონებს ცხრა წლიდან ასწავლიან ლოცვების კითხვას, ვაჟებს – თორმეტი წლიდან. მაგრამ ახლა ეს ტრადიცია თანდათან შესუსტდა. ის თაობა, ვინც არაბული წერა-კითხვა იცოდა, ცოცხალი აღარ არის, ლოცვების წამკითხველებიც ცოტანი არიან. თუმცა, ლოცვების ტექსტები ზოგიერთებს ლათინური ანბანით აქვთ ჩაწერილი. რელიგიური თვალსაზრისით მამაკაცები საერთოდ უფრო ტოლერანტულები არიან. იანეთელი კაცები ნაკლებად იცავენ რელიგიურ წესებს. ბევრი აღნიშნავდა, რომ ყველა რელიგია სინამდვილეში ერთი ძირიდან მოდის, რომ ღმერთი ერთია ყველასთვის. იმასაც აღნიშნავენ, რომ მათი რწმენის მიუხედავად, მუსლიმ მესხთა წეს-ჩვეულებებში საკმაოდაა შემორჩენილი ისლამამდელი (ქართული) ელემენტები. თუნდაც ქორწილში სანთლების ანთების წესი და ა. შ.
იანეთელები უმთავრესად რამაზანის მარხვას ინახავენ. რამაზანი – მუსლიმთა მარხვაა და 30 დღე გრძელდება. ის, ქრისტიანულ მარხვასთან შედარებით, სიმკაცრით და სირთულით გამოირჩევა. მზის ჩასვლამდე იკრძალება ყოველგვარი საკვების მიღება და წყლის დალევა. მზის ჩასვლის შემდეგ კი ჭამა ნებადართულია. მარხვას უმეტესად ქალები იცავენ. მზის ჩასვლიდან მის ამოსვლამდე ორჯერ ჭამენ, სავარაუდოდ – ღამის 12 და დილის 5 საათისთვის, თუმცა ეს ინდივიდუალურია. აღნიშნავენ ორ დღესასწაულს: რამაზან ბაირამს და ყურბან ბაირამს. 14 ნოემბერს რამაზან ბაირამი იყო, ანუ დღესასწაული, რომელიც რამაზანის მარხვის დამთავრებას მოსდევს. ის, თუ რა არის ამ დღესასწაულის არსი და რა რელიგიური სარჩული უდევს მას, ეს ჩემი

რესპონდენტებისთვის ცნობილი არ იყო. უბრალოდ ისინი ასრულებენ გარკვეულ წესებს, რაც ტრადიციულად კონკრეტულ დღეს მათ საზოგადოებაშია მიღებული. ამ დღესასწაულისთვის ყველა ოჯახი სპეციალურად ემზადება. დილით ადრე, რომელიმე მოსახლის ოჯახში (ეს ყოველ წელიწადს მონაცვლეობით ხდება) ნამაზის ჩასატარებლად შეიკრიბებიან მამაკაცები. ამ დღეს ქალებიც ლოცულობენ, ოღონდ ცალკე შენობაში. ყველა ოჯახში განსაკუთრებული სუფრა მთელი დღის განმავლობაში არის გაშლილი. მეზობლები და ახლობლები ერთიმეორეს სტუმრობენ, ბაირამს ულოცავენ. ქალები ერთმანეთს გადაეხვევიან და ბეჭებზე ხელს უტყაპუნებენ – ბაირამს გილოცავთო. მამაკაცები კი ერთმანეთს ხელს ართმევენ (პატივისცემის ნიშნად ორივე ხელს მოუჭერენ). აქ წესია – ახალგაზრდები მოხუცებთან უნდა მივიდნენ და დღესასწაული მიულოცონ. დღის ბოლოს კი ვინმესთან ოჯახში შეიკრიბებიან, მაგნიტოფონს ჩართავენ და ცეკვავენ. ქალიშვილებს ხშირად დედებიც თან მიჰყვებიან და იმართება საერთო ცეკვა. ბაირამობა, წესით, სამ დღეს გრძელდება, მაგრამ იანეთში განსაკუთრებულად პირველ დღეს აღნიშნავენ. რაც შეეხება ყურბან-ბაირამს, ამ დღეს აუცილებლად უნდა დაიკლას ცხვარი, ხოლო დღესასწაულის დანარჩენი მიმდინარეობა იგივეა.

მუსლიმი მესხები ახალ წელს 1 იანვარს აღნიშნავენ. ისინი ამ დღეს განსაკუთრებული სუფრით და ნაძვის ხით ხვდებიან. მათ აქვთ ასეთი ტრადიცია: ახალი წლის ღამით ბავშვები დადიან და მეზობლებს მალულად თოკმობმულ პარკს ან ქუდს შეუგდებენ. მასპინძელმა შიგ ტკბილეული უნდა ჩააწყოს, გარეთ დამალულმა ბავშვმა კი ისე უნდა გამოქაჩოს და გამოიტანოს გარეთ, რომ ოჯახის წევრებისთვის შეუმჩნეველი და მოუხელ-თებელი დარჩეს. ბავშვს თუ დაიჭერენ და სახლში შეათრევენ, მასპინძელმა უზომოდ ბევრი უნდა აჭამოს.

იანეთელ მუსლიმ მესხებს საქართველოში მცხოვრებ სხვა მუსლიმთაგან ურთიერთობა ისევ თავისიანებთან – ნასაკირალელ მესხებთან აქვთ. აჭარლებს იცნობენ, მაგრამ მათი კავშირები მხოლოდ ინდივიდების დონეზე ხორციელდება. ისინი მუდამ აღნიშნავენ, რომ ნასაკირალელ მესხებს მეტი სიახლოვე აქვთ აჭარლებთან, რადგან ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობენ და იქაური მესხები მუსლიმური ტრადიციების უკეთ დამცველები არიან.

ქორწინება. ახალი ოჯახის შექმნა მესხებისათვის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი მოვლენაა. ამისათვის ისინი განსაკუთრებულად ემზადებიან. ეს პროცესი 2 ეტაპისაგან შედგება–ნიშნობა და ქორწილი. ნიშნობა შემდეგნაირად მიმდინარეობს: მომავალი სიძის მშობლები და ახლო ნათესავები სპეციალურად დანიშნულ დღეს ჩადიან საპატარძლოს ოჯახში, სადაც ხდება მისთვის საჩუქრების მირთმევა და მოლაპარაკება მომავალი ქორწილის თაობაზე. ამ დროს სტუმრებისათვის განსაკუთრებული სუფრა იშლება.

ტრადიციულად, ქორწილს როგორც ვაჟის, ისე ქალის ოჯახში იხდიან. თუმცა ქალის ოჯახში ქორწილის გადახდა სავალდებულო არაა და შეიძლება მხოლოდ მცირე სუფრით დაკმაყოფილდნენ. მესხები პატარძალს მზითევს უმზადებენ: ესაა ლოგინი, თეთრეული, ჭურჭელი და ოჯახისთვის საჭირო სხვა ნივთები. ამას გარდა, ყიდულობენ ავეჯს „სტენკა“, „სპალნა“, „ტროიკა“, ტელევიზორი, მაცივარი და ა. შ. მზითევს ქორწილამდე რამდე ნი მე დღით ადრე ქალის დედა ან რომელიმე ახლო ნათესავი ქალი ვაჟის ოჯახში წაიღებს და პატარძალს ქორწილამდე ოთახს მოუწყობს, რომ ქმართან ჩასულს, წინასწარ

ყველაფერი დალაგებული დახვდეს. ეს წესიც სასურველია, თუმცა არა-სავალდებულო, რადგან არიან ოჯახები, ვისაც ამის საშუალება არ აქვთ. ახლო ნათესავები პატარძლისთვის უფრო ძვირფას საჩუქრებს ყიდულობენ – ტელევიზორი, ოქროული, ჭურჭელი. მეზობლები და ნაკლებად ახლობლები – სურვილის და შესაძლებლობების მიხედვით. იციან ფულის ჩუქებაც, რაც ოჯახისთვის დღეს, რა თქმა უნდა უფრო სასურველია. პატარძლისთვის კაბას ან ყიდულობენ ან ქირაობენ (ეს ქირაობა ჩვენი დღევანდელი ყოფის გამოძახილია). პატარძლის კაბას ქმრის მხარე ყიდულობს ან მის საქირავებლად პატარძლის ოჯახს ფულს უტოვებს.

აქაური წესის თანახმად, ქორწილის (ქორწილს შაბათ-კვირას ამთხვევენ) წინა საღამოს პატარძალთან იკრიბებიან მისი მეგობარი გოგონები (კლასელები და ნათესავები). ეს ერთგვარი გამოთხოვებაა მასთან – ერთობიან, ჭამენ, სვამენ, დროს ატარებენ და ცეკვავენ.

ფაქტობრივად, მესხური ქორწილი შემდეგი რიტუალებისაგან შედ გება: სიძის მოსვლა და მისი დახვედრა; სადედამთილოსა და სიძის მაყრის მოსვლა და მათი დახვედრა; საჩუქრების მირთმევა პატარძლისათვის და ქალების მიერ მათი სახალხოდ დათვალიერება პატარძლის თანდასწრებით; პატარძლის გაყვანა სიძესთან; ნეფე-პატარძლის გამოსვლა ხალხთან; საქორწილო პურობა; ნეფე-პატარძლის სახლში შესვლა; ტორტის გაჭრის და ბეჭდების გაცვლის რიტუალი.

ქორწილისათვის სეფას შლიან. ეს სეფაც ქართული კულტურის გავლენად უნდა ჩაითვალოს. მას ფერადი ბუშტებით და ხელოვნური ყვავილების თაიგულებით რთავენ. სეფის თავში სპეციალურად აწყობენ (ხალიჩებით) ადგილს ნეფე-პატარძლისა და მათი ხელისმომკიდეებისათვის, იქვე შლიან მათთვის სუფრასაც.

ქორწილი დამკვრელების გარეშე არ ჩაივლის. მათ ქირაობენ. გარდა თანამედროვე მუსიკის შემსრულებლებისა, აუცილებელია ტრადიციული ზურნა და დოლი, რომლის თანხლებითაც მიმდინარეობს საქორწინო რიტუალი სეფაში დაჯდომამდე. ჩვენ შემთხვევაში დამკვრელები აზერბაიჯანიდან ჩამოსული მესხები იყვნენ.

იანეთელ მესხებს საქორწილო კერძები შერეული აქვთ. ცდილობენ, რომ მესხურთან ერთად ტრადიციული ქართული კერძებიც ჰქონდეთ სუფრაზე. და რადგანაც მათი მომზადება არ იციან, სპეციალურად ქირაობენ ადგილობრივ მზარეულებს.

სიძის ჩამოსვლისათვის პატარძალი ცალკე ოთახში იმყოფება და მას მეგობარი ქალები რთავენ. სიძე შეჰყავთ ცალკე ოთახში თავის ხელისმომკი- დეებთან ერთად, სადაც გაშლილია ტკბილეულის სუფრა. სადედამთილო და მისი თანმხლები ქალები ეზოში შემოდიან პატარა ჩანთებით, ფერად-ფერადი პარკებით, ტკბილეულით და ხილით. ეს ყველაფერი ფერადი, უფრო კი წითელი ლენტებით არის შეკრული. ჩანთებში ("ჩემოდნებში") ჩალაგებულია სიძის ნათესავების და ახლობლების მიერ პატარძლისათვის მირთმეული საჩუქრები. ქალებისთვის მოწყობილია სპეციალური ოთახი, სადაც უნდა მოხდეს საჩუქრების სახალხოდ დათვალიერება და გამოცხადება, თუ ვინ რა საჩუქარი მიართვა პატარძალს. პირველად პატარძალი პირსაბურავით გამოჰყავთ ქალების ოთახში. თავზე ადგას სპეციალური წრიული ფორმის ჩიხტიკოპის მსგავსი ე. წ. „კათხა". ამ მსვლელობის დროს პატარძალი ესალმება საზოგადოებას, ისე რომ თავსაბური მოხდილი არ აქვს. მას გვერდით მოჰყვება ახლობელი გათხოვილი ქალი, რომელიც კარნახობს, თუ როდის რა უნდა გააკეთოს. საჩუქრების

დათვალიერებისას, წინათ საპატარძლოს პირბადეს არ ხდიდნენ და მან არც კი იცოდა, თუ რას ჩუქნიდნენ. ახლა კი პატარძალი პირბადემოხდილია. საერთოდ, როგორც იანეთელები ამბობენ, საჩუქრების სახალხოდ დათვალიერების წესი, მესხური არ ყოფილა. ეს ტრადიცია, მათი აზრით, აზერბაიჯანელებისგან არის გადმოღებული. ახალგაზრდა თაობას მაინცადამაინც ეს არ მოსწონს, მაგრამ უფროსების ნება-სურვილს ვერ გადადის. ჩანს, რომ ეს წესი არც პროგრესულად მოაზროვნე მესხ მამაკაცებს ეხატებათ გულზე, მაგრამ ისინი კონსერვატორი მესხი ქალების წინააღმდეგ ვერ მიდიან —ქალები ხომ მათი ტრადიციის მყარად დამცველები არიან! საჩუქრების დათვალიერების შემდეგ, პირსაბურავჩამოფარებული პატარძალი გაჰყავთ სასიძოსთან, მეორე ოთახში. მთელი ამ ხნის განმავლობაში უკრავენ დოლზე და ზურნაზე. ნეფე-პატარძალი გამოდის გარეთ ხელისმომკიდეებისა და ახლობლების თანხლებით. ერთ-ერთ ქალს მოაქვს საპატარძლო ტორტი და მთელი ეს პროცესია მიემართება სეფისაკენ.

წინათ მესხებს სცოდნიათ ნეფე-პატარძლის გატარება გადაჯვარედინებული ტოტების ქვეშ (ზოგი ვარიანტით – დანების). ორ რიგად დაწყობილი მამაკაცები თაღოვან გასასვლელს ქმნიდნენ, სადაც ახალდაქორწინებულებს აუცილებლად უნდა გაევლოთ. ამ წესს, რომელსაც, სავარაუდოა, ქართული ძირი უნდა ჰქონდეს, დღეს თითქმის აღარავინ ასრულებს.

ტრადიციულად ქორწილის სტუმრებს ოჯახში იღებდნენ. მაგრამ ახლა მასშტაბები გაიზარდა და მესხებთან ერთად ადგილობრივ მეგობრებსაც ეპატიჟებიან. მათთვის, ვინც სეფაში ვერ დაეტევა, ცალკე შლიან სუფრას სახლში. მაგრამ სტუმრებს სეფაში ყოფნა ურჩევნიათ, რადგან აქ არის ნეფე-პატარძალი და აქვე იმართება ცეკვებიც.

მესხებს თამადობის ინსტიტუტი არ აქვთ, მაგრამ ქართული კულტურის გავლენით, სადღეგრძელოებს ამბობენ და დიდ სუფრებზე უკვე ხშირად თამადასაც ნიშნავენ. მესხური ქორწილი პირობითად ორი ნაწილისგან შედგება: პურობის პირველი ნაწილი ეთმობა ჭამა-სმას, მეორე კი – გართობას, ცეკვას.

საქორწილო ტორტის გაჭრის ცერემონიალი დაახლოებით ნეფე-პატარძლის სახლში შესვლას ემთხვევა; ისინი ტოვებენ სეფას და ისევ ძალიან ახლობლების და ხელისმომკიდეების თანხლებით მიემართებიან სპეციალურად გამზადებულ ოთახში. განახლებულ სუფრაზე ისევ დგას ტკბილეულით სავსე ჭურჭელი და სასმელი. ტორტის გვერდით ლანგარზე დევს წითელი ლენტი, რომელსაც ბოლოებში შებმული აქვს საქორწინო ბეჭდები, იქვე დევს მაკრატელიც. პატარძალი ჭრის ლენტს, ნეფე-დედოფალი ბეჭდებს ერთმანეთს თითზე წამოაცვამს. ამის შემდეგ ერთად ჭრიან ტორტს (ევროპულ ყაიდაზე) და ტორტის პატარა ლუკმებს ერთმანეთს შეაჭმევენ. ამას მოყვება ოვაციები, ტაში, მილოცვა. საქორწინო ტორტს შემდეგ მთლიანად დაჭრიან და სტუმრებს დაურიგებენ. ხანშიშესული ქალები პერიოდულად სეფიდან სახლში შედიან და იქ ჩაის და ტკბილეულს მიირთმევენ. სადედოფლო ტორტის ჩამორიგებაც ძირითადად სახლში მყოფი სტუმრებისთვის ხდება. სახლში შესული ნეფე-პატარძალი უკან აღარ გამოდის, სახლში რჩება და ისვენებს. თუმცა სიძე სურვილის მიხედვით, შეიძლება ისევ შებრუნდეს სეფაში. აქაური წესის თანახმად, ნეფე-პატარძალს პირველ დღეს, ქალის ოჯახში ყოფნისას, ერთად არ აწვენენ. ქორწილის სუფრა გვიანობამდე არ იშლება. ის შეიძლება დილის სამ-ოთხ საათამდეც კი გაგრძელდეს. როდესაც უფროსი თაობა სუფრიდან აიშლება, ახალგაზრდები

აგრძელებენ ცეკვას და მოლხენას. მამაკაცები საკმაოდ ბევრს სვამენ. საერთოდ, აქაური ქორწილები შეხლა-შემოხლის გარეშე არ ჩაივლის, მაგრამ წელს ჩხუბის დაწყების მცდელობა ადგილობრივებმა ძალიან ოსტატურად აღკვეთეს.
მესხებმა ქორწილში ნებისმიერი ასაკის ბავშვების წაყვანა იციან. ისინი ბავშვებს არ ზღუდავენ და ამის გამო ქორწილიც ძალიან არაორგანიზებულ სახეს იღებს. თვითონ მესხებს არ მოსწონთ, რომ აქ შეუძლებელია მშვიდად ბავშვების გარეშე ქორწილის გადახდა, მაგრამ სტუმრებს მათ მოყვანას ვერ უკრძალავენ.
ქორწილის მეორე დღეს სიძე მაყრებით ბრუნდება თავის სახლში და ელოდება პატარძლის მისვლას, რომელიც მამამთილმა ან მისმა ახლო ნათესავმა მამაკაცმა უნდა წაიყვანოს მასთან ოჯახში. სიძის მაყართან ერთად მიდიან ქალის მაყრებიც. ამავე დროს, ქალის ოჯახში რჩება სიძის ნათესავი ერთი ქალი, რომელიც აკონტროლებს სიტუაციას და არის ქმრის სახლში პატარძლის წაყვანის ორგანიზატორი. მას გადასცემენ საჩუქრებს, რომელთაც რძლის ოჯახი გაამზადებს სიძის ოჯახის წევრებისათვის. სიძის წასვლის შემდეგ, ქალის წასაყვანად მოდის მამამთილი და მისი ახლო ნათესავი მამაკაცი. ამ დროისთვისაც სპეციალურად მზადდება ოთახი ქალებისათვის, სადაც უნდა ჩატარდეს საჩუქრების გადაცემის და პატარძლის გამოსყიდვის რიტუალი. პატარძალი კვლავ პირბადეჩამოფარებული შემოჰყავთ ოთახში, მას კვლავ მოჰყვება „მრჩეველი“ ქალი. პატარძალი ესალმება და მადლობას უხდის იქ მყოფთ ჟესტიკულაციით. იგი მიჰყავთ კუთხეში და ფეხზე დამდგარს აჩერებენ. შემდეგ თავსაბურავს ხდიან. სიძის ნათესავ ქალს გამზადებული აქვს ორი სინი, რომელზედაც აწყვია დაჭრილი ხაჭაპური, თხილი, ორცხობილა, კანფეტი, ხილი და თითო-თითო თავშალი. სინის კიდეებში, სამკუთხედის ფორმით, დამაგრებულია სამი სანთელი. ოთახში მყოფ ორ პატარა გოგონას თავს ზემოთ დააჭერინებენ სინს ანთებული სანთლებით, გოგონები სამჯერ დატრიალდებიან, რის შემდეგაც მათ საჩუქრად ამ თავშლებს მისცემენ. სინზე დაწყობილი ნუგბარით კი იქ მყოფ ქალებს უმასპინძლდებიან. ერთ-ერთი გოგონა პატარძალთან მიჰყავთ; იგი მას თმას ჩამოვარცხნის, რისთვისაც გოგონას ისევ ასაჩუქრებენ. მეორე გოგონა პატარძალს მარჯვენა ხელის გულზე წერტილის ფორმით დაფქულ ინას წაუსვამს, საჩუქარს მასაც აძლევენ. სიძის ნათესავი ქალი, რომელიც მუდმივად პატარძლის გვერდით იმყოფება, პატარძალს ინას მოწმენდს. მას გადასცემენ საჩუქრებს სიძის ნათესავებისათვის მისართმევად. ამის შემდეგ იწყება ე. წ. პატარძლის გამოსყიდვის რიტუალი, რომელიც დოლისა და ზურნის თანხლებით მიმდინარეობს. პატარძალს კვლავ ჩამოაფარებენ სახეზე. იგი ან ძმამ ან ახლო ნათესავმა მამაკაცმა უნდა „გაყიდოს“. ქალს წელზე შემოარტყამენ თავშალს ქამარივით და იწყება “ვაჭრობა”. “გამყიდველი“ ატარებს ე.წ. ქამრის შეკვრისა და გახსნის რიტუალს, ხოლო სიძის ნათესავი მამაკაცი ამასობაში „გამყიდველს“ ჯიბეში ფულს უდებს. რამდენჯერაც შეკრავს, იმდენჯერ ჩაუდებს და ასე კრავს და ხსნის, სანამ არ დააკმაყოფილებს მიცემული თანხის რაოდენობა. დღეს ეს რიტუალი უფრო სიმბოლურ ხასიათს ატარებს. ამის შემდეგ ვაჭრობა იმართება პატარძლისთვის პირბადის ახდისათვის. ფულს აძლევენ პატარძლის ახლობელ ქალს, რომელიც სასურველი თანხის მიღების შემთხვევაში დედოფალს პირბადეს მოხდის. მის შემდეგ, პატარძალი უკვე ნაყიდია. კვლავ თავდახურული და პირბადეჩამოფარებული პატარძალი უკვე მამამთილს და მის თანმხლებთ გარეთ გამოჰყავთ და მანქანაში სვამენ. პატარძალს, სიძის ნათესავი ქალის გარდა, თავისი „მრჩეველიც“ მიჰყვება.

პატარძლის სახლიდან გაშვებაც ვაჭრობის გარეშე არ ხდება, რაც ახლა უკვე გარეთ იმართება. ადგილობრივებიდან რომელიმე მამაკაცი მანქანას წინ გადაუდგება და ადგილიდან დაძვრის საშუალებას არ აძლევს. მასაც ჯიბეში ფულს უდებენ და სანამ მიღებული თანხის რაოდენობა არ დააკმაყოფილებს, მანამდე გზას არ აძლევს. ამის მაგივრად წინათ თურმე უმოწყალო შერკინება–ჭიდაობა იმართებოდა. ორივე მხრიდან ღონიერი ახალგაზრდა მამაკაცები ერთმანეთს თავ-პირს ამტვრევდნენ, მაგრამ ახლა ეს წესიც გადავარდა. ქალები მანქანაზე ჭრელ-ჭრელ თავშლებს ამაგრებენ. პატარძალს უკვე შეუძლია თავზე მოიხადოს. ქალები ტირიან, ემშვიდობებიან პატარძალს და პროცესია უწყვეტი სიგნალით მიუყვება გზას.

მეორე დღეს ქორწილი უკვე სიძის სახლში იმართება. ქორწილის მომდევნო დღეს დედამთილ-მამამთილი შედის ნეფე-პატარძლის ოთახში და რძლის ქალწულობის დამადასტურებელ ფაქტს ნახულობს, რის შემდეგაც ქალწულ რძალს სპეციალურად საჩუქარს უკეთებენ.

პატარძლის ოჯახში გრძელდება მეზობლების დაუსრულებელი მისვლა-მოსვლა – სუფრის გაშლა-ალაგება. ქალის მშობლები ჩვეულებრივ სიძესთან ქორწილში არ მიდიან. ქორწილიდან მესამე დღეს სიძე ცოლის ოჯახში უნდა მივიდეს, მოინახულოს სიდედრ-სიმამრი, რაც იმის ნიშანია, რომ ქალის მშობლებს შეუძლიათ ქალიშვილის სანახავად მისვლა. სიძეს განსაკუთრებული სუფრით ხვდებიან. სიძე იმავე დღეს ბრუნდება სახლში. პატარძლის მშობლებს უკვე თავისუფლად შეუძლიათ ქალიშვილის მონახულება, რადგან სიძის მოსვლის აუცილებელი რიტუალი უკვე შესრულებულია.

აქედან ერთი კვირის თავზე მშობლები ქალიშვილის სანახავად მიდიან, თუმცა ეს დრო მკაცრად განსაზღვრული არ არის. მათ უნდა წაიღონ მზითვის დარჩენილი ნაწილი, რომლის მომზადებაც მანამდე ვერ მოასწრეს. ქალის სანახავად მიდიან აგრეთვე ძალიან ახლო ნათესავები და მეზობელი ქალები, ისინი, ვინც სიძის ოჯახში ქორწილში ვერ წავიდა. რადგან იანეთში თითქმის ყველა ერთმანეთის ნათესავია, მნახველი ქალების რაოდენობა ძალიან დიდია. ქალები სპეციალურად აგროვებენ ფულს და ყიდულობენ ისეთ საჩუქრებს, რაც პატარძალს ესაჭიროება. ეს შეიძლება იყოს ავეჯიც და საოჯახო ნივთიც. მათი ვიზიტის მერე ქალიშვილს უფლება აქვს მოვიდეს მშობლების ოჯახში.

დაკრძალვა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მესხთა საზოგადოებაში განსაკუთრებით კარგად არის დაცული ზოგიერთი ისლამური ტრადიცია, მათ შორის დაკრძალვასთან დაკავშირებული წესები.

მუსლიმური წესით, მიცვალებული იმავე დღეს მზის ჩასვლამდე უნდა დასაფლავდეს. მაგრამ თუ ადამიანი ღამით გარდაიცვლება, მაშინ მეორე დღეს კრძალავენ. ბოლო დროს, როდესაც გართულდა მისვლა-მოსვლა და მესხები სხვადასხვა ქვეყნებში არიან დაფანტულები, მიცვალებულის დაკრძალვის ტრადიციულმა ვადამ შეიძლება ხანდახან სამ დღემდეც კი გადაიწიოს, რათა ნათესავებმა დასაფლავებამდე ჩამოსვლა მოასწრონ. დასაფლავებამდე მიცვალებული უნდა გაიბანოს. შემდეგ მას სუდარაში გაახვევენ. მამაკაცები გაბანენ მამაკაცს, ქალები კი – ქალს. დასაფლავებამდე მიცვალებული ოთახში, იატაკზე დაფენილ ხალიჩაზე უწევთ, ზედ თეთრი ნაჭერი აქვს გადაფარებული. მიცვალებულისთვის სახის გამოჩენა აქ წესად არ აქვთ, მაგრამ თუ ვინმეს ნახვა უნდა, შეიძლება გადახადოს. მიცვალებულის ოთახში ქალები სხედან და მოთქმით ტირიან. მამაკაცები ცალკე არიან. სამი დღის განმავლობაში

გარდაცვლილის ოჯახში არ შეიძლება საჭმლის კეთება. საჭმელი მეზობლებმა უნდა მოიტანონ. სპეციალურად ამ დღეებისთვის, ფქვილის, შაქრისა და ერბოსგან მზადდება მხოლოდ ხალვა, რომელიც ჩვენებურ ხავიწს ჰგავს. მიცვალებულის სულისთვის მამაკაცები ლოცვებს კითხულობენ. წესით ლოცვების წამკითხველს ფული უნდა გადაუხადონ, მაგრამ ჩვეულებრივ ის ფულზე უარს ამბობს. საერთოდ ფულის დახმარება მიცვალებულზე, როგორც ქართველებმა იციან, აქ წესად არ აქვთ. მათი თანადგომა საჭმლის მიტანაში და შემდეგ ქელეხის გადახდაში გამოიხატება. მიცვალებული საკა ცით მიჰყავთ სასაფლაოზე. ქალების გაყოლა კატეგორიულად იკრძა ლე-ბა. გადმოცემით, მიცვალებულები, თურმე, საფლავზე მისულ ქალებს შიშვლად ხედავენ. საფლავს, როგორც წესი, შვიდი მამაკაცი თხრის, თუმცა ეს რიცხვი შეიძლება ნაკლებიც იყოს. საფლავი სამი მეტრის სიღრმის მაინც უნდა იყოს. მიცვალებულს პირდაპირ არ ჩაასვენებენ, მას იქვე გვერდში გამოჭრილ, თაროსებურ შესასვენებელში მოათავსებენ. დასაფლავების შემდეგ კითხულობენ ლოცვებს და ბრუნდებიან ჭირისუფლის სახლში. ამასობაში, მეზობლის ქალებს უკვე გაწყობილი აქვთ სუფრა. ქელეხი დიდხანს არ გრძელდება, დაახლოებით ორ საათს გასტანს. ამ დროს სასმელის დალევა კატეგორიულად იკრძალება. ქელეხის სუფრა მრავალფეროვანი არ არის. მასზე შეიძლება ორი-სამი თავი საჭმელი იყოს, მაგრამ წვნიანი (სუპი) და პური სავალდებულოა. აგრეთვე აუცილებელია ხალვა, რომელსაც პატარა გუნდების ფორმით სუფრის აშლის მერე მეზობლებს სახლში ატანენ. მამაკაცები ქელეხის შემდეგ სახლში მიდიან, ქალები კი რჩებიან მისახმარებლად და ჭირისუფლის გასამხნევებლად. დაკრძალვის მესამე დღეს უნდა გაირეცხოს მიცვალებულის მთელი ტანსაცმელი, პატარა წვრილმანის დატოვებაც კი არ შეიძლება. ტანსაცმლის ნაწილი დარჩება სახლში (სურვილის მიხედვით), დანარჩენი კი უნდა დაიმარხოს. რეცხვის პროცესში ჭირისუფალს მეზობელი ქალები ეხმარებიან. მიცვალებულის სულის მოსახსენებლად აქაურებმა იციან, მე-7, მე-40, 52-ე დღის და წლისთავის აღნიშვნა. მე-7 დღეს მოდიან ოჯახის ახლობლები და აუცილებლად მესაფლავეები. დაპატიჟება აქ წესად საერთოდ არ აქვთ. ალბათ იმიტომ, რომ სოფელი პატარაა. ამ დროს გარდაცვლილის ოჯახში სოფლიდან მიდის უფროსი მამაკაცი და ქალი ყოველი ოჯახიდან. ვინაიდან სამი დღის შემდეგ საჭმლის დამზადება ჭირისუფლის ოჯახში უკვე ნებადართულია, ამჯერად სუფრას ოჯახის წევრები ამზადებენ. ამ დღესაც აუცილებელია ხალვის გაკეთება. ხალვა უკვე ოჯახში მზადდება, ოღონდ, ხალვის მასალა – ერბო, ფქვილი და შაქარი თანასოფლელ ქალებს მიაქვთ. თითოეულმა მათგანმა უნდა მასალის მხოლოდ კენტი რაოდენობა წაიღოს, ანუ 1 ან 3 სახეობა, ორის, ანუ, წყვილის მიტანა არ შეიძლება. საგულისხმოა ისიც, რომ მიცვალებულის სუფრაზე აუცილებელია კენტი თეფშის, კენტი სკამის და კენტი რაოდენობის კერძის მიტანა. ახალგაზრდა ქალების სამძიმარზე მისვლა სავალდებულო არაა. როგორც ჩანს, მშობლები უფრთხილდებიან ქალიშვილებს. ქალები საერთოდაც სასაფლაოზეც არასდროს გადიან. მიცვალებულის სულთან დაკავშირებით, მესხებს აქვთ სამშაბათობით სარეცხის საპნით რეცხვის აკრძალვის ტრადიცია (უფრო ზუსტად საპნის ხმარების აკრძალვა). ამბობენ: საპონი ჩვენს მიცვალებულს თვალებს დაწვავს და ცრემლი წამოუვაო. თუმცა ამ წესს უკვე ახალგაზრდა თაობა აღარ იცავს.

ეთნიკური იდენტობა, სამშობლო. შუა აზიაში ყოფნის დროს მუსლიმი მესხებს ეროვნების გრაფაში ზოგს აზერბაიჯანელი, ზოგს თურქი, ზოგს კაფკაზი და სხვ.

ეწერა, მგრამ, მიუხედავად ამისა, მათ აერთიანებდათ საერთო ისტორიული ბედი, საერთო სამშობლო, წარმომავლობა, ენა, კულტურული ტრადიციები და ნათესაური კავშირები. ამ ხალხმა იცოდა, რომ თავის გადარჩენისათვის აუცილებელი იყო მათი იდენტობის განმსაზღვრელი ელემენტების დაცვა და ამდენად, უცხო ეთნიკურ, უფრო სწორად, პოლიეთნიკურ გარემოში, ეს ინსტინქტი განსაკუთრებით მძაფრად ამოქმედდა.

მუსლიმი მესხებისათვის ტერმინალური ღირებულება, ანუ ღირებულება – მიზანი, რომელიც ყოფის სასრული მდგომარეობის მიღწევას ემსახურება, არის სამშობლო. ცნობილია, რომ სამშობლო – ემოციურად დამუხტული მოტივაციური ველია, რომელიც განიცდება, როგორც თავშესაფარი და დაცულობის გრძნობას აყალიბებს. იანეთელებისათვის სამშობლოს ცნება (გამონაკლისია ახალგაზრდა თაობა, ვინც განათლება საქართველოში მიიღო) მათი მამა-პაპის მიწასთან, მათი წინაპრების საცხოვრის ტერიტორიასთან არის ასოცირებული, ანუ ეს არის მესხეთი–ახალციხე (საინტერესოა, რომ ადიგენის რაიონიდან გასახლებული მესხები, დღეს სამშობლოზე საუბრისას ადიგენს კი არ ამბობენ, არამედ ახალციხეს. ანუ ახალციხე, როგორც ჩანს, მესხეთთან არის გაიგივებული). მშობლიური მიწის ცნებას მესხები ძალიან ემოციურად აღიქვამენ. მათი სამშობლო ეს არის ერთგვარი „აღთქმული ქვეყნის“ სიმბოლო, რომლისკენაც სამოცი წელია მიისწრაფის ეს ჯგუფი.

ამ ჯგუფს სამშობლოს ტერიტორიის მიმართ აქვს განსაკუთრებული, მძაფრი განცდა, რომელიც იდეაფიქსად არის ქცეული იმ თაობაშიც კი, ვინც იქ არ დაბადებულა. ეს განწყობა თითქოს გენეტიკურად არის მიღებული წინაპრებისაგან და, ზოგიერთ შემთხვევაში, უფრო იდეის დონეზე განიხილება. ამის თქმის უფლებას მაძლევს ის ფაქტი, რომ იანეთში მცხოვრებ ქალთა უმეტესი ნაწილი, რომელიც აქ უკვე თითქმის ათეული წლებია ცხოვრობს, სამშობლოს სანახავად ჯერაც არ წასულა. თუმცა ისინი აცხადებენ, რომ მათი ხალხის დაბრუნების შემთხვევაში, დატოვებენ სახლ-კარს და სამშობლოში გადასახლდებიან, აქაურ პირობებს იქაურზე გაცვლიან. ახალციხის გარდა იანეთელებს არსად არ უნდათ წასვლა საცხოვრებლად. ამერიკაში გადასახ-ლების კატეგორიულად წინაარმდეგი არიან (თითო-ოროლა მესხის გარდა) და ოცნებობენ იმ დღეზე, როდესაც” სამშობლოს კარი გაიღება საკუთარი შვილებისათვის.” სხვათა შორის ქალებიდან ბევრმა იცის სამშობლოზე გამოთქმული ლექსი –„ვათანუმ ყაფილარი.”

შუა აზიაში დაბადებულმა თაობამ სამშობლოს იდეალიზებული ხატი წინაპართაგან “მემკვიდრეობით მიიღო”. შვილები დღესაც კი იხსენებენ ბებიებისა და ბაბუების მონაყოლს ახალციხეზე, სადაც საუკეთესო წყალია, ულამაზესი მთებია, სადაც ყველაზე ტკბილი და გემრიელი ხილი მოდის, სადაც ისეთი სამკურნალო ბალახებია, რომლებიც ყველანაირ დაავადებას კურნავს და სხვა მრავალი. ეს “ლეგენდები” დღეს სრულიად ახალგაზრდა თაობასაც კი იქ წასასვლელად განაწყობს.

რაც შეეხება ამერიკაში წასვლას, ამისი სურვილი გამოთქვა რამდენიმე მამაკაცმა (გაბრაზებულ გულზე), რომელთაც აქ ეკონომიკურად უჭირს და ამერიკაში წასვლა მხოლოდ ყოფითი პირობების გასაუმჯობესებლად უნდათ. ამერიკაში მათი თანამემამულეების გადასვლა იანეთელებს იძულებით პროცესად მიაჩნიათ, რადგანაც რუსეთი მათ მოქალაქეობას არ აძლევს და არც სამშობლოში უშვებს.

საქართველოში ჩამოსვლით მესხები ძირითადად კმაყოფილნი არიან. ამბობენ, რომ აქ გაცილებით უკეთ ცხოვრობენ და გრძნობენ თავს, ვიდრე მანამდე მათი წინაპრები სხვაგან ყოფნისას. მაგრამ მაინც, აქაურ მესხებში შეიმჩნევა ერთგვარი შიში, რომ მათ საქართველოდან ისევ გააძევებენ. მათ სამწუხაროდ აქვთ 1990-იანი წლების მწარე გამოცდილება. ამიტომ, სანამ არ გადაწყდება ფართო მასშტაბით დეპორტირებულ მესხთა დაბრუნება, ისინი მაინც მშვიდად თავს ვერ გრძნობენ. სიტყვიერად ამბობენ, რომ მათი დასახლება მომავალში ქართველებთან ერთად უპრიანი იქნება, რადგან შედარებით იოლად მოხდება მესხების ქართულ გარემოსთან შერწყმა. მაგრამ რეალურად, ისინი შინაგანად ეწინააღმდეგებიან ამ შერწყმას, თუმცა არ გამორიცხავენ, რომ თანაცხოვრების პროცესში ეს ოდესღაც აუცილებლად მოხდება; ახლა კი, ვინაიდან მათი ბედი გაურკვეველია, ურჩევნიათ, რომ კვლავ ჩაკეტილ ჯგუფად დარჩნენ.

თუმცა იანეთელი მესხები ქართული ორიენტაციისანი არიან, ამ თვალსაზრისით მაინც ხერხდება მათი რამოდენიმე ჯგუფად დაყოფა:

1. ქართული ორიენტაციის მქონე შედარებით მცირე ნაწილი, რომლებიც მხოლოდ პატრიოტული მოტივებით ჩამოვიდა საქართველოში; მათთვისაც ახალციხის რაიონში დაბრუნება უპირველესი ამოცანა იყო, მაგრამ დღეს ისინი ამ მოთხოვნებს აღარ აყენებენ და მათთვის საქართველო უკვე სამშობლოსთან ასოცირებულია. თანამემამულეების საქართველოში დაბრუნების შემთხვევაში, ისინი არ აპირებენ მესხეთში საცხოვრებლად წასვლას და იანეთში უნდათ დარჩენა.

2.ქართული ორიენტაციის მქონე მეორე ნაწილი, ვისთვისაც მესხეთი და ახალციხე ტერმინალური ღირებულება იყო და ახლაც არის. ისინი თავს "მესხებად, ახალციხელებად" თვლიან. ეს ჯგუფი, ძირითადად, ასაკოვანი მოსახლეობისაგან შედგება, თუმცა მასში ახალგაზრდა მესხებიც შედიან.

3. ერთი ნაწილი მოსახლეობისა, უმეტესად ქალები, რომელსაც არ გააჩნია კონკრეტული ეთნიკური ორიენტაცია. ისინი პირდაპირ აცხადებენ, რომ არ იციან ვინ არიან, თურქები, მესხები თუ ქართველები. არიან ისეთებიც, ვისაც საქართველოში ჩამოსვლისას თურქული იდენტობა ჰქონდათ, მაგრამ შემდეგ აზრი შეიცვალა. მაგალითად, ტ.ე. არ მალავს, რომ იგი აქ ჩამოსვლისას თვგადაკლული თურქი იყო და მისი საქართველოში დაბრუნების ძირითადი მიზეზი ავადმყოფობა გახდა. იგი იმასაც ამბობს, რომ შუა აზიაში მცხოვრებ მესხთა უმეტესობამ არ იცოდა თავისი ხალხის ნამდვილი ისტორია, ამიტომ იქ დაბადებული თაობა თავს თურქად თვლიდა, ანუ ახალციხელ თურქად (აჰისკა თურქლარი). იგი მხოლოდ საქართველოში ე. წ. თურქ მესხთა პრობლემებით დაინტერესებულ პირებთან ურთიერთობის წყალობით გაეცნო თავისი ხალხის ისტორიას და მხოლოდ შემდეგ გააცნობიერა თავისი ქართული წარმომავლობა. შუა აზიაში მოხუცები შიშით ამ თემაზე ძირითადად არ ლაპარაკობდნენ, თუმცა, დღეს იანეთელი ინფორმანტების ნაწილი იხსენებს თავიანთი წინაპრებისაგან გაგონილს, რომ ისინი „ადრე ქართველები ყოფილან". ამ შემთხვევაში „ქართველში" – ქრისტიანი იგულისხმება; ეს იმ ისტორიული პერიოდის გამოძახილია, როდესაც საქართველოში ქრისტიანობა იმავდროულად ქართული იდენტობის გამომხატველი იყო, როგორც ანალოგიურად, თათარი, ზოგადად მუსლიმის სიმბოლო. სხვათა შორის, მუსლიმ მესხებს სამტრედიელი ქართველები თათრებს ეძახიან, რაც მათ თავდაპირველად სწყინდათ, ახლა კი

გულთან ახლოს აღარ მიაქვთ, რადგან იციან, რომ ისინი მასში სარწმუნოებას გულისხმობენ და არა მათ ეთნიკურ იდენტობას.

იანეთელმა მამაკაცებმა დღეს უკვე იციან თავიანთი ხალხის ისტორია. თავის დროზე, მათი სათანადო ინფორმაციით უზრუნველყოფაში დიდი როლი ითამაშეს ქართველმა დისიდენტებმა და ინტელიგენციამ, რომლებიც მესხთა პრობლემების მოგვარებისათვის იღწვოდნენ. იანეთელები სიამოვნებით იხსენებენ იმ პერიოდს, როდესაც მათთან ჩადიოდნენ გურამ მამულია , მარატ და კლარა ბარათაშვილები, შურა თევზაძე... მესხთა პროგრესულ ნაწილს მათთან საქმიანი და მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა, ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ თავიანთი ხალხის საქართველოში დაბრუნებისათვის გამიზნულ ღონისძიებებში. ახლა კი მხოლოდ ერთი, ტელმან ერისთავი, აგრძელებს მესხურ ორგანიზაციასთან ურთიერთობას. მას არასამთავრობო ორგანიზაცია "მაიაკი" აქვს დაფუძნებული, სადაც ისევ პროგრესულად მოაზროვნე განათლებული იანეთელი მესხი ახალგაზრდები არიან თავმოყრილი. ისინი ქმნიან გარკვეულ პროექტებს, რომლებიც მესხების პრობლემების მოგვარებისაკენ არის მიმართული, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში ეს პროექტები კონკურსში არ იმარჯვებს, რაც ამ ორგანიზაციაში უიმედობას ბადებს.

განსხვავებით მამაკაცებისაგან, ინფორმანტ ქალთა უმეტესმა ნაწილმა არ იცის არც საკუთარი ისტორია და არც მათი საქართველოდან გასახლების ნამდვილი მიზეზები. გადასახლების მომსწრე რესპონდენტი ქალებიდან ყველაზე ხნიერი 7-8 წლის იყო. ისე რომ, იმ პერიოდის ამბები მათ მკაფიოდ არ ახსოვთ. ისინი მესხთა დეპორტაციის მიზეზად ასახელებენ იმას, რომ თითქოს მათ ხალხს არ უნდოდა სამამულო ომში წასვლა და სტალინმა ამიტომ დასაჯა ისინი. საერთოდ ქალები პოლიტიკურ საკითხებში ნაკლებად არიან გათვითცნობიერებული და საკუთარი ოჯახის მამაკაცების განწყობას და პოზიციას იზიარებენ. მათი საქართველოში ჩამოსვლაც უმთავრესად მამაკაცების ნებით იყო განპირობებული, რის წინააღმდეგაც ისინი ვერ წავიდოდნენ. საუბარში ყველა აღნიშნავს, რომ სამშობლოში დაბრუნება მათი სურვილი იყო, მაგრამ იმასაც ამბობენ, რომ შუა აზიაში კარგად ცხოვრობდნენ და გული წყდებოდათ, როცა ამ ყველაფრის დატოვება უწევდათ. ქალები, ამავე დროს, ხაზს უსვამენ, რომ შუა აზიაში მათ „მოსულის", „გადამთიელის" სტატუსი ჰქონდათ და იქაურები მუდამ აყვედრიდნენ მათ მიწაზე ცხოვრებას და იქ მოწეული ჭირ ნა ხუ ლით არსებობას. ისინი თავს ყოველთვის დაჩაგრულის როლში გრძნობ დნენ და ამდენად მათი სამშობლოში დაბრუნების მოთხოვნილება სწორედ ამ მიზეზითაც იყო შეპირობებული: „აქ ხომ მაინც არავინ გვეტყვის თქვენ სამშობლოში წადითო".

შედარებით ახალგაზრდა თაობას გაცნობიერებული აქვს რუსეთის როლი მათი ხალხის უბედურებაში და იმასაც აღნიშნავს, რომ ისინი რუსეთმა გამოიყენა თავისი პოლიტიკური ინტერესებისათვის, მაშინაც და მერეც, ფერღანის მოვლენების დროს. ახლაც არსებობს გარკვეული შიში იმისა, რომ მესხების საკითხი არ გახდეს ისევ სახელმწიფოთა შორის პოლიტიკური თამაშის იარაღი. ადგილობრივები თვლიან, რომ საქართველოში მესხების ჩამოსახლების შემთხვევაში ძალიან დიდი სიფრთხილე იქნება საჭირო და კარგად უნდა იქნეს გათვლილი, თუ სად და როგორ დაასახლონ მესხების ის ნაწილი, რომელიც ფაქტობრივად ქართულ ძირებს უკვე მოწყვეტილია.

„მესხებს უნდა მიეცეთ თავისუფალი არჩევანის საშუალება, ვისაც რომელ ქვეყანაში უნდა, იქ უნდა წავიდეს. მაგრამ მათ, ვისაც სამშობლოში, საქართველოში, დაბრუნება უნდათ, უნდა დააბრუნონ, მაგრამ მანამდე ძალიან კარგად უნდა იქნეს დაგეგმილი მათი აქ დასახლების პროექტი“– ასეთია პროგრესულად მოაზროვნე ნაწილის აზრი.

შეკითხვაზე, თუ რას უწოდებენ მესხები თავიანთ ენაზე საკუთარ ხალხს, რესპონდენტები განსხვავებულ პასუხებს იძლეოდნენ. ესენია–აჰისკა, აჰისკა თურქლარი, ბიზიმ შენიქ, გურჯი მუსლიმი, იერლი. ეს არის მათი თვითწოდება, ხოლო სხვათაწოდება ასეთია: თურქი მესხი, თათარი, მესხი, მუსლიმი მესხი. ამჟამად იანეთელებს უკვე აღარ მოსწონთ, როცა მათ თურქ მესხად მოიხსენიებენ. ამიტომ, მათთან ურთიერთობისას ამ თვალსაზრისით ცოტა მეტი სიფრთხილეა საჭირო. დღეს მუსლიმი მესხები თვლიან რომ ეს მოგონილი სახელწოდებაა და სინამდვილეში ისინი საქართველოს ერთ-ერთი კუთხის წარმომადგენლები არიან. ისინიც ერთ დროს ქრისტიანები იყვნენ და ისტორიული ძნელბედობის ჟამს ისლამი მიიღეს. მათ ისიც უკვირთ, რომ აჭარლებიც მათსავით მუსლიმები არიან, მაგრამ ამ უკანასკნელთ ამის გამო პრობლემები არ შექმნიათ.

სოციო-ფსიქოლოგიური განწყობა. საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ მესხების ცნობიერებაში ბევრი რამ შეიცვალა. ისინი უფრო მეტად გახდნენ ქართულ კულტურაზე ორიენტირებული, სერიოზული ტრანსფორმაცია განიცადა მათმა ეთნიკურმა თვითშეგნებამ, ისინი სიტყვიერად თავს ქართველებად თვლიან, მაგრამ პრაქტიკულად მათვის ქართველი ჯერ კიდევ სხვა ჯგუფია, ბარიერი მათ შორის ჯერჯერობით ისევ არსებობს და, მიუხედავად იმისა, რომ ოც წელზე მეტია ისინი აქ ცხოვრობენ, ამ ბარიერის გადალახვა ვერ მოახერხეს. ამის მიზეზად თავად იანეთელები იზოლირებულად დასახლების ფორმას თვლიან, რაც კონტაქტების გაბმას უშლის ხელს. ეს პრობლემა უფრო ადვილად გადაჭრადია ახალგაზრდა თაობაში, ვინაიდან ისინი უკვე ქართულად არიან აღზრდილები. ამავე დროს, მესხები აღნიშნავენ, რომ ყველაზე მეტად ხასიათით და ბუნებით ქართველებს გვანან (ამ შემთხვევაში ისინი მაინც თავიანთ თავს ქართველებისგან გამოაცალკევებენ) და რომ მათთვის ქართველი პარტნიორი ნებისმიერ ამბავში უფრო მისაღებია, ვიდრე რომელიმე სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი. მესხები დარწმუნებულები არიან, რომ, თუ თვითონ ცუდს არავის გაუკეთებენ, მათაც საზიანოს არავინ უზამს. ამიტომ თვლიან, რომ რადგან თავად ქართველების მიმართ კე თილ გან წყობილნი არიან, ასევე არიან ისინიც. სიტყვიერად იმასაც აღნიშნავენ, რომ მათი განსხვავებული რელიგიური მიკუთვნილობა ქართველებთან ურთიერთობაში ხელის შემ შლელი არ არის. ვინაიდან პირველ რიგში ადამიანური ურთიერთო- ბებია, ხოლო ადამიანები კი – „ყველანი ერთნაირები ვართ“.

მესხთა აუტოსტერეოტიპი უმეტესად დადებითი ვალენტობის მატა-რებელია: პატიოსანი, მშრომელი, ერთგული, ღვთისმოშიში, უფროსების პატივისმცემელი, ღირსეული.

მუსლიმი მესხები ძალიან შრომისმოყვარე ხალხია. იშვიათად რომ მათ-ში ვინმე ზარმაცი გამოერიოს. ბავშვებს შრომას პატარა ასაკიდან აჩვევენ. შუა აზიაში ყოფნის დროს მესხებმა ისე ააყვავეს თურმე იქაურობა, რომ ერთ-ერთი ადგილისთვის უზბეკებს „გულისტანი“ – ყვავილების ქვეყანა დაურ ქმე ვიათ. ახლაც ამბობენ, რომ მესხეთში მათი დაბრუნების შემთხვევაში, ისეთ წალკოტად

აქცევენ იქაურობას, რომ „გულისტანი“ მონაგონი იქნებაო. იმასაც ამბობენ, რომ საცა არ უნდა „ჩააგდო“ მესხი, ის მაინც თავის საარსებო სარჩო-საბადებელს იშოვისო.

მესხების თქმით, მათთან ცუდი ყოფაქცევის ქალები არ არიან. შეიძლება კაცი იყოს მექალთანე, მაგრამ ქალი უწესო – არავითარ შემთხვევაში. და თუ ასეთი მაინც გამოერიათ, მას ძალიან მკაცრად (სიკვდილთაც კი) სჯიან. ასე რომ, მესხები უკიდურესად პატიოსანი ხალხია და მათთან ქურდობაც კი არ ხდება (რა თქმა უნდა, იშვიათი გამონაკლისის გარდა). ისინი სიტყვის ხალხია და თუ ვინმეს რამეს შეპირდნენ, აუცილებლად შეასრულებენ. ამის შესახებ სხვა ქართველი, აქ იმერელი, ინფორ მა ტო რე ბიც საუბრობენ. უფრო ისინი, ვისაც მესხებთან სავაჭრო ურთიერთობა აქვთ. ამიტომ, მათ შორის დიდია ნდობის ფაქტორი და, შეიძლება ითქვას, უფრო მეტიც კი, ვიდრე თავად არამესხ ქართველებთან მიმართებაში.

გამოკითხული სხვა ქართველი რესპონდენტებიდან არც ერთი არ ახასიათებდა მესხებს უარყოფითად. ისინი მათ იცნობენ როგორც პატიოსან, კეთილსინდისიერ, წესიერ, მშრომელ ხალხს, რომელსაც მილიონი რომ ჩააბარო, იქედან კაპიკს არ აიღებს. ისინი მესხების ჩამოსახლების მომხრენი არიან და თანაც, მიაჩნიათ, რომ უმჯობესია მათ მეზობლად დაასახლონ, ვინაიდან “კარგი მეზობელი არც მესხებს აწყენთ და არც მათ”. გამოკითხული ადგილობრივი იმერლები ვერ ასახელებენ მათ შორის კონფლიქტის ვერც ერთ მაგალითს. ამდენად, ორივე ეთნო-კონფესიურ ჯგუფში დადებითი სტერეოტიპები პრევალირებს.

აქაურ მესხებში აშკარად შეიმჩნევა უარყოფითი განწყობა სომხების მიმართ. მათშიც კი, ვინც შუა აზიაში დაიბადა და აქაც არ ჰქონია სომხებთან ინტენსიური შეხება. თუმცა არის აზრიც (მხოლოდ ორი ქალი), რომ თითქოს სომხები და მესხები “ერთნაირები არიან”; ისინი სომხებთან თავს იმ ნიშნით აიგივებენ, რომ თითქოს ორივე ჯგუფი სამშობლოს გარეთ ცხოვრობს. საოცარია ისიც, რომ სამტრედიაში, ჩემს მიერ გამოკითხულმა ყველა სომეხმა ქალმა, რომელსაც ყოველდღიური შეხება აქვს მესხებთან ბაზარში, კატეგორიული უარი თქვა ინტერვიუს ჩაწერაზე მესხებთან მიმართებაში. ზოგიერთი იანეთელი მამაკაცის სურვილია „სამშობლოში“ იმ ადგილების დაბრუნება, სადაც მათი წინაპრები ცხოვრობდნენ და რაც დღეს სომხებს უკავიათ. ისინი ფიქრობენ, რომ სომხების ჩასახლება ამ ადგილებში შეგნებულად მიმდინარეობს და თანაც პოლიტიკოსების გარკვეული ხელშეწყობით. მესხების ამერიკაში გადასახლებაც სომხების „გაჩალიჩებული“ ჰგონიათ, რადგანაც სომხებს მესხების სახით სამხრეთ საქართველოში მოცილე და მოწინააღმდეგე არ სჭირდებათ. აზერბაიჯანიდან ჩამოსულმა მესხებმა იანეთში ჩამოიტანეს ვიდეომასალა, სადაც ახალციხეში სტუმრად ყოფნის დროს ადგილობრივ სომეხთან საუბარია ჩაწერილი. ის ამბობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ იცის რომ მესხების სახლ-კარში ცხოვრობს, მაინც არ აპირებს მის დათმობას მესხების ჩამოსახლების შემთხვევაში. ასე რომ, ურთიერთგანწყობა არც თუ პოზიტიურია.

რაც შეეხება უზბეკებს, მათ მიმართ მესხების განწყობა უფრო ლოიალურია, მიუხედავად იმისა, რომ მესხებს ფერღანის მწარე გამოცდილება აქვთ. საინტერესოა ისიც, რომ არც ერთი რესპონდენტი არ თვლიდა ფერღანის ამბებს უზბეკების მიერ მოწყობილ აქციად. ამ ფაქტის პროვოცირებას მესხები რუსეთს აბრალებენ და მათ მონაწილეებად ისევ რუსებს და ავღანელებსაც კი თვლიან.

იმ ხალხის მიმართ, ვინც მათთან ერთად შუა აზიაში ცხოვრობდა (რუსები, კორეელები, ჩინელები, ჩეჩნები და ა. შ.) მესხების განწყობა დადებითია. თანაცხოვრებამ ბევრი დადებითი იმპულსი შეიტანა მათ ურთიერთობაში და მესხებს ეს სხვადასხვა ეთნიკური წარმოშობის ხალხთა ურთიერთობის საუკეთესო მაგალითად მიაჩნიათ.

მესხთა უმრავლესობა უკმაყოფილოა, რომ სამტრედიის რაიონის წარმომადგენლები მათი პრობლემებით ნაკლებად ინტერესდებიან (დენის, გაზის, წყლის, სამედიცინო მომსახურების და სხვ.); გული წყდებათ რომ ისინი მხოლოდ არჩევნების პერიოდში ახსენდებათ და ათასგვარი დაპირებებით აბრუებენ. მათ არ მოსწონთ, რომ სახელმწიფომ მესხებს არ მიანიჭა არც ლტოლვილის და არც იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი, რაც მათ ასეთი პირთათვის განკუთვნილი შეღავათებით სარგებლობის უფლებას მისცემდა. ფასიანი სამედიცინო მომსახურების გამო, მოსახლეობის ნაწილი ვერ ახერხებს მკურნალობის საფასურის გადახდას და ხელისუფლებისაგან ამ კუთხით დახმარებას ითხოვს. აქაური მესხების ნაწილს ისევ ძველი საბჭოთა პასპორტები აქვს; რამოდენიმე მათგანს საერთოდ არა აქვს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რის გამოც, პენსიას ვერ იღებს. ასე რომ, ამ ტიპის პრობლემები მესხებს საკმაოდ აქვთ და მათ მოგვარებას ახალი ხელისუფლებისაგან ელოდებიან. ამის პასუხად სამტრედიის გამგეობაში აცხადებენ, რომ ადმინისტრაცია რასაც შეუძლია უკეთებს მესხებს, ზოგიერთ მათგანს რამდენჯერმე გამოუყო ფინანსები სწავლისათვის, სამკურნალოდ, სისტემატურად აწვდის დახმარებას მრავალშვილიან ოჯახებს...

იანეთში არ ფუნქციონირებს ე.წ. უხუცესთა ინსტიტუტი, არ ჰყავთ გამორჩეული პიროვნება, ლიდერი, როგორც აქაური ქალები აღნიშნავენ; ახლა დემოკრატიაა და თავის პრობლემას ყველა თვითონ აგვარებს. გასული საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც იანეთში მესხთა პირველი მოსახლენი მოვიდნენ, ასეთი გამორჩეული პიროვნება, ვისაც ქართველები „კითხულ კაცს" უწოდებენ იყო სეიფულ იბრაგიმოვი (ჩხეიძე), ჩემი მასპინძლის მამა. მას ეკითხებოდნენ აზრს სოფელში, მან იცოდა მუსლიმური ტრადიციები და წესები და, როგორც ამბობენ, იყო ამ საზოგადოების სულიერი და რელიგიური ლიდერი. იგი რამოდენიმე წლის წინ გარდაიცვალა.

იანეთის მესხურ საზოგადოებას პირობითად შეიძლება დახურული ვუწოდოთ. ეს კონფესიური ჯგუფი იცავს მისთვის დამახასიათებელ ტრადიციულ წეს-ჩვეულებებს, საგრძნობია კულტურული იზოლაცია (ენა, საქორწინო და დაკრძალვის წესები, საცხოვრებლის ინტერიერი, საკვები, ჩაცმულობა, იშვიათია შერეული ქორწინება და სხვა), მაგრამ ამავე დროს აშკარად შეიმჩნევა ინტეგრაციის გარკვეული ელემენტები, რაც ახალგაზრდა თაობის ყოფაში უკვე თვალსაჩინოა.

$. 2. ნასაკირალი „ მესხებისს კუნძული “

1. მესხეთის ქუჩა ნასაკირალში (ლ. ჯანიაშვილი)

ა) საერთო დაკვირვებები

მე და ეკა დაბა ნასაკირალში 2004 წლის პირველ ნოემბერს შებინდებისას ჩამოვედით. რადგან ნასაკირალის რეპატრიანტებთან გარკვეული ურთიერთობის გამოცდილობა გასულ წლებში უკვე მქონდა, ამ თემის ლიდერებისათვის დამახასიათებელი ეჭვიანობის თავიდან აცილების მიზნით (უკმაყოფილო არიან ხოლმე, თუ მოსახლეობასთან წინასწარი გაფრთხილების გარეშე შედიან კონტაქტში), დახმარებისათვის ჩემს ძველ ნაცნობს მივმართეთ. იგი შუა ხანს გადაცილებული მამაკაცია, პროფესიით მექანიკოსი, ნასაკირალში აზერბაიჯანიდან გადმოსახლდა და ისლამური რელიგიის შესწავლაც აქ დაიწყო. მან თანდათანობით მოიხვეჭა ავტორიტეტი და დღეისათვის მესხების ხოჯად ითვლება. ხოჯას პატივს სცემენ, როგორც საკუთარი თემის წევრები, ასევე მეზობელი აჭარლები და სოფლის ხელმძღვანელობაც. ეს ღამე მესხების სულიერი წინამძღოლის („ხოჯიას“) სახლში გავათიეთ.

მივლინების პერიოდი რამაზანის მარხვას დაემთხვა და რადგან მზე ის ის იყო ჩავიდა, მასპინძლები ჩვენთან ერთად დასხდნენ სავახშმოდ. სუფრასთან ისხდნენ ოჯახის უფროსი მამაკაცი, მისი მეუღლე, ვაჟი, რძალი, და შვილიშვილები, 7-8 წლის ქალ-ვაჟი. ვახშამზე (რამაზანის დროს ვახშამს “იფთარს” ეძახიან) მასპინძლებს ჩვენი სტუმრობის მიზანიც გავაცანით. მოულოდნელად ჩვენს მისიას საკმაოდ ცივად შეხვდნენ. „ბოლოს და ბოლოს როდის მორჩებიან ჩვენი ხალხის მიკროსკოპით დაკვირვებას” – განაცხადა მასპინძელმა. თუმცა ძველი ნაცნობობისა და სტუმრის პატივისცემის გამო უარი ვეღარ გვითხრა დახმარებაზე, დაგვპირდა, რომ მეორე დღისათვის შეკრებდა ხალხს და მათთან გასაუბრების საშუალებას მოგვცემდა. ეტყობა ხვალ ადვილი „ბრძოლა” არ გველოდება ადგილობრივ აქტივთან. გადაწყდა, მეორე დღეს მე და ჩემი კოლეგაც სხვადასხვა ოჯახში დავნაწილდებოდით.

დილით ოჯახის უფროსები ადრიანად, 4 საათზე, ადგნენ. ისინი მარხულობენ და გათენებამდე უნდა ისაუზმონ („იასლუღი“) რათა შებინდებამდე გაძლონ სასმელ-საჭმელის გარეშე. ახალგაზრდა რძალი „რამაზანს“ არ ინახავს. ის რა დროს იღვიძებს, ჩემთვის უხერხული დასადგენია და მივლინების ბოლომდე ამოუცნობი დარჩა. ქალი სტუმრებს საერთოდ არ ესუბრება, თუმცა ცდილობს მოემსახუროს, ყურადღება და პატივისცემა გამოიჩინოს მათ მიმართ. შევამჩნიე, რომ ჩემი იქ ყოფნის მანძილზე იგი ოთახიდანაც უკუსვლით გადიოდა, რათა ჩემთვის ზურგი არ შეექცია. ცხადად იგრძნობა, რომ თემში ადამიანების ურთიერთობა გენდერული და ასაკობრივი ნიშნით მკაფიოდაა რეგლამენტირებული. ამასთან ყველას თავისი საქმე აქვს და შრომის მკაფიო სქესობრივი და ასაკობრივი დანაწილებაც არსებობს. თუმცა, ნოემბრის ცივ დღეებში, როდესაც ქალები საოჯახო საქმითა და საჭმლის მომზადებით არიან დაკავებული, კაცები ძირითადად უსაქმურობენ. როგორც ამბობენ, ამ დროს (შემოდგომის ბოლო, ზამთარი) სოფლად სამუშაოები დამთავრებულია და ისინი „დათვებივით თავიანთ სოროებში იზამთრებენ.”

მეორე დღეს, შეკრებილი ხალხი ძირითადად მამაკაცებით იყო წარმოდგენილი. როდესაც ჩვენი სტუმრობის მიზანი გავაცანით, მათში სამი პოზიცია გამოიკვეთა.

1. პირველი პოზიცია განცხადდა 50 წლამდე ენერგიული მამაკაცის ე.წ. „პროკურორის“ მიერ, რომელიც აქტიურად ცდილობდა ჩვენი მისიის ყოველ ნიუანსში გარკვეულიყო. იგი ყურადღებით გაეცნო ჩვენს დოკუმენტაციას და პროტესტი გამოთქვა იმის გამო, რომ მკვლევრები ხშირად ინტერესდებიან, არის თუ არა ქორწინება რეპატრიანტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის. ამგვარი კითხვები უშიშროებას აინტერესებსო; გამოთქვა ვარაუდი, რომ ამ ტიპის გამოკვლევები ემსახურება არა პრობლემის გადაჭრას, არამედ მის გაწელვას დროში; იგი, ამასთანავე, არ უარყოფს ევროპული ინსტიტუტების როლსა და მნიშვნელობას და მიაჩნია, რომ რუსეთს კი არა, დასავლეთს შეუძლია დაეხმაროს მის ხალხს.

2. მეორე პოზიცია ჩვენი მასპინძლის და ალიხან ყურაძის მიერ იყო წარმოდგენილი. თავისი მოსაზრება შემდგომში ა. ყურაძემ წერილობითაც გადმომცა:

ალიხან ყურაძის მიმართვა პროექტის ხელმძღვანელებისადმი

„მე პირადად, დეპორტაციის ადგილას ცხოვრებისას ორი წელი ვაწერდი ხელს კომენდატურაში, როგორც სპეცგადასახლებული. აღნიშვნა აუცილებელი იყო. ერთხელ, სკოლიდან დროზე არ გამომიშვეს, რომ წავსულიყავი აღრიცხვაზე, ჩვენს ოკრუგში, საიდანაც გამოსვლის უფლება არ გვქონდა კომენდატის ნებართვის გარეშე. იძულებული გავხდი დავდევნებოდი კომენდანტს, რათა აღვრიცხულიყავი და მივიღე მკაცრი გაფრთხილება. შეიძლებოდა მიმეღო ადმინისტრაციული სასჯელი, კიდევ რომ დამეგვიანებინა. იქედან მოყოლებული, მეჯავრება ასეთი მეთვალყურეობა ჩემზეც და სხვებზეც, რადგანაც სულ მახსენდება ეს შემთხვევა. როდესაც უკანასკნელ ხანებში გახშირდა რაღაც გამოკვლევები, რაღაც კითხვების და ანკეტების საშუალებით, მე ძალიან ვღიზიანდები. თავი სადამსჯელო ბანაკში მგონია. მახსენდება, საბჭოთა ქაღალდომანია. ამას ვხსნით უნდობლობით და ეჭვიანობით. როდესაც ჩვენ გვამოწმებენ, ვიღაც არ გვენდობა და რაღაცას ეჭვობს. რეპრესირებულები რომ არ ვყოფილიყავით ალბათ, ასეთი აღქმა არ გვექნებოდა. შეიძლება ეს ყოველივე აუცილებელი საქმეა, მაგრამ ჩვენი მდგომარეობა ასეთია. ჩვენს თავებზე დღემდე ბრუნავს ისტორიის სალეწი ბორბალი. 60 წელია რაც ჩვენ ვზიდავთ დროის მძიმე ჯვარს, ჩვენი ტანჯვა და სასოწარკვეთა უსაზღვროა. ამგვარი შეურაცხმყოფელი ტვირთვის ზიდვისაგან თავის დაღწევისათვის არსად პრაქტიკულ ზომებს არ ღებულობენ, რაც ადამიანურად შეურაცხმყოფელია. შავი შრომის გარდა, არაფერს ვხედავთ. აქ კიდევ რაღაც კითხვები, რომელიც ვიღაცას აინტერესებს, თითქოს უბეში, ნელი მოქმედების ნაღმი გვედოს და მას სადღაც ავაფეთქებთ. დიდი ხანია სახელმწიფოს სპეცორგანოები, საბჭოთა წყობისაგან მოყოლებული, მშვენივრად იყვნენ ინფორმირებულნი და ახლაც ღებულობენ ინფორმაციას ჩვენს მიზნებსა და მისწრაფებებზე და კიდევ რა არაა ნათელი?! რამდენჯერ შეიძლება ითქვას ერთი და იგივე?! რაღაც ორგანიზაციები იქმნებიან და გვიკვლევენ, რას ფიქრობენ ისინი, საით აპირებენ წასვლას, რა აქვთ გონებაში.

მესხებს ასეთი ანდაზა გვაქვს: „რასაც ხელით არ გახსნი, შემდგომ კბილებით მოგიწევს გახსნა“ რაღაცის გახსნა, ვიდრე ხელით შეიძლება, უნდა გახსნა. მერე,

კი შეიძლება კბილებით მოგიწიოს გახსნამ. ამიტომ, მივმართავ საქართველოს გონიერ ადამიანებს, გადადონ ყოველი საქმე და შეუდგნენ მესხების საკითხის გადაწყვეტას ვიდრე [პრობლემა] ბოლომდე არ გაქვავდა“

ალიხანის პოზიციას იზიარებენ ე. წ. ძველი ლიდერები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას უნდა ვხელმძღვანელობდეთ არა ამ კონტინგენტის ყველა წევრის, არამედ გონიერი ადამიანების მოსაზრებებით. ისინი ამბობენ: „იქნებ 45% ჩამოსახლების წინააღმდეგია, 55% კი მომხრე. მერე ამით რისი გარკვევა შეიძლება? თანაც ხალხი ძირითადად გაუნათლებელია, კარგად ვერ აღიქვამს, მისგან რას ითხოვენ და მოსალოდნელია არასწორი პასუხებიც მოგცეთ, გითხრათ რომ ისინი თურქები არიან, თუმცა ამაში გულისხმობენ, რომ არიან მესხები ე.ი. ქართველები.“ ამგვარი დამოკიდებულების მქონეთა აზრით, მესხების პრობლემის გასაღები ისევ რუსეთს უჭირავს ხელში. დასავლეთს კი, ამ მიმართებით, ნაკლები ბერკეტები აქვს.

3. მესამე პოზიციას ემხრობიან ძირითადად ახალგაზრდები. მართალია ისინი ჩვენს შეხვედრაზე შედარებით ინერტულნი იყვნენ და ხანდაზმულთა თანდასწრებით აზრის გამოთქმას ერიდებოდნენ, მაგრამ იგრძნობოდა, რომ გამოკვლევისადმი პოზიტიურად იყვნენ განწყობილნი და ჩვენთანაც სიამოვნებით ითანამშრომლებდნენ.

პირველივე შეხვედრამ ცხადყო, რომ თემში მეტად ნეგატიური დამოკიდებულებაა ტერმინ „თურქი მესხებისადმი“, რადგან მიიჩნევენ, რომ ისინი არიან მესხები ე.ი. ქართველები, და არ შეიძლება იმავდროულად იყვნენ თურქებიც, და ეს ტერმინი განსაკუთრებით აღიზიანებთ.

ჩვენ (მე და ეკას) დიდი ძალისხმევა დაგვჭირდა, რომ ეს ხალხი ჩვენი გამოკვლევის საჭიროებაში დაგვერწმუნებინა. დიდხანს ვისაუბრეთ ჩვენი კვლევის სამეცნიერო და პრაქტიკულ მნიშვნელობაზე, ამ ტიპის გამოკვლევების როლზე რეპატრიაციის გეგმაზომიერად, უმტკივნეულოდ და ღირსეულად განხორციელების საქმეში და ა.შ მოტანილმა არგუმენტებმა გაჭრა, პროექტის მოწინააღმდეგეები დაშოშმინდნენ. საინტერესოა, რომ პირველად უკან „პროკურორმა” დაიხია და თქვა, რომ ჩვენს საქმიანობაში მართლაც ვერაფერს ხედავს „ისეთს“ და შეიძლება სასარგებლოც აღმოჩნდეს მათთვის. ყველაზე ბოლოს ალიხან ყურაძე „მოტყდა” და ეკას თავის სახლში ცხოვრებაც კი შესთავაზა. აქვე გადაწყდა, რომ მე დავრჩებოდი ჩვენი ამჟამინდელი მასპინძლის ოჯახში, ჩემი კოლეგა კი იცხოვრებდა მეზობლად, რადგან „იმ ოჯახში ქალები არიან მეტი და თავს თავისუფლად იგრძნობს“.

შეკრებილებმა კიდევ ერთხელ წამოწიეს თემა მესხების, როგორც მსოფლიოში საუკეთესო მუშაკების და „მორალურად მდგრადი ადამიანების“ შესახებ; რომ მათ შორის არ არიან ქურდები, ბოზები, მატყუარები, ლოთები და საქართველომ საჩქაროდ უნდა მიიღოს ისინი, რათა არ მოხდეს ახალი კონფლიქტის „ახალქალაქის და აფხაზეთის” მსგავსის ჩამოყალიბება

ცალკე გამოიკვეთა ე.წ. აჭარლების საკითხი. როგორც ჩანს სწორედ აჭარლები განიხილებიან მესხეთის ათვისებაში მათ ძირითად კონკურენტებად. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ დეპორტირებულთა საკითხის გადაწყვეტას ხელს უშლის „აჭარული ლობი“ ქართულ მთავრობაში. ალიხან ყურაძემ გვიამბო, რომ როდესაც პირველად ჩავიდა სოფ. აბასთუმანში ეს ადგილი ცარიელი იყო, მოგვიანებით კი მთელი ეს რეგიონი ჩამოსახლებულმა აჭარლებმა აავსეს.

3 ნოემბერს შევუდექი საველე მუშაობას. იმისათვის, რომ რაც შეიძლება სწრაფად მომეხდინა უნდობლობის გაფანტვა, გადავწყვიტე აქტიური მონაწილეობა მიმეღო არამარტო ოჯახის შრომით საქმიანობაში, არამედ რამდენიმე ხნით შემენახა რამაზანის მარხვაც. მართლაც, მასპინძელებმა თავისიანად მაღიარეს და დიასახლისი უცხოებთან ზოგჯერ მეოთხე ვაჟს მიწოდებდა. ოჯახის უფროსს განსაკუთრებით სიამოვნებდა, რომ მოგვიანებითაც კი, როდესაც რამაზანის მარხვის დაცვა შევწყვიტე, ვერიდებოდი მათი თანდასწრებით ჭამას. „სწორედ ასეთი ურთიერთობები იყო სხვადასხვა რელიგიის მიმდევართა მშვიდობიანი თანაცხოვრების საწინდარიო“ – ამბობდა იგი.

იგრძნობოდა, რომ პირველი შეხვედრის შემდეგ „მესხების კუნძული“ პოზიტიურად განეწყო ჩვენ მიმართ და შემდეგ ყველანაირად ცდილობდნენ კეთილგანწყობის აფიშირებას. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მართალია, მე და ეკა ცალ-ცალკე ოჯახებში ვცხოვრობდით, მესხებს ერთი გუნდის წევრებად მივაჩნდით და თანაბრად ცდილობდნენ ჩვენდამი ყურადღების და კეთილგანწყობის გამომჟღავნებას.

ნასაკირალის რეპატრიანტთა თემს აქტიურად კურირებენ ე.წ. მესხური ორგანიზაციები. ჩვენი მივლინების პერიოდს დაემთხვა „ლატიფშაჰ ბარათაშვილის ორგანიზაცია – პატრიას“ ლიდერის, კლარა ბარათაშვილის, სტუმრობა. ეს ორგანიზაცია გაწევრიანებულია გაერთიანება „გრინგოში,“ რომლის ეგიდითაც ქ-ნმა კლარამ ჩამოიტანა წიგნები ადგილობრივი ბიბლიოთეკა „მანანასათვის“. მან წიგნებითა და სუვენირებით დააჯილდოვა მესხი ბავშვები. და-ძმა ბარათაშვილებს „ჩემი“ რეპატრიანტები დიდი პატივისცემით მოიხსენიებენ. მასპინძელი კლარას მოფერებით „დედოფალ მარგოს“ ეძახის. მივლინების პერიოდს ასევე დაემთხვა „კავკასიის სახლის“ მიერ ორგანიზებული დეპორტაციის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია, სადაც მიწვეული იყვნენ ნასაკირალის თემის წარმომადგენლები.

ბ) საველე სამუშაოების ორგანიზაციული მომენტების აღწერა

ნასაკირალი ეთნოკონფენსიური თვალსაზრისით ჭრელი დასახლებაა, აქ ცხოვრობენ: მუსლიმები (რეპატრიანტი მესხები, აჭარლები), ქრისტიანები (ქართველები, რუსები, სომხები). რიცხობრივად ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს მუსლიმი (სუნიტური ისლამის მიმდევარი) ქართველები, აჭარლები, წარმოადგენენ.

ჩემი მასპინძლის ოჯახს აქვს ტიპური ორსართულიანი „კაპიტალური“ სახლი, რომელიც 80-იანი წლების ბოლოს ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობას აუგია რეპატრიანტებისათვის. სახლი ამჟამინდელი ქართული სტანდარტით საკმაოდ კეთილმოწყობილია, პირველ სართულზე განთავსებულია: ვრცელი მისაღები, ოჯახის ყოველდღიურად სამყოფი და სასტუმრო ოთახი, საძინებელი (აქ ცხოვრობს ახალგაზრდა რძალი), სამზარეულო და სააბაზანო ოთახები; მეორე სართულს უკავშირდებიან ხის შიდა კიბით. მეორე სართულზე არის: საკმაოდ ვრცელი „ზალა” (რბილი ავეჯით გაწყობილი) და სამი საძინებელი ოთახი. ერთი ოთახი განკუთვნილია ხანდაზმული ცოლ-ქმრისათვის, ერთი უცოლო ვაჟისათვის, ხოლო მესამე სასტუმროდ გამოიყენება (მივლინების დროს მე ვცხოვრობდი).

ოჯახი შედგება 5 წევრისაგან:

ოჯახის უფროსი მამაკაცი – “მესხების ხოჯა”, რ.ბ., დაბ. 1946 წ (ძველი გვარი სულეიმანოვი). 1983 წ. იგი ოჯახთან, მამასა და ძმებთან ერთად ჩამოსახლდა ნასაკირალში.
ოჯახის უფროსის მეუღლე ქალბატონი – დ.ბ., დაბ. 1946 წ. უფროსი დიასახლისი, ასევე მესხების „ბებიაქალი.”
ვაჟი – ყ.ბ., 23 წლის, უმაღლესი განათლებით (იურისტი), დროებით უმუშევარი, შვილებში იგი ყველაზე უმცროსია, უცოლო.
რძალი – გ.მ., დაბ. 1983 წ., გამოთხოვილია სამტრედიის რ-ნის სოფ. იანეთის მესხების დასახლებიდან, დიასახლისი. მის ფუნქციაში შედის ოჯახში შავი „საქალო” საქმეების კეთება
შუათანა დაქორწინებული ვაჟი – ტ.ბ., დაბ. 1976 წ.. – ჩემი მივლინების პერიოდში იმყოფებოდა თურქეთში სამუშაოდ. როგორც ამბობენ მუშაობს მექანიკოსად ერთერთ ენერგოკომპანიაში, რომელსაც ტრაპიზონში ქვანახშირი და ნავთობი შემოაქვს. სწორედ მისი ანაზღაურება წარმოადგენს ოჯახის შემოსავლის ძირითად წყაროს. იგი მუსლიმთა დღესასწაულის, ბაირამისათვის რამდენიმე დღით ჩამოვიდა და შემდეგ ისევ თურქეთში დაბრუნდა.
ზემოხსენებულთა გარდა, უფროსი ვაჟი მ.ბ., ცოლთან და შვილებთან (ჰყავს ქალი და ორი ვაჟი) ბინადრობს მეზობლად, მასპინძლის უფროსი ძმის კუთვნილ სახლში. ნასაკირალშივე (პირველ რაიონში, რომელსაც „ბირინჯი რაიონს“ ეძახიან) ცხოვრობენ გათხოვილი ქალიშვილი (მეორე ქალიშვილი გათხოვილია ალმა-ათაში) და დედმამიშვილები (გათხოვილი და ქმარშვილთან ერთად და სამი უმცროსი ძმა). მასპინძელს კიდევ ერთი (შუათანა ძმა) ჰყავს, რომელიც სამტრედიის რაიონში, კოპიტნარის იგივე იანეთის მესხების დასახლებაშია დაფუძნებული.

გამოსაკვლევი თემები
მესხეთის ქუჩა
სოფ. ნასაკირალში რეალურად ცხოვრობს რეპატრიანტების 27 ოჯახი. 20 ოჯახი განსახლებულია “მესხეთის ქუჩაზე”, გზის ორივე მხარეს”, 7 – კი ე.წ. პირველ რაიონში ან როგორც თავად ეძახიან “ბირინჯი რაიონში” . ტრადიციული ქართული ყოფისგან აშკარა სოციოკულტურული განსხვავების მიუხედავად, ნასაკირალში მცხოვრები მესხების აბსოლუტური უმრავლესობა თავს ეთნიკურ ქართველად აღიარებს და მათი თურქად მოხსენიება, რბილად რომ ითქვას, არაკორექტულად მიაჩნიათ. აღსანიშნავია, რომ, ძირითადად, „მესხებმა” ქართული გვარებიც აღიდგინეს.
„მესხეთის ქუჩის” დღევანდელი განსახლების სტრუქტურაში ასახულია რეპატრიანტების ჩამოსახლების ისტორია. ქუჩის ერთ მხარეს კაპიტალური, ორსართულიანი, ერთნაირი ტიპის სახლებია, რომლებიც 1980-იანი წლების ბოლოს ნასაკირალის მეურნეობამ ააგო. ქუჩის მეორე მხარეს ჩასახლებულებმა საკუთარი ხარჯებით ააშენეს საცხოვრებელი ნაგებობები, რომლებიც მეპატრონეთა მატერიალურ შესაძლებლობებსა და გემოვნებას შეესაბამება და კონსტრუქციულადაც არაერთგვაროვანია. რეპატრიანტთა საქართველოში დაფუძნების ისტორია სწორედ ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობის მიერ 1977 წ. მუშახელის მოთხოვნას უკავშირდება. პირველ ნაკადში იყვნენ ალიხან ყურაძე და ისმიხან ხოზრევანიძე, რომლებიც იმ ხანებში ყაბარდო-ბალყარეთში

ცხოვრობდნენ. (იხ. ალიხან ყურაძის ინტერვიუ). რეპატრიანტები თავდაპირველად ე.წ. პირველ რაიონში ჩაასახლეს, დაიწყო მათთვის კერძო სახლების მშენებლობა. მშენებლობისათვის ადგილი მესხების ლიდერებს სოფლის განაპირას, განკერძოებით შეურჩევიათ. ამ ადგილს, როგორც აღვნიშნე, „კუნძულს" ეძახიან, რადგან დანარჩენი დასახლებისაგან მოწყვეტილია.

როგორც რეპატრიანტები ამბობენ, ადგილობრივი პრესა (რაიონული) გამოეხმაურა ფერღანის ტრაგედიას. მაშინ ოზურგეთში იმართებოდა მიტინგები, აჩვენეს ფილმი, სადაც გაშუქებული იყო ფერღანის მოვლენები და სხვ. შემდგომში საქართველოს ხელისუფლების პოზიცია, კონიუნქტურიდან გამომდინარე, შეიცვალა, რაც აშკარად აისახა საგაზეთო პუბლიკაციებსა და მედიის სხვა საშუალებებში დეპორტირებულთა შესახებ მიძღვნილ მასალებში. ეს ინფორმაცია ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციებს ასახავდა და ძირითადად ეყრდნობოდა ქართულ საზოგადოებაში გავრცელებულ მოსაზრებებს იმის შესახებ, რომ ა) დეპორტირებულები წარმოადგენენ ძირძველი ქართველი ტომის მესხების გამუსლიმებულ შთამომავლობას, რომელთა შორის დღესაც გვხვდებიან ქართული ორიენტაციის ადამიანები. მათი ძირითადი ნაწილი კი ეთნიკურად დეზორიენტირებულია და თავს არც ერთ ეროვნებას არ აკუთვნებს. ბ) დეპორტირებულნი მთლიანად არიან გათურქებული და მათი ჩამოსახლების შემთხვევაში საქართველოში თურქეთის საზღვართან შეიქმნება ანკლავი თურქული პოლიტიკური და კულტურული ორიენტაციით, რაც საბოლოოდ ქვეყანას არასახარბიელო პერსპექტივას უქადის.

საქართველოში ჩამოსახლებას თავად რეპატრიანტები სხვადასხვა მიზეზს უკავშირებენ. უმთავრესად კი თვლიან, რომ მათ სურდათ სამშობლოში დაბრუნება. ამიტომ დათანხმდნენ, ოღონდ საქართველოში დასახლებულიყვნენ და არ ჰქონდა, თუ სად. სხვათა შორის, 1950-იანი წლების ბოლოს აზერბაიჯანში მასობრივად გადმოსახლებასაც იგივე ფაქტორით ხსნიან – სამშობლოსთან შედარებით ახლოს ვიქნებით და შესაბამისი პირობების შექმნისთანავე დავბრუნდებითო. თვდაპირველად დასავლეთ საქართველო მათ მესხეთში დაბრუნების გზაზე გარკვეულ ეტაპად მიაჩნდათ და, როგორც ჩანს, ამ იდეას ცკ-ს ზოგიერთი პარტიული მაღალჩინოსანიც უნერგავდა. ალიხან ყურაძე ამბობს: – „განცხადება დავწერეთ ტიხომიროვის სახელზე, ცეკაში კარგი ადამიანი იყო. ისინი ჩვენ გვეუბნებოდნენ, სადაც საქართველო ნებას დაგრთავთ, დასახლდით. დერეფანში შედით და სახლში შემდეგ შეხვალთო - გვირჩევდნენ." ზოგიერთ ინტერვიუში ჩანს, რომ ჩამოსახლება გარკვეული პრაგმატული მოსაზრებებითაც იყო ნაკარნახები: „დედაჩემი გახდა ავად და აუცილებელი იყო ჰაერის შეცვლა. დედაჩემის დეიდა აქ ცხოვრობდა, ოჩხამურში (ქობულეთისაკენ). დედაჩემი იზატოვა იყო, ქართული გვარი აღარ მახსოვს ახლა. მამაჩემიც ხშირად ჩამოდიოდა აქ, დეიდამისიც ეუბნებოდა – ჩამოდით, ჩამოდითო. ავად რომ გახდა და ჰაერის გამოცვლა დასჭირდა, ამ მიზეზით წამოვედით. ისე ორივეს უნდოდა, დედასაც და მამასაც, წამოსვლა"– ამბობს ზ. ცაცანიძე-ბექაძე. ჩემს მასპინძელს კი, როგორც მისი ნაამბობიდან ირკვევა, საკმაოდ დაძაბულ ურთიერთობა ჰქონდა თავის უშუალო ხელმძღვანელობასთან აზერბაიჯანში – „პარტიაში იმიტომ მიმიღეს, რომ ჩემი გაჩუმება სურდათ, რადგან ბევრ კითხვებს ვსვამდი სამუშაოზე და არაფერს ვითმენდი. რომ გავეჩუმებინე, ჯერ სოფლის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ ამირჩიეს. ეს კი ნიშნავდა დიდ პასუხისმგებლობას, რადგან წლიურ ანგარიშს და ახალ გეგმებს მხოლოდ

სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეები აწერდნენ ხელს. ე.ი., თუ იქ რაიმე მაქინაცია მოხდება, იგი მიდის ასევე კოლმეურნეობისა და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეების ხელმოწერით რაიკომში. ამის მერე ნახეს, რომ მე არ დავმორჩილდი. ცოდვა გამხელილი სჯობს, მე არ გავჩუმდი, ვუთხარი: „რაც კეთდება, ყველაფერი ვიცი, ამაზე მე ვაწერ ხელს, ან მეც ჩამსვამთ წილში, ან ხელს არ მოვაწერ და მომხსენით“-მეთქი. მოხსნა შეეძლო მხოლოდ საერთო კრებას, ამიტომ მოხსნით არ მომხსნეს, მაგრამ არც წილი მომცეს, დოკუმენტებზე ხელის მოწერა კი შევწყვიტე.”

გ) სოციალური ყოფა

უნდა ითქვას, რომ საკვლევი კონტინგენტისათვის დამახასიათებელია ძლიერი მიდრეკილება დამოუკიდებელი გლეხური მეურნეობისადმი.. ამის გამო, ჩვენ რესპონდენტთა შორის არიან ისინიც, ვინც კეთილმოწყობილ ქალაქურ ბინას, ნაკლებკომფორტულ კერძო სახლს ამჯობინებს.

სოციალურ ღონისძიებათა რიგს შეიძლება მიეწეროს ისეთი საოჯახო წეს-ჩვეულობა, რომელიც სოციუმის შეკრებასთან ასოცირდება. მასში (ქორწინება, დაკრძალვა, სუნიათი და ა.შ) მოცემული ჯგუფის წევრთა მონაწილეობა სავალდებულოა. აღსანიშნავია, რომ მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებულ რიტუალებში (სამძიმარი, პანაშვიდი) საკვლევი ჯგუფის წევრები იმ ქრისტიან მეზობლებთანაც მონაწილეობენ, რომლებთანაც სხვა სახის ურთიერთობა თითქმის არც აკავშირებთ.

რეპატრიანტთა უფროსი თაობა დღემდე აცხადებს, რომ სურთ, მათი საფლავები, მამა-პაპათა სასაფლაობის გვერდით იყოს. თუმცა მათ დღეისათვის (2004 წ.) მესხეთში დაბრუნებაში რაიმე ოფიციალური წინაღობა არ უშლით ხელს, მაგრამ, ეკონომიკური ფაქტორებიდან გამომდინარე, ჯერ-ჯერობით თავს იკავებენ. მეორე მხრივ, აცხადებენ რა თავს წარმომავლობით ქართველებად, თვლიან რომ საკუთარ სამშობლოში ცხოვრობენ. ახალ ადგილას მათ უკვე აქვთ ცხოვრების გარკვეული ისტორია (ზოგჯერ 20 წელზე მეტი), სახლი, ჰყავთ ნაცნობ-მეზობლები. ამდენად, ბევრი მათგანი საკუთარ თავს მხოლოდ აქ (ნასაკირალში) წარმოიდგენს. „ქვეყანა მიწა გვაქვს. მოგვყავს სიმინდი, ლობიო, პომიდორი, თხილი. ქმარი თურქეთში დადის, მაგრამ მეზობლები მყავს გვერდში. მთავარია, თოხი ან ბარი დავიკავო ხელში და მაშინვე გამოვლენ მოსახმარებლად ჩემი ქმრის მეგობარი ბიჭებიც და მეზობელი ქალებიც”.

მესხების საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი ადამიანი მხოლოდ ამ საზოგადოებაში დაბადებით შეიძლება გახდეს. პირად საუბრებსა და ინტერვიუებში რესპონდენტები აცხადებენ, რომ თავიანთ შვილებს არ დაუშლიან იქორწინონ „არამესხზე”. თუმცა პრაქტიკაში ეს თითქმის არ გვხვდება. რეპატრირებულის ადგილობრივზე ქორწინების რამდენიმე შემთხვევას, ოჯახისა და თემის მხრიდან გააფრთებული წინააღმდეგობას მოჰყვა. ოჯახში შერეული ქორწინებისადმი რადიკალური წინააღმდეგობა აისახება ბავშვებზეც. ნასაკირალის სკოლის თანამშრომლებთან საუბრისას გაირკვა, რომ რეპატრიანტებსა და ადგილობრივი მოსახლეობის ბავშვებს შორის სასკოლო რომანიც კი არ შეუმჩნევიათ. ასეთი დამოკიდებულება გახდა იმის მიზეზი, რომ ქორწინება ხდება საკმაოდ შეზღუდულ წრეში (ძირითადად ნასაკირალის და იანეთის რეპატრიანტებს შორის).

პარალელურად გაძლიერდა ჯგუფის მისწრაფება თვითმყოფადობისა და ინდივიდუალობის შენარჩუნებისაკენ. სოციალური იერარქიის გარკვეულ საფეხურად ნასაკირალში გვევლინება „გილი“, რომელიც, ზოგიერთ შემთხვევაში, ქართული სოციალური ერთეულის, გვარის იდენტურია. მაგ. ყურადაგილი = ყურაძეს. ამასთან ტიპური თურქული გილის როლში უკვე გამოდის ქართული გვარსახელი, რომლის ირგვლივაც ხდება ნათესაური ერთეულის, განაყოფი ოჯახის ორგანიზება. ასეთია: ლაზიშვილი, ყურაძე, ბექაძე, ცაცანიძე, ხოზრევანიძე და სხვ.

რეპატრიანტებსა და ადგილობრივ მოსახლეობას შორის განსხვავება ფიქსირდება ყოფისა და კულტურის თითქმის ყველა ასპექტში: მეურნეობა, სამეურნეო და საცხოვრებელი ნაგებობები, დასახლების ფორმა, საოჯახო, საქორწინო და ნათესაური ურთიერთობები, მიცვალებულის დაკრძალვა და სამგლოვიარო რიტუალები და ა.შ. მხარეთა მიერ ერთმანეთის შესახებ ჩამოყალიბებული წარმოდგენების ერთ-ერთ ძირითად ფაქტორად სალაპარაკო ენა გვევლინება. რეპატრიანტებით დასახლებულ ისეთ ადგილებშიც კი (ნასაკირალი), სადაც მუსლიმი ქართველის ცნება საკმაოდ მიღებულია, ზოგჯერ მათ თათრებს ეძახიან. ასეთ შემთხვევაში აქცენტი ძირითადად ენაზეა გადატანილი. თავის მხრივ, რეპატრირებულები, გრძნობენ რა ენის მნიშვნელობას, ცდილობენ მდგომარეობა ისე წარმოაჩინონ, თითქოს მათ საოჯახო ენას ქართული წარმოადგენს, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იგივე მიზნით შემოიტანეს დამატებითი ფაქტორი „მესხური ენა”. მათ კარგად იციან, რომ მესხები ქართველ ტომად მოიაზრება და თავიანთი სალაპარაკო ენის (თურქულის) მესხურად გამოცხადებით სცადეს მისი სხვა ქართველური ენების, მაგალითად მეგრულის, თანასწორ დონეზე დაყენება. მუშაობის პროცესში გამოვლინდა არაერთი ფაქტი იმისა, რომ მოსახლეობის ქალთა სქესის წარმომადგენლები, განსაკუთრებით 40 წელს ზემოთ, მოკლებული იყვნენ შესაძლებლობას კონტაქტი დაემყარებინათ ჩვენთან. ამ შემთხვევაში რეპატრირებულებმა ვერ შეძლეს ტრანსფორმირებულ საკომუნიკაციო სივრცეში ინტეგრირება. საბჭოთა პერიოდში რეპატრირებულთა ადგილობრივ გარემოსთან შეგუებას რამდენადმე უწყობდა ხელს რუსული ენის იმ სტატუსით არსებობა, რაც განსაზღვრული იყო სსრკ და, მისგან გამომდინარე, საქართველოს სსრ კონსტიტუციებით. დღეისათვის საკმაოდ რთული ჩანს ახალი საკომუნიკაციო სივრცის ფორმირების რეალური პერსპექტივა, რომელიც შესაძლებლობას მისცემდა ამ ჯგუფში შემავალ რეპატრირებულ მოსახლეობას მოეხდინა კონსტიტუციური უფლებების რეალიზაცია და ამ გზით უზრუნველეყო საკუთარი თავის ერთიან სახელმწიფოებრივ სივრცეში გააზრება.

XX საუკუნის მანძილზე საკვლევი ჯგუფი იმყოფებოდა ძირითადად ექსტრაორდინალურ მდგომარეობაში, რომელშიც მოქმედებდა იდეოლოგიური დოქტრინების კონფლიქტი. სტანდარტული მდგომარეობისაგან განსხვავებით, იგი წარმოადგენდა ერთ მუდმივ მხარეს, მეორე (ქართველები, უზბეკები, რუსები, ჩრდილოკავკასიელები, აზერბაიჯანელები და ა.შ.) კი იცვლებოდა. ამიტომ მოხდა მათი განსაკუთრებული იდეოლოგიური კოსოლიდაცია, ანუ გაცნობიერებული და ურთიერთშეთანხმებული შეკავშირება რეპატრიაციის განხორციელების მოწოდებით. მთლიანად დეპორტირებულები თავიანთ თავს განაკუთვნებენ ერთობას, რომელსაც აერთიანებს საერთო ისტორიული თავგადასავალი, (განსაკუთრებით ბოლო 60 წლის მანძილზე), ისტორიული საერთო სამშობლო

მესხეთი, სალაპარაკო ენა (მესხური), რელიგია (ისლამის სუნიტური მიმდინარეობა). ეს ჯგუფი ერთმანეთთან ნათესაური კავშირებით გადაჯაჭვულ ადამიანთა ერთობას წარმოადგენს. თუმცა არსებობს ნიშნები, რომლითაც მთლიანად დეპორტირებულთა მასისაგან ცალკეული ჯგუფები შეიძლება გამოიყოს. პირველ რიგში განასხვავებენ "იერლის" და "გიელინს". იერლის (ადგილობრივი) მიეკუთვნებიან მესხეთის ძირძველი მკვიდრნი, რომლებიც არსაიდან არ მოსულან; ხოლო გიელინი (მოსულნი), არიან მესხეთში მოგვიანებით ჩასახლებული სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების (ქურთები, თარაქამა, ჰემშინი, თურქი და ა.შ.) წარმომადგენლები

საკვლევი ერთობა (ნასაკირალში მცხოვრები რეპატრიანტები) არ შეიძლება ჩაითვალოს ცალკე ეთნიკურ ჯგუფად, რადგან მათ მკაფიოდ გამოხატული ქართული ეთნიკური თვითშეგნება აქვთ. რაც შეეხება დეპორტირებულ კონტინგენტს მთლიანად, ამ საკითხის ზოგადი მეცნიერული ანალიზი ამჟამად სცილდება ჩემს (როგორც ლოკალურ ჯგუფზე დამკვირებლის) ინტერესს.

რეპატრირებულები ძირითადად თავს მიაკუთვნებენ ქართულ ეთნოსს. ყველაზე ხშირად (თითქმის ყოველთვის) საკუთარი ერთობის განმსაზღვრელ ტერმინად ხმარობენ „მესხ"-ს. სხვა სახელწოდებების გამოყენება, რის წინააღმდეგაც (განსაკუთრებით „თურქი მესხი") მათში იმთავითვე ეწეოდნენ პროპაგანდას საერო თუ რელიგიური წინამძღოლები, მათში მძაფრ პროტესტს იწვევს.

გარდა ზემოხსენებული "იერლი" კონტინგენტისა, ნასაკირალში სხვა ჯგუფების წარმომადგენელთა ცხოვრება არ დასტურდება. თუმცა აქ არსებული გვარი ლაზიშვილი გვავარაუდებინებს, რომ ამ გვარის ხალხი წარმომავლობას ლაზების დასავლურქართველური ტომთან აკავშირებს.

რეპატრიანტებს საერო განათლებისადმი ადგილობრივი მოსახლეობისაგან განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ. ამ მიმართებით აშკარად დარღვეულია გენდერული თანაფარდობაც. მესხების ქუჩაზე მცხოვრებთა შორის უმაღლესი განათლების მქონე რვა პიროვნებას შორის შვიდი მამაკაცია და ერთი – ქალი; აქედან ექვს ადამიანს უმაღლესი სასწავლებელი დამთავრებული აქვს საბჭოთა პერიოდში; ერთი ეკონომისტია, ერთი ექიმი, ერთი ჰუმანიტარული განათლებით, ყველა დანარჩენი კი დიპლომირებული იურისტია.

„კუნძულზე" მცხოვრები მესხების საოჯახო ენას თურქულის ანატოლიური დიალექტი წარმოადგენს და სხვა ენა (მაგ., რუსული), განსაკუთრებით ქალებმა, ცუდად იციან. ჩამოსახლების პირველ წლებში ნასაკირალში მათთვის გაიხსნა ქართული ენის შემსწავლელი კურსები, რათა ქართული ხანდაზმულებსაც ესწავლათ. რეპატრიანტები საოჯახო ენას „მესხურს" უწოდებენ და ჩვენთან საუბარში ამტკიცებდნენ, რომ ეს „ისეთივე კუთხური ქართული დიალექტია, როგორც მაგ. მეგრული ან აჭარული."

განსაკუთრებით რთულ ვითარებაში არიან 40 წელზე ასაკოვანი ადამიანები (უფრო ქალები). ენის უცოდინარობის გამო გაძნელებულია როგორც ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობა, ისე განათლება. სკოლამდელი ასკის ბავშვები მხოლოდ „მესხურად" ლაპარაკობენ და სკოლაში შესვლის შემდეგ პარალელურად უწევთ სალაპარაკო ქართულისა და სასკოლო პროგრამის შესწავლა. შედარებით მოგვარებული იყო ეს პრობლემა საბჭოთა პერიოდში, როდესაც პატარები საბავშვო ბაღში დაჰყავდათ და ქართულსაც იქ

სწავლობდნენ. ამჟამად (2004 წ.) ნასაკირალში საბავშვო ბაღი ფაქტობრივად აღარ ფუნქციონირებს.

ნასაკირალის სკოლის პედაგოგები განსაკუთრებით აღნიშნავენ „მესხი" მოწაფეების უნარს ენების შესწავლაში, ზრდილობიან ქცევას და მორიდებულობას. მაგრამ აქვე მიუთითებენ, რომ ხშირად „მესხი" მოწაფეები სწავლისადმი ინტერესს არ იჩენენ, რადგან ზოგი ოჯახი ასეთ მიდრეკილებას არათუ ახალისებს, არამედ წინააღმდეგიცაა ბავშვებს განათლება მიაღებინოს. გვხვდება შემთხვევები, როდესაც ძალიან ნიჭიერ მოწაფეს, არა თუ უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების, არამედ სკოლის დამთავრების საშუალებასაც არ აძლევენ. ამ მხრივ განსაკუთრებით იჩაგრებიან გოგონები, რომლებიც ხშირად მეექვსე–მეშვიდე კლასიდან წყვეტენ სკოლაში სწავლას. თვით მესხებში მართალია პირდაპირ არავინ უარყოფს ზოგადი განათლების აუცილებლობას, მაგრამ გარკვეული ნეგატიური დამოკიდებულება ქალების სწავლისადმი მათ ერთ ნაწილში მაინც (უფრო იმ მამაკაცებში, რომლებიც აქტიურ რელიგიურ ცხოვრებას მისდევენ) შეიმჩნევა. მიიჩნევენ, რომ გოგონას მთავარი ფუნქცია გათხოვება და ოჯახის შექმნაა. ჩვენთან საუბარში ერთმა რესპოდენტმა აღნიშნა: „სამი რამ უნდა ისწრაფოს ჭეშმარიტმა მორწმუნემ: მიცვალებულის დაკრძალვა, ნამაზის შესრულება და ქალიშვილის გათხოვება". ადგილობრივი სკოლის პედკოლექტივთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ, როგორც წესი, ძალიან ნიჭიერ, მოწესრიგებულ და სწავლისადმი მიდრეკილ გოგონას, ზემოხსენებული დამოკიდებულების გამო, უფროსები სწავლის გაგრძელების საშუალებას არ აძლევენ და ადრეულ ასაკში ათხოვებენ. ტრადიციულ გარემოში აღზრდილი ქალიშვილი კი წინააღმდეგობას ვერ ბედავს. უნდა ითქვას, რომ ქალთა განათლებისადმი ამგვარი დამოკიდებულება ბოლო ხანებში გარკვეულად იცვლება. სწორედ, „ხოჯას" რძალსა და ქალიშვილს ეკუთვნით გამოთქმები: (გოგონა) „სწავლას უნდა გავაყოლო, მე-11 კლასამდე უნდა ვასწავლო, მერე მინდა უმაღლესში გავუშვა და ექიმი გამოვიდეს"; „ბაღნები მისი იმით (გზით) უნდა გაიზარდოს. რომელსაც ვინ უნდა, იმაზე უნდა დაქორწინდეს და სწავლითაც უნდა ისწავლოს. ახლა ქალსაც კი აქვს ოჯახში რაცხას უფლება. მე, მაგალითად, ბაღანას შევეკითხები, ვისზე უნდა დაქორწინება." უფრო პროგრესულად მოაზროვნე მესხი მამაკაცის აზრით კი, „საბოლოოდ ოჯახშიც ყველაფერს ქალი წყვეტს; ასე რომ, რაც უფრო ბნელი და გაუნათლებელი იქნება იგი, მით უკან წავა ასეთი ოჯახის საქმე". იგი თავად მზადაა ყოველგვარი დახმარება გაუწიოს თავის ქალიშვილებს, თუ სწავლას მოისურვებენ.

ჯანმრთელობის დაცვის საკითხი მესხებში, როგორც თითქმის მთელს ქვეყანაში, ამჟამად (2004 წ.) მიშვებულია და ავადმყოფობის მკურნალობა ძირითადად ემპირიულ გამოცდილებას ეყრდნობა. ნასაკირალის საბჭოთა მეურნეობას ადრე საკუთარი საავადმყოფო ჰქონდა, რომელიც ამჟამად არ ფუნქციონირებს, შენობა მეტად სავალალო მდგომარეობაშია. თუ ძალზე მძიმედ არ გახდა ავად, სოფლის მკვიდრი გაურბის ექიმთან მისვლას, რადგან საფუძვლიანი მკურნალობა ძვირად მიაჩნია, ზოგ შემთხვევაში კი ამის ტრადიციაც არ არსებობს. მაგალითად, აღმოჩნდა რომ დეპორტირებულები ფეხმძიმე ქალს ოჯახებში ამშობიარებენ. ექიმთან მიდიან მხოლოდ მაშინ, როდესაც სხვა გამოსავალი არა აქვთ. ჩემი მასპინძლის უმცროს რძალს რამდენიმე წლის წინ საშვილოსნოს გარე ორსულობა ჰქონდა და თბილისში გაუკეთეს ოპერაცია. ოჯახი დღესაც მწარედ იხსენებს, რომ მკურნალობა საკმაოდ

სოლიდური თანხა, 600 ამერიკული დოლარი, დაჯდა. საავადმყოფოში დაწოლას მძიმე დაავადების დროსაც ერიდებიან და სახლის პირობებში მკურნალობას ცდილობენ. ჩემი მასპინძლის გათხოვილ ქალიშვილს (იგი პირველ რაიონში ცხოვრობს) ნოემბრის ბოლო რიცხვებში „თირკმელში კენჭის გავლა“ დაემართა. მისი ქმარი იმ დროს თურქეთში იყო სამუშაოდ წასული. ამიტომ დედ-მამამ გოგონა ოზურგეთში ექიმთან მიიყვნა კონსულტაციაზე. თუმცა მშობლებმა ქალი საავადმყოფოში არ დატოვეს, თავიანთ სახლში წამოიყვანეს და ოჯახში მკურნალობდნენ.

მესხები აქტიურად არიან ჩაბმული საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში. ჩვენთან საუბრებში აღნიშნავდნენ, რომ არჩევნებში აქტიურობით მათ სოფელში ვერავინ შეედრება; თავის დროზე რეპატრიანტებისაგან შექმნილი ხუთკაციანი რაზმი მონაწილეობდა ქართული გვარდიის შექმნაში და პრეზიდენტ ზ. გამსახურდიას პირად დაცვაშიც კი მსახურობდნენ; ერთმა მათგანმა (ე.წ. პროკურორმა) აზერბაიჯანიდან ჩამოიყვანა მესხი ახალგაზრდები, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს „აფხაზეთის ომში”; რეპატრიანტები თავს არ არიდებენ სავალდებულო სამხედრო სამსახურს; ისეთი პრობლემური საკითხიც კი, როგორიცაა ელექტროენერგიის საფასურის გადახდა, მათ შორის შედარებით მოწესრიგებულია; სოფლის მმართველობა ამ კანონმორჩილი და ორგანიზებული კონტინგენტით მეტად კამყოფილია.

ნასაკირალში მცხოვრები რეპატრიანტები ძირითადად საქართველოს მოქალაქეები არიან და აღდგენილი აქვთ ქართული გვარსახელები. თუმცა გარკვეული პრობლემები სამოქალაქო რეგისტრაციისა და მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებით მაინც არსებობს. ორმა ქალმა, რომლებიც აზერბაიჯანიდან არიან გამოთხოვილი მოქალაქეობის მიღება ვერ შეძლო. ამის გამო ერთმა მათგანმა ისევ აზერბაიჯანის მოქალაქეობა აღიდგინა. უნდა ითქვას, რომ თავად ეს ხალხი ამგვარი ვითარების მთავარ მიზეზად ასახელებს არა დისკრიმინაციას, არამედ სამოხელეო აპარატში გამეფებულ კორუფციას. ეტყობა ფორმალური მხარე, თავის მხრივ, არც რეპატრიანტებს აქვთ მთლიანად მოწესრიგებული. როგორც საკრებულოს თავმჯდომარე ამბობს: „მაგალითად მოყავს ვინმეს ცოლი აზერბაიჯანიდან. იქედან მოყვანილი ჯერ საქართველოს მოქალაქე არ არის, ვინმე ოღლია. მან ჯერ საქართველოს მოქლაქეობა უნდა მიიღოს და მერე პასპორტი. თავად არა აქვთ მოწესრიგებული ფორმალური მხარე. ერთი კვირა თუ დააგვიანა, უკვე სასამართლოს საქმეა.” პრობლემას წარმოადგენს ასევე ახალშობილების რეგისტრაციაც, რადგან, როგორც აღვნიშნე, ფეხმძიმე ქალი სამშობიაროში არ მიჰყავთ და ბავშვი საოჯახო პირობებში იბადება. ზოგჯერ მხოლოდ სკოლაში მიყვანის დროს ახსენდებათ, რომ ბავშვს დაბადების მოწმობა სჭირდება.

ჩვენი მივლინების პერიოდში ქ. ოზურგეთში გაიმართა კონცერტი, რომელიც „ვარდების რევოლუციის” წლისთავს მიეძღვნა. კონცერტში უმთავრესად თინეიჯერებში პოპულარული კოლექტივები მონაწილეობდნენ. ამიტომაც მასზე დასაწრებად ძირითადად ოც წლამდე ასაკის მესხები წავიდნენ. მთლიანად გურია და ოზურგეთის რაიონი, სადაც დაბა ნასაკირალი მდებარეობს, ბოლო ხანებში მომხდარი პოლიტიკური და სოციალ-ეკონომიკური კატაკლიზმების შედეგად საკმაოდ არასახარბიელო მდგომარეობაში მოექცა, სადაც ფესტივალები და კულტურული ხასიათის ღონისძიებები არც თუ ისე ხშირად იმართება. ქართული სინამდვილისათვის (განსაკუთრებით დედაქალაქს

მიღმა) უცხოა დასავლური ტიპის გასართობი დაწესებულებები. კულტურის სახლი, რომელიც ნასაკირალის გამგეობისა და სკოლის მეზობლად მდებარეობს, სავალალო მდგომრეობაშია. ამიტომ, ბუნებრივია ვერც მესხები და ვერც ადგილობრივი მოსახლეობა ამ შენობას დანიშნულებისამებრ ვერ იყენებენ.

დ) ეკონომიკური სტრუქტურა

საერთო სოციალ-ეკონომიკური სიტუაცია გურიაში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მკვეთრად გაურესდა. მანამდე რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობა დასაქმებული იყო სოფლის მეურნეობაში, მაგრამ საბჭოთა სამეურნეო სისტემაში გაბატონებული ჩაისა და მანდარინის კულტურები მოშლილი ინფრასტრუქტურის პირობებში არაეფექტური გახდა. შემოსავლის ძირითად წყაროდ იქცა ვაჭრობა და გარე სამუშაოებზე სიარული.

რეპატრიანტები უკვე მერამდენედ გახდნენ იძულებული მორგებოდნენ შეცვლილ ვითარებას. მათთან საუბრიდან ირკვევა, რომ თავდაპირველად ადგილობრივ ეკოსამეურნეო გარემოსთან ადაპტაცია და სრულიად უცხო ჩაის კულტურის მოყვანისათვის აუცილებელი სამეურნეო უნარ-ჩვევების გამომუშავება საკმაოდ გაუჭირდათ. როდესაც ამ რეალობას გარკვეულწილად აუღეს ალღო, „ცხოვრება ისევ შეიცვალა და ახლა იძულებული ვართ ჩაი ამოვძირკოთ და თხილი გავაშენოთ.”

ამჟამად მესხების შემოსავლის ძირითად წყაროს საკუთარი მეურნეობა და თურქეთში გარე სამუშაოზე სიარული წარმოადგენს. საკარმიდამო ნაკვეთში ძირითადად გაშენებული აქვთ თხილის პლანტაციები, რაგან, როგორც ამბობენ, მათ საცხოვრებელ ტერიტორიაზე სხვა (მანდარინი, სიმინდი) არაფერი არ ვარგობს. გაზაფხულობით ყიდიან ჩითილებს („ბულგარული“, პომიდორი და სხვ.) თვითეულ ოჯახს მოწყობილი აქვს მინისათბური, რომელსაც ადრეულ გაზაფხულზე პოლიეთილენით ფუთავენ და ჩითილები გამოჰყავთ. ჩვეულებრივ, ჰყავთ ასევე ფრინველი (ძირითადად ქათამი) და პირუტყვი (ძროხა, თხა). მსხვილფეხა საქონელის მცირე ოდენობით ისინი გამოირჩევიან თანასოფლელი აჭარლებისაგან, რომელთაც, როგორც წესი, საკმაო რაოდენობის მეწველი საქონელი ჰყავთ და ბახმაროს საზაფხულო საძოვრებზე (ფაფარა, ბაისურა) საკუთარი სადგომებიც (იაილები) აქვთ. მესხები 1 ან 2 ძროხას იჩერებენ, რომელთაც სოფლის სანახებში უშვებენ საძოვარად. მესხეთის ქუჩაზე მცხოვრები ოცი ოჯახიდან ათს ჰყავს ასევე თხაც. თხებსაც სოფლის ახლომახლო მწყემსავენ, რიგრიგობით. თითოეულ ოჯახს ყოველ მეათე დღეს უწევს რიგი.
როგორც ითქვა, ახაგაზრდა მამაკაცები, დადიან თურქეთში სეზონურ სამუშაოზე. ისინი, ჩვეულებრივ, დასაქმებული არიან ჩაის პლნტაციებსა და ფაბრიკებში. რეპატრიანთა ოჯახების ძირითად შემოსავალს სწორედ ამ გზით მოპოვებული სახსრები წარმოადგენს. რეგიონში გამეფებული ეკონომიკური სიდუხჭირის პირობებში გარკვეულ პრივილეგიად აღიქმება ხანდაზმულ რეპატრიანტებისათვის მიცემული პენსია 45 ლარი. „ჩემი ქმარი დადის ხანდახან თურქეთში, ხანაც ბოსტანში რაც მოდის, ვყიდით: ბულგარული, კიტრი, რაღაცეები. ზაფხულში იმით ვცხოვრობთ. ზამთარში მანდარინი იქნება, თხილი იქნება, იმას გავყიდით და ისე ვცხოვრობთ. ვისაც სახლში პენსიონერი ჰყავს, იმათ უფრო ადვილი ცხოვრება აქვთ. პენსია 45 ლარია, ეს რაღაცას ნიშნავს. ერთ ტომარა ფქვილს იყიდი და ესეც საქმეა.” – ამბობს რეპატრიანტი ქალი.

მცირერიცხოვნების გამო, მესხების მიერ რაიმე ეკონომიკური ნიშის დაკავებაზე საუბარი არ შეიძლება, თუმცა მაინც გამოიყოფა გარკვეული სფეროები, სადაც ისინი შეუცვლელნი არიან: მაგალითად, ჩითილების გამოყვანა (თითქმის მთელი რაიონის მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ „ბულგარული წიწაკის" და პომიდვრის ჩითილებზე); ასევე ზოგიერთი ბაღჩეული კულტურა, მაგ., საზამთრო, რომელიც რეპატრიანტთა ჩამოსახლებამდე რეგიონში გავრცელებული არ ყოფილა, მათ შემოიტანეს.

ეკონომიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, რეპატრიანტებს არ შეიძლება პრობლემები შეექმნათ ადგილობრივი მოსახლეობისათვის აქაურ ბაზარზე (ამის შესახებ პრეტენზიაც არ გამოუთქვამთ) რადგან ისინი ყიდიან სასოფლო სამეურნეო პროდუქციას, რომელიც: ა) არაა ადგილობრივი მოხმარებისათვის (თხილი, მანდარინი, ჩაი) და მათგან ბითუმად იღებენ ცალკეული კერძო ფირმები ბ) ადგილობრივი მოხმარებისთვისაა (ჩითილები, ბაღჩეული), მაგრამ დანარჩენი მოსახლეობა მას სასაქონლოდ არ აწარმოებს. ეს საქონელი (მაგ. საზამთრო) კონკურენციას უწევს არა ადგილობრივ, არამედ შემოტანილ პროდუქციას. შედარებით მომგებიანი ბიზნესით დაკავებული რეპატრიანტები ან თურქეთთან არიან დაკავშირებული, ან შუამავალ-თარჯიმნებად მუშაობენ თურქულსა და ქართულ ფირმებში. საერთოდ კი,

სამუშაო ადგილებზე მოწყობის თვალსაზრისით, რეპატრიანტებსა და დანარჩენ მოსახლეობას შორის რაიმე განსხვავება არ შეიმჩნევა.

მე-20 საუკუნის ბოლოს საქართველოში განვითარებული ეკონომიკური კრიზისი მწვავედ შეეხო გურიის რეგიონს, რაც მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების მკვეთრ გაუარესებაში აისახა. ეკონომიკის წამყვან აგრარულ სექტორში განვითარებულმა პროცესებმა სამეურნეო კულტურათა რეორიენტაცია განაპირობა. ასეთ პირობებში რეპატრიანტები, მოსახლეობის სხვა ნაწილთან შედარებით, ოდნავ უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რადგან: ა) ენის ცოდნის გამო შესაძლებლობა აქვთ შედარებით ადვილად იშოვონ სამუშაო მეზობელ თურქეთში; ბ) როგორც კომუნისტური რეპრესიების მსხვერპლთ აქვთ შედარებით მაღალი პენსია. თუმცა, ამის მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ რეპატრიანტების შემოსავალი და ეკონომიკური მდგომარეობა ადგილობრივი სხვა მოსახლეობისაგან დიდად არ განსხვავდება.

დაბა ნასაკირალში ეკონომიკური კეთილდღეობის განმსაზღვრელ ძირითად ნიშნად ითვლება მსუბუქი ავტომანქანა (არასაბჭოური წარმოების), კეთილმოწყობილი სახლი, ელექტროგენერატორი (ჩვენი მივლინების პერიოდში დაბაში დენი იშვიათად იყო. მოსახლეობას ელექტრობას საღამოს 8-დან 11 საათამდე აწვდიდნენ. თუმცა იმდენად სუსტი იყო, რომ ნათურის სპირალს ოდნავ აწითლებდა), თანამგზავრული ანტენა, ფერადი ტელევიზორი და სხვ. შეიძლება ითქვას, რომ ამ კრიტერიუმებით, რეპატრირებულთა შორის შეძლებულად მხოლოდ ერთი ოჯახი ითვლება. ამ ოჯახის უფროსს საკუთარი ბიზნესი აქვს. იგი, როგორც გადმოგვცეს, შუამავლის როლს ასრულებს თურქულ და ქართულ ფირმებს შორის. უნდა აღინიშნოს, რომ კეთილდღეობის განმსაზღვრელი პარამეტრები ადგილობრივ მოსახლეობასა და მესხებს შორის დიდად არ განსხვავდება, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ აჭარლებში ამგვარ ნიშნად მსხვილფეხა პირუტყვის ოდენობა ითვლება.

რეპატრიანტებმა საბჭოთა მეურნეობის არსებობის წლებში შეძლეს აეთვისებინათ ჩაის და ციტრუსების მოვლა-პატრონობის უნარ-ჩვევები, ხოლო

საბჭოური სისტემის დაშლის შემდეგ კი – სიცოცხლის კვლავწარმებისათვის ელემენტარული პირობების შექმნა. ამდენად, შეიძლება საუბარი რეგიონში მათ ეკონომიკურ ინტეგრაციაზე.

ე) შიდა და გარე კავშირ-ურთიერთობები

რეპატრიანტთა ოჯახი წარმოადგენს მკაფიოდ სტრუქტირებულ სისტემას, რომლის თითოეულ ელემენტს საკუთარი ფუნქცია აქვს. მართალია აღარ ფიქსირდება დიდი პატრიარქალური (ეთნოგრაფიული თვალსაზრისით) ოჯახები, სადაც თაობები – მშობლები და მათი რამოდენიმე დაქორწინებული ვაჟი – ერთად ცხოვრობენ, მაგრამ საოჯახო ურთიერთობებში ამ ტიპისათვის დამახასიათებელი მრავალი ნიშანია შემორჩენილი. უნდა ითქვას, რომ შრომის დანაწილებას, უპირველესად, განსაზღვრავს ოჯახის შემადგენლობა, რაც უფრო მრავალრიცხოვანია ოჯახი, უფრო კარგად არის დანაწილებული როლები საქმიანობაში. ოჯახის უფროსის ფუნქციას, როგორც წესი, ასრულებს ასაკოვანი მამკაცი. ჩვეულებრივ, მის მეუღლეს აკისრია ქალების ხელმძღვანელობა. საოჯახო საქმე დაყოფილია საქალო და საკაცო სფეროებად. მამაკაცების საქმიანობა ასევე ნაწილდება ასაკისა და იერარქიის მიხედვით. მძიმე ფიზიკურ სამუშაოს (შეშის დაპობა, მიწის დამუშავება და ა.შ.) ახალგაზრდა მამაკაცები ასრულებენ, თუმცა შრომის პროცესში ოჯახის ყველა წევრი მონაწილეობს. ხანდაზმული მამაკაცი რჩევა-დარიგებებით ეხმარება და თუ საჭირო გახდა, თავადაც არ თაკილობს „შავი" საქმის შესრულებას. ქალები და ბავშვები კი შედარებით მსუბუქ საქმეს აკეთებენ. მაგალითად, როდესაც ახალგაზრდა კაცი შეშას აპობს, მისი ბავშვები ნაპობებს ეზიდებიან ფარდულისაკენ, მეუღლე კი შეშას აწყობს. ასევეა მიწის დამუშავებისა და ჭირნახულის აღების დროსაც და ა.შ. ზოგიერთი საქმე შეიძლება ინდივიდუალურად ჰქონდეს დაკისრებული ვინმეს და მუდმივად იგი ასრულებდეს. მაგ., ჩემს მასპინძლებს ყოველ მეათე დღეს უწევდათ თხების მომწყემსვის რიგი და ეს ფუნქცია ოჯახის უფროსს ჰქონდა აღებული. ცალკეა გამოყოფილი საქალებო საქმე, რომელშიც მამაკაცები საერთოდ არ მონაწილეობენ. ესაა: სახლის დალაგება, სარეცხის რეცხვა, საჭმელის მომზადება და ა.შ. საოჯახო საქმიანობაში მკაფიოდაა განსაზღვრული ასაკობრივ-სქესობრივი დიფერენციაცია. შეიძლება ითქვას, რომ გარკვეულწილად მამაკაცის კულტი არსებობს. ქალი, ასაკის მიუხედავად, ვალდებულია მოემსახუროს მამაკაცს. ასაკოვანი დედაც კი ხაზგასმით ამჟღავნებს ვაჟიშვილებისადმი პატივისცემას. ყველაზე უუფლებო მდგომარეობაში იმყოფებიან ახალმოყვანილი რძლები, რომლებიც ვალდებული არიან შეასრულონ ყოველგვარი შავი საქმე, დაემორჩილონ დედამთილის, უფროსი რძლების და მულების ბრძანებებს. როგორც ერთი ახალგაზრდა ქალი მეუბნება – „ჩვენთან მასეთი (უფროსი) დედამთილი იყო. მამაჩემთან ოჯახში ზოია (ახლა უფროსი რძალია) დედაჩემს ემორჩილებოდა, როდესაც ახალი რძალი შემოვიდა უკვე მას ზოია უფროსობს. დედაჩემს სულ არა აქვს მასთან საქმე".

რეპატრიანტებში შემორჩენილია ადრე კავკასიაში ფართოდ გავრცელებული უმძრახობა, რასაც ისინი "გენალობას" ეძახიან. პატარძალი გარკვეული დროის განმავლობაში არ ელაპარაკება მამამთილსა და უფროს მაზლებს. აი რას გვიამბობს ამის შესახებ მ.ც.: „მამამთილი ისე გარდაიცვალა ჩემი ხმა არ გაუგონია. იმ ოჯახში ბევრი ვიყავით და არც მჭირდებოდა მასთან დალაპარაკება. მართალია ჩემი ხმა მეორე ოთახიდან კი ესმოდა, მაგრამ

პირდაპირ არ ველაპარაკებოდი. საერთოდ, ახლადმოყვანილი რძლები დედამთილს ელაპარაკებიან, უფროს მაზლთან დალაპარაკებას გაურბიან, უმცროს მაზლთან – კი არა. წესია ასეთი, ვითომ რომ დააფასო მამამთილი. თვითონ თუ მოგცემს უფლებას, შეიძლება დაელაპარაკო, ზოგიერთ მამამთილს არ უყვარს, რძალი რომ ელაპარაკება. ასე გრძელდება ორი-სამი წელი.”

ნასაკირალში მცხოვრები რეპატრიანტები ძირითადად წარმოდგენილი არიან კლანურ-ნათესაური ჯგუფის სახით. ჩამოსახლებული ძმათა შთამომავლები (ბექაძეები, ხოზრევანიძეები, ყურაძეები, ლაზიშვილები, ცაცანიძეები) შემდგომში სამეზობლო (ზოგჯერ საქორწინოც) ურთიერთობებით უფრო დაუახლოვდნენ ერთმანეთს, რადგან ისინი, ძირითადად, ქორწინდებიან თანასოფლელ ან სამტრედიის რაიონში მცხოვრებ მესხებზე. ქორწილში სტუმრად ეპატიჟებიან საქართველოში ან სხვა ქვეყანაში მცხოვრებ ნათესავებს. თითოეულ ოჯახს ჰყავს სანათესაო, რომელიც შეიძლება განფენილი იყოს უზარმაზარ სივრცეზე შუა აზიიდან უკრაინამდე. ნათესავების სიშორე წარმოადგენს ამ ხალხის უმწვავეს სატკივარს. მესხეთში დაბრუნებაზე ოცნების ერთერთი მიზეზი არის სურვილი, რომ ერთად შეიკრიბოს მთელი სანათესაო.

განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობიან იმ ადამიანებს (შესაბამისად მათ ოჯახებსაც), ვინც საერო ან რელიგიურ ხელმძღვანელობას უწევს თემს. ამ ადამიანების სახელს უკავშირდება რეპატრიაცია. თანასოფლელებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობენ ისინიც, ვინც ეკონომიკური კეთილდღეობით ან განათლებით გამოირჩევიან.

პიროვნება ვალდებულია ანგარიში გაუწიოს და ხშირ შემთხვევაში დაემორჩილოს ოჯახისა და ნათესავების რჩევა-დარიგებას. ეს ყველაზე მკაფიოდ აიასახება ისეთი გადაწყვეტილებების მიღებისას, როგორიცაა, ოჯახის შექმნა, საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა და სხვ. გადამწყვეტი სიტყვის თქმის უფლება უფროს თაობას აქვს. ამ თაობისათვის მესხეთი ერთგვარ აღთქმულ ქვეყანას, ელდორადოს, წარმოადგენს, სადაც უნდა მოხდეს კეთილ-ნათესაობის და მათი მთელი ხალხის შეკრება. უმცროსი თაობა თავისი სურვილის მიუხედავად იძულებულია დაემორჩილოს უფროსების გადაწყვეტილებას. ჩვენთან საუბარში ახალგაზრდა რეპატრიანტები, რომელთაც ნანახი ჰქონდათ მესხეთი, აღნიშნავდნენ, რომ სრულიადაც არ იზიდავთ იქ ცხოვრება, მაგრამ როგორც მამა ან ბაბუა იტყვიან, ისე განსაზღვრავენ თავიანთ მომავალს.

სოციალური კავშირები განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რა ფუნქციას ასრულებს ცალკეული ოჯახი ან ინდივიდი საზოგადოებაში. განსაკუთრებით შეიძლება აღინიშნოს კავშირი ნასაკირალის ორი უბნის, მესხეთის ქუჩის და პირველი რაიონის რეპატრიანტების და სამტერდიის რ-ნის სოფ იანეთის ან საქართველოში სხვაგან მცხოვრებ მესხებს შორის.; შემდეგ შეიძლება გამოიყოს კავშირი იმ ადგილების დეპორტირებულ მოსახლეობასთან, საიდანაც საქართველოში გადმოსახლდნენ (იქ, როგორც წესი, დარჩა ნათესავების ნაწილი); შემდეგ კი – მთელი დსთ-ს და მსოფლიოს მასშტაბით გაფანტულ ნათესავებთან.

როგორც ითქვა, ნასაკირალის რეპატრიანტებით დასახლებულ უბნებს და იანეთის მესხურ დასახლებას ჩამოსახლების ისტორიასთან ერთად ნათესაური ურთიერთობებიც აკავშირებს. მაგ., ჩემი მასპინძლის და–ძმები და გათხოვილი ქალიშვილი ცხოვრობენ პირველ რაიონში და იანეთში, მისი რძალი გამოთხოვილია იანეთიდან. ოჯახს ურთიერთობები აქვს ახალციხის რ-ნის სოფ. მუგარეთში მცხოვრებ ბერიძეებთან. ამ ოჯახს ასევე კავშირი აქვს ალმა-ათასთან ,

სადაც მათი კიდევ ერთი ქალიშვილია გათხოვილი, და აზერბაიჯანთან (საბირაბადის რ-ნი), სადაც მათი ნათესავები – ოჯახის უფროსის მამის ძმები დარჩნენ. ზოგჯერ რეპატრიანტებს ურთიერთობები აქვთ ბიზნესიდან, საზოგადოებრივი მოღვაწეობიდან (ალიხან ყურაძე), პირადი ცხოვრებიდან გამომდინარე. ასეთი კავშირები განპირობებულია ცალკეული პიროვნებების საქმიანობითა და ცხოვრების წესით.

კავშირს საკუთარ ხალხთან რეპატრიანტები ძალზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ეს კი ხორციელდება, როგორც წესი, უცხოეთში მცხოვრებ ნათესავებთან ურთიერთობის გზით. მათ ხშირად უწევთ ერთმანეთან მიმოსვლა ისეთ რიტუალებზე დასაწრებად, როგორიცაა ქორწილი, დაკრძალვა, წინადაცვეთა (სუნიათი) და სხვ. ძალზე მტკივნეულად აღიქმება, როდესაც ახლო ნათესავი ვერ ესწრება დაკრძალვას. ზოგჯერ იმისათვის, რომ საზღვარგარეთიდან ჩამოუსწრონ, მიცვალებულს რამდენიმე ხნით (ერთი-ორი დღით) აყოვნებენ. ჩვენი მივლინების პერიოდში იანეთში გარდაიცვალა ახალგაზრდა კაცი. იგი ორი დღე დაუმარხავი ჰყავდათ რათა დაკრძალვას აზერბაიჯანიდან ჩამოსული ნათესავები დასწრებოდნენ (მიცვალებულის დასაფლავება მუსლიმური ტრადიციით რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოხდეს).

ხშირია შემთხვევა, როდესაც ცალკეული პირები ახლობლების სანახავად საკმაოდ შორ მოგზაურობაში მიდიან. ჩემი ერთ-ერთი რესპონდენტი ჩ. ლ. გაზაფხულზე აპირებს გაემგზავროს კრასნოდარში (რფ, ბელორეჩენსკის რ-ნი, სადგური კომსომოლსკოე) ქალიშვილის მოსანახულებლად. იქედან კი უკრაინაში წავა, რათა მეორე გათხოვილ ქალიშვილსაც (ხერსონის ოლქი, ჩაპლინკას რ-ნი) ესტუმროს. ზ. ერისთავი-ყურაძე კი ნალჩიკში წასავლელად ემზადება, რათა ძმები მოინახულოს. ჩემი მივლინების პერიოდში ნასაკირალში უზბეკეთიდან ჩამოვიდნენ ახალგაზრდა დეპორტირებულები. თანამედროვე პირობებში კავშირურთიერთობას აადვილებს მობილური ტელეფონი.

უცხოელ თანამოძმეებთან კავშირი უწინარესად სწორედ ნათესაური და ოჯახური ურთიერთობებიდან გამომდინარეობს. როგორც უკვე ითქვა, რეგიონთაშორისი და უცხოეთთან კომუნიკაცია ძირითადად ხორციელდება ტრადიციულ ოჯახურ რიტუალებზე ჩამოსული ნათესავების საშუალებით. დეპორტირებულთა უფროსი თაობა საკმაოდ კარგად იცნობს სხავადასხვა ქვეყნებში დაფანტულ თავისი თაობის წარმომადგენელებს. უცხო მხრიდან ჩამოსულ ადამიანს ხშირად ჩამოაქვს ამბები არამარტო თავისი მასპინძელისათვის, არამედ მისი მეზობლებისათვისაც იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობენ ან რა პრობლემები აქვს მათ ხალხს და ახლობელ-ნათესავებს სხვა ქვეყნებში.

დეპორტაციის შემდეგ ერთი სოფლის ხალხი, ძირითადად, ერთ ადგილას აღმოჩნდა დასახლებული. შემდეგში კი ერთობლივი გადაადგილებების შემთხვევებში ცდილობდნენ არ დაერღვიათ ჩვეული დასახლების ფორმა. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მესხეთში ცალკეული სოფლის დასახლების სტრუქტურა მეტ-ნაკლებად შემდგომი მიგრაციების პირობებშიც შენარჩუნებული იყო. ამის ერთგვარ დასტურადაც შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ გასული საუკუნის 50-იან წლებში აზერბაიჯანში გადასახლებულმა დეპორტირებულებმა, მუღანის ველზე თავიანთ დასახლებებს მესხეთის სოფლების სახელები დაარქვეს, მაგ ადიგიუნი. საქართველოში ამგვარი დასახლება რეპატრიანტთა შორის არ დასტურდება, თუმცა თითოეულმა რეპატრიანტმა მშვენივრად იცის საიდან,

რომელი სოფლიდან გაასახლეს მათი წინაპრები. საკვლევი კონტინგენტი ძირითადად შედგება რამდენიმე ნათესაური გაერთიანებისაგან (ძმები, პატრონიმიული გაერთიანება „გილის“ წევრები, თანამოგვარეები, ახლო ნათესავები და ა.შ.)

ე. ინდივიდუალობა და რელიგია.

მესხები ყოველწლიურად აღნიშნავენ “რამაზან ბაირამსა” და “ყურბან ბაირამს”. 2004 წელს რამაზანის ბაირამი 14 ნოემბერს იყო, ხოლო მსხვერპლშეწირვა, ანუ “ყურბან ბაირამი” 20 იანვარს მოუწევს. მუსლიმური მარხვის ანუ რამაზანის დღეებში საღამოობით იმართება ხოლმე კოლექტიური ვახშამი (იფთარი), რომელსაც მორწმუნე ოჯახები რიგ-რიგობით აწყობენ. ასეთ საღამოებს ერთგვარი საზეიმო ელფერი დაჰკრავს. დეპორტირებულთა ძირითადი მასა სარწმუნოებით სუნიტი მუსლიმია, რაიმე სხვა რელიგიური მიმდინარეობის არსებობა რეალურად ამ კონტინგენტში არ დასტურდება.

რეპატრირებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი იცავს მუსლიმურ მარხვას, რამაზანს. რამაზანის პერიოდში მარხული ადამიანები დილით ადრე 4 სთ-ზე ჭამენ საჭმელს (იასლუღ) და საღამოთი შებინდებისას ვახშამს (იფტარ). რამაზანის დღეებში მიღებულია კოლექტიური იფთარის მოწყობა. ის ოჯახები, რომლებიც იცავენ მარხვას რიგ-რიგობით კლავენ საკლავს და აწყობენ იფთარს. 8.11.04 იფთარს მეც დავესწარი და აქვე მომყავს ამონაწერი ჩემი დღიურიდან. „იფთარი ხალიდ ლაზიშვილის ოჯახში მომზადდა. მამაკაცებისათვის სახლის მეორე სართულზე გაშლილი იყო Г ფორმის დაბალი სუფრა. ოთახი მორთული იყო ხალიჩებითა და მუთაქებით. სუფრას ფეხმორთხმით შემოსხდომოდა რამოდენიმე ხანდაზმული მამაკაცი. როდესაც მე შევედი, მათში უფროსმა ალიხანმა, შემომთავაზა მის გვერდით მოვკალათებულიყავი, თანაც მასპინძელს გასძახა, ჩემთვის დაბალი სკამი მოეტანა, რათა მიუჩვეველს ფეხმორთხმით ჯდომა არ გამჭირვებოდა. როდესაც ხოჯა მოვიდა, ადგილი მის გვერდით მიმიჩინეს, მაგიდის თავში, და პურობა დაიწყო. შემოიტანეს წვნიანი კერძი, მომზადებული თხის ხორცით, კარტოფილითა და ტომატით. როგორც ყველა კერძს რამაზანის თვეში, ამ კერძსაც მარილი აკლდა (რათა მორწმუნეს დღის განმავლობაში წყალი არ მოსწყურდეს). ქალებისათვის სუფრა პირველ სართულზე ცალკე იყო გაშლილი. ჩვენ სუფრასთან იჯდა ოცამდე მამაკაცი, ახალგაზრდა, სასკოლო ასაკის თუ მოხუცი. სუფრას ოჯახის უფროსი მამაკაცი და მისი ვაჟი ემსახურებოდნენ. კერძის გარდა, მაგიდაზე იყო ხილი, ტკბილეული (კანფეტი, ნატეხი შაქარი, ორცხობილა), შერბეთი (ფორთოხლის), მჟავე (კიტრი), მწვანე ხახვი, მარილი, პური. კერძის შემდეგ შემოიტანეს ჩაი. ჩაის დალევის მერე სახეზე ხელის ჩამოსმით ალაჰს მადლობა შესწირეს. შემდეგ ხანდაზმულებმა თამბაქო გააბოლეს (ახალგაზრდობა უფროსის თანდასწებით სიგარეტს არ ეწევა) და ოთახის სალოცავად მომზადება დაიწყეს. კედელზე სურათები ჩამოხსნეს, მაგიდა გაიტანეს და ქალებიც შემოვიდნენ. ცალ მხარეს მამაკაცები მოთავსდნენ, მეორეზე ქალები. დაიწყო ყურანის კითხვა. ყურანს რიგრიგობით რამდენიმე მამაკაცი კითხულობდა. დაახლოებით 18.50 სთ-ზე მორჩნენ ყურანის კითხვას (მორწმუნე რეპატრიანტების ოჯახში რამაზანის დასრულებამდე, დრო ოფიციალურთან შედარებით, ერთი საათით წინ იყო გადაწეული). შემდეგ ქალები გავიდნენ, მამაკაცები კი 3 რიგად ჩამწკრივდნენ, პირით მექისაკენ. მათ პირისპირ დაუდგა „ხოჯა”. მლოცველებს შორის იყვნენ

ბავშვებიც. დაიწყო ნამაზი. ხშირად მეორდებოდა სიტყვები "ალაჰ აკბარ" და "ასალამ ალეიქუმ" – ამ უკანასკნელის წარმოთქმის შემდეგ თავს ჯერ მარჯვნივ, მერე კი მარცხნივ აბრუნებენ (ესალმებიან კეთილი და ბოროტი საქმეების აღმნუსხველ ორ ანგელოზს, რომლებიც, ისლამის თანახმად, ადამიანს მხარზე ასხედან). რამაზანის თვეში ნამაზის დროს 29 თაყვანისცემა უნდა შესრულდეს (სხვა დროს კი ჩვეულებრივ ცხრა სრულდება). რაღაც მომენტში „ხოჯაც" მექისაკენ შებრუნდა და სხვების მსგავსად დაიწყო რიტუალის შესრულება. ნამაზის ბოლოს იგი ისევ მრევლისაკენ შემობრუნდა. მლოცველთა უმეტესობას თავზე თეთრი ფერის საგანგებო ქუდი ეხურა. როდესაც ნამაზი დასრულდა, დაახლოებით 19.00 სთ-ზე, მოიტანეს ჩაი და ტკბილეული და ერთი საათი მიმდინარეობდა მასლაათი სხვადასხვა თემებზე."

განსაკუთრებული პომპეზურობით აღინიშნა რამაზანის ბაირამი, 14 ნოემბერს. წინა დღეს თითქმის ყველა ოჯახში უფროსმა მამაკაცებმა მუსლიმური ტრადიციული წესით დაკლეს საკლავები (უფრო მეტად თხები). დილით მამაკაცთა (სკოლის მოწაფეებიც) უმეტესობა უზმოდ (უჭმელად) წავიდა ჯამეში, დილის ნამაზზე დასასწრებად. ნამაზიდან დაბრუნებულმა კაცებმა მხურვალედ მიულოცეს გზაზე შემხვედრთ, თუ თავიანთი ოჯახის წევრებს დღესასწაული. ოჯახებში მათ დახვდა სექვებზე (ხალიჩებით მორთული ფიცარნაგზე), გაწყობილი მდიდრული სუფრა. ცდილობენ, რომ ამ სუფრას ოჯახის ყველა წევრი ესწრებოდეს. ნოყიერი სადილის შემდეგ წესად აქვთ უბანში უფროსებთან გადასვლა და დღესასწაულის მილოცვა. ყველა მესხი თავის ვალდებულებად თვლის სახლში ეახლოს ასაკით მასზე უფროსს. წინათ ბაირამობაზე, ნაშუადღევს იცოდნენ სპორტული ღონისძიებების (ჭიდაობა, ბურთაობა) და საერთო ცეკვა-თამაშის გამართვა, რაც დღეისათვის დავიწყებას მისცემია.

რეპატრიანტების დიდი ნაწილი (თუმცა არა ყველა) იცავს რელიგიურ აკრძალვებს: არ სვამს ღვინოს, არ ჭამს აკრძალულ საკვებს და ა.შ. მართალია თავს მორწმუნე მუსლიმებად მიიჩნევენ, მაგრამ 5-ჯერად ნამაზს თითქმის არავინ ასრულებს. მიღებულია მხოლოდ საღამოს ნამაზის კოლექტიური შესრულება რამაზანის პერიოდში. განსაკუთრებით აღინიშნება დიდი მუსლიმური დღესასწაულები რამაზანის ბაირამი და ყურბან ბაირამი. მუსლიმი აჭარლები, რომლებიც ნასაკირალის ამჟამინდელ მოსახლეობაში უმრავლესობას წარმოადგენენ, გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ჩამოსახლდნენ მაღალმთიანი აჭარისა და გურიის სოფლებიდან (ხულოსა და ჩოხატაურის რ-ნები). ცნობილია, რომ რელიგიური ნორმების ყოველდღიურ ყოფაში გატარებას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მუსლიმურ თემში. უნდა აღინიშნოს, რომ ნასაკირალის ძირძველ მოსახლეობაზე, ქრისტიან გურულებზე, გამაღიზიანებლად მოქმედებს მუსლიმური დღესასწაულების მასობრივი აღნიშვნა. იმის გამო, რომ ამ ბოლო ხანებში აიგო ჯამე და სხვ., ისინი კერძო საუბარში უკმაყოფილებას გამოთქვამენ სოფლის ხელმძღვანელობის მიმართ, „რომელთაც დაუშვეს ისლამიზაცია". ქრისტიანული თემის წარმომადგენლები ამაში სულიერი და ეთნოკულტურული თვითმყოფადობის და ეროვნული უსაფრთხოების ხელყოფას ხედავენ, რის გამოც ენერგიული ზომების გატარებას მოითხოვენ.

აჭარლები და მესხები ერთად ასრულებენ აუცილებელ რელიგიურ რიტუალს (ჯუმა ნამაზი). ერთად ტარდება ასევე სადღესასწაულო რელიგიური რიტუალები მაგ. რამაზანის ბაირამის დილის ნამაზი. 2004 წლის რამაზანის ბაირამის ლოცვა გაიმართა ნასაკირალის ჯამეში. ჯამეს ეზო ხალხით იყო სავსე,

ესწრებოდა დაახლოებით 400-500 მამაკაცი. აქ დილიდანვე მოვიდნენ რეპატრიანტი მამაკაცებიც. აჭარელი მოლა (ხოჯა) ლოცვის დაწყებამდე ქართულად მიმართავდა ხალხს. ეუბნებოდა მათ, რომ ერთმანეთისათვის განემარტათ, თუ კი ვინმე რამეს ვერ გაიგებდა. მლოცველთა უმეტესობა ჯამეს ეზოში იყო თავმოყრილი. როდესაც ხოჯამ მეჩეთში ყურანის აიათების კითხვა დაიწყო, მლოცველებმა საგანგებო ფარდაგებსა და ტყავებზე მოიკალათეს და ისე ასრულებდნენ ლოცვას. აჭარელი და მესხი მორწმუნეები ერთმანეთს სრული პატივისცემითა და კეთილგანწყობით ეპყრობიან.

რელიგიური წეს-ჩვეულებებით მესხები თავიანთ თავს აჭარლებისაგან არ განასხვავებენ. ერთი კია, თავად მესხთა „ხოჯა" მიიჩნევს, რომ მუსლიმი აჭარლები უფრო ფანატიკური მორწმუნეები არიან, ვიდრე მესხები. თუმცა იმის თქმა, რომ რელიგიისადმი დამოკიდებულება მათგან (აჭარლებისაგან) გამმიჯნავ ნიშნად შეიძლება ჩაითვალოს, მეტად კატეგორიული იქნებოდა.

თვალსაჩინოა, რომ ამჟამად მესხებში მიმდინარეობს ერთგვარი რეისლამიზაციის პროცესი. ძალიან ბევრი ადამიანი, მათ შორის ქალიც, ეუფლება არაბულ წერა-კითხვას, რათა შეძლოს ყურანის დედანში წაკითხვა. რელიგიურ რიტუალებში აქტიურად მონაწილეობენ ახალგაზრდები, სასკოლო ასაკის ბავშვები და ა.შ.

მესხების ხოჯა და სხვა ადამიანები, რომელთაც მესხების თემი გამორჩევით რელიგიურ ადამიანებად თვლის, თვითგანათლებულნი არიან. აღსანიშნავია, მათ ეს ცოდნა საქართველოში გადმოსახლების შემდეგ მიიღეს, ისე რომ, რაიმე საგანგებო სასწავლებელი არ დაუმთავრებიათ. დღევანდელ ახალგაზრდებში შესამჩნევია სურვილი, რომ ჰყავდეთ ხოჯა, რომელსაც განთლება სათანადო სასწავლებელში ექნება მიღებული.

ზ) მშობლიური მიწისა და სახლის ცნება

მშობლიური მიწისა და სახლის ცნება ხანდაზმული დეპორტირებულებისთვის უკავშირდება გასახლებმდელ საცხოვრებელ ადგილს, მესხეთს. მთთვის სამცხე-ჯავახეთი წარმოადგენს ბავშვობის ტკბილი მოგონებებით ნასაზრდოებ ოცნებას, სანატრელ და სანუკვარ ადგილს. ნიშანდობლივია ნ.ხ.-ს მონათხრობი. როდესაც მან დედა მესხეთში ჩაიყვანა მოხუცი გაოცდა, რა პატარა ყოფილა ყველაფერი (სახლები, მიდამო), რაც მას ბავშვობიდან გრანდიოზული ახსოვდა. ხანდაზნულ მესხებს სანატრელად აქვთ, კიდევ ერთხელ შეიგრძნონ მშობლიური მიწის სურნელი. ჩემი მასპინძლის ცოლმა ასეთი იტორია მიამბო. აზერბაიჯანში შუა აზიიდან გადმოსულ მის პაპას, რომელიც სასიკვდილო სარეცელზე იყო მიჯაჭვული, ვაჟიშვილმა ჰკითხა – მამა ხომ არაფერს ისურვებდიო. მოხუცმა უპასუხა – ერთი მუჭა მუგარეთის (სოფელია ახალციხის მუნიციპალიტეტში ლ.ჯ.) მიწის სუნი ვიგრძნო სხვა არაფერი მინდაო. შვილი 3-4 დღე აღარ გამოჩნდა მომაკვდავთან, მერე კი ერთი მუჭა ადგილობრივი მიწა შეუტანა, – აი მამა, ეს ჩვენი სამშობლოს მიწაა. მოხუცმა ცხვირთან მიიტანა მიწა, მერე ხელი უღონოდ გააქნია და მიწა ძირს დააბნია. „გეფიცებით მიხვდა, რომ მისი სამშობლოს მიწა არ იყო და ატყუებდნენო" – ამბობს ჩემი მასპინძელი. ამ მონათხრობიდან კარგად ჩანს დეპორეტირებულთა დამოკიდებულება სამშობლოს ცნებისადმი. თითოეულ ადამიანს ვისაც ახსოვს თავისი სახლი მესხეთში, სწორედ იქ უნდა დაბრუნება. ნ.ხ-მ გვიამბო, რომ 1988 წ. მაშინდელი საქართველოს ცკ-ს გადაწყვეტილებით

მესხეთში დაბრუნების უფლება მისცეს რამდენიმე ათეულ დეპორტირებულს. ადგილები გამოყვეს ასპინძის რაიონშიც, საიდანაც მისი ოჯახი იყო გადასახლებული. ნ.ხ-ს ჩამოუყვანია აქ თავისი ნათესავები, მაგრამ უკვე ასპინძაში ჩასვლის შემდეგ მათ უარი თქვეს დარჩენაზე. განაცხადეს, რომ მხოლოდ იმ სოფლებში დასახლდებოდნენ, საიდანაც გაასახლეს, მათთვის კი ადგილები სულ სხავაგან იყო შერჩეული.

მშობლიური სახლისა და სამშობლოს ცნება დეპორტირებულებისათვის გაიგივებულია, ასევე, უსაფრთხოებასა და ნათესაურ გარემოსთან. რამდენი სახლიც არ უნდა ააგონ სხვა ქვეყანაში (მესხეთს გარეთ), ყოველთვისაა საშიშროება, რომ ვიღაც ადგილობრივი წაართმევს, რადგან იქ მისი სამშობლო არ არის. მათი აზრით მხოლოდ სამშობლოში, სამცხე-ჯავახეთში, ვერ შეედავება ვერავინ და ვერ ეტყვის აქედან წადი ეს შენი მიწა არ არისო.

ახლანდელი საცხოვრებელი ადგილიდან (ნასაკირალიდან) გადასახლების სურვილის მიხედვით ჩემი რესპონდენტები პირობითად შეიძლება სამ კატეგორიად დაიყოს: I. ადამიანები, რომლებიც მზად არიან ყველაფერი გაიღონ, ოღონდ მშობლიური ადგილები ისევ ნახონ. ამ შედარებით მცირერიცხოვან ჯგუფში შედიან ხანდაზმულები, ვისთვისაც მთავარია თავისი წინაპრების სამშობლოში დაიმარხონ. არ შემხვედრია ახალგაზრდა, რომელიც რეალურად იყოს მზად მესხეთში გადასასახლებლად. ყველას კარგად ესმის, რომ თუ უნდა თავისუფლად შეუძლია ჩავიდეს და იცხოვროს მესხეთში. თუმცა ამ შემთხვევაში მატერიალური კეთილდღეობის თვალსაზრისით შეიძლება პრობლემა შეექმნას; II. ეს ჯგუფი ყველაზე მრავალრიცხოვანია. მას შეიძლება მივაკუთნოთ პირები, ვინც ამბობს, რომ სურს მესხეთში ცხოვრება თუ ყველა დეპორტირებული ჩამოსახლდება. სინამდვილეში ამ კატეგორიაში შემავალი პირების პირად გეგმაში არანაირად არ თავსდება მესხეთში ცხოვრების პერსპექტივა; III. ადამიანები, რომელთაც არსად არ უნდათ წასვლა. ისინი კარგად გრძნობენ თავს გურიაში, შეგუებულნი არიან სოციალურ - ეკონომიკურ გარემოს და სურვილი არ აქვთ რადიკალურად შეცალონ იგი. არის ასევე რამდენიმე ახალგაზრდა, რომელსაც პირადი ცხოვრების მოწყობის მიზნით სურს იცხოვროს დიდ ქალაქში (ბათუმი, თბილისი).

1944 წელს სსრკ-ს მიერ განხორციელებული დეპორტაციის შეფასებებში შეიმჩნევა ასაკობრივი გრადაცია. უფროსი თაობა, რომელსაც თავად ახსოვს დეპორტაცია, იგი დაკავშირებულია მძიმე მოგონებებთან, გაურკვევლობასა და სახელმწიფოს მიერ ადამიანებზე ძალადობასთან. მათ დღემდე აწვალებთ უპასუხოდ დატოვებული კითხვა: რატომ გაგვასახლეს?! პასუხებს თავიანთი ხალხის წარსულში ეძებენ, მაგრამ ამაოდ. იხსენებენ სატვირთო ვაგონებით მგზავრობას, შიმშილს, სიცივეს და უსასოოდ გატარებულ წლებს უცხო მხარეში, სადაც დამხვდურები შიშით არ უახლოვდებოდნენ, რადგან ხელისუფლებამ გამოაცხადა, რომ კავკასიიდან კაციჭამიები ჩამოიყვანესო. შუახნის ადამიანებისათვის ესაა ცენტრალური აზია, აზერბაიჯანი ან ჩრდილო კავკასია, სადაც ახალგაზრდობა გაატარეს, განათლება შეიძინეს, შრომობდნენ და ცხოვრობდნენ მესხეთში დაბრუნების იმედით. გადმოსახლდნენ საქართველოში და ნავსაყუდელი იპოვეს. ახალგაზრდებისათვის გასახლება ბებიებისა და ბაბუების მწარე მოგონებაა. ყველასთვის ერთად კი დეპორტაცია სახელმწიფოს მიერ ადამიანებზე განხორციელებული ძალადობის აქტია. აღსანიშნავია, რომ

ქვეყნის გარეთ დაბადებული უფროსი ასაკის ადამიანებიდან, თითქმის არავინ აპირებს საქართველოს კვლავ დატოვებას.

თ) წარმოდგენები საკუთარ თემსა და მეზობლებზე

ადგილობრივი მოსახლეობისაგან რეპატრიანტებს განსხვავებს სალაპარაკო ენა, მატერიალური და სულიერი ყოფის ცალკეული ელემენტები, საოჯახო ურთიერთობები და სხვ. ისინი თავიანთ თავს ქართული ეთნოსის წარმომადგენლებად მიიჩნევენ, თუმცა ანტითეზა „ჩვენ“ და „ისინი“ არსებობს, როგორც ეთნოგრაფიული ჯგუფის დონეზე: „ჩვენ“ – მესხები, „ისინი“– აჭარლები, გურულები, ისე უფრო მაღალ ეთნოიერარქიულ დონეზე – ჩვენ „მესხები“, „ისინი“ ქართველები. თუ პირველი დამოკიდებულების აფიშირებას არ ერიდებიან, მეორე – პირიქით, დამალულია.

სტერეოტიპები

უშუალო მეზობლების აჭარლების მიმართ არსებობს როგორც ნეგატიური სტერეოტიპები: ქურდობა, სიცრუე, არასანდოობა და ა.შ., ისე პოზიტიური –შრომისმოყვარეობა, რელიგიურობა და სხვ. გურულების მიმართ ნეგატიური სტერეტიპებია: სასმელის სიყვარული, სიზარმაცე, უფროსების უპატივცემულობა, ხოლო პოზიტური – სამართლიანობა, სანდოობა, გვერდში დგომა და სხვ. ჩვენთან საუბარში რესპოდენტები ხაზს უსვამდნენ რომ გურულები უფრო სანდონი და მათი დამფასებლები არიან, ვიდრე აჭარლები. ახალგაზრდა რეპატრიანტები იხსენებენ, რომ მათ განსაკუთრებით აბრაზებდათ, როდესაც სკოლაში სწავლისას აჭარელი ბავშვები თათრებს ან თურქებს ეძახდნენ და აღნიშნავენ, რომ ამ საკითხის გამო წამოჭრილ კონფლიქტში მესხებს ყოველთვის მხარს უჭერდნენ გურულები.

ამრიგად, მეზობლად მცხოვრები ეთნოგრაფიული ჯგუფების წარმომად-გენლებთან. მესხებს დიფერენცირებული დამოკიდებულება აქვთ. მიუხედავად იმისა, რომ ერთ რელიგიურ აღმსარებლობას მიეკუთვნებიან, აჭარლები შედარებით არასანდო ხალხად მიაჩნიათ. ერთერთი რესპონდენტის გადმოცემით, „თუ გინდა აჭარელმა აღარ შეგაწუხოს, ცოტაოდენი ფული ასესხე და თვალითაც აღარ დაგენახებაო“. ასეთი დამოკიდებულება სოფლის გამგებელსაც შეუმჩნევია – „აჭარლებთან გართულებული ურთიერთობა აქვთ მაგათ. მაგალითად პირველ რაიონში ვიყავი ჩასული თხის ყიდვა გვინდოდა და ფული არ გვქონდა. აჭარელი გვახლდა ერთი და მესხს უთხრა თხა მოგვეცი და ფულს მერე მოგიტანთო. უფულოდ ვერ მოგცემო, უთხრა. სხვა რომ იყოს კი, მაგრამ აჭარლებს არ ვენდობიო.“ როდესაც ვთხოვე, დაეხასიათებინა აჭარლები, ერთმა რესპოდენტმა ასეთი ისტორია გვიამბო: „ერთი აჭარელი ტყის მცველთან მივიდა და სთხოვა ცოლ-შვილი სიცივით მეხოცება და იქნებ ერთი ხის მოჭრის უფლება მომცეო. ტყის მცველს შეებრალა და ორი ხე მისცა მოსაჭრელად. როდესაც ნებართვა მიიღო აჭარელმა ათზე მეტი ხე მოჭრა. – აი ასეთი ხალხია“. შედარებით პოზიტიურად ახასიათებენ გურულებს. ამბობენ, რომ ამ ხალხის ნდობაც შეიძლება და მათთან მეგობრობაცო.

რეპატრიანტები თავიანთ თავს აღიქვამენ, როგორც მსოფლიოში ყველაზე შრომისმოყვარე, ზნეობრივ, ტრადიციულ, გონიერ, უნარიან ერთობას. ძალიან ხშირად საკუთარი ერთობის ასეთი პოზიტიური შეფასებები მოსალოდნელის საწინააღმდეგო ეფექტს იწვევს და მსმენელს რესპონდენტის ობიექტურობაში აეჭვებს. მაგ., ჩემმა მთხრობელმა, იმის საილუსტრაციოდ, თუ რაოდენ უნარიანი

ხალხია მისი ერთობის წარმომადგენელები, გვიამბო, რომ სოფ. მუგარეთში (ახალციხის მუნიციპალიტეტი) ჩამოსახლდა მისი ცოლის ბიძაშვილი ლ. ბ. მან მისვლისთანავე შეკრიბა მეზობლები, მოაწყო შაბათობა, მანქანებით მოზიდეს ქვიშა და სამ სოფელს – მუგარეთს, გიორგიწმინდას და ფერსას გზა გაუკეთეს. ლადოს მისვლამდე ეს სამი სოფელი უგზოობით იტანჯებოდა, მაგრამ გაკეთება აზრადაც არ მოსვლიათო. შეიძლება ეს მოთხრობა გაზვიადებულად არ მოგვჩვენებოდა, ქუჩაში თავსხმა წვიმა რომ არ ყოფილიყო, რომლის დროსაც მთხრობლის სახლის წინ, მესხეთის ქუჩაზე, შეიძლება ცხენიანი კაცი ჩაეფლულიყო ტალახში. რეპატრიანტები ერთხმად აცხადებენ, რომ მთავარია მათი ხალხი მესხეთში ჩასახლდეს და მიწის უკმარისობა მათ ვერ შეაშინებთ. მცირეოდენი მიწის ნაკვეთზე თითოეული ოჯახი იმდენ მოსავალს მოიწევს, რომ მასაც ეყოფა და ბაზარსაც მოამარაგებს. ამავე დროს კი თავიანთ ეკონომიკურ გაჭირვებას იმით ხსნიან, რომ მიწა არ ჰყოფნით და იძულებულნი არიან გარე სამუშაოებით არჩინონ ოჯახი.

ადგილობრივების გაუცხოებას ისიც განსაზღვრავს, რომ ხანდაზმული მესხების მხოლოდ ერთი ნაწილი ახერხებს ქართულად საუბარს. რაც შეეხება 40 წლამდე ასაკის ადამიანებს, რომელთაც სკოლა საქართველოში დაამთავრეს, ისინი საკმაოდ გამართულად საუბრობენ ქართულად, ხოლო მოგვიანებით გადმოსახლებული რეოატრიანტები უფრო რთულ მდგომარეობაში არიან, რადგან მხოლოდ თურქულად ლაპარაკობენ.

თავად მესხები დარწმუნებული არიან, რომ მათ შესახებ ირგვლივ მცხოვრებ მოსახლეობას შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ პოზიტიური წარმოდგენა. სინამდვილეში მათ მიმართ ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება განსხვავდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ხშირად აქვთ კონტაქტი მათთან. საზოგადოდ შეიძლება ითქვას, რომ ყველა ერთხმად აღნიშნავს მესხების იზოლირებულობას. „კარჩაკეტილი ხალხია, არც შენთან მოვლენ და არც დაგიძახებენ“. ამასთან, რაც უფრო ნაკლებად აქვთ მათთან კონტაქტი, მით უფრო მეტია ნეგატიური შეფასებები. სოფ. ბაილეთში ჯგუფთან გასაუბრებისას მესხებს ზოგიერთი ქურდბაცაცებად მიიჩნევდა. თუმცა აღიარებდა, რომ მათთან ფაქტობრივად კონტაქტი არ ჰქონია და ვერც კონკრეტულ მაგალითს მოიტანდა. ამგვარ შეფასებას კი იმით ასაბუთებდა, რომ თუ არ მოიპარავენ, ისე ფიზიკურად როგორ იარსებებენ, იმდენად მრავალრიცხოვანი ოჯახები და მცირე საკარმიდამო აქვთო. ის ადამიანები კი ვინც ხშირად ხვდება ამ კონტინგენტის წარმომადგენლებს და გარკვეული საქმიანი ან მეგობრული ურთიერთობები აქვთ მათთან, პირიქით ახასიათებენ, როგორც ძალიან კარგ, შრომისმოყვარე და პატიოსან ადამიანებს.

ადგილობრივი მოსახლეობის ურთიერთობა რეპატრიანტებთან ძირითადად საყოფაცხოვრებო აუცილებლობითაა გამოწვეული. ზოგიერთი მათ იცნობს სამსახურეობრივი საქმიანობიდან გამომდინარე (მაგ., სახელმწიფო დაწესებულებების თანამშრომლები), ზოგი ეკონომიკურ ურთიერთობაშია (ყიდვა-გაყიდვა, დაქირავება). განსაკუთრებით აღსანიშნავია სკოლიდან მოყოლებული მეგობრობა, რომელიც ხშირად ასაკშიც მიჰყვებათ.

ეთნოკონფესიური ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტებს ჩემი რესპონდენტები ვერ ასახელებენ. თვით მოქალაქეობასთან დაკავშირებულ პრობლემებსაც კი ისინი სახელმწიფო აპარატში არსებულ კორუფციას უკავშირებენ. თვლიან, რომ

მსგავსი დარღვევები ყველა ადამიანის მიმართ შეიძლებოდა განხორციელებულიყო.

ი) მსჯელობა ხელისუფლების თემაზე

მესხებში განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობენ ადამიანები, რომლებიც დედაქალაქში საქმიანობენ და გარკვეული ბერკეტები აქვთ მესხების პრობლემის გადაწყვეტაში (კლარა და მარატ ბარათაშვილები, ნაირა გელაშვილი და ა.შ.). ასევე ისინი, ვისაც გარკვეული როლი მიუძღვის მათ საქართველოში გადმოსხლებაში (ალიხან ყურაძე, ისმიხან ხოზრევანიძე) ან მუსლიმურ ღვთისმსახურებას ასრულებს (რუსტამ ბექაძე, ბადრი ცაცანიძე). ამ ხალხის ავტორიტეტი ძირითადად მესხების თემით შემოიფარგლება და უცხოთაგან მათ ცოტა ვინმე თუ იცნობს, რადგან ზოგი მათგანი უკვე ხანდაზმულია, და სოფლის საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც აღარ აქტიურობს. ადგილობრივი მოსახლეობა უფრო იმ ახალგაზრდა მესხებს იცნობს, რომელთან ერთად სწავლობდნენ, მეგობრობა აკავშირებთ ან საერთო ფონიდან მატერიალური კეთილდღეობით გამოირჩევიან.

15 ნოემბერს გაიმართა დეპორტაციის 60 წლისთავისადმი მიძღვნილი კონფერენცია, რომელიც „კავკასიურმა სახლმა“ მოაწყო (ხელმძღვანელი ნაირა გელაშვილი). ამ ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდნენ სხვა მესხური ორგანიზაციებიც. შეხვედრაზე მიწვეული იყვნენ ნასაკირალში მცხოვრები რეპატრიანტებიც. ხშირად იმართება სემინარები, ტრენინგები და სხვა ამ ტიპის ღონისძიებები, რომელთა ინციატორებიც ზემოხსენებული ორგანიზაციები არიან. ამგვარი აქტივობის გამო მათ წარმომადგენლებს პატივსაცემი ადამიანების იმიჯი აქვთ რეპატრიანტებში. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ, მიუხედავად გარეგნული კონსერვატიულობისა, დღეისათვის მრავალი რეპატრიანტი ოცნებობს შეიქმნას ისეთი პირობები, როგორიც თბილისში მცხოვრებ მათ ლიდერებს აქვთ (მატერიალური კეთილდღეობა, შვილებისათვის ნორმალური განათლების მიცემა და სხვ.).

როგორც საკუთარი თემის, ისე აჭარელთა რელიგიური წინამძღოლიც (ხოჯა) პატივისცემით სარგებლობს. ნასაკირალის მეჩეთში ლოცვებს სწორედ აჭარელი ღვთისმსახური ატარებს, ხოლო მესხების აბსოლუტური უმრავლესობა თავს მორწმუნე ადამიანად მიიჩნევს. შედარებით ნაკლები კონტაქტები უხდებათ სხვა (ქრისტიანული) სარწმუნოების წარმომადგენელ მოძღვრებთან, რადგანაც ნასაკირალში მოქმედი რელიგიური დაწესებულება, ჯამეს გარდა, არ არის. პირად საუბრებში აღნიშნავენ, რომ ქრისტიანული სარწმუნოება აუცილებელ პატივისცემას იმსახურებს, რადგან თავად ისლამი აღიარებს ქრისტეს, როგორც უდიდეს წინასწარმეტყველს.

მესხი „ხოჯა“ ხელმძღვანელობს ყოველდღიურ საღამოს ნამაზებს რამაზანის პერიოდში (თუმცა მისი შეცვლა სხვა ადამიანსაც შეუძლია). მას სთხოვენ სხვადასხვა საყოფაცხოვრებო თუ საოჯახო პრობლემების გადაწყვეტისას რჩევა-დარიგებას, თუმცა გადამწყვეტი სიტყვა არ ეკუთვნის. „ხოჯა“ პატივისცემით სარგებლობს რეპატრიანტებსა და თანასოფლელებში, როგორც რელიგიურად განათლებული და ხანდაზმული ადამიანი. სოფლის ხელმძღვანელობამ იცის რა ამ ადამიანის ავტორიტეტი, ცდილობს მის გამოყენებას (მაგ. ავალებს ელექტროენერგიის გადასახადის აკრეფას რეპატრიანტთა შორის), თუმცა იგი თავს არიდებს ამ საქმეს.

რეპატრიანტები კმაყოფილი არიან ადგილობრივი ხელისუფლების (საკრებულოს თავმჯდომარის), რასაც ვერ ვიტყვით სოფლის სხვა მცხოვრებლებზე, რომლებიც არ მალავენ ხელისუფლებისადმი უარყოფით განწყობებს. როგორც თავად აღნიშნავენ, მესხები აქტიურად მონაწილეობენ ყველა დონის არჩევნებში და ამდენად თვლიან, რომ არჩეული ხელისუფლება წარმოადგენს კიდეც მათ ინტერესებს.

მასმედიის საშუალებათა როლი ავტორიტეტთა შექმნის საქმეში ფაქტობრივად მინიმალურია, უფრო შეიძლება ვისაუბროთ მასმედიის მიერ უკვე აღიარებული პიროვნებების რეკლამირებაზე. ამის მაგალითია ის, რომ დეპორტაციის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ გადაცემში მონაწილეობდნენ ძირითადად ის პირები, ვინც უკვე ითვლებოდა პატივცემულ ადამიანებად.

ინფორმაციას უცხოეთიდან რეპატრიანტები რამდენიმე არხით ღებულობენ: I. უშუალო კონტაქტები, თითქმის ყველას ჰყავს ნათესავები საზღვარგარეთ, რომლებთან ურთიერთობის შედეგადაც შემოაქვთ ახალი ინფორმაცია (მიდიან სტუმრად, ესაუბრებიან მობილური ტელეფონით და ა.შ.); II. ინფორმაციას ავრცელებენ ცალკეული ინფორმირებული ადამიანები. ზოგი მესხი თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ზოგი თავად არის დაკავებული ამ საქმიანობით, შესაბამისად მათ ხელი მიუწვდებათ გარკვეულ ცნობებზე და ავრცელებენ კიდეც; III. ოფიციალური საინფორმაციო საშუალებები – რადიომიმღებები, სატელიტური ანტენები და პრესა ხელმისაწვდომია ნებისმიერი მესხისათვის. მათ შეუძლიათ ინფორმაციის მიღება თურქულ, ქართულ და რუსულ ენებზე.

კ) ელიტა და აქტივისტები

ძირითადად ლიდერობა უკავშირდება რეპატრიაციის საკითხს; ლიდერებად ითვლებოდნენ ის ადამიანები, რომელთაც თავიანთი ცხოვრებით რაიმე ღვაწლი შეიტანეს ამ საქმეში (ხალილ უმაროვ-გოზალიშვილი, ი. ოდობაშვილი, მევლუდ ბაირახტაროვი, ლ. ბარათაშვილი). ამგვარივე დამოკიდებულებაა დღეისათვისაც. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში მცხოვრები მესხები თავიანთ ელიტად მიიჩნევენ, მაგალითად, და-ძმა ბარათაშვილებს. მესხი ლიდერის ჩამოყალიბების ტიპურ ისტორიას ჩემი მთხრობელი ასე აღწერს: „ქართული ორიენტაცია წარმოიქმნა ამ კოლმეურნეობაში – ადიგიუნში – (აზერბაიჯანში გადასახლებულ მესხებში), სადაც ცხოვრობდა მესხების ავანგარდი, მოწინავე და განათლებული ხალხი. მაგალითად, ბაირახტაროვი იყო პედაგოგი, გოზალიშვილიც ასევე. ბაირახტაროვი, გოზალიშვილი, ბარათაშვილი მაშინ ერთად იყვნენ მერე ლატიფშაჰ ბარათაშვილი გამოეყო. ჩვენში იტყვიან ცხვრის ორი ყოჩი თავს ერთ ქვაბში ერთად ვერ ჩაყოფსო. ლატაფშაჰ ბარათაშვილსაც სურდა რომ მეურნეობის თავმჯდომარე გამხდარიყო, მაგრამ ბაირახტაროვს მეტი მომხრე ჰყავდა. უფრო ენერგიული იყო. ამავე დროს ისინი, ხალხს ჩამოშორდნენ და საერთოდ გადავიდნენ მინგეჩაურში, სადაც ჩვენი ხალხი არ ცხოვრობს. ბაირახტაროვი ამის (თავის ცოლზე მანიშნებს) ბიძაა. ჩვენს ხალხში ჭკუით გამოირჩეოდა, ძალიან გონიერი ადამიანი იყო.“

საქართველოს რეპატრიაციის სამსახურთან, რომელსაც უშუალოდ ეხება რეპატრირებულ მესხებთან მუშაობა, წარსულში აქტიურად თანამშრომლობდნენ მესხი ლიდერები. ბოლო ხანებში საქართველოში პოლიტიკური კონიუნქტურის

შეცვლის გამო, ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა პრობლემისადმი სახელმწიფოებრივი მიდგომის კრიტერიუმები და ლიდერები თვითონაც არიდებენ თავს სახელმწიფო აპარატთან თანამშრომლობას. ისინი გამოდიან უფრო ხშირად რადიკალური კრიტიკით, ვიდრე კონსტრუქციულად (მ. ბარათაშვილის გამოსვლა დეპორტაციის 60 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე). ლიდერის ავტორიტეტი მთლიანად დამოკიდებულია მის პირად ღირსებებსა და აქტიურობაზე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გარკვეული მნიშვნელობა აქვს ასაკსაც. საზოგადოებისათვის, რომელსაც პატრიარქალური ღირებულებები ჯერ კიდევ ახასიათებს, ბუნებრივად ძალიან რთულია ახალგაზრდა ადამიანის ხელმძღვანელად აღიარება. გარკვეულ როლს თამაშობს ოჯახური ტრადიციებიც, შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ საკვლევი კონტინგენტისათვის ავტორიტეტული და-ძმა ბარათაშვილები, მათი ლიდერის – ლატიფშაჰ ბარათაშვილის შვილები არიან.

მიუხედავად საერთო პატივისცემისა, ლიდერების მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. ზოგიერთი რესპონდენტი ჩვენთან საუბარში კოფინდეციალურად გამოთქვამდა საყვედურებს, როგორც საერო, ისე რელიგიური ლიდერების მიმართ. საქართველოში მოქმედებს რამდენიმე "მესხური" არასამთავრობო ორგანიზაცია, მათგან ყველაზე ცნობილია: ქართველ რეპატრიანტთა კავშირი (მარატ ბარათაშვილი), ჟ ლატიფშაჰ ბარათაშვილის სახელობის ორგანიზაცია პატრია (კლარა ბარათაშვილი), ახალგაზრდული კავშირი მესხეთი (ისო მოლიძე).

ლ) ზოგადი დასკვნები

I. ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა, რომ რეპატრირებული და ნასაკირალის ადგილობრივი მოსახლეობა (ძირითადად ქართული ეთნოგრაფიული ჯგუფი - აჭარლები) თავს წარმოიდგენენ მხარეებად, რომელთაც თვითიდენტიფიკაციის შემდეგი ნიშნები აქვთ:

1. განსხვავებული ენა: თურქული–ქართული. მართალია თავად რეპატრირებულები საკუთარ ენას ქართულის დიალექტად, მესხურად, მიიჩნევენ, მაგრამ ის ფაქტი, რომ მათგან ბევრს არ ესმის და უბრალოდ უჭირს ქართულად ლაპარაკი, მნიშვნელოვნად განაპირობებს ჯგუფის სხვათაგან განცალკევებას;

2. განსხვავებული ყოფა და კულტურა: საქორწინო და ნათესაური ურთიერთობები, მიცვალებულის დაკრძალვა და სამგლოვიარო რიტუალები და ა.შ.;

3. მეურნეობა: აჭარლები ორიენტირებული არიან სიმბიოზურ მეურნეობაზე, რომელიც წარმოდგენილია მთაბარული მესაქონლეობით და მიწათმოქმედებით (ზოგჯერ მესაქონლეობის უპირატესობით). რეპატრიანტები დაკავებული არიან, ძირითადად, მიწათმოქმედებითა და სეზონურ გასვლითი (თურქეთში) საქმიანობით;

4. იდეოლოგიურ–მსოფლმხედველობრივ შეხედულება: ორივ ჯგუფს ახასიათებს ეთნიკურ და რელიგიურ შეხედულებათა კონფლიქტი: აჭარლები თავს მიიჩნევენ, ერთი მხრივ, ეთნიკურად ქართველი ხალხის (რომლის მაიდენტიფიცირებელ მთავარ ნიშნად ქრისტიანობას თვლიან) და, მეორეს მხრივ, ისლამური სამყაროს ნაწილად; რეპატრირებულები თავს მიიჩნევენ პირველ რიგში თავისი ხალხის, მესხ დეპორტირებულთა (რომელთაც ძირითადად გაურკვეველი ეთნიკური, ხშირად კი თურქული ორიენტაცია აქვთ) და ასევე ქართველების (ჩვენი

წინაპრები ქართველები იყვნენ, მესხები ყველზე ნამდვილი ქართველები არიან) ნაწილად, მეორე მხრივ კი, აღმსარებლობის მიხედვით ისინიც ისლამურ სამყაროს მიეკუთვნებიან. მოცემულ მომენტში თითქმის მთელი ეს კონტინგენტი (დეპორტირებულები) გაერთიანებულია რეპატრიაციის იდეის ირგვლივ. XX საუკუნის მანძილზე საკვლევი ჯგუფი იმყოფებოდა ძირითადად ექსტრაორდინალურ მდგომარეობაში, ამიტომ მოხდა მათი განსაკუთრებული იდეოლოგიური კონსოლიდაცია ანუ გაცნობიერებული და ურთიერთშეთანხმებული შეკავშირება რეპატრიაციის განხორციელების მოწოდებით. პარალელურად გაძლიერდა ჯგუფის მისწრაფება თვითმყოფადობისა და ინდივიდუალობის შენარჩუნებისაკენ;

II. ზემოთ აღნიშნულ პირობებში საზოგადოებრივი ჯგუფების თანაცხოვრების მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა საკითხი ეთნიკური კუთვნილების შესახებ. ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს საკითხი ზედმიწევნითაა შესწავლილი. გარკვეულია, რომ, სარწმუნოებრივი განსხვავების მიუხედავად, მესხეთის მოსახლეობის დიდი უმრავლესობა წარმომავლობით ქართველი იყო და ქართული თვითშეგნება გასახლების დროისთვისაც (1944 წ.) არ ჰქონდა მთლიანად დაკარგული. ქართული ინტელიგენციის ერთი ნაწილი დეპორტირებულებს დღეისთვისაც ქართულ ეთნოგრაფიულ ჯგუფად განიხილავს და მათი სამშობლოში დაბრუნების მომხრეა, ხოლო მეორე – პირიქით მათ მთლიანად გათურქებულად მიიჩნევს და რეპატრიაციის კატეგორიული წინააღმდეგია. ამ კონტიგენტის ეროვნული კუთვნილების დაკავშირება რეპატრიაციის საკითხთან ტრადიციულად რჩება ქართული საზოგადოებისათვის მათი დაბრუნების გადამწყვეტ ფაქტორად. დეპორტირებულთა ეთნიკური წარმომავლობის შესახებ განსხვავებული მოსაზრებაა გამოთქმული თურქულ-აზერბაიჯანულ სამეცნიერო წრეებში. ისტორიული წყაროების თავისუფალი ინტერპრეტაციის საფუძველზე, სამხრეთ საქართველოს მუსლიმური მოსახლეობა გამოცხადებულია გენეტიკურად თურქული წარმომავლობის ერთეულად, ხოლო ეს ტერიტორია თურქული მოდგმის ხალხების უძველეს სამკვიდროდ, რაც, რბილად რომ ითქვას, არამეცნიერული და ტენდენციური შეხედულებაა.

ქართული სახელმწიფოებრივი სივრციდან ხანგრძლივი მოწყვეტის, ცარისტული რეჟიმის პირობებში ცხოვრებისა და დეპორტაციის წლებმა განაპირობა ამ ჯგუფის წევრებს შორის კონსოლიდაციისა და სოლიდარობის მაღალი ხარისხი. მართალია, ისინი ამჟამად დისპერსიულად არიან განსახლებული საკმაოდ ვრცელ ტერიტორიაზე, მაგრამ ერთიანობის შეგრძნება, რომელიც მათ ერთ-ერთ თვისებას წარმოადგენს, სწორედ საერთო ისტორიას უკავშირდება.

მიგრაციული პროცესების შედეგად შეიქმნა მართლაც ორიგინალური ტრადიციული კულტურა, რომელსაც მრავალი საერთო აქვს ქართულ, თურქულ, შუა აზიის ხალხებისა და რუსულ კულტურებთან, მაგრამ ძირეულად განსხვავდება თითოეული მათგანისაგან.

რეპატრირებულთა მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით უფროსი თაობა, მიუხედავად იმისა, რომ თავს ქართველად მიიჩნევს და უკვე დიდი ხანია ცხოვრობს ნასაკირალში, აქვს მეურნეობა, შემოსავალი და ა.შ., საკუთარ მომავალს წარმოიდგენს ისტორიული მესხეთის ტერიტორიაზე, რომელსაც თავის ძირითად სამშობლოდ თვლის.

მთავარი იდეის – დაბრუნების განხორციელების შესახებ არსებულმა ორმა განსხვავებულმა გზამ დეპორტირებულთა ცნობიერების გაორება გამოიწვია, რაც ერთობის შიგნით და ერთობის გარეთ ქცევის განსხვავებულ სტანდარტებში გამოიხატა. რეპატრირებულები დარწმუნებული არიან, რომ ქართულ სახელმწიფოში მათი რეინტეგრაცია ეთნიკური ნიშნით მიმდინარეობს, ე.ი. საქართველოში ამჟამად ცხოვრების უფლებას ინარჩუნებენ არა როგორც 40-იან წლებში დეპორტირებულები, არამედ როგორც ადამიანები, რომლებიც თავს ქართველებად აღიარებენ. აღსანიშნავია, რომ 1990-იან წლებში ნასაკირალელმა მესხებმა თავად აიძულეს ერთი რეპატრიანტი საქართველო დაეტოვებინა, რადგან იგი თავს თურქად მიიჩნევდა და ქართული გვარის აღდგენაზე უარს აცხადებდა;

III. ცნობილია, რომ ოპოზიციურ ჯგუფთა ურთიერთშეფასების ყველაზე გავრცელებულ ნორმას წარმოადგენს ცალკეული ფაქტების განზოგადება. გრძნობენ რა ასეთი მექანიზმის არსებობას, რეპატრიანტები ცდილობენ უცხოსთან საკუთარი ჯგუფი წარმოადგინონ მხოლოდ პოზიტიური რაკურსით: ისინი არიან: ყველაზე შრომისმოყვარე, უნარიანი, გონიერი, ტოლერანტულნი, სტუმართმოყვარე და ა.შ. მათ ხალხს საერთოდ არ ახასიათებს: სიზარმაცე, ლოთობა, ქურდობა, მეძავობა და ა.შ. ამასათანავე ხაზს უსვანენ ოპოზიციური ჯგუფის მატყუარობას, ქურდობას, არასანდოობას და სხვ. აღსანიშნავია, რომ საერთო ქართული ერთობიდან ნასაკირალში მცხოვრები მესხები შედარებით ნეგატიურად აჭარლებს ახასიათებენ. ამის მიზეზი უნდა იყოს: I. აჭარლები არიან ძირითადი ეკონომიკური კონკურენტები ადგილზე (ნასაკირალში); II. სწორედ აჭარელთა ეთნოგრაფიული ჯგუფის წევრებმა დაიწყეს გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ჩამოსახლება მესხეთის იმ ადგილებში, სადაც ადრე დეპორტირებულები ცხოვრობდნენ;

IV. ნასაკირალში ჩამოსახლებულმა რეპატრიანტებმა საქართველოში გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან განვითარებული კატაკლიზმების მიუხედავად შეძლეს ადაპტირება, რაც მაინტეგრირებელი ფაქტორების არსებობაზე მიუთითებს.

მათგან შეიძლება გამოიყოს შემდეგი:

I. ეთნოფსიქოლოგიური – რეპატრიანტები თავიანთ თავს ქართული წარმომავლობის ჯგუფად აღიქვამენ ამდენად ქართულ ეთნიკურ ორგანიზმში ინტეგრაციას მიიჩნევენ როგორც ისტორიული სამართლიანობის რეანიმაციას და არა როგორც ეთნიკურ ასიმილაციას;

II. ემპირიული გამოცდილება – ნახევარი საუკუნის მანძილზე დეპორტირებულთა დიდმა ნაწილმა რამდენჯერმე გამოიცვალა საცხოვრებელი ადგილი. ამგვარად შეექმნათ წარმოდგენა ერთმანეთისაგან პოლარულად განსხვავებულ სამეურნეო, ბუნებრივ-ეკოლოგიურ, სოციალურ და ეთნიკურ სისტემათა შესახებ. დაგროვილმა ემპირიულმა ცოდნამ საშუალება მისცა იოლად შეგუებოდნენ ახალ გარემოს;

III. ტოლერანტობა – ინტეგრაციას ხელი შეუწყო ტოლერანტობის გარკვეულმა ხარისხმა და დიალოგის წარმოებისა და ურთიერთმოსმენის უნარმა, როგორც ერთ, ისე მეორე ჯგუფში;

IV. ეკონომიკური – მე-20 საუკუნის ბოლოს საქართველოში განვითარებული ეკონომიკური კრიზისი მწვავედ შეეხო გურიის რეგიონს. ტრადიციულად აქ ეკონომიკის წამყვან აგრარულ სექტორში განვითარებულმა

პროცესებმა სამეურნეო კულტურათა მიმართ რეორიენტაცია განაპირობა, რაც მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების მკვეთრ გაუარესებაში აისახა. ამრიგად რეპატრიანტები მოსახლეობის სხვა ნაწილთან შედარებით ოდნავ უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, რადგან, როგორც კომუნისტური რეპრესიების მსხვერპლთ, აქვთ შედარებით მაღალი პენსია, ასევე ენის ცოდნის გამო, შესაძლებლობა, შედარებით ადვილად იშოვონ სამუშაო მეზობელ თურქეთის რესპუბლიკაში;

V. მასობრივი რეპატრიაციის განხორციელების შემთხვევაში აუცილებლად ამოტივტივდება დღეისათვის შედარებით უკანა პლანზე გადაწეული ზოგიერთი საკითხი:

1. რეპატრიაციის ნებაყოფლობითობა. უზრუნველყოფილი უნდა იყოს დეპორტირებული პირის მიერ რეპატრიაციის შესახებ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობა. ნებაყოფლობითობა, პირის მიერ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობასთან ერთად, გულისხმობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მასზე რაიმე სახით ძალდატანების გამორიცხვას. უნდა ითქვას, გარდა იმისა, რომ დეპორტირებული მოსახლეობის უმეტესობა ამ მხრივ არც თუ სახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება არსებული პოლიტიკური კონიუნქტურის გამო (დღევანდელი ჩასახლების ადგილებში, განსაკუთრებით რუსეთში, გაუსაძლისი პირობები საგანგებოდ იქმნება, რათა მათ ამ ადგილებიდან წასვლა აიძულონ.), ნებაყოფილებითი რეპატრიაციის განხორციელებას ხელს შეუშლის დეპორტირებულთა შიგნით არსებული პატრიარქალური ურთიერთდამოკიდებულება. ამ თემში არსებული სიტუაცია ფაქტობრივად გამორიცხავს ახალგაზრდებისა და ქალების მონაწილეობას მნისვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში;

2. რესტიტუციის რეალიზების უფლება. უეჭველია, დეპორტირებულთა უმრავლესობას აქვს სურვილი დაბრუნდეს საცხოვრებლად მხოლოდ იმ კუთხეში, საიდანაც ისინი იძულებით გადაასახლეს. ამგვარ სურვილს ამჟღავნებენ თვით ნასაკირალში მცხოვრები და უკვე საკმაოდ ინტეგრირებული რეპატრიანტებიც. მასობრივი რეპატრიაციის შემთხვევაში წინ წამოიწევს მოთხოვნა – დაიბრუნონ მათზე განხორციელებული ძალადობისას დაკარგული ქონება. რაც, თავის მხრივ, სავსებით კანონზომიერ და ადამიანის საერთაშორისო სამართლით აღიარებულ უფლებას წარმოადენს. ამგვარი მოთხოვნის წარმოშობაზე ისიც მიუთითებს, რომ ნასაკირალში მცხოვრებმა რეპატრიანტმა, რომლის ოჯახმა ფაქტობრივად უსასყიდლოდ სამი კაპიტალური სახლი მიიღო, განაცხადა, რომ იგი, როგორც კი შესაბამის დახმარებას მიიღებს სახელმწიფოსაგან, ქალაქ ახალციხეში იყიდის ბინას და იქ გადავა საცხოვრებლად; ნასაკირალში კი ერთ შვილს დატოვებს. ამასთანავე, იგი თვლის, რომ სწორედ ქართული სახელმწიფოა ვალდებული აუნაზღაუროს 1944 წელს მიყენებული ზარალი. „მათი ქონება საერთო საქართველოს ფონდზე ხომ დარჩა. ქართველ ხალხს ხომ დარჩა ყველაფერი: ძროხა იყო, ოქრო იყო, სახლი იყო... საქართველოს დარჩა აბა რა (ჩვენი ქონება), ქუთაისამდე ჩამოვიდა თქვენი საქონელიო, ხალხი ამბობს, აქ გაყიდესო“. დეპორტირებულთა ამგვარი დამოკიდებულება განაპირობებს მესხეთში გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან ჩასახლებულ ადამიანებში შიშს, რომ რესტიტუცია შეიძლება მათ ხარჯზე განხორციელდეს და ხელს უწყობს რეპატრიაციის საწინააღმდეგო განწყობებს;

3. რეპატრიაციის პოლიტიკის ტრანსპარანტულობა. პოლიტიკის შემუშავება უნდა ხდებოდეს სრულიად ღიად. ცალკეული საკითხების მიჩქმალვა აუცილებლად წარმოშობს საფრთხეებს რეპატრიაციის განხორციელებისა და რეპატრირებულთა ქართულ სახელმწიფოებრივ ორგანიზმში ინტეგრაციის გზაზე.

2. ე. ფირცხალავა
საველე მუშაობის ანგარიში („ჩართული დაკვირვება“ ოზურგეთის რაიონის სოფელ ნასაკირალში)

მოცემულ ქვეთავში შეჯამებულია მეხებთან ცხოვრებისას ჩართული დაკვირვების პროცესში ჩატარებული სიღრმისეული ინტერვიუების, ფოკუს ჯგუფების, არაფორმალური საუბრების პროცესში მიღებული ინფორმაცია.

2004 წლის ნოემბერ-დეკემბერში ვიმყოფებოდი მესხ რეპატრიანტებთან ოზურგეთის რაიონის სოფელ ნასაკირალში,. სადაც მუსლიმი მესხების 27 ოჯახი ცხოვრობს.
მუსლიმი მესხების კომპაქტური დასახლება საქართველოში სამტრედიისა და ოზურგეთის რაიონებშია. სამტრედიაში ისინი სახლობენ სოფელ იანეთში (ამ ადგილს IX უბანს უწოდებენ) ახლანდელი მესხეთის ქუჩაზე, ხოლო ოზურგეთში – სოფელ ნასაკირალში.
საქართველოში მესხი რეპატრიანტები პირველად 1977 წელს ჩამოვიდნენ, ეს იყო მუსლიმი მესხების რეპატიაციის პირველი ჯგუფი. მოგვიანებით საბჭოთა მთავრობამ ისინი საქართველოს სხვადასხვა რაიონში, კერძოდ ზუგდიდში, გალში, ხონში, სამტრედიაში და ოზურგეთში ჩაასახლა.
1944 წლის 15 ნოემბერს მათი წინაპრები სამცხე-ჯავახეთიდან, საზღვრისპირა რამოდენიმე რაიონიდან, ყოველგვარი განმარტების გარეშე გადაასახლეს შუა აზიის რესპუბლიკებში. როგორც მესხები გვიამბობენ, გასახლება მოხდა სრულიად მოულოდნელად და ძალიან სწრაფად. ვინც რა მოახერხა, რასაც ხელით ატარებდა, მხოლოდ იმის წაღება შეძლო. როგორც ისინი ყვებიან, ერთ ღამეში მოაგროვეს ხალხი სხვადასხვა სოფლიდან, სატვირთო მანქანებით მიიყვანეს მატარებელის სადგურამდე, ჩასვეს სატვირთო ვაგონებში და გაუყენეს გზას. თავდაპირველად ეგონათ, რომ ციმბირში ასახლებდენ, გზა იყო ძალიან გრძელი, ხოლო მგზავრობა ხანგრძლივი, ციოდა, ხალხი გაიყინა. ამ ამბის შემსწრე ჩემი რესპონდენტები ყვებიან, მიცვალებულებს როგორ ყრიდნენ ვაგონებიდან, როგორ ციოდათ, ბოლოს კი მატარებლი გაჩერდა და ხალხი ჩამოსვეს. ასე აღმოჩნდნენ ისინი შუა აზიის რესპუბლიკებში: უზბეკეთში, ყაზახეთში და ყირგიზეთში გაფანტული.

მესხეთში დარჩენილმა ნათესავებმა, რომლებიც დეპორტაციის მომენტში ადგილზე არ იმყოფებოდნენ ან ჯარში იყვნენ, ან პროდუქტების შესაძენად მეზობელ სოფლებში წასული, ახლობლების კვალი დაკარგეს და მათ წლების განმავლობაში ეძებდნენ. საქართველოში დარჩენილი ნაწილი საცხოვრებლად

სხვა სოფლებში გადავიდა, სადაც ნათესავები ეგულებოდა. ისინი ადგილობრივმა მოსახლეობამ შეიფარა, მაგალითად, გურიაში სოფ. ზოტში, სადაც დღემდე ცხოვრობენ.

შუა აზიაში მუსლიმი მესხების დასახლების ადგილზე, საგანგებო მდგომარეობის გამო, კომენდანტის საათი გამოცხადდა. მათ ადგილობრივ სოფლის საბჭოსთან შეთანხმების გარეშე სოფლიდან და რაიონიდან გადაადგილების უფლებაც კი არ ჰქონდათ. კომენდანტის საათი 1956 წლამდე გაგრძელდა.

წლების განმავლობაში შუა აზიაში მცხოვრები მესხები ცდილობდნენ შეექმნათ მოძრაობა, რომელიც შეძლებდა ზომები მიეღო გადასახლებულთა უკან დასაბრუნებლად. საბოლოოდ, მესხთა რეპატრიაციის პროცესი დაიწყო 1976-77 წლიდან და გარკვეულმა რაოდენობამ საქართველოში დაბრუნება მოახერხა. მესხების ერთი ნაწილი კი, მომავალი რეპატრიაციის იმედით, აზერბაიჯანსა და ყაბარდო-ბალყარეთში დასახლდა.

„აზერბაიჯანი უფრო ახლოს იყო ჩემს ქვეყანასთან და თუ კი იქნებოდა დაბრუნება, აქედან უფრო ადვილად დავბრუნდებოდით“ (64 წლის მამაკაცი მესხი).

ოზურგეთის რაიონში, დაბა ნასაკირალში პირველი მესხი 1977 წელს ჩამოვიდა. საბჭოა ხელისუფლებამ ისინი თავიდანვე უზრუნველყვო სამსახურით. რეპატრირებულები დაასაქმეს ნასაკირალში არსებულ ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. მამაკაცების ნაწილი ტრაქტორზე მუშაობდა, ნაწილი ჩაის ფაბრიკაში, ქალები კი ჩაის კრეფდნენ. თავიდან ყველა ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ე.წ. პირველ რაიონში არსებულ საერთო საცხოვრებლებში ცხოვრობდა. მოგვიანებით, სოფლის ბოლოში, რომელსაც „კუნძულს" უწოდებენ, აუშენეს კერძო სახლები. ისინი ახლადაშენებულ სახლებში ქუჩის ერთ მხარეს ჩასახლდნენ.

წლების განმავლობაში გაფართოებული, მრავალთაობიანი, მრავალშვილიანი მესხური ოჯახები გაიყო. წესების შესაბამისად, ოჯახში უმცროსი ძმა დარჩა, ხოლო სხვა ძმები საცხოვრებლად გადავიდნენ იქვე, მოპირდაპირედ საკუთარი ძალებით აშენებულ სახლებში. ამრიგად, ქუჩის მეორე მხარესაც გაჩნდა საცხოვრებელი სახლები.

ა) რეპარტიანტთა განათლება

სოფელ ნასაკირალში ერთი დაწყებითი და ერთი საშუალო სკოლაა, სადაც მთელი სოფლის ბავშვები სწავლობენ. სოფლის მოსახლეობას შეადგენენ: აჭარლები (მუსლიმი ქართველები), გურულები (მართლმადიდებელი ქართველები) და მუსლიმი მესხები. საშუალო განთლება სოფლის მოსახლისათვის ხელმისაწვდომია. ყველა მუსლიმი მესხის შვილი სწავლობს ქართულ სკოლაში.

სოფელში უმრავლეობას წარმოადგენენ აჭარლები. აღსანიშნავია მათი (აჭარლების) უმრავლესობის გულგრილი დამოკიდებულება სწავლა-განათლების მიმართ, განსაკუთრებით იგრძნობა ამ პრობლემის გენდერული ასპექტი. შესამჩნევია მესხი მამაკაცების ანალოგიური დამოკიდებულება ქალთა განათლების მიმართ. მათ მიაჩნიათ, რომ ქალს არაფერში სჭირდება განათლება რადგან მისი მოვალეობა მხოლოდ ოჯახის, ქმრის მოვლა და ბავშვების აღზრდაა. ამიტომაც ხშირად გოგონები ვერ იღებენ საშუალო განათლებას.

როგორც ნასაკირალის სკოლის დირექტორმა აღნიშნა, არის შემთხვევები, როცა გოგონები მხოლოდ 8 კლასს ამთავრებენ: „მათ უშვებენ სკოლაში 8 წლის განმავლობაში, მიუხედავად კარგი გონებრივი მონაცემებისა და სწავლის გაგრძელების სურვილისა, მათ არ აქვთ უფლება წინააღმდეგობა გაუწიონ მამის(ოჯახის უფროსის) გადაწყვეტილებას, რომელიც თვლის, რომ ქალიშვილისათვის წერა-კითხვის და ანგარიშის ცოდნა საკმარისია და მეტი არც არის საჭირო.“ როგორც სკოლის დირექტორი ამბობს, ამას კიდევ არა უშავს, რადგან არიან ისეთი ოჯახები, სადაც ქალიშვილები მხოლოდ დაწყებით, ანუ მაქსიმუმ 2-3 კლასის, განთლებას იღებენ.

მესხებთან საუბრისას გაირკვა, რომ მათთვის „ნასწავლი“ ქალები მიუღებელია, რადგან „ქალი, რომელიც უმაღლესში ისწავლის, ვერ იქნება პატიოსანი" (69 წლის მამაკაცი, მუსლიმი მესხი). არგუმენტად მოჰყავთ შუა აზიაში მათი ცხოვრების გამოცდილება. როგორც ამბობენ მაშინ ყოფილა შემთხვევები, როცა გოგონები, რომელთაც უმაღლესი განათლება ჰქონდათ არ აღმოჩნდნენ „პატიოსნები.” ასე თვლიან და მორჩა.

მესხებს უჭირთ ქართულ ენაზე მეტყველება, რადგანაც ქართულს ძირითადად სკოლაში კომუნიკაციისთვის იყენებენ და მხოლოდ იქ სწავლობენ. ეს არ ნიშნავს, რომ რუსულად ან სხვა რომელიმე ენაზე გამართულად ლაპარაკობენ. ოჯახში სასაუბრო ენა თურქულია (თურქულის ანატოლიური დიალექტი). ზოგი ქალი მხოლოდ ამ ენაზე ლაპარაკობს, მათ სხვა ენა არ იციან და არც ესმით.

ქალთა განათლების შესახებ აჭარლებიც ანალოგიურ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ. მათთვისაც ოჯახში მთავარი მამაკაცია და, შესაბამისად, ცდილობენ ფინანსური თუ სხვა რესურსები უფრო ვაჟის და არა ქალიშვილის განათლებაზე გამოიყენონ. თუმცა როგორც აჭარლებში, ასევე მესხებშიც არსებობს იშვიათი გამონაკლისი, როდესაც ქალიშვილების განათლების მიცემასაც სათანადო ყურადღება ექცევა. რაც შეეხება გურულებს (ქრისტიან ქართველებს), რომლებიც სოფელში რაოდენობროვად უმცირესობას წარმოადგენენ, მათთვის ეს დამოკიდებულება უცხოა და ყველაფერს აკეთებენ რათა შვილებს (სქესის განურჩევლად) განათლება მისცენ. თვალსაჩინოა ასევე, რომ უმაღლეს განათლებულთა რაოდენობა მესხებში, ადგილობრივ მოსახლეობასთან შედარებით, დაბალია. ამასთანავე პრობლემას ქმნის ისიც, რომ მესხების დასახლებაში ცოტაა ქართული ენის მცოდნე, ვისაც შეუძლია ქართულად განცხადების ან წერილის წერა და მეზობლებისათვის საჭირო დოკუმენტების შედგენა. ესენი არიან ძირითადად ადამიანები, რომელთაც სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი საქართველოში დაამთავრეს.

ბ) ჯანმრთელობის საკითხი

ნასაკირალში წინათ, საბჭოთა პერიოდში, ყოფილა საავადმყოფო, რომლისაგან დღეს გაპარტახებული შენობაა დარჩენილი. ამ შენობის ერთ ნაწილში განთავსებულია ამბულატორია, „პოლიკლინიკა“ (როგორც მას აქ ეძახიან) სადაც კვირაში რამდენიმე დღე რაიონული ცენტრიდან ამოდიან ექიმები და საჭიროების შემთხვევაში მოსახლეობას აქვს ექიმთან ვიზიტის შესაძლებლობა. ამბულატორიაში ხორციელდება ახალშობილთათვის აუცილებელი აცრები. სასწრაფო ოპერაციის ან სხვა გადაუდებელი დახმარების საჭიროებისას

მიმართავენ ოზურგეთის რაიონში მდებარე საავადმყოფოს და, როგორც თვითონ აღნიშნავენ, იღებენ სათანდო დახმარებას.

აღსანიშნავია, რომ „კუნძულზე“ განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაშია ქალთა ჯანმრთელობის საკითხი. კერძოდ, ქალების უმრავლესობა სახლში მშობიარობს, რასაც უსახსრობით ხსნიან. უამრავ გაუგებრობასთან ერთად, რაც ამის გამო თავს იჩენს, ერთ-ერთი პრობლემაა ახალშობილის რეგისტრაციის საკითხიც.

გ) რეპატრიანტთა რეგისტრაციის პრობლემები

მუსლიმ მესხებს განსაკუთრებით აწუხებთ პასპორტთან და საქართველოს მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხები. მაგ., ცაცანიძეების ერთი ძმა (რომელიც ყველაზე გვიან ჩამოვიდა საქართველოში, რადგან დანარჩენი ოჯახის წევრების რეპატრიაციისას ჯარში იყო) დღემდე ძველ გვარზეა (ბექიროვი) დარჩენილი. მაშინ როცა მამამისი, ძმები და ძმიშვილები ყველანი ცაცანიძეები არიან. ასევე სირთულეები წარმოიშვება სხვა ქვეყნის მოქალაქეებზე, კერძოდ აზერბაიჯანში მცხოვრებ მესხებზე, ქორწინებისას. ამ დროს ქორწინების რეგისტრაცია რთულდება და მეუღლეები (ძირითადად ცოლები) საქართველოს მოქალაქეები ვერ ხდებიან. ამის ძირითადი მიზეზი კანონების არცოდნა და ფინანსური სიდუხჭირეა, რადგან პრობლემის მოსაგვარებლად საჭიროა რაიონში ან დედაქალაქში წასვლა, სიტუაციის გარკვევა და ა.შ., რაც მათ ნაკლებად ადარდებთ.

დ) მონაწილეობა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში

ჩამოსახლების დღიდან მესხები ყოველთვის აქტიურად მონაწილეობენ არჩევნებში, ეს მათთვის მოქალაქეობრივი მოვალეობაა. მთხრობელთა ნაამბობის თანახმად, ისინი 1989-91 წლებში აქტიურად იყვნენ ჩართული ეროვნულ მოძრაობაში, ასევე მონაწილეობას იღებდნენ გვარდიის ფორმირებაში, რაც თავიანთ მამულიშვილურ ვალად მიაჩნდათ. პირველ გვარდიელთა შორის ნასაკირალში მცხოვრები რეპატრიანტებიც იყვნენ., ბევრი მათგანი მხარს უჭერდა ზვიად გამსახურდიას, სამოქალაქო ომამადე და შემდეგაც. ნასაკირალიდან წასულ 5 კაციანი ჯგუფში, რომელიც საქართველოს პრეზიდენტს ბუნკერში იცავდა, 3 მესხი იყო. ისინი გვიამბობენ, რომ ზვიად გამსახურდია საქართველოდან გააცილეს და სიამაყით იხსენებენ მასთან მეგობრობას. ხაზს უსვამენ მთავრობის იმ ნდობასაც, რომელიც მესხებს გამოუცხადეს მეტად რთულ პერიოდში.

ე) ეკონომიკური ვითარება

საბჭოთა პერიოდში მესხები ჩაის პლანტაციებში მუშაობდნენ. ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობა, სადაც სხვადასხვა ეროვნების ადამიანები შრომობდნენ, საქართველოში გამორჩეულად შეძლებულად ითვლებოდა. მესხები ცნობილი იყვნენენ თავიანთი შრომისმოყვარეობით და, შესაბამისად, მაღალი შემოსავალიც ჰქონდათ. როგორც ამბობენ, ბედს არ უჩიოდნენენ. იმ პერიოდში ბანკში

შენახული ანაბრები, სამწუხაროდ, როგორც მთელი საქართველოს მოსახლეობამ, მათაც მთლიანად დაკარგეს.
საბჭოთა კავშირის დაშლამ, ისევე როგორც ყველგან, საქართველოში სერიოზული ცვლილება გამოიწვია. ჩაის მეურნეობის განადგურება ნასაკირალის მაცხოვრებელთათვის ძალზე მძიმე აღმოჩნდა. აქ დასაქმებული ხალხი, მათ შორის მესხებიც, უმუშევარი და ბედის ანაბარა დარჩა. ვისაც როგორ შეეძლო ისე ახერხებდა თავის გატანას. პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებში სამუშაოს საშოვნელად და ოჯახის სარჩენად ნათესავებთან წასვლა ძალიან გაძნელდა, რომ არაფერი ვთქვათ მათ მონახულებაზე. უსახსრობის გამო გაჭირდა ტრანსპორტით გადაადგილება ყოფილ საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში. მოგვიანებით ამას დაერთო გზების გადაკეტვა, სავიზო რეჟიმი და ა.შ.

ახლა ნასაკირალში მცხოვრები მესხების ძირითადი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს სეზონური სამუშაოები. თუ ჩაის სეზონია, თურქეთში მიდიან და ჩაის ფაბრიკებში შრომობენ; მანდარინის სეზონზე ადგილობრივ აჭარლებს, რომელთაც ციტრუსების პლანტაციები აქვთ, მიჰყვებიან დაქირავებულ მუშებად. ნაწილი ტრაქტორისტად მუშაობს (შუა აზიაში მიღებული გამოცდილების შესაბამისად), ნაყოფიერი შრომისათვის ზოგიერთ მათგანს ჯილდოც აქვს, რითაც ძლიერ ამაყობენ. სახნავად დადიან მეზობელ სოფლებში, მუშაობენ ასევე შეშის მხერხავებად საკუთარი ბენზოხერხებით („დრუჟბით”), ზოგიერთი მათგანი თბილისში მშენებლობაზეა დასაქმებული, ზოგს თხილის ბაღები აქვს და მოსავალს ბაზარზე ჰყიდის. გაზაფხულზე გამოყავთ პომიდვრის, ბადრიჯნის, კიტრის, ბულგარული წიწაკის ჩითილები, რომელსაც ან ადგილზევე ჰყიდიან (ხალხი თვითონ მოდის, რადგანაც უკვე ყველამ იცის ამის შესახებ) ან ახლომახლო სოფლებში, ან ოზურგეთის ბაზარში მიაქვთ. „რაც ეგენი ჩამოსახლდნენ მას მერე ჩვენ აქ ვყიდულობთ ბულგარულს და ბადრიჯნის ნერგებს...“ (ადგილობრივი მაცხოვერბელი ქალი, 55 წლის)

საკარმიდამო მიწა ნასაკირალში თითქმის ყველას თანაბარი აქვს (0.04 ჰექტარი). .უნდა ითქვას, რომ მესხების ეკონომიკური მდგომარეობა ბევრად არ განსხვავდება ადგილობრივი მოსახლეობის მდგომარეობისაგან, რომლებიც მიწათმოქმედებას (გურულები) ან ძირითადად მესაქონლეობას (აჭარლები) მისდევენ (ჰყავთ ძროხა და აწარმოებენ ყველს). მესხებსაც მათ მსგავსად მოჰყავთ ციტრუსი, კარტოფილი და ამ პროდუქტს ოზურგეთის ბაზარში ყიდიან. ე.წ „კუნძულზე“, კერძო სახლებში, მესხების ერთი ნაწილი ცხოვრობს, მეორე კი – I რაიონში, სადაც უზრუნველყოფილნი არიან საერთო საცხოვრებლით.

რეპატრიანტებს მსუბუქი მანქანები არა ჰყავთ, თუ არ ჩავთვლით ერთ შეძლებულ ოჯახს, რომელიც შედარებით კომფორტულად ცხოვრობს (აქვს გარემონტებული სახლი, მანქანა, კარგი საოჯახო ტექნიკა: ტელევიზორი, მაგნიტოფონი, მაცივარი, მობილური ტელეფონი და ა.შ.) და ყველასგან გამოირჩევა. ოჯახის უფროსი მცირე ბიზნესით არის დაკავებული. ის მატერიალური კეთილდღეობის გარდა, გავლენიან პირად ითვლება არამარტო მესხებში, არამედ სოფლის მთელ მოსახლეობაში.

3) ურთიერთობათა/ სოციალური ბადე

მესხებს შორის სოციალური ურთიერთობების თავისებურება, პირველ რიგში, „მესხურ“ წარმოშობასთან არის დაკავშირებული. კერძოდ, ნასაკირალში მცხოვრები მესხები დახურულ საზოგადოებას წარმოადგენენ. მართალია თვითონ საკუთარ თემს გახსნილ საზოგადოებად თვლიან, მაგრამ ნასაკირალის სხვა მცხოვრებლები და მეზობელი სოფლის მკვიდრები მათ ჩაკეტილობას ხაზგასმით აღნიშნავენ. მესხები ძირითადად ერთმანეთში ახლობლობენ და ურთიერთოებენ. ერთმანეთთან აქტიური კომუნიკაცია აქვთ ნასაკირალის პირველ რაიონში („ბირინჯი რაიონში“) და „კუნძულზე“ მცხოვრებ მესხებს, ხოლო სოფლის გარეთ – სამტრედიის რაიონის სოფელ იანეთის მე-9 უბანსა (სადაც მეოცე საუკუნის 80 იან წლებში რეპარტირებული მესხების მეორე ნაწილია ჩასახლებული) და ოზურგეთის რაიონის სოფელ ნარუჯაში მცხოვრებ რეპატრიანტებთან. ნათესაური კავშირებიც მხოლოდ ამ წრეში ტრიალებს. ანუ, თუ ქალიშვილს ათხოვებენ ან რძალი მოჰყავთ, აუცილებლად მესხი უნდა იყოს. ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ სარძლოს ან სასიძოს წარმომავლობს. მათთვის მნიშველოვანია მომავლი ნათესავის წარმოშობის ადგილი, ე.ი. სოფელი, საიდანაც 1944 წელს გადაასახლეს მათი წინაპრები.
ნასაკირალში მცხოვრები რეპატრიანტები წარმოშობით არიან სამცხე-ჯავახეთის შემდეგი სოფლებიდან: აბასთუმანი, კეხვანი, ორფოლა, ოშორა ღავღე. ეს სოფლები, რომლებიც უმეტესობას თვალით არ უნახავთ და მხოლოდ მშობლებისა და ბებია - ბაბუების მიერ მოთხრობილი ამბებით იციან, მათთვის სარკარული მნიშველობის მქონეა. ყველა მთგანმა იცის, რომელი სოფლიდან გამოსულ ოჯახებს არ უნდა დაუკავშირდეს საქორწინო კავშირით. წესები, რომელიც წინა საუკუნეში მოქმედებდა, მოდიფიცირებულადაა შენარჩუნებული დღევანდელ რეალობაში. მესხებთან საუბრებიდან ირკვევა, რომ ამგვარი ვითარება თანაბრად ახასიათებს როგორც საქართველოში რეპატრირებულ, ისე სხვა ქვეყნებში (აზერბაიჯანი, ყირგიზეთი ყაზახეთი და ახლა უკვე ამერიკის შეერთებულ შტატებში) მცხოვრებ მესხებს. ნასაკირალში შუა აზიიდან სტუმრად ჩამოსულმა ახალგაზრდა მამაკაცებმა თქვეს, რომ მათთვის, უზბეკეთში მცხოვრები მესხებისათვის, რომელთაც თვალით არ უნახიათ საქართველო და მხოლოდ უფროსების გადმოცემით გაუგიათ მესხეთის არსებობა, ოჯახის შექმნის დროს მნიშვნელოვანია, რომელი სოფლიდან იქნება წარმოშობით საცოლე. ამაში დიდ როლს თამაშობს ბებია-ბაბუების რჩევა. მათ ზუსტად იციან მესხეთის სოფლები. რჩევის მიცემისას აუცილებლად ითვალისწინებენ მესხეთის რომელი რაიონიდან ან სოფლიდან იყვნენ ვაჟის თუ ქალის წინაპრები და ამის მიხედვით არკვევენ, ღირს თუ არა ოჯახის შექმნისას კონკრეტულ ადამიანთან ბედის დაკავშირება.

ზ) ქორწინება

მესხებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქორწინო ურთიერთობის ტრადიციული ინსტიტუტი. ამ დროს ფუნქციონირებს ქორწინებასთან დაკავშირებული უამრავი დაუწერელი ნორმა. ითვალისწინებენ გადმოცემებს, რომლებიც ამ თემს მესხეთიდან „მოაქვს“ და გარკვეულ რიტუალთან არის დაკავშირებული. ხშირად ერთმანეშია შერეული ქრისტიანული და მუსლიმური წეს-ჩვეულება.

წინამდებარე კვლევის ფარგლებში მოპოვებული საველე მასალის მიხედვით მესხურ ქორწინებაში გადამწყვეტი როლი სადედამთილოს ეკუთვნის. მას უნდა მოეწონოს სარძლო. სხვა შემთხვევაში ქორწინებას ჩაშლა ემუქრება. საინტერსო პროცესია საპატარძლოს შერჩევა ეს ინიციატივა სასიძოს დედისაგან მოდის, რომლიც მეუღლესთან მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვეტს, რომ მათი ვაჟი უკვე საქორწილო ასაკშია და დროა იზრუნონ მის დაოჯახებაზე, შეარჩევენ სარძლოსაც. სადედამთილოს მიერ მოწონებული გოგოს შესახებ მშობლები (ძირითადად დედა) აცნობებენ საკუთარ ვაჟს.

როცა ვაჟს მოსწონს გოგო, მან აუცილებლად უნდა უთხრას და აჩვენოს ის დედას და ქორწინება, ასეთი შემთხვევების უმეტესობაში, სწორედ სადედამთილოზეა დამოკიდებული. თუ წყვილი სავალდებულო კრიტერიუმებს აკმაყოფილებს (წარმოშობის ადგილი, ოჯახისშვილობა, მატერიალური მდგომარეობა და ა.შ,) საქორწინო ციკლის ტრადიციული პროცედურა გრძელდება, მაგრამ თუ სარძლომ კრიტერიუმები ვერ დაკმაყოფილა, ვაჟი დედის ნებას ემორჩილება და ქალზე უარს ამბობს. რძალი და დედამთილი მთელი დღის განმავლობაში სახლში ერთად არიან და დედამთილს თუ არ მოსწონს, მათი ურთიერთობა ვერ აეწყობა. მთავარია დედაჩემს მოეწონოს, მე მთელი დღე და ზოგჯერ სეზონი გასული ვარ სახლიდან, სახლში მხოლოდ ქალები არიან, თუ ისინი ერთმანეთს გაუგებენ და შეეგუებიან, ამას რა ჯობია, მეც კმაყოფილი ვარ და ოჯახიც“(24 წლის მესხი მამაკაცი)

როგორც მესხები ამბობენ, ძველად შესაძლებელი იყო ახალგაზრდა კაცი ისე დაენიშნათ, რომ თვითონ არც სცოდნოდა ამის შესახებ და წარმოდგენაც არ ჰქონოდა მასზე, ვისთანაც მთელი ცხოვრება უნდა გაეტარებინა. ქორწინებას ოჯახი წყვეტდა, იგი ცდილობდა თავისი შესაფერი სარძლო მოეძებნა როგორც მატერიალური შესაძლებლობის, ასევე წარმოშობის მხრივ. მოგვიანებით, საბჭოთა ხელისუფლების დროს, ამგვარი დამოკიდებულება ოდნავ შეიცვალა, მაგრამ ქორწინებისას საბოლოო სიტყვა მაინც უფროსებს ეკუთვნოდა.

ნასაკირალში მცხოვრები მესხები ცოლის შერთვისას აუცილებლად თვლიან, რომ საცოლე მესხი იყოს, რათა მათი ენა იცოდეს (თურქულის ანატოლიური დიალექტი), რადგან. „სახლში ქალები მარტო არიან, მთელი დღე და ხომ უნდა ილაპარაკონ?“ (35 წლის მესხი მამაკაცი)

ტრადიციულად საქორწილო ციკლი ნიშნობით იწყება. ვაჟის მხარე გოგონას ოჯახს უგზავნის „ელჩებს” (შუამავლებს). ამ პროცესში აუცილებელია მათ შორის მცხოვრები, ყველასგან მიღებული და პატივსაცემი პიროვნების მონაწილეობა. თუკი გოგოს მშობლები იღებენ შემოთავაზებას, ელჩებს ასმევენ შერბეთს, ხოლო ელჩი სიმბოლურად ფულს დებს იმ ჭიქაში, საიდანაც შერბეთი შესვა, რაც ნიშნავს, რომ ნიშნობა შედგება. ნიშნობის რიტუალზე სამამამთილო საპატარძლოს აძლევს ოქროს სამკაულს, აქვე ნიშნავენ ქორწილის დღეს. საკითხის გადაწყვეტაში მონაწილეობენ ოჯახის უფროსები (ხანდაზმული მამაკაცი, მამა ან ბაბუა). მესხურ ოჯახში ძალაუფლება ნაწილდება და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობენ ხანდაზმული ქალებიც: ოჯახის უფროსის მეუღლე, ბებია, უფროსი რძალი და სხვ. ქალიშვილის გათხოვების საქმეში საბოლოო სიტყვა მამამისს ეკუთვნოდა. ბოლო დროს საკუთარი ბედის გადაწყვეტაში მეტ-ნაკლებად მონაწილეობენ გოგონებიც. ოზურგეთში მცხოვრები მესხები ძირითადად ითვალისწინებენ მათ აზრს ქორწინებაზე (თუმცა გვხვდება საპირისპირო შემთხვევებიც), რაც წინათ

წარმოუდგენელი იყო, რადგან, გათხოვებას და საქმროს შერჩევის საკითხს წყვეტდა ოჯახი, ხოლო ქალს უსიტყვოდ უნდა შეესრულებინა ოჯახის ნება. დღეს გვხვდება შემთხვევები, როდესაც ახალგაზარდები თვითონ წყვეტენ დაქორწინებას და მშობლებს შემდეგ აყენებენ საქმის კურსში. ჩვენი მუშაობის დროს (2004 წ.) გამოვლინდა, რომ მესხების საზოგადოებაში ნაკლებად ფიქრობდნენ გოგონების სწავლის გაგრძლებაზე ან სამსახურის შოვნაზე და ძირითადად მათ დროულად „გათხოვებაზე“ იყვნენ ორიენტირებული.

საქორწილო კავშირები ძირითადად მყარდება ოზურგეთსა და იანეთის მესხებს შორის (ზოგჯერ პრეტენდენტს ქვეყნის გარეთ აზერბაიჯანში, ყირგიზეთში და ა.შ. შეარჩევენ ხოლმე). ახაკლგაზრდა გოგონების სანათესაოსთვის წარდგენა ქორწილებზე ან დაკრძალვებზე საუკეთესო მეთოდად ითვლება იმისთვის, რათა სადედამთილოებმა სარძლოები „შეათვალიერონ.“ გვხვდება შემთხვევები, როდესაც ქალიშვილები ასეთი წარდგენით გაათხოვეს მესხებზე, რომლებიც სხვა ქვეყნებში ცხოვრობდნენ, ასევე ჰყავთ სხვა ქვეყნებიდან (ძირითადად აზერბაიჯანიდან) ჩამოყვანილი რამდენიმე რძალი..

ნასაკირალში მცხოვრები მესხები ერიდებიან აღიარებას, მაგრამ გვხვდება ნათესავებს შორის ქორწინების იშვიათი შემთხვევა: მაგ., ძმებს ცოლებად მოჰყავთ დები. როგორც ითქვა, საქორწინო ურთიერთობები უფრო ხშირია ნასაკირალსა და იანეთის მე-9 უბანში მცხოვრებ მესხებს შორის, რადგან ძალიან ერიდებიან შერეულ (არამესხთან) დაქორწინებას, იყო რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ახალგაზრდა არამესხზე დაქორწინდა, რაც ოჯახმა ძალიან მძიმედ განიცადა და ახლადშექმნილ ოჯახთან ურთიერთობის აღდგენისათვის წლები დასჭირდა. საინტერესოა, რომ ამგვარი, „შერეული“ ქორწინება უფრო ქრისტიანებთან ფიქსირდება, ვიდრე ერთმორწმუნე სუნიტ აჭარლებთან.

ოზურგეთის მესხურ საზოგადოებაში უფროსისა და უმცროსის დამოკიდებულება ტრადიციულია. უმცროსს არ აქვს უფლება წინააღმდეგობა გაუწიოს უფროსის გადაწყვეტილებას. უმცროსი არა თუ გაპროტესტებას, საკუთარი აზრის გამოთქმასაც კი ერიდება, როდესაც უფროსი ლაპარაკობს. ყველაზე „უუფლებო” ოჯახში ახალგაზრდა რძალია. მის მოვალეობაში შედის მოემსახუროს ოჯახის ყველა წევრს, მისი შესასრულებელია საოჯახო საქმეები. დედამთილი წარმოადგენს პროცესის მმართველს, აკონტროლებს ყველაფერს და შენიშვნებს აძლევს საჭიროების შემთხვევაში. რძალი ყველაფერს აკეთებს უხმოდ ყოველგვარი პროტესტის გარეშე, ასეა მიღებული. მას არა აქვს უფლება ელაპარაკოს მამამთილს, საუბარი, თუ ეს აუცილებელია, შუამავალი დედამთლის საშუალებით ხორციელდება (თუმცა ეს მხოლოდ ზოგიერთ ოჯახში შეიმჩნევა).

საინტერესოა, რომ ოზურგეთში მცოხვრებ ოჯახებში, როცა შვილები ავადმყოფობენ, მამები ბევრად უფრო აქტიურები არიან მათი მკურნალობის და ექიმთან ვიზიტის დროს. იქ ყოფნისას ჩემი მასპინძლის ქალიშვილმა ძალიან იავადმყოფა, ჰქონდა მაღალი სიცხეები. მამა წასული იყო საქმეზე სხვა სოფელში და მის ჩამოსვლამდე წამალიც არ მიუცია ვინმეს. მამა 3 დღის მერე ჩამოვიდა, წამლებიც დაალევინა და ექიმთანაც წაიყვანა. როგორც ადგილობრივი მესხები მიყვებოდნენ, 4 წლის წინ ერთ-ერთმა ახალგაზრდამ ძლიერ იავადმყოფა, თბილისში საავადმყოფოში მასაც მამა პატრონობდა.

ალბათ ეს ენის არცოდნის გამოა, დედებმა ქართული არ იციან, ან მათი განათლების დაბალი დონის გამო, ნაკლებად ესმით ავადმყოფის მოუვლელობის შედეგები.

ტრადიციული სოციალური ურთიერთობები დღემდე გრძელდება, თუმცა გარკვეული ცვლილებები შეიმჩნევა. ადრე თურმე სირცხვილად ითვლებოდა, თუკი მამის თანდასწრებით ვაჟი საკუთარ შვილს ხელში აიყვანდა. მიაჩნდათ, რომ ამით მამას ამცირებდა, პატივს არ სცემდა. მამის თანდასწრებით სიგარეტის მოწევაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. როცა უფროსები საუბრობენ, უმცროსები პოლემიკაში არ ერთვებიან. ამ საზოგადოებაში ძალიან მიუღებლად ითვლება ამგვარ საუბარში ქალის ჩართვა. როგორც წესი ამ დასახლებაში თავყრილობებზე მამაკაცები და ქალები სხვადასხვა ოთახებში სხდებიან.

ნასაკირალში მცხოვრები მესხების უმრავლესობა ერთმანეთთში საქორწინო ურთიერთობით არის დაკავშირებული. მაგალითად ერთი ოჯახის და-ძმები მეორე ოჯახის და-ძმების მეუღლეები არიან.ასე რომ, „კუნძული“ წარმოადგენს ნათესაურ დასახლებას, სადაც თითქმის ყველა ოჯახი ერთმანეთის ნათესავია.

თ) ქორწილი „კუნძულზე“

დანიშვნის პროცედურის ჩატარების შემდეგ არსებობს გარკვეული წესები, რომელიც საპატარძლომ უნდა დაიცვას. მაგ., თუ მანამდე ის თავსაფარს არ ატარებდა (ან შეეძლო სხვადასხვა ფერის თავსაფარი გამოეყენებინა) ნიშნობის შემდეგ მას სხვებისაგან გამორჩეული წითელი თავსაბური ახურავს, რომელიც გათხოვების შემდეგ დაახლოებით ერთი წლის მანძილზე თეთრი ფერის თავსაფრით იცვლება (რაც მიანიშნებს, რომ იგი ახალი რძალია). ნიშნობისას დედამთილი სარძლოს ოქროს მედალიონს, „მაჯარს” ჩუქნის. როგორც მესხები ამბობენ, ეს არის ოქროს მონეტა ავსტრიის მეფის გამოსახულებით. ეს ტრადიცია მესხეთიდან მათ მოჰყვებათ მას გადასახლებაშიც ინარჩუნებდნენ და ახლაც აგრძელებენ. ამ საკითხზე საუბრისას ფოტოსურათზე მაჩვენეს „კათხა” (დედოფლის თავსაბური) რომელზეც ოქროს მედალიონები („მუჰამედი”) ეკიდა. მუჰამედი უფრო მცირე ზომის ოქროს მონეტაა, რომელიც ქორწინების რიტუალზე პატარძალს აუცილებდად უნდა ჰქონდეს კათხაზე შებმული.

ქორწილი დიდი და აუცილებელი ღონისძიებაა. დაპატიჟებული სტუმრები და ნათესავები ერთი კვირის განმავლობაში ჩამოდიან სხვადასხვა ქვეყნებიდან. აქ მცხოვრებ ნათესავებში მათი მიღება და განაწილება ცალკე საქმიანობაა.

ნასაკირალში ყოფნის პერიოდში მომიხდა მესხურ ქორწილში „მაყრად“ ყოფნა. რადგან უამრავ კითხვას ვსვამდი, პატივი დამდეს და მრავალი წესი თუ რიტუალი გამიზიარეს და ამ პროცესშიც ჩამრთეს. ნასაკირალში მცხოვრებ მესხს ცოლად მოჰყავდა ჩემს ჩასვლამდე დანიშნული იანეთელი მესხი გოგონა.

ქორწილის დღეს მოვიდა დაქირავებული ავტობუსი, რომლითაც მუსიკოსებთან, სიძის ნათესავებთან და მეზობელ ქალებთან ერთად წავედით პატარძლის წამოსაყვანად. წესის მიხედვით, სიძე სახლში რჩება და იქ ელოდება პატარძალს. ამ შემთხვევაში წესიდან გადაუხვიეს, რადგან ქორწილი იმავე დღეს არ მთავრდებოდა, სიძე სახლში აღარ დატოვეს და მან ჩვენთან ერთად იმგზავრა. როგორც შემდეგ მიამბეს, ჩვეულებრივ ქალის და ვაჟის ქორწილი ერთ დღეს იმართება და ამიტომ სიძე საღამოს თავის სახლში ელოდება პატარძალს. ჩვენს შემთხვევაში კი ქორწილი 2 დღე გაგრძელდა და ის ღამე პატარძალთან, მის ნათესავებში, სტუმრად დავრჩით.

მესხები წითელ ფერს განსაკუთრებულ დატვირთვას ანიჭებენ, ქორწილში აუცილებლია ჭრელი წინდები და თავშალიც, ამიტომ ჩვენი ავტობუსი

მორთულია წითელი ფერებით, თანამგზავრ ქალებს კი ძალიან ჭრელი სამოსი აცვიათ. „ქორწილში უნდა გეცვას ტანსაცმელი მხიარული ფერებით, ისე კი არა როგორც ქართველებმა იციან ჩაშავებული." (35 წლის მესხი ქალი). ყველას თან ჰქონდა საჩუქარი. აუცილებელია წითელი ყვავილებიც.

საპატარძლოს სახლთან მიახლოვებისას მუსიკოსები იწყებენ დაკვრას და საერთო მხიარულებით ხვდებიან ავტობუსით მოსულ სტუმრებს. შემდეგ იწყება საჩუქრების ამოლაგება. ამ პროცედურის ორი ვარიანტი არსებობს. ერთი, როცა საჩუქრების ამოლაგება ეზოში, საქვეყნოდ, ყველას დასანახად მიმდინარეობს და მეორე, რომელსაც მე დავესწარი, ე.წ. ბაქოს ვარიანტი (ბაქოში მცხოვრები მესხები ასე ასრულებენ ამ რიტუალს). სიძე-პატარძლის ნათესავი ქალები იკრიბებიან ერთ ოთახში და საჩუქრებს ამოალაგებენ. ოთახი გაწყობილია ფარდაგებზე დადებული ბალიშებით. ქალები ძირს სხდებიან, ელოდებიან პატარძლის შემოსვლას. ოთახში შემოსული ქალები, „ხოშ გელდის“ ძახილით ერთმანეთს ხელისგულებს იდაყვებზე უთათუნენენ. თუ ოთახში ასაკით უფროსი ქალი შემოდის მისალმების დროს ყველანი ფეხზე დგებიან. პატარძალი თეთრ საქორწილო კაბაშია გამოწყობილი, თავზე „კათხა” (ჩიხტიკოპის მსგავსი თავსაბური) ადგას. იგი თეთრ თავშალგადაფარებულ "იანგესთან“ (გოგოს ნათესავი ქალი, რომელიც მას კარნახობს ქცევის წესებს, ანიშნებს რა როგორ გააკეთოს) ერთად შემოდის და კუთხეში დგება. მისი სახე არ ჩანს, ხელებზე გადაფარებული აქვს „თამამ" (ნაქარგებიანი ნაჭერი). პატარძალი მადლობას ხელების თამაშით და ოდნავი ჩაჯდომით გამოხატავს. საჩუქრების ამოლაგების პროცედურას ბიჭის ნათესავი იწყებს. იგი თავიანთ ენაზე ასახელებს საჩუქრის მომტანს და საჩუქრის სახელწოდებას, არა აქვს მნიშვნელობა ეს ოქროს სამკაული იქნება, თუ ქალის თეთრეული. ჯერ ნათესავების საჩუქრებს ამოლაგებენ ჩემოდნებიდან, შემდეგ ჯერი მიდგება სტუმრების და მეზობლების საჩუქრებზე. თითოეულ საჩუქარს თან ახლავს წითელი ყვავილები. ამ პროცესს ყველა მსურველი ქალი ესწრება, სტუმარიც და მასპინძელიც. აუცილებელია ყველა საჩუქარი გაიხსნას და გამოცხადდეს. ბოლოს პატარძლის დედა სტუმრებს ჩუქნის ქინძისთავებს, რომელიც საჩუქრებს შორის დევს, ეს ბარაქისთვის არის კარგიო. შემდეგ სხდებიან საქორწილო სუფრასთან. სეფა გაშლილია ეზოში, ნეფე-დედოფლის ადგილი სადღესასწაულოდაა მორთული. იანეთში სუფრა გაწყობილია იმერულ ყაიდაზე, 200 ადამიანზე, ქართულ ტრადიციულ საკვებთან ერთად არის შუა აზიური “ფლოვიც”. ინიშნება თამადა რომელიც ადგილობრივია და იწყება ქორწილი. ისმის აზიური მუსიკა, შემოჰყავთ სიძე-პატარძალი. რამოდენიმე სადღეგრძელოს შემდეგ იწყება ცეკვები, რომელიც გათენებამდე გრძელდება. მოგვიანებით, როცა სიძე-პატარძალი სეფას ტოვებს, გოგოს მამა მათ, ახლო ნათესაურ წრეში, თავიანთ ენაზე ლოცავს. აქ სრულდება კიდევ ერთი რიტუალი, მოაქვთ წითელ ლენტზე მობმული საქორწინო ბეჭდები, რომელსაც ახალდაქორწინებულები თითზე ირგებენ, შემდეგ მეჯვარე ლენტს მაკრატლით ჭრის.

. ჩვენ ქორწილის მეორე დღეს დავბრუნდით ნასაკირალში და რიტუალიც გაგრძლედა. მამამთილს ან მისი ოჯახის უფროს წევრს, იქნება ეს ბაბუა, ბიძა თუ უფროსო ძმა (ამ ქორწილში რიტუალი მამამთილის უფროსმა ძმამ შეასრულა), პატარძალი სახლში მიჰყავს. სიძე მათ სახლში დახვდება და მოსულ პატარძალს და სტუმრებს კანფეტებს შეაყრის; მიეგებება დედემთილიც თავშალზე დადებული თეფშით, რომელსაც პატარძალი ამტვრევს. დედამთილი

ახვევს თავშალში თეფშის ნატეხებს და ინახავს. შემდეგ მამამთილს პატარძალი შეჰყავს ოჯახში, შესასვლელთან მათ მეჯვარე გოგონა ან მული შეეგებება თაფლიანი ჭურჭლით. პატარძალს თავზე გადაფარებული აქვს თეთრი და წითელი თავშალი, მას გვერდზე ნათესავი ქალი მიჰყვება, რომელიც წესებს კარნახობს. პატარძალი თაფლში ამოუსვამს ხელს და სამჯერ წაუსვამს სახლის ზღურბლს (ოჯახში სიტკბოება რომ შეიტანოს). შემდეგი პროცედურაა სახლში პატარძლის თავზე დანების ერთამანეთზე გასმის რიტუალი, რომლის დროსაც დედამთილი ხმამაღლა ამბობს, რომ ის ენას ძირში ჭრის რძალს, ენა უნდა დაუმოკლოს მას (უსიამოვნება რომ არ ჰქონდეთ და დედამთილს ენა არ არ შეუბრუნოს). ოჯახში შემოსვლის შემდეგ პატარძალს ქამრით მუცელზე შემოახვევენ პურებს („ლეპიოშკებს“) ოჯახის სიმყარისათვის, ჩაუყრიან ბრინჯს-ოჯახის ბარაქისათვის და დედამთილი ლოცავს. მამამთილი კი ეუბნება, რომ რაც მას აქვს უძრავ-მოძრავი ქონება ყველაფერი მისი საკუთრებაა (არა აქვს მნიშვნელობა რამდენი ვაჟი ჰყავს და მერამდენე რძალია, ყველას ასე ეუბნებიან). ამის შემდეგ პატარძალი მიჰყავთ სიძესთან და მოხსნიან თავშალს.

ხსენებული ცერემონიალების ჩატარებას მოსდევს საქორწილო სუფრა, რომელიც სეფაშია გაშლილი 150 კაცზე. ქალები და მამაკაცები ცალცალკე მაგიდასთან სხდებიან. საჭმელები ძირითადად ადგილობრივია, გურული. თამადას აქაც ქართული წესით ირჩევენ, რამდენიმე სადღეგრძელოს მერე იწყება ცეკვები. განსხვავებით იანეთისაგან, აქ არის გამოცხადებით ცეკვა, ანუ წინასწარ ხდება რიგში ჩაწერა. იწერება სია, ვინ რა ცეკვას იცეკვებს, ამას არეგულირებს ერთი ადამიანი. აქ, იქაურობისაგან განსხვავებით იკვრება წრე, სხდებიან ადამიანები ამ წრეში და ტკბებიან ცეკვებით „დიჯეი” აცხადებს: „ცეკვავენ ოშორელი ქალები, კეხვანელი ახალგაზრდები" და ა.შ. ამით კიდევ ერთხელ ხაზს უსვამენ თავიანთ წარმოშობას. ცეკვავენ, როგორც თვითონ ამბობენ, მესხურ ცეკვებს, რომელთა ნაწილი რაღაცით ჰგავს ქართულს.

ეს განსაკუთრებით ითქმის ცეკვაზე, რომელსაც „ბარი” ჰქვია. მას ქორწილის ბოლოს ცეკვავენ მამაკაცები და შესაძლებელია ქალებიც (მხოლოდ ცალკე) „ბარი“ წააგავს „ხორუმს” (თუმცა ზოგიერთმა მესხმა საუბარში აღნიშნა, რომ ეს ქურთების ნაციონალური ცეკვაა.). „ბარს” ცეკვავენ როგორც გოგოსთან ასევე ვაჟთანაც და ის საქორწილო ცეკვების მნიშვნელოვან ნაწილად ითვლება.

სიძის ოჯახში სამი დღის განმავლობაში რჩება გოგოს ნათესავი ქალი, „იანგი.” მისი ფუნქციაა პატარძალი „ქალიშვილი” ჩააბაროს სიძეს და მის ოჯახს (წინათ იგი ქალიშვილობის „დამადასტურებელ საბუთს” უჩვენებდა ბიჭის ნათესავ ქალს, რათა შემდგომში რაიმე მითქმა-მოთქმას არა ჰქონოდა ადგილი). 3 დღის შემდეგ „იანგს“ სიზე თავის სახლში აბრუნებს (ჩვენს შემთხვევაში იანეთში). ათი დღის ან ორი კვირის შემდეგ გოგოს მშობლები, ახლო ნათესავებთან ერთად, ქალიშვილის სანახავად სიძესთან მიდიან სტუმრად, მოაქვთ მზითევი და საჩუქრები, იმართება წვეულება, სადაც დაპატიჟებული არიან სიძის ახლო მეზობლები. სუფრა იშლება ორ ოთახში. ერთ ოთახში არიან მამაკაცები, ხოლო მეორეში ქალები. ქალები სადილის შემდეგ მაგიდებისაგან ანთავისუფლებენ ადგილს, რათა ახლა გოგოს ნათესავების მერ მოტანილი საჩუქრების აფიშირება მოხდეს. გამოაცხადებენ ცალკე მზითევის და ცალკე მშობლებთან ერთად მოსული ნათესავების მიერ მოტანილი საჩუქრებს. გოგოს მშობლებს მოაქვთ საჩუქრები მძახლებისთვისაც. ესეც აფიშირებულია, ამ

პროცედურის ბოლოს დედამთილი ყველა სტუმარს ურიგებს საჩუქრად ფერად წინდებს, რომელიც სპეციალურად ასეთი შემთხვევისათვის არის შეძენილი.

ი) მეგობრობა

მესხებს ადგილობრივ მოსახლეობასთან ძირითადად საქმიანი ურთიერთობა აქვთ. საუბარში ამბობენ, რომ ბევრი მეგობარი ჰყავთ. ჰყავდათ იქაც, სადაც საქართველოში ჩამოსვლამდე ცხოვრობდნენ და აქაც, სადაც მუშაობდნენ. ახლა მისვლა-მოსვლა გაძნელდა და ამიტომ ვეღარ ურთიერთობენ. ამ კუთხეში მათი მეგობრები, როგორც თვითონ ნასაკირალელი მესხები ამბობენ, უმთავრესად არიან გურულები მეზობელი სოფელ ბაილეთიდან. სოფ. ბაილეთში ჩვენი სტუმრობისას გაირკვა, რომ რეპატრიანტებთან მათი კონტაქტები ძირითადად მესაქონლეობასთან ან ნადირობასთან არის დაკავშირებული, თუმცა ასეთი ადამიანებიც, შეიძლება ითქვას, თითზე ჩამოსათვლელია. იშვიათია შემთხვევა, როდესაც ერთმანეთს ქორწილში ეპატიჟებიან. რაც შეეხება მისამძიმრებას, ნაცნობები მესხებთან საკუთარი ინიციატივით მიდიან და, ქრისტიანული წესის შესაბამისად, სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ზემოხსენებულ, საკმაოდ ხალხმრავალ, ქორწილში მესხების გარდა მოწვეულნი იყვნენ ოჯახის უფროსის საქმიანი პარტნიორები ბათუმიდან, თურქეთიდან და იქვე ახლოს მცხოვრები 3-4 აჭარელი მეზობელი (ზოგიერთი არც მოსულა). ძირითადად კი სტუმრები იყვნენ საქართველოში და ქვეყნის გარეთ მცხოვრები მესხები: ახლო ნათესავები რუსეთიდან, ყაბარდო-ბალყარეთიდან და აზერბაიჯანიდან.

ნასაკირალში მცხოვრები მესხებისათვის მთავარი ღირებულებაა ოჯახი, შემდგომ ნათესავები, შემდგომ თანასოფლელები და სხვა ქვეყნებში მცხოვრები მესხები. კონტაქტები საზღვარგარეთ მცხოვრებ ნათესავებთან ხორციელდება ტელეფონით. ნასაკირალში მცხოვრებ ყველა მესხს ჰყავს ახლო ნათესავი საზღვარგარეთ: და, ძმა, შვილი (გათხოვილი ქალიშვილი) ან მშობლები. წინათ მათ შესაძლებლობა ჰქონდათ მოენახულებინათ ისინი, ახლა უსახსრობა უშლით ხელს. თუმცა, ამის მიუხედავად, საჭიროების შემთხვევაში მაინც ახერხებენ ქორწილში (ჩემი იქ ყოფნის პერიოდში, ერთერთ ყველაზე ადრე რეპატრირებულ მესხს შვილიშვილის ქორწილი ჰქონდა ბაქოში, მან და მისმა შვილებმა, რომელთა ნაწილი თბილისში ცხოვრობს და მუშაობს, ყველაფერი იღონეს, რომ მამა იქ წაეყვანათ და თვითონაც წასულიყვნენ) ან ახლო ნათესავის დაკრძალვზე (ასევე ჩემი იქ ყოფნის პერიოდში გარდაიცვალა ახალგაზრდა ბიჭი იანეთში, მისი ნათესავები, სადაც ხმა მიაწვდინეს ჩამოვიდნენ) წასვლას. უცხოეთში მცხოვრები ახლობლების ამბებს დიდი ინტერესით ეკითხებიან სხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ დეპორტირებულებსაც. მე თვითონ შევესწარი ყაბარდო-ბალყარეთიდან ჩამოსულ სტუმართან ნათესავების შესახებ ინფორმაციის მიღების პროცესს. მართალია, არ მესმოდა რაზე ლაპარაკობდნენ, მაგრამ შემდეგ გავარკვიე, რომ ერთერთმა უხუცესმა ქალმა იკითხა რომელი სოფლიდან გასახლებული ადამიანები ცხოვრობდნენ სტუმრის სოფელში. შემდეგ თავისი სოფელი ახსენა და გაარკვია, ვინ ცხოვრობდა მისი ნათესავებიდან იქ და როგორ იყვნენ ახლა, თანაც მოკითხვა დააბარა მათთან. მართალია, ამ ხალხისგან ზოგი დიდი ხნის წინ გარდაცვლილი აღმოჩნდა, მაგრამ ახალგაზრდა სტუმარმა მაინც დაწვრილებით იცოდა ამბები მათი მონაგარის შესახებ.

კ) ინდივიდუალურობა და რელიგია

ნასაკირალში მცხოვრები მესხების ღირებულებათა სისტემაში რელიგიას წამყვანი ადგილი უჭირავს. იგი მნიშვნელოვანი ფაქტორია ნებისმიერი ურთიერთობების დროს, განსაკუთრებით კი ქორწინებისას. „შენი პერანგი უფრო ახლოსაა სხეულთან, ვიდრე სხვისი“ – ამბობენ ისინი.

ნასაკირალის მოსახლეობის უმრავლესობა აჭარლები, ე.ი მუსლიმები არიან, სოფელში არის სალოცავი, ჯამე, სადაც პარასკევობით მესხების ნაწილიც დადის ლოცვაზე. მუსლიმებს სოფელში აქვთ დიდი სასაფლაო, სადაც რეპატრიანტებისათვის ცალკე ადგილი არის გამოყოფილი. მესხთა საფლავები შემოღობილი არაა, მხოლოდ ბეტონითაა ერთმანეთისაგან გამოყოფილი, რითაც აჭარლების სასაფლაოებისაგან განსხვავდება.

მუსლიმი მესხები ცდილობენ ზედმიწევნით დაიცვან ნორმები, რომელიც ისლამით არის გათვალისწინებული. ეს ჩანს დაკრძალვის წესშიც. მაგ., ადამიანი თუ საღამოს გარდაიცვალა, მზის ამოსვლამდე უნდა დასაფლავდეს, თუ დილით – მზის ჩასვლამდე. მიცვალებულს ხოჯა აპატიოსნებს. მას 7 მეტრ მიტკალში ახვევენ და შემდეგ სასაფლაოზე მიასვენებენ. ამ პროცესიას ქალები არ ესწრებიან (სასაფლაოზე ქალის ყოფნა აკრძალულია ისინი არც ჯამეში დადიან). ზოგჯერ, როდესაც ახლო ნათესავს ელოდებიან, მიცვალებულის დაკრძალას 2-3 დღით გადაწევენ ხოლმე, თუმცა ამას ერიდებიან, რადგან ითვლება, რომ „მიცვალებული წუხდება“. დასაფლავებიდან სამი დღის განამვლობაში რეცხენ მიცვალებულის ტანსაცმელს, ეს აუცილებელ პროცედურად ითვლება. მეშვიდე დღეს იკრიბებიან ახლობლები, აკეთებენ ხალვას (ნასაკირალისა და იანეთის მესხებში ეს ხოჯას მოვალეობად ითვლება). ხალვის დამზადების წესი ასეთია: 2 კილოგრამი კარაქი, 2 კგ პურის ფქვილი, 3 კგ შაქარი და წყალი. შაქარი და წყალი ერთმანეთში ცხლად იხსნება, კარაქში იშუშება ფქვილი, შემდეგ ემატება მომზადებული სითხე. მიღებულ კონსისტენციას 15 წუთს აყოვნებენ შეფუთულ ჯამში და ის უკვე მზადაა. აღნიშნავენ გარდაცვალებიდან მე-7 დღეს, ამ დროს მოსულ სტუმრებს აუცილებლად გაატანენ ოჯახში ზეთიან პურებში, „ბიშში”, გახვეულ ხალვას. შემდეგ აღნიშნავენ მე-9 დღეს, რომლის დროსაც, ასევე იკრიბებიან ნათესავები და გაიხსენებენ მიცვალებულს. არის 40 დღის და 52 დღის აღნიშვნის ტრადიციაც. რა დატვირთვა აქვს ამ დღეებს თვითონ კარგად ვერ ერკვევიან, თუმცა გულმოდგინედ ასრულებენ. მამაკაცის სიკვდილის შემთხვევაში ოჯახზე პასუხისმგებლობას იღებს მიცვალებულის მამა ან ძმა. ქვრივი რძლის ცოლად შერთვა მესხებში არ არის მიღებული. თუმცა ერთ გამონაკლისს იხსენებენ. ერთ-ერთი მთხრობლის ბებია თავის ქმრის ბიძაშვილს გაჰყვა ცოლად, „რადგანაც ისიც ცოლმკვდარი იყო და ჭორაობის თავიდან ასაცილებლად, ნათესავებმა ასე გადაწყვიტეს” (მესხი ქალი 61 წლის). ქალს შეუძლია გათხოვდეს ქმრის გარდაცვალებიდან 6 თვის შემდეგ, ხოლო კაცმა ცოლი უნდა შეირთოს დაქვრივებიდან ერთი თვის შემდეგ.

რაც შეეხება სამგლოვიარო ჩაცმულობას, ასეთი რამ აქ არ იციან. „შავების ჩაცმას შავი ამბავი მოაქვს.” ამიტომ ჭირისუფალიც კი ჭრელად შემისილია, რაც მათ ადგილობრივი აჭარლებისაგან განასხვავებს.

მესხები, როგორც მორწმუნე მაჰმადიანები, იცავენ რამაზანს. ჰყავთ საკუთარი ხოჯა. მათ შორის არიან ისეთებიც, რომელთაც შეუძლიათ არაბულად

კითხვა და ხოჯას სოფელში არყოფნის შემთხვევაში ისინი ასრულებენ რიტუალს. ყველას სახლში (ჩემი მასპინძლის გარდა) არის სალოცავი ტახტი „სექვი.”

ჩემი მასპინძელი ყირგიზეთიდანა ჩამოსული და ითვლება, რომ შედარებით „ცივილიზებული აზრები” აქვს. რაც შეეხება რელიგიას, მისი თქმით, ყველაფერს, როგორც ყურანში წერია, ზედმიწევნით იცავს. სოფელში გამორჩევით რელიგიურ ადამიანად ითვლება „ხოჯა“. ზოგს სალოცავი ერთ ოთახში აქვს, ხოჯასთან კი ამისთვის ორი ოთახია გამოყოფილი. აქვე კედელზე კიდია პატარა ხალიჩა, რომელზეც ლოცულობენ.

თითქმის ყველა მორწმუნე მაჰმადიანი, ქალებიც და ბავშვებიც (თუმცა ამბობენ, რომ სავალდებულო არაა) იცავს „რამაზანს“ (მარხვას). არიან ოჯახები, სადაც მხოლოდ ერთი წევრი მარხულობს. „რამაზანს“ ძირითადად მაინც ხანში შესული ადამიანები იცავენ, შეღავათები აქვთ პირებს, რომელთაც ჯანმრთელობა არ უწყობთ ხელს. როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა, მესხებზე უფრო „მორწმუნენი” ადგილობრივი აჭარლები არიან. „აჭარელ ბავშვს გული წაუვიდა და წყალი ვერ დავალევინეთ რამაზანს იცავსო, ცემით შევძელით მისი მოსულიერება.” მესხები რამაზანის პერიოდში ყოველ პარასკევ საღამოს იკრიბებიან ყურანის წასაკითხად, მეზობლები რიგრიგობით მასპინძლობენ ამ ლოცვებს. ლოცვის შემდეგ იმართება „იფთარი”. ამგვარი ლოცვები ცალკე ტარდება მხოლოდ „კუნძულელი“ მესხებისათვის.

რამაზანის ბაირამის აღნიშვნა დილიდან იწყება. დილაადრიან მიდიან ჯამეში, ლოცულობენ და შემდეგ მთელი სამი დღის განმავლობაში დადიან სტუმრად ერთმანეთთან, ბაირამის დროს მიღებულია ასაკით უმცროსებმა მოინახულონ უფროსები, მიულოცონ რამაზან ან ყურბან ბაირამი (ჩვენ რამაზან ბაირამს დავესწარით). ასე, ბავშვების თანხლებით, დადიან ოჯახიდან ოჯახში. ამ დღეს „კუნძულზე“ იანეთიდან მშობლების სანახავად თავიანთი ქმარ-შვილით ჩამოდიან გათხოვილი გოგონები; მოდიან ახალგაზრდები „პირველი რაიონიდან,“ რათა ამით უფროსების და ნათესავებისადმი პატივისცემა გამოხატონ; აქაურებიც, თავის მხრივ, დადიან ნათესავების მოსანახულებლად იანეთსა და სხვა სოფლებში (მაგ., ნარუჯაში). სტუმრიანობა 3 დღე გრძელდება. კეთდება სხვადასხვა სახეობის კერძი, ტკბილეული, ნამცხვრები. მასპინძლობენ სტუმრებს და მასლაათობენ. ყურბან ბაირამის დროს (როგორც თვითონ გვიყვებოდნენ) ვისაც აქვს საშუალება კლავს საკლავს, ცხვარს ან თხას (ნასაკირალში ცხვარი არ ჰყავთ, თხა კი თითქმის ყველა ოჯახშია; იანეთში კი პირიქით, უფრო მეტად ცხვარია) უნაწილებს უქონელს და ობოლს, თავის ნათესავს და მეზობელს. ყურბან ბაირამს რამაზან ბაირამიდან 72-ე დღეს აღნიშნავენ.

ლ) საკვები

გურიაში მცხოვრები მესხები ძირითად იკვებებიან ცომეულით, რომლის დამზადებაც, როგორც თვითონ აღნიშნავენ, შუა აზიაში ისწავლეს. მაგ., ასეთია მანტი და სამსა. მანტი ცომისაგან დამზადებული მასაა, რომლის გულშიც დებენ კვახს (გოგრას), კარტოფილს, ხორცს, სტაფილოს. მანტის პელმენებივით ხარშავენ; სამსა ხაჭაპურის მსგავსია; აცხობენ ასევე „ბიშის” (ზეთში გამომცხვარი საფუარიანი ცომი); „ბაზლამას” (უზეთო პური); ზეთში აცხობენ კარტოფილიან და ხორციან ღვეზელს; ასევე – „ქადას” (ფენოვანი მარილიანი ცომი), რომელსაც მესხეთშიც აკეთებდნენ; ამზადებენ „ფლავს უზბეკურად“ (სტაფილოთი და

ხორცით); სალათებს იოგურულად; სტაფილოს ზეთში ნივრით (რეპატრიანტების საკვებში ძალიან სჭარბობს ცხიმი); გარდა ამისა აკეთებენ სუპს, ბორშჩს, ტოლმას, მაკრონს და სხვ. რაც შეეხება ქართულ კერძებს რომლებიც გადასახლებაშიც არ დაივიწყეს, ესაა: უზეთო მჭადი (გაუცრელი ფქვილისაგან), ლობიო (ოდნავ განსხვავებულია ჩვენებური ლობიოსაგან „გასასქელებლად' ჭადის ფქვილს უმატებენ"), მაწონი, კიტრის მჟავე. მესხური ხინკალი (ჩვენებური ხინკლისაგან განსხვავებით პატარა ზომისაა). ნიგვზიანი საკვები მათთან ყოფნის დროს არ მინახავს არც ერთ ოჯახში, თუ არ ჩავთვლით ქორწილს იანეთში და ნასაკირალში, სადაც ადგილობრივი მზარეულები ჰყავდათ მოწვეული.

მ) „სახლის" და „სამშობლოს" ცნება

სამშობლო ნასაკირალში მცხოვრები მეხებისათვის, ისევე როგორც ყველა მესხისთვის ვინც საქართველოში არ ცხოვრობს, არის მესხეთი, რომელზეც ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ და მხოლოდ წინაპრებისაგან გადმოცემით იციან. აღსანიშნავია, რომ ოზურგეთში მცხოვრები რეპატრიანტების უმეტესობა დიდი ხანიაა საქართველოში ცხოვრობს, მაგრამ მესხეთში ნამყოფიც არ არის.
რეპატრიანტები ხაზს უსვამენ თავიანთ წარმომავლობას და როცა ეკითხები ვინ ხარ? პასუხია – მესხი. ყველამ იცის რომელი რაიონიდან და რომელი სოფლიდან არის გასახლებული მისი წინაპარი. როგორც ადგილობრივი მაცხოვრებლები შენიშნავენ, რეპატრიანტები განსაკუთრებულად ხაზს უსვამენ იმას, რომ ისინი არიან მესხები; არ არიან არც გურულები და არც აჭარლები.
შეკითხვაზე ვინა ხართ? თუ სხვა ჯგუფები პასუხობენ – მე ვარ ქართველი, მუსლიმი მესხი დაუფიქრებლად ამბობს, რომ ის მესხია. მათთვის მნიშვნელოვანია მესხეთში დაბრუნება. რასაკვირველია, ყველას უნდა დაბრუნდეს იმ ადგილას, საიდანაც წარმოშობითაა. თუმცა იმ თაობისათვის, ვინც საქართველოში დაიბადა და გაიზარდა, მესხეთი მხოლოდ მშობლების, ბებია - ბაბუის მიერ მოყოლილი ამბებითაა ცნობილი. ამ თაობისათვის სამშობლო საქართველოა, ნასაკირალი, ის ადგილი, სადაც დაიბადნენ. კითხვაზე – წავიდოდნენ თუ არა მესხეთში საცხოვრებლად, მორიდებით პასუხობენ – „თუ მშობლები ისურვებენ, კი", მაგრამ თუ მათი გადასაწყვეტი იქნება, განსაკუთრებით იმ ბიჭებს, ვინც უმაღლესი განათლება მიიღო, დიდ ქალაქებში ცხოვრება ურჩევნიათ. გოგონები, როგორც ითქვა, ორიენტირებულები არიან გათხოვებაზე და მომავალში სად იცხოვრებენ დამოკიდებულია მათი მომავალი ოჯახის სურვილზე. უნდა ითქვას ისიც, რომ ამჟამად რეპატრიანტებს არავინ უკრძალავს მესხეთში დაბრუნებას, თუმცა ბევრი მათგანი თავს იკავებს. ამბობენ: „თუ იქნება დაბრუნება (რეპატრიაცია – ე.ფ.), ან მე დავრჩები აქ და ჩემი შვილი წავა, ან მე წავალ და შვილი აქ დარჩება. ამოდენა ეზო-კარს ისე ხომ არ მივატოვებ?" (21 წლის მესხი მამაკაცი). მოლოდინი აქვთ, რომ ფინანსურად საქართველოს მთავრობა უნდა დაეხმაროს დაბრუნებაში, მათ ხომ: „არ უთხოვიათ გასახლება, მათ (დეპორტირებულებმა – ე.ფ.) ყველაფერი საქართველოში დატოვეს, რაც ჰქონდათ, საქონელი, ქონება და ა.შ.". აქვთ გარიყულობის და გაუგებრად „გაგდებულობის" განცდა, რაც ძალიან აწუხებთ.

მესხები ამბობენ, რომ ვინც საქართველოს ფარგლებს გარეთ ცხოვრობს და პირველი რეპატრიაციული ტალღის გამო ვერ შეძლო ნათესავებთან ერთად ჩამოსვლა (სხვადასხვა მიზეზების გამო), მათთვის საქართველოში დაბრუნება „ცხოვრების მიზანია". აზერბაიჯანიდან ქორწილში ჩამოსულმა მესხმა მითხრა:

„შუა აზიიდან იმიტომ გადმოვსახლდი აზერბაიჯანში, რომ საქართველოსთან ახლოს ვყოფილიყავი“ (55 წლის მესხი მამაკაცი).
ბევრისთვის მითად ქცეული მესხეთი და იქაური სიმდიდრე მხოლოდ წინაპრების მონაყოლიდან იციან: „ყველაზე გემრიელი ვაშლი მესხეთში მოდიოდა, ძროხები ისეთები იზრდებოდნენ, რომ საქართველოში სხვაგან არსად ასეთი არ იყო“(70 წლის მესხი მამაკაცი).
ამგვარ ისტორიაზე გაზრდილმა, შუა აზიიდან ჩამოსულმა ბიჭებმა გურული ძროხები რომ ნახეს სიცილით გვითხრეს: „ბაბუაჩემი იძახდა საქართველოში რომ საქონელი იზრდება, ისეთი არასდაა. მთელი წელი შევალიე მოზვრის გაზრდას, ლამის 500 კგ ხორცი ჩავაბარე, ბაბუა კი მაინც უკმაყოფილო იყო, შენ არ იცი მესხეთში ჩვენ როგორი საქონელი გვყავდაო! ეს არის საქართველოს ნოყიერ მიწაზე გაზრდილი საქონელი?“ (22 წლის მესხი მამაკაცი)
უცხოეთში მცხოვრებ მესხებს დღემდე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ თავიანთ ეთნიკური ვინაობაზე. ნასაკირალში ჩემი ყოფნის პერიოდში მეზობელთან სტუმრად იყო მისი ძმის შვილიშვილი უზბეკეთიდან, ნამანგანის ოლქიდან. ახლგაზრდა ყმაწვილი ჩამოვიდა, რათა გაერკვია ვინ არიან: „მოხუცების ნაწილი ამბობს, რომ ჩვენ მესხები ვართ, ნაწილი ამბობს, რომ ჩვენ აჰციხები (თურქულად ახალციხელები – ე.ფ.) ვართ, ნაწილი ამბობს გურჯები ვართ, ნაწილი იძახის რომ თურქები ვართ. ბოლოს და ბოლოს გამარკვიეთ, ვინ ვართ?“ (18 წლის მესხი მამაკაცი) შეიკრიბნენ ამ ოჯახის ახლობლები და მეზობლები მაგიდის ირგვლივ და უმტკიცებდნენ: „ქართველები ვართ, ახალციხე მესხეთია, მესხეთი საქართველოა, ჩვენ არა ვართ თურქები, ქართველები ვართ!“
ნასაკირალში მცხოვრები მესხები თვლიან, რომ მათი სამშობლო საქართველოა, ისინი ბედნიერები არიან, რომ ჩამოვიდნენ საქართველოში. მართალია ძალიან გაუჭირდათ 90-იან წლებში, სამოქალაქო ომის დროს, მაგრამ დარჩნენ აქ და დანარჩენ საქართველოსთან ერთად გადაიტანეს ყველაფერი. მომავლის იმედს არ კარგავენ. მესხების ნაწილი ამბობს, რომ მათ მისია შეასრულეს და შვილებს დაუბრუნეს სამშობლო, თუკი ისინი ვერ ფლობენ ქართულს ისე, როგორც ეს მათთვის სასურველი იქნებოდა, რა გაეწყობა. სამაგიეროდ მათი შვილები აქ დაიბადნენ, სრულყოფილი ქართველები არიან და მნიშვნელობა არა აქვს მესხეთში იქნებიან თუ არა, მთავარია საქართველოში ცხოვრობდნენ.

დეპორტაციის ამბავს სხვადასხვა თაობა თითქმის ერთნაირად ყვება (თუ არ ჩავთვლით ძალიან ახალგაზრდებს). ვისაც გასახლება ახსოვს, ცრემლების გარეშე ვერ იხსენებს. ყვებიან, როგორ ააწრიალეს მძინარე ხალხი, შეყარეს სატვირთო ვაგონებში, გაუყენეს გზას, როგორ მიმოფანტეს შუა აზიის მიწაზე, როგორ უკრძალავდნენ გადაადგილებას და ა. შ.

შუა აზიის მოსახლეობასთან ურთიერთობების შესახებ ამბობენ, რომ ჩვეულებრივი ურთიერთობა ქონდათ, ისეთივე როგორიც მესხეთში მცხოვრებ ქრისტიანებთან. არავითარი კონფლიქტი, რადგან საერთოდ მშვიდობისმოყვარე ხალხია. ამბობენ, რომ მესხები შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდნენ შუა აზიელებისაგან, ამიტომაც მათი მატერიალური მდგომარეობა ადგილობრივებთან შედარებით ბევრად უკეთესი იყო. შუა აზიელები მათ „კაბკაზს“ (კავკასიელებს) ეძახდნენ, რადგან იცოდნენ, რომ ეს ხალხი კავკასიიდანაა გადმოსახლებული. „ისინი გვაკვირდებოდნენ, ხედავდნენ, რომ მათ ხალხს არ ვგავდით, გამორჩეული ცხვირები გვქონდა. სწორედ ამიტომ კაბკაზებს გვეძახოდნენ, კავკასიური ცხვირები აქვთო“–ამბობს მოხუცი (85 წლის) მესხი ქალი.

„თავიდან გვერიდებოდნენ, ჩვენზე ხმა გაავრცელეს კაციჭამიები არიანო, მაგრამ მერე შეატყვეს, რომ ნორმალური, შრომისმოყვარე ხალხი ვიყავით და მეზობლური ურთიერთობები გვქონდა“ – ყვება მეორე (77 წლის) მესხი ქალი.

ნ) ურთიერთობები თემის შიგნით

რეპატრიანტები ადგილობრივი მოსახლეობისაგან გარეგნობით მეტნაკლებად განსხვავდებიან: მათ შედარებით მუქი კანის პიგმენტაცია აქვთ; ჩაცმულობით აჭარლებივით იცვამენ; გათხოვილი მესხები, ისევე როგორც აჭარელი ქალები, თავსაბურავს-თავშალს ატარებენ, აცვიათ კოჭებამდე კაბები; ტანსაცმლის შეფერილობაც საკმაოდ განსხვავებულია. .მესხი ქალები ატარებენ მყვირალა ფერის ყვავილებიან ტანსაცმელს და ფერად წინდებს. უნდა ითქვას, რომ ჩაცმულობაში განსხვავება ნასაკირალში ნაკლებადაა შესამჩნევი, რადგან უმრალესობას აჭარლები შეადგენენ, ოზურგეთში კი ეს თვალშისაცემია. მესხები საკუთარ თავს ყოველმხრივ განასხვავებენ აჭარლებისგან, აღნიშნავენ, რომ მათი თავშალის მოხვევის მანერაც კი განსხვავებულია. თუმცა გარემოების შესაბამისად. როდესაც სურთ ამტკიცონ, რომ მათი მუსლიმობა ქართველობას ხელს არ უშლის, არგუმენტად აჭარლებთან რელიგიურ იდენტობას იშველიებენ.

მესხი მოსწავლეები სკოლაში თანამედროვედ იცვამენ, ისევე როგორც მათი თანატოლები. თუმცა ხანშიშესულ ადამიანებს ეს არ მოსწონთ. განსაკუთრებით უკმაყოფილონი არიან მე-10-11 კლასელი (მართალია, აქამდე ერთეულები მიდიან) გოგონების ჩაცმულობით. უნდა ითქვას, რომ გოგონას სამოსს მათი მშობლების (უფრო მამის) დამოკიდებულება განსაზღვრავს. თუ მამა მისცემს უფლებას, ჩაიცვას შარვალი და მოკლე ქვედაბოლო, სხვების თვალსაზრისის მიუხედავად, დედაც არ დაუშლის.

მიუღებელია გათხოვილი ქალის უთავსაბურავოდ გამოსვლა სოფელში, მათ თანამედროვე ჩაცმულობას კი კრიტიკის ქარცეცხლქვეშ ატარებენ. ამის მიუხედავად, საკმარისია ახალგაზრდები თბილისში ან ბათუმში მოხვდნენ, მათი გარჩევა ადგილობრივი მოსახლეობისაგან შეუძლებელი ხდება. ასე რომ, „მოხუცი ხალხი“, უფროსები, ცდილობენ გავლენა მოახდინონ ახალ თაობაზე და არ დაუშვან მესხი გოგონების თანამედროვე ჩაცმულობა, მაგრამ ეს გავლენა თანდათან სუსტდება. რაც შეხება მამაკაცებს, ისინი ადგილობრივებისაგან ჩაცმულობით თითქმის არ განსხვავდებიან. თუმცა თვითონ აღნიშნავენ, რომ ტანსაცმელს ნაკლებ ყურადღებას აქცევენ: „აჭარლები გურულებს დაემსგავსნენ, ცდილობენ გამოწკეპილი იყვნენ, რომ არაფრით ჩამორჩნენ მათ. ჩვენ კი ჩაცმა-დახურვას ნაკლებ ყურადღებას ვუთმობთ“ (55 წლის მესხი მამაკაცი).

რეპატრიანტებთან საუბარში ხშირად ჟღერს სიტყვები „ჩვენ“ და „ისინი“. „ისინის“ ქვეშ გულისხმობენ აჭარლებს და გურულებს. აჭარლებისაგან განსხვავებას, რელიგიური ერთობის მიუხედავად, ძალიან ცდილობენ. „ჩვენ მათგან განსხვავებით პატიოსანი ხალხი ვართ, არა ვართ აფერისტები, მატყუარები, ისინი ცდილობენ ყველაფერი თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ. თუ გინდა აჭარელი თავიდან მოიშორო, ხუთი ლარი უნდა ასესხო და არასოდეს გაგეკარება, არათუ ვალის გადასახდელად, საერთოდ“ (მესხი მამაკაცი 55 წლის). ამბობენ, რომ აჭარლებთან პარტნიორული ურთიერთობების ცუდი გამოცდილება აქვთ: „კომუნისტების დროს რამდენჯერმე დავეხმარე მანდარინის ყაზახეთში

ჩაბარებისას, ჩემი ნათესავები ჩავრთე, მოგება ბევრი ნახა, მაგრამ მე საერთოდ არ გავახსენდი, ჩემიანებმა რაღაც გამოატანეს, ისიც კი არ მომიტანა. უკვე რამდენი წელი გავიდა" (57 წლის მესხი მამაკაცი).

ნასაკირალში მხოლოდ 10 გურული ოჯახი ცხოვრობს, ისიც „კუნძულისგან" მოშორებით. ამიტომ მათი ურთიერთობა მესხებთან ნაკლებინტენსიურია, მწირია. სამეურნეო კავშირები რეპატრიანტებს უფრო მეზობელი სოფლის, ბაილეთის გურულებთან აქვთ. ბაილეთელებს საუბრისას პოზიტიურად ახასიათებენ: „თუ თხები დარჩა მათ სოფელში, შეინახავენ, დაგვახვედრებენ. ძროხები თუ გადავიდნენ მათთან, ვიცით, რომ არ დაგვეკარგება, ჩვენნაირი ხალხია, აჭარლებივით კი არ არიან." (57 წლის მესხი მამაკაცი).

მესხებს შეგნებული აქვთ რელიგიისა და სალაპარაკო ენის მნიშვნელობა ეთნიკურ თვითიდენტიფიკაციაში: „ჩვენც ხომ ქართველები ვართ, მაგრამ არსებობს შეხედულება, რომ ქართველი თუ ხარ აუცილებლად ქრისტიანი უნდა იყო, სხვანაირად თათარს გეძახიან. ქართველი თუ ხარ, ქართული უნდა იცოდე, აჭარლებს ეს შველით, ჩვენ კი ამდენი წელი გადასახლებაში ვიყავით. ჩემმა ბებიამ, ბაბუამ, დედამ და მამამ კი იცოდნენ ქართული. როცა რაიმე საიდუმლოს თქმა უნდოდათ ქართულად ლაპარაკობდნენ" (64 წლის მეხსი მამაკაცი)

ოზურგეთში მცხოვრები მესხები თავს ქართველებად მიიჩნევენ. ამბობენ, რომ ისინი არიან ძირძველი ქართველები, რომელთაც ბევრი უბედურება გადაიტანეს, რათა საკუთარ სამშობლოს დაბრუნებოდნენ და თვლიან, რომ სხვებიც ასე ფიქრობენ მათზე.

რაც შეეხება „სხვებს", ანუ ადგილობრივ მცხოვრებლებს, მათ მიერ მესხების შეფასება არაერთგვაროვანია. ვინც ისტორიაში ერკვევა ის ამბობს, რომ ისინი (მესხები) ქართველები არიან, მათი ცხოვრების ნირი თურქეთის ბატონობის. შემდეგ კი მათი გადასახლების გამო შეიცვალა. მეორე ნაწილი კი აკრიტიკებს, რადგან არ სჯერა მათი ქართველობის: „მათ რატომ ვერ შეინარჩუნეს, თუ აჭარლებმა შეძლეს ენის გადარჩენა, თუ ფერეიდანში დღესაც საუბრობენ ქართულად?!" ეს ნაწილი თვლის, რომ რეპატრიანტები არანაირი ქართველები არ არიან, არაფერი მათ ქართული არა აქვთ, თათრები არიან და მორჩა. ამგვარი დამოკიდებულება იგრძნობოდა სკოლაშიც, იყო შემთხვევები, როცა მესხ ბავშვებს მოსწავლეები თათრებს ეძახდნენ. მაგრამ, როგორც ამბობენ, „ეს იყო ადრე".

ნასაკირალში მცხოვრები მესხები საუბრობენ ძირითადად თურქულად (ანატოლიურ დიალექტზე), ზოგმა იცის რუსული, რამდენიმე ქალი კი, „მესხურის" (როგორც თვითონ ეძახიან) გარდა, არც ერთ ენას არ ფლობს, იმის მიხედვით, ვინ სად ცხოვრობდა და რომელ სკოლაში სწავლობდა, იციან აზერბაიჯანული, უზბეკური, ტაჯიკური და ყაზახური. უფროსი თაობის უმრავლესობას, განსაკუთრებით მათ, ვინც ჩაის საბჭოთა მეურნეობაში მუშაობდა, ესმის ქართული. ქართული იციან შუა თაობის წარმომადგენლებმა, რომელთაც საქართვლოში აქვთ საშუალო სკოლა დამთავრებული ან ქართულ ენაზე აქვთ მიღებული უმაღლესი განათლება; რაც შეეხება სკოლის მოსწავლეებს – ყველამ იცის ქართული წერა-კითხვა და საუბარი. მესხებს ძალიან აწუხებთ, რომ პატარებმა, სკოლამდელი ასაკის ბავშვებმა, ქართული კარგად არ იციან.

სოფელში საბავშვო ბაღი არ არის და პატარები ქართულენოვან გარემოში პირველად სკოლაში ხვდებიან. როგორც ამბობენ, „კომუნისტების დროს“ (საბჭოთა პერიოში) ბავშვები საბავშვო ბაღში დაჰყავდათ, სადაც ქართულად საუბარს, კომუნიკაციას სწავლობდნენ. დღეს კი ბავშვი ისე მიდის სკოლაში, რომ არც ერთი სიტყვა ქართულად არ იცის, არც ესმის, მასწავლებელი რას ლაპარაკობს, რადგანაც სახლში „თავიან“ ენაზე საუბრობს და მხოლოდ მოგვიანებით სწავლობს ქართულს,

ო) ძალაუფლება

მესხების თემის ლიდერების მიმართ ნასაკირალში მცხოვრებ რეპატრიანტებს (ვისაც მე ვესაუბრე) არაერთგვაროვანი დამოკიდებულება აქვთ. რელიგიურ ლიდერად ხოჯა ითვლება, თუმცა სოფელში არიან ადამიანები, ვინც მის ფუნქციებს ითავსებენ ხოლმე (კერძოდ ყურანს კითხულობენ, რაგან არაბული კითხვა ისწავლეს). ხოჯა, როგორც სულიერი მოძღვარი, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამგლოვიარო რიტუალში. იგი ამზადებს „ხალვას“, რომელიც მნიშვნელოვანი ატრიბუტია გარდაცვალებიდან მე-7 დღეს. ხოჯასთან ერთად ლიდერებად ითვლებიან რეპატრიაციის მოთავეები. ამჟამად „კუნძულზე“ სულ 3-4 ადამიანია, ვინც მესხების რეპარტიაციასთან არის დაკავშირებული. სწორედ ამ დამსახურების ან ასაკის (უხუცესი) გამო ისინი თემის ლიდერად ითვლებიან. თბილისში რაიმე დეპორტაცია-რეპატრიაციასთან დაკავშირებული ღონისძიების ჩატარების შემთხვევაში სწორედ მათ ეძახიან, როგორც ადგილობრივ ლიდერებს. მათ დღემდე აღიარებენ მოთავეებად, სთხოვენ მესხების მობილიზებას და ორგანიზებას საჭიროების შემთხვევაში. ჩემი იქ ყოფნის პერიოდში, ხოჯას დაავალეს მესხების უბანში შუქისათვის ფულის აკრება. მასვე დაურეკეს, რომ შეერჩია ხალხი თბილისში დაგეგმილ ღონისძიებაზე დასასწრებად და ა.შ.

ახალგაზრდებში ახალი თაობის „ლიდერებისადმი“ განსხვავებული დამოკიდებულებაა. მიაჩნიათ, რომ ძველი ლიდერები უკვე სათანადოდ ვეღარ ფლობენ სიტუაციას, რადგან თაობები შეიცვალა, შეიცვალა სიტუაცია და საჭიროა განათლებული, თანამედროვედ მოაზროვნე ადამიანი იყოს ლიდერი, ვინც სწორად შეხედავს პრობლემას, განჭვრეტს მოსალოდნელ შედეგს და შესაბამისად იმოქმედებს.

აღსანიშნავია, რომ ნასაკირალში მცხოვრები მესხები ქართული ორიენტაციის არიან. მათ თავის დროზე წინააღმდეგობა გაუწევიათ რუსეთში ი. სარვაროვის ხელმძღვანელობით მიმდინარე ე. წ. თურქი მესხების გამოსვლებისათვის. ამ ბრძოლაში შედეგის მიუღწევლობის მთავარ მიზეზად საქართველოს მთავრობის უმოქმედობას ასახელებენ: „მაშინ ჩვენთვის რომ მხარი დაეჭირათ, ეს ამბები ასე არ განვითარდებოდაო“ – ამბობენ თემის ლიდერები.

კვლევის მონაწილეები ლიდერს და პატივსაცემ ადამიანს სხვადასხვა მახასიათებლების მიხედვთ გამოარჩევენ. ერთერთია ამ პიროვნების ეკონომიკური სიძლიერე და გავლენიანობა მის გარშემო არსებულ საზოგადოებაში. ასეთად მიიჩნევენ ხ.ი-ს „იურისტია, ესმის აქაური (ანუ ქართული – ე.ფ) კანონები,“ ამასთან ერთად, კარგ სამსახურში მუშაობდა წლების განმავლობაში. სოფელში მას „პროკურორად“ მოიხსენიებენ და რაიმე პრობლემა თუ ჰქონიათ, უმნიშვნელოც კი, დასახმარებლად მას მიმართავდნენ ხოლმე. დღესაც მისი იმედი აქვთ. ნასაკირალში მცხოვრები აჭარლებიც სწორედ მას ასახელებენ მესხების ლიდერად.

რაც შეეხება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, გაზეთებს უსახსრობის გამო მაშინ ეცნობიან, როდესაც ვინმე ჩამოიტანს ქალაქიდან, რაც ხელში ჩაუვარდებათ კითხულობენ. თუ შესაბამის რადიოარხებზე წვდომა აქვთ, ახალგაზრდები ძირითადად უსმენენ ქართულ და თურქულ მუსიკალურ გადაცემებს. ხანშიშესულები კი უფრო – თურქულს. რადიომიმღები თითო-ოროლა ადამიანს აქვს. მაგ., ხოჯა უსმენს თურქულ რადიოგადაცემებს, და შემდეგ საღამოობით „იფთარზე“ შეკრებილ მამაკაცებს ან რომელიმე მეზობელს უამბობს მსოფლიოს სიახლეებს.

სოფელს ელექტროენერგია მკაცრი გრაფიკით მიეწოდება, მაგრამ ძაბვა იმდენად დაბალია, თუ ოჯახს ტრანსფორმატორი არა აქვს, ტელევიზორს ვერ ჩართავს, ამიტომაც რადგან ტელევიზორები არ მუშაობს და ინფორმაცია ნაკლებად ხელმისაწვდომია. როდესაც წინასწარაა ცნობილი ტელეეთერში გასასვლელი რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ, „პროკურორთან“ იკრიბებიან. მას გენერატორი (ე.წ.“დვიჟოკი“) აქვს და იქ უყურებენ ტელეგადაცემას. რამდენიმე ოჯახს აქვს თურქეთში შეძენილი სატელევიზიო ანტენა, ე.წ. „თეფში” და როცა ელექტრობა საშუალებას იძლევა თურქულ ტელეარხებს უყურებენ. ამინდის პროგნოზსაც კი თურქეთის მიხედვით ასე ანგარიშობენ „თუკი თურქეთში დღეს თავსხმა წვიმაა, ჩვენთან ორ დღეში ზუსტად ისეთივე იქნება.” ქართულ ტელეარხებს ძირითადად იმ ოჯახებში უყურებენ, სადაც ქართული კარგად იციან, თუმცა ასეთები „კუნძულზე“ ძალიან მცირეა.

დამოკიდებულება ადგილობრივი (ნასაკირალის) ხელისუფლების ხელმძღვანელობის მიმართ არერთგვაროვანია. მართალია ეს ხალხი არასოდეს გამოხატავს უკმაყოფილებას, მაგრამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, ზოგიერთებს პასპორტის აღებასთან დაკავშირებით აქვს პრობლემები და პრეტენზიები, თუმცა ისინიც აღნიშნავენ, რომ ამ საკითხის გადაწყვეტა სოფლის ხელისუფლებას არ ხელეწიფება. სხვა მხრივ ნებისმიერი საბუთი, ცნობა საჭიროებისამებრ გაიცემა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე. საკრებულოს თავმჯდომარეს მესხები მეგობრად თვლიან, რადგან ეროვნული გვარდიის დამფუძნებლებს შორის ისიც მესხებთან ერთად იყო და „სამოქალაქო ომის დროს ზვიად გამსახურდიას დაცვაში ერთად იბრძოდნენ“.

მესხები პენსიას თავის დროზე იღებენ. ამიტომ „პენსიიდან – პენსიამდე“ ადგილობრივი მაღაზიების მფლობელები ნდობას უცხადებენ და, შესაბამისად, როცა დასჭირდებათ მათ შეუძლიათ მაღაზიიდან რამდენიც უნდათ იმდენი საქონელი წაიღონ ნისიად. „მესხები ისეთი ხალხია, დღეს არ გადააცილებენ, არ მოგატყუებენ, სხვებივით არ არიან” (მაღაზიის გამყიდველი მამაკაცი).

რაც შეეხება საზოგადოებრივ აქტიურობას, ნასაკირალში მცხოვრები რამდენიმე რეპატრიანტი ადრე ორგანიზაცია „ხსნის” წევრი იყო. სოფელში ცხოვრობს ასევე „მესხ რეპატრიანტთა კავშირის” და საზოგადოება „მესხეთის” ტითო წევრი. ასევე სამტრედიაში სოფ. იანეთში არის არასამთავრობო ორგანიზაცია „მაიაკი”. რომელშიც გაერთიანებულია ნასაკირალში მცხოვრები ერთი რეპატრიანტი.

ნაწილი II
საველე მასალა

ფრაგმენტები საველე დღიურიდან (ლ. ჯანიაშვილი)

I. ინტერვიუ ჩავიწერე ჩემი მასპინძლისაგან, ოჯახის უფროსი მამაკაცისაგან. იგი ადგილობრივი სულიერი ლიდერია (ხოჯა) დაბადებულია 1946 წ. საუბარი სამი ნაწილისაგან შედგება ჩაწერილია სხვადასხვა დროს. 4 ნოებერს (I), 21 ნოემბერს (II) და 5 დეკემბერს (III). ჩვეულებრივ ინტერვიუს წინ უძღოდა ყოველდღიური საუბრები ზოგადასაკაცობრიო, რელიგიურ და საყოფაცხოვრებო თემებზე, რამაც გარკვეული ასახვა ჰპოვა დღიურში.
მთხრობელი ხაზს უსვამს, რომ ზერბაიჯანის ხელისუფლება (ადგილობრივ დონეზე მაინც) არ ახალისებდა იქედან მესხების, განსაკუთრებით კვალიფიციური კადრების, რეპატრიაციას. საქართველოში ჩამოსვლის ინიციატიავა ამ შემთხვევაში ოჯახის ერთ წევრ (ინტერვიუერის ძმას) ეკუთვნოდა, რასაც მოჰყვა საკმაოდ რიცხვმრავალი სანათესაოს რეპატრიაცია. ინტერვიუში ჩანს, როგორაა გაშლილი მესხების ახლო სანათესაო ქსელი საქართველოსა და უცხოეთში; მთხრობელის დამოკიდებულება საქართველოში გადმოსახლების პერსპექტივაზე და საცხოვრებელი ადგილების შერჩევაზე; რას ფიქრობს იგი განათლებაზე, ინტერკონფესიურ ურთიერთობებზე, ლიდერების არჩევის წესსა და მათ როლზე, საბჭოთა ხელისუფლების და საქართველოს მთავრობის პოლიტიკაზე დეპორტირებულთა მიმართ, ეთნიკურობაზე და ენაზე, საშობლოს ცნებაზე .

. –დავიბადე 1946 წელს. 1944 წელს ჩემი მშობლები (მამა სოფ. ორტოფიდან იყო) ისევე როგორც სხვა მესხები გადაასახლეს შუა აზიაში და მოხვდნენ ანდიჟანის ოლქში, უზბეკეთის სსრ-ში, ყურგან-ტიუბეს რაიონში. იქ ისინი დაქორწინდნენ და 1946 წლის 15 თუ 16 იანვარს დავიბადე მე (სხვადასხვა საბუთში სხვადასხვაგვარად წერია) როცა, სასკოლო ასაკის გავხდი, შევედი უზბეკურ სკოლაში. მამა მუშაობდა ტრაქტორისტად. ისინი ორი ძმანი იყვნენ. ერთი ახლაც აზერბაიჯანში ცხოვრობს. მამაჩემი კი ცოცხალი აღარაა. 1988 წელს აქ, ნასაკირალში, დავმარხე.
1956 წელს, როდესაც კომენდანტის რეჟიმი გააუქმეს, მე ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავი და ეს საკითხები მაინცდამაინც არ მესმოდა. მაშინ ჩვენი მესხების გადმოსვლა დაიწყო აზერაბიჯანში, რათა თუნდაც ზღვა (კასპიის) რომ გადმოელახათ და კავკასიის ზონაში შემოსულიყვნენ. 1957 წელს დავსახლდით აზერბაიჯანში, სადაც 1983 წლამდე ვცხოვრობდით. იმ ხანებში საქართველოში გადმოსახლების რაღაც ტალღა, შესაძლებლობა გამოჩნდა. თუმცა, მეცა და მრავალ ჩვენიანსაც ხელს გვიშლიდნენ.

–ხელს უშლიდა იქაური ხელმძღვანელობა თუ აქაური?

–იქაური, ადგილობრივი ხელმძღვანელობა. თუმცა, როდესაც ჩემი საკითხი უკვე გადაწყვეტილი იყო, „გოსკომტრუდშიც“ ყველაფერი

გადაწყვეტილი იყო, შემიქმნეს პირობები, რომ საერთოდ არ შემძლებოდა აქეთ გამომგზავრება. ბოლოსდაბოლოს მე თუ ერთ-ერთი საუკეთესო არ ვიყავი, არც უარესი ვიყავი. კარგი ურთიერთობა მქონდა რაიონის ხელმძღვანელობასთან, კარგად მიცნობდენენ. ვცხოვრობდი საბირაბადის რაიონში და თუ რაიონში რაიმე ახალი ტექნიკა ჩამოვიდოდა ქარხნიდან გამოსაცდელად მიუხედავად იმისა რომ მეურნეობაში ვმუშაობდი ამ ტექნიკის გამოცდა მე მიწევდა. რაიკომის მდივანი, როგორც კი რამე ტექნიკა გამოჩნებოდა, დაურეკავდა ჩვენი მეურნეობის თავმჯდომარეს, ახალი ტექნიკა ჩამოვიდა და გამოაგზავნეო და ამ ახალ ტექნიკაზე მინიმუმ ერთ წელს მე ვმუშაობდი. რაიკომის მდივანი ხშირად მოდიოდა ხოლმე მინდორში სადაც ვმუშაობდი, რომ ეკითხა: როგორაა საქმე, ღირს თუ არა ავიღოთო (ტექნიკა), გამოდგება თუ არა ჩვენ პირობებში სამუშაოდო. ალბათ, ესეც იყო მიზეზი, რომ ჩემი გამოშვება არ სურდათ. ან შეიძლება სხვა მიზეზიც იყო. მაშინ მე ყოველ სამუშაო სეზონზე გარკვეული ტექნიკა მქონდა სამუშაოდ. ე.ი. 12 თვე კიდეც ვხნავდი, ვმკიდი და ვლეწავდი. თავისუფალი დრო ფაქტიურად არ მქონდა.

ერთ საინტერესო რამეს გეტყვი, ჩემი შუათანა ვაჟი პატარა იყო. ერთხელ, დღისით, სამსახურში არ წავედი. საერთოდ ასე იყო: დილით წავიდოდი - მას ეძინა, საღამოთი მოვიდოდი - ეძინა. დედას რომ კითხა მამა სადააო? მან უპასუხა – ბაქოშიაო. იმ დღეს კი, როდესაც სახლში დავრჩი და მნახა, მეუბნება: მამა რა დიდხანს დარჩი ბაქოში, რატომ აქამდე არ ჩამოდიო?! წელიწადში 12 თვის განმავლობაში თავისუფალი დრო არ მქონდა, სულ ვმუშაობდი. იყო ისეთი საქმეები, რომლის გაკეთებაც მხოლოდ მე შემეძლო. ამრიგად, როდესაც გადმოსვლა დავაპირე მამუხრუჭებდნენ. დამიბარეს და მითხრეს თქვენზე ტექნიკურ კომისიას შევადგენთ, შევამოწმებთ რამდენად ეტევი დროში ტექნიკის ცვეთის ხაზითო. ცოტა რამე შეუძლიათ გამოძებნონ მიზეზად? შარის მოძებნა ყოველთვის შეიძლება.

–როგორ შეიტყვეთ, რომ საქართველოში ჩამოსვლა შეიძლებოდა, კონკრეტული პირებისაგან თუ რაიმე „მესხური“ ორგანიზაციებისაგან ?

–ჩემ ჩამოსვლამდე ჩემი მომდევნო ძმა მსახურობდა არმიაში საქართველოში. ამასთანავე, მე ვიცნობდი ჩვენს აქაურ ლიდერს ალიხანს, რომელიც აქ ცხოვრობდა. შემდეგ ჩემს ძმას ვესტუმრე აქ. იგი თეთრიწყაროში მსახურობდა, ოფიცერი იყო. შემდეგ თადარიგში გავიდა და დასახლდა აქ. მაშინ შრომის სახელმწიფო კომიტეტის მდივანი იყო ჩიხლაძე. ე.ი. მას თბილისში ურჩიეს აქ დასახლება, რადგან მესხეთ-ჯავახეთში (სამცხე-ჯავახეთში – ლ.ჯ.) პრობლემები იქნებოდა. აქ დასახლებიდან ერთ წელიწადში ვესტუმრე მას. ვნახე, მიმყვა შრომის სახელმწიფო კომიტეტში, ჩავეწერე და დავიწყე გადმოსასვლელად მზადება. როგორც ითქვა, ხელს მიშლიდნენ, მაშინებდნენ რომ შემიქმნიდნენ ტექნიკურ კომისიას ტრაქტორის სწრაფი ცვეთისათვის, ტექნიკის მოუფრთხილებლობისა და გაუფრთხილებელი ხმარებისათვის მიმცემდნენ სასამართლოში და ყველაფერს გადამახდევინებდნენ.

–მესხების ამ დასახლებაში მცხოვრებ სხვა ხალხს, ძმის გარდა, თუ იცნობდით ჩამოსახლებამდე?

–ძმის გარდა მე აქ არავინ არ მყავდა. ძმასთან სტუმრობამდე სხვას არავის ვიცნობდი და მხოლოდ შემდეგ გავეცანი.

–აზერბაიჯანში თქვენ დასახლებაში, ახისხაში თქვენი ხალხი რა პრინციპით ცხოვრობდა. თქვენი მეზობლებიც სოფ. ორფოლიდან იყვნენ წარმოშობით?

–ახისხა ოფიციალური სახელი იყო. იქ ძირითადად ორფოლიდან და საყუნეთიდან წამოსულები ცხოვრობდნენ. საყუნეთი იყო დედაჩემის სოფელი. დედაჩემის ძველი ქართული გვარის - ფუთურიძე იყო, რომელიც შემდეგ მურადოვით შეუცვალეს, ჩემი კი - სულეიმანოვით.

როდესაც აქ გადმოვედი, 83 წელს, საქმე იქამდე მივიდა, რომ აზერბაიჯანში სახლის (მე იქ საკუთარი სახლი მქონდა) გაყიდვის საშუალება არ მომცეს. ისევე დავტოვე. წამოვედი და ერთი კაპიკიც არ ამიღია. მხოლოდ ძროხები გავყიდე, მოძრავი ქონება კი თან წამოვიღე. რადგანაც წამოსვლა გადავწყვიტე, ჩემი ჩამოსვლიდან თვენახევარში მამაჩემიც გადმოვიდა. მამასთან ცხოვრობდა ტყუპების მომდევნო ძმა, ხოლო რიგით მესამე ჩვენი ძმა - სამტრედიაში ცხოვრობს, იანეთში. იგი, პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებულია. ბაქოში დაამთავრა. შემდეგ, იგი გაანაწილეს ჩერკასკში. ამის მერე, უკვე ჩვენი ჩამოსვლის შემდეგ, ისიც აქ ჩამოვიდა.

–აქ ჩამოსახლებამ გაამართლა თქვენი იმედები?

– სიმართლე რომ ითქვას, ჩვენ უკეთესს არც ვეძებდით. არც ის იქნება მართალი აზერბაიჯანელების მიმართ ცუდი ვთქვა. ან რომ ითქვას, თითქოს ჩვენ იქ ცუდად ვცხოვრობდით. საკმაოდ კარგად ვცხოვრობდით. იცი? ჩვენს სარწმუნოებაში ასეა ნათქვამი: თუ ვინმეს პურის ლუკმა ერგება, იგი აუცილებლად უნდა შეჭამოს.

და აი, საქმე იქამდე მივიდა, რომ მომიწყვეს პარტიული განხილვა. იყვნენ პარტიის რაიკომიდან რადგან მე პარტის წევრი ვიყავი. პარტიაში იმიტომ მიმიღეს, რომ ჩემი გაჩუმება სურდათ, რადგან ბევრ კითხვებს ვსვამდი სამუშაოზე და არაფერს ვითმენდი. რომ გავეჩუმებინე, ჯერ სოფლის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ ამირჩიეს. ეს კი ნიშნავდა დიდ პასუხისმგებლობას, რადგან წლიურ ანგარიშს და ახალ გეგმებს მხოლოდ სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეები აწერდნენენ ხელს. ე.ი. თუ იქ რაიმე მაქინაცია მოხდება, იგი მიდის ასევე კოლმეურნეობისა და სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეების ხელმოწერით რაიკომში. ამის მერე ნახეს, რომ მე არ გავჩუმდი. ცოდვა გამხელილი სჯობს, მე არ გავჩუმდი, ვუთხარი: „რაც კეთდება ყველაფერი ვიცი, ამაზე მე ვაწერ ხელს ან მეც ჩამსვამთ წილში ან ხელს არ მოვაწერ, ანდა მომხსენით-მეთქი. მოხსნა შეეძლო მხოლოდ საერთო კრებას, ამიტომ მოხსნით არ მომხსნეს. არც წილი მომცეს, ხოლო დოკუმენტებზე ხელის მოწერა შევწყვიტე. დაიწყეს დოკუმენტების გაყალბება მთავარი ბუღალტერის საშუალებით. ეს ყველაფერი მათ ხელში ეჭირათ როგორც კოზირი. შემდეგ პარტიაშიც მიმიღეს, რათა ბევრი არ მელაპარაკა. მე უკვე საბოლოოდ გადავწყვიტე იქ აღარ დავრჩენილიყავი. საქმე პარტიის რაიკომის ბიურომდე მივიდა. იქაც დამიწყეს დაშინება, მაგრამ პარტიული დოკუმენტაციის მართვის მდივანი იყო რუსი, მისი მადლიერი ვარ, მხარი დამიჭირა. თუმცა, დამავიწყდა მეთქვა, რომ როდესაც აზერბაიჯანში გადავედი, აზერბაიჯანულად სწავლა გამიჭირდა, რადგან მანამდე უზბეკურად ვსწავდლობდი. ამის გამო წავედი რუსულ სკოლაში. მაშინ, ეს კაცი იქ სასწავლო ნაწილად მუშაობდა. მან გამიხსენა თუ არა, არ ვიცი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, მე მას ბავშვობიდან ვიცნობდი. როდესაც რაიკომში ძალზე მომაწვნენ, მე იძულებული გავხდი

ვაბანკზე წავსულიყავი. ვუთხარი, თუ ეს პარტიული ბილეთი არ მეხმარება წავიდე ჩემ წინაპრების მიწაზე, ჩემს სამშობლოში, უხეშად რომ ვთქვათ, მიმიფურთხებია ასეთი პარტიისათვის-მეთქი და წამოვედი. პასუხს არც დავლოდებივარ. ერთი კვირის შემდეგ გამომიძახა პარტკომმა. შევედი. ზის მდივანი და მეკითხება: „რაო? მიდიხარ?“ „დიახ, მივდივარ“. „ის მაინც თქვი, სად მიდიხარ, რომ შენი საბუთები გამოვგზავნოთ“. „როგორ თუ სად მივდივარ მივდივარ, სამშობლოში“. „მართალია, შვილო - მეუბნება - მე საქმის კურსში ვარ. ნურაფრის ნუ გეშინია“. მეც ვუთხარი: „მივდივარ სამშობლოში, მახარაძის რაიონის სოფელ ნასაკირალში.

– ნათესავები თუ დარჩნენ თქვენი უზბეკეთში?

–ფერღანის მოვლენებამდე ცხოვრობდნენ ტაშკენტის ოლქში, ანდიჟანშიც იყვნენ. ფერღანის შემდეგ დაიფანტნენ, ძირითადად აზერბაიჯანში. ის ნათესავები (დედის მხრიდან), რომლებიც ანდიჟანში ცხოვრობდნენ სად გადავიდნენ დღესაც არ ვიცი. მამის მხრის ნათესავებიც ცხოვრობენ აზერბაიჯანში და რუსეთშიც. სხვების ამბავი ასე ვიცი. ახლახან გარდაიცვალა აზერბაიჯანში ბაბუას ძმა. ბაქოში ცხოვრობს მამაჩემის ყველაზე უმცროსი და. ნათესავები გვყავს ხაჩმასის რაიონშიც. ერთმანეთს ვნახულობთ ძირითადად შემთხვევების დროს. ასევე ვსაუბრობთ ტელეფონითაც.

– თქვენი სიძე, რომელაც ალმა-ათაში ცხოვრობს მანამდე სად ცხოვრობდა?

–ისინი, იქ ცხოვრობდნენ. იგი აქ სტუმრად იყო ნურადინის (მეზობლად მცხოვრები მესხის – ლ.ჯ.) ბიძაშვილია. ჩამოვიდა და არ ვიცი რა მოიგონეს, როგორ შეიტყვეს, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, ჩემთვის მოულოდნელად გადაწყდა ეს საქმე (ქალიშვილის გათხოვება – ლ.ჯ.).

– შვილის ასე შორს გათხოვებას არ მოერიდეთ?

–როგორ გითხრა, იმ ხანებში საუბარი იყო მთელი ჩვენი ხალხის საქართველოში ჩამოსვლაზე. ისინიც ჩაეწერნენ ჩამომსვლელებში. ნურადინიც მათ კარგად იცნობდა. იგი (ქალიშვილი) კმაყოფილია ამჟამად იქ ცხოვრებით. ქმარი კარგი ჰყავს. ჩემი სიძის უკმაყოფილო არც მე ვარ. ოჯახს კარგად უვლის.

– თქვენი აზრით სად სჯობია და როგორ, მესხების ჩამოსახლება.

–ახლანდელი საქართველოს მდგომარეობიდან გამომდინარე, ცალკე სოფლების შექმნა არ გამოვა. ძველებური ფორმით დასახლება, იმის თქმა, რომ ეს ჩემი სოფელია შენ სხვაგან გადადი - ასევე არ გამოვა. სადაც არის შესაძლებლობა, სადაც რამდენი შეიძლება, ისე უნდა დასახლდნენ. არაა აუცილებელი ერთიან სოფლად და კომპაქტურად. როგორც გითხარი, მე როდესაც აქ ჩამოვედი, არავის ვიცნობდი, მაგრამ ამით არაფერი წამხდარა. ნურადინიც არავის იცნობდა, მაგრამ ვცხოვრობთ აქ, მშვენივრად შევეწყვეთ ერთმანეთს, ერთმანეთს ვიტანთ და ეს ყველაზე მთავარია. რა მნიშვნელობა აქვს მე ამ სოფლიდან ვიყავი შენ სხვა სოფლიდანო. ერთი ასეთი გამოთქმაა ჩვენთან: თევზი დააწყვეს ტაფაზე შესაწვავად და ერთი მეორეს ეუბნება, იქით მიიწი ცოტა დამცხაო. სად უნდა მივიწიო მეც შენ დღეში ვარ - გვწვავენო. ეს, ყველას უნდა ესმოდეს, რომ ჩვენ ერთ ტაფაში ვართ და მისაწევი არსადაა. აქ თუ იქნება შეიძლება ცალ-ცალკე, ერთადაც დასახლება, როგორც შესაძლებელი იქნება ისე.

– როგორც ეტყობა, ნასაკირალში მცხოვრები მესხები უფრო ინტეგრირებული არიან ვიდრე იანეთში. ეს იმის გამო ხომ არაა, რომ იქ უფრო განკერძოებით იმყოფებიან და სკოლაც კი ცალკე აქვთ. თქვენ როგორ გგონიათ?

–ნაწილობრივ, რადგანაც მათ სოფლის შიგნით ნაკლები ურთიერთობა აქვთ ადგილობრივებთან, ვიდრე ჩვენ. საერთოდ, მთავარ როლს ალბათ, მაინც ის თამაშობს, რომ მათ კოპიტნარში არ ჰყავთ მმართველი, ერთი ადამიანი, რომელიც თავზე აიღებს მათ ხელმძღვანელობას. ამიტომაცაა ასეთი სიტუაცია. მარტო შემოსავლის, ხელფასის ან მდგომარეობისათვის კი არაა საჭირო ავტორიტეტული პიროვნება.

არიან განათლებული ხალხიც, პატივცემულიც მაგრამ ენთუზიაზმი არ აქვთ, რომ ხელმძღვანელობა აიღონ თავიანთ ხელში. მათთან როდესაც არ უნდა მიხვიდე, ყველა დაკავებულია თავისი საქმით. ჩვენთან კი წუთსაც ვერ მოვითმენთ, რომ მეზობელს არ გადავუძახოთ ან მე წავალ მათთან და აუცილებლად ერთხელ შევიკრიბებით რაც იმათთან არაა.

–მიუხედავად იმისა, რომ თქვენი თქმით იანეთში განათლების საკითხი უკეთ მოგვარებულია, ეტყობა იქ ნაკლებად აძლევენ გოგონებს სკოლის დამთავრების საშუალებას და ქართულიც ნაკლებად იციან.

–მათ მართლაც უკეთესი პირობები აქვთ, მაგრამ განცალკავებით აქვთ სკოლა, რადგანაც, სოფელი ძალიან შორსაა, ბავშვებს მარტო სიარული არ შეუძლიათ, საავტომობილო გზა მეტად სახიფათო გადასკვეთია. იქ ხომ ხიდია. იმდენად სწრაფად მოძრაობენ მანქანები, რომ მეტად ხშირია ავტოავარიები. ბავშვებისათვის საგანგებოდ ავტობუსის გამოყოფა ძნელია, მისი არენდით აღება ასევე რთულია.

–ხომ არ გგონიათ, რომ ამ პრობლემებზე იმთავითვე უნდა ეფიქრათ და ჩამოსახლების შემთხვევაში ამ სახის საკითხები წინასწარ უნდა იყოს დაგეგმილი.

–აუცილებლად, საჭიროა. უმრავლეს შემთხვევაში ვფიქრობ, რომ უკეთესი იქნება თუ ერთად (სხვებთან) იცხოვრებენ. მხოლოდ ერთი 'მაგრამ' არის, რომ პროვოკატორების მხრიდან რაიმე არ მოხდეს. ჩვენში მე, დარწმუნებული ვარ, მაგალითად სომხები ან აჭარლები რაც არ უნდა პროვოკაციაზე წავიდნენ არ ავყვებით.

–მიდიან რაიმე პროვოკაციაზე?

–არ მიდიან, მაგრამ რომ წავიდენ, ჩვენ ამისათვის მზად ვართ. ისე ტკბილად და ლამაზად მოვაგვარებთ, რომ ვერავინ ვერ მიხვდება, რომ რაიმე მოხდა. მაინც, ყოველთვის გაღიმებულები შევხვდებით მათ. ამის თქმა მინდა, რომ სადაც უნდა იყვნენ, უნდა ყავდეთ ერთი წარმმართველი, ლიდერი, ავტორიტეტული ადამიანი, რომელსაც დაფასება ექნება, თავის ხალხშიც და პოლიტიკაც ეცოდინება, საით უნდა წაიყვანონ ისინი. თავის ხალხშიც უნდა ჰქონდეთ ავტორიტეტი და უცხოებშიც. უცხოს მე ამ შემთხვევაში, სომხებს ვუწოდებ მხოლოდ და ბერძნებს.

–ისინიც ხომ საქართველოს მოქალაქეები არიან?

–როგორც მოქალეები კი, მაგრამ ეთნიკურად არა.

–რას ფიქრობ, რატომ მოხდა ტრაგედია ფერღანაში?

–ჩემის აზრით, მე ასე ვიტყოდი: არ მახსოვს ადრე მითქვამს შენთვის თუ არა. ფერღანის მოვლენების შემდეგ იყო სსრკ სახალხო დეპუტატთა საბჭოების I ყრილობა შემდეგ, კი დეკემბერში იყო II ყრილობა. 15 დეკემბერს იქ სიტყვით გამოვიდა ნიშჩანოვი. არა, უზბეკეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე მირსაიდოვი. რადგანაც ის თემები, რომლებიც მე მაღელვებს და მაინტერესებს არასოდეს მავიწყდება. ე.ი. ტელევიზორში ვუყურეთ 15 დეკემბერს. იგი გამოდის

სწორედ საინფორმაციოს დროს. მე დამამახსოვრდა მისი გამოსვლიდან ერთი აბზაცი. მან თქვა, რომ შუა აზიაში ყველაზე დიდი უმუშევრობა უზბეკეთშია. მჭიდროდ დასახლებული ქვეყანაა, ეს სწორედ ფერღანა. მან თქვა: „მე საგნებს თავის სახელს არ ვუწოდებ. მთავრობა დაგვეხმარა ჩვენ ფერღანის ველზე უმუშევრობის აღმოფხვრაში“.

–როგორ ფიქრობთ, მთავრობაში იგი გულისხმობდა უზბეკეთის თუ სსრკ-ის მთავრობას?

–მე მგონი, ერთსაც და მეორესაც. ალბათ, უპირატესად ცენტრალურ მთავრობას. იგი, ცენტრალურ ხელისუფლებას გულისხმობდა მგონი. მე მაშინვე დავფიქრდი როგორ ეს: „მე არ მოვიხსენებ საგნებს საკუთარი სახელით“, ე.ი. არ ვიტყვი, იმას როგორ ვკლავდით, როგორ ვაუპატიურებდით ქალებს, ბავშვებს ვხოცავდით და ღობეზე ვაცვამდით. ე.ი. მთავრობა მოგვეხმარა ჩვენ გადაგვეჭრა უმუშევრობის პრობლემა ფერღანის დაბლობზე და როგორ მოვიქცეთ სხვა ოლქში? აქ უკვე გამოჩნდა საიდან იყო დაგეგმილი ეს პროვოკაცია. ნებისმიერი ადამიანი მიხვდებოდა თუ რა იმალებოდა ამ ტექსტში. დილით შევიკრიბეთ ვსაუბრობთ და შევეკითხე წუხელ „ვრემია“-ს თუ უყურეთ-მეთქი? ზოგს უნახავს, ზოგს არა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ გამოსვლაზე არავის გაუმახვილებია. ვუთხარი ასე და ასე თქვა მან-მეთქი ე.ი. თუ არ ამოჭრიან ხვალინდელ გაზეთებში ვნახავთ ამას-მეთქი. და ჩემთვის გასაოცრად არ ამოუჭრიათ, შეინახეს. ეს აბზაცი ცალკეა გამოყოფილი. დაიბეჭდა „პრავდაში“-ც, „იზვესტიაში“-ც. ეს იყო 17 დეკემბერს. თუ სადმე არის არქივი, შეიძლება ამის ნახვა „მე არ დავარქმევ საგნებს და მოვლენებს თავის სახელებს, მთავრობა დაგვეხმარა ფერღანის ველზე უმუშევრობის გადაჭრაში“ აქედან გამოჩნდა, რომ ეს არ იყო ე.წ. ხენდროს კონფლიქტი. არამედ, ეს იყო წინასწარ მომზადებული. წინასწარ აღნიშნული იყო ჩვენი სახლები. ჩვენი სახლებიც კი არა საკუთარი სახლებიც აღნიშნეს, როცა მოვიდოდნენ ენახათ აა აქ, ჩვენიანი ცხოვრობსო. ამბობენ, რომ მაშინ, რადგანაც მოდაში იყო საბჭოთა წყობილების საწინააღმდეგო მოძრაობების შექმნა იქაც შეიქმნა რაღაც პარტია. შემოუთავაზებიათ მესხებისათვის იქ გაერთიანება, მაგრამ მესხებმა უარი უთხრეს: „ეს თქვენი პრობლემაა, საშინაო და ჩვენ ამასთან საერთო არაფერი გვაქვს“-ო და აქედან დაიწყო ყველაფერი, მაგრამ ეს ყველაფერი თქმულებაა, ყველაფერი ეს მოწყობილი იყო მოსკოვიდან.

–თქვენებმა თუ მოასწრეს გამოსვლა.

– მათ, ვინც ანდიჟანის და სამარყანდის ოლქებში ცხოვრობდნენ, მოასწრეს. დიახ, ფერღანაში ბებიაჩემის ძმისშვილი ცოცხლად დაწვეს. დანარჩენი ოჯახები სად წავიდნენ არ ვიცი. ნახევარი წლის წინ იყო საუბარი, რომ ისინიც გადმოუყვანიათ აზერბაიჯანში, იქედან საით წავიდნენ არ ვიცი.

–თქვენ საკმაოდ კარგად იცით ქართული, სად შეისწავლეთ ქართული ენა?

– საერთოდ, როცა აქ ჩამოვედი, ქართული არ ვიცოდი. ისე კი, როდესაც რაიმეს ქართულად თქმა მინდა და ზუსტად არ გამომდის, უხერხულობას ვგრძნობ. მყავს კარგი ნაცნობი ბიჭები, რომელთაც ვეუბნები „ბიჭებო, როდესაც რამეს არასწორად ვამბობ, შემისწორეთ“. წერა-კითხვა სულ ერთია არ ვიცი. ანბანი ვერ ვისწავლე. უკვე მეხსიერებაც ის არაა. ლაპარაკს მაინც გავასწორებ, მაგრამ პატიოსნად რომ ვთქვა, ლავრენტი, არ მისწორებენ. მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია, როდესაც ძალიან ვნერვიულობ განსაკუთრებით ამ აზერბაიჯანელებთან ე.ი. აჭარლებთან, მე ვლაპარაკობ ტატატატატა-ს, მაგრამ არ ვიცი სწორად ვამბობ თუ არა, მაგრამ ვფიქრობ ასე შეიძლება ითქვას. ბოლოს

ვუყურებ რაიმე ცუდი ხომ არ თვქვი-მეთქი, ვაკვირდები მათ რეაქციას. თუ გამოვიდა ე.ი. გამიგეს.

–ე.ი. ფიქრობთ, რომ ქართულის შესწავლა მესხებისათვის აუცილებელია?

– არა მარტო მესხებისათვის. ეს ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც შენ ხარ, უნდა იცხოვრო - აუცილებლად საჭიროა ენის ცოდნა. თუნდაც იმისათვის, რომ როდესაც შენზე იტყვიან თავი მოჭერითო, საკუთარი ტყავის გადარჩენა შეძლო. დროზე მიხვდე რას ამბობენ. მართალია თუ არა. მე ადრე მოგიყევი, შუა აზიაში ვიმგზავრე. როდესაც აზერბაიჯანი გავიარე, აზერბაიჯანელები ვერ ხვდებოდნენ რომ მე აზერბაიჯანელი არა ვარ თუ საბუთს არ მოითხოვდნენ, მაგრამ ეს აზრადაც არ მოსვლიათ, რადგან სუფთად ვლაპარკობდი. გადავედი შუა აზიაში. იქ, ყველაზე უფრო გავრცელებულია უზბეკური ენა. რადგან უზბეკური ვიცოდი, თურქმენულიც, თავისუფლად შემეძლო სიარული, ვერავინ ხვდებოდა, რომ ადგილობრი არა ვარ. ეს ამტკიცებს, რომ ენის ცოდნა საჭიროა. ეს ენები რომ არ მცოდნოდა, ალბათ, 2-ჯერ, 3-ჯერ მეტი ფულის დახარჯვა მომიწევდა. მე კი, დაწესებულზე ნაკლები ფულით შევძელი მგზავრობა, რადგან ენა ვიცოდი. ის, ვინც ამბობს ენის ცოდნა საჭირო არ არის სულელია, ისინი მუსლიმებიც კი არ არიან, რადგან როდესაც მუჰამედმა პირველი სწავლება მიიღო ღმერთისაგან, იქ ნათქვამი იყო - ისწავლეთ ე.ი. ამით ყველაფერი ნათქვამია მუსლიმობასთან მიმართებაში.

–რაც შეეხება სწავლა-განათლებას, თქვენ ჩვეულებრივი განთლება გაქვთ მიღებული თუ რელიგიური, არაბული კითხვა სად ისწავლეთ?

– არაბული ანაბნი ძალიან ადვილი სასწავლია და თვითმასწავლებელით ვისწავლე. აქ საქართველოში ვისწავლე, 88-89 წლებში. მანამდე რაც გაგებული მქონდა, რაც ვიცოდი, იმ წესებს ვასრულებდი. კითხვა კი საერთოდ არ ვიცოდი. ძალიან ადვილია არაბული დამწერლობის შესწავლა. მთავარია იცოდე ძირითადი ასოები, დანარჩენი იქ, ასოს ქვემოთ ან ასოს ზემოთ გარკვეული აღნიშვნებია რაც ეხმარება კითხვის სწავლისას.

–როგორც აღმოჩნდით აქაური მესხების რელიგიურ წინამძღვრად?

– ისევ ვიტყოდი, ჩემი პრინციპულობით. მე ყურადღებას ვუთმობდი ცალკეულ საგნებს. საერთოდ, მე ძალიან პრინციპული ხასიათი მაქვს. მესმოდა, რომ როდესაც მოხუცებულები ან რელიგიური წინამძღოლები, როგორ ჩვენთან ეძახიან მოლა ან ხოჯა, რასაც ამბობდნენ ან განმარტავდნენ მე არ მაკმაყოფილებდა, დავინტერესდი და დავიწყე კითხვა. აღმოჩნდა, რომ საკითხები რომლებსაც ისინი ჩემი აზრით არასწორად განმარტავდენ მართლაც არასწორად იყო განმარტებული და ბოლოს და ბოლოს მე, მართალი აღმოვჩნდებოდი ხოლმე.

–თუ არის ისეთი წესები, რომელიც ხალხში გვხდება, მაგრამ ისლამს არ შეესატყვისება.

– დიახ, არის, რადგან მეტი ფანატიზმი ხალხში შემორჩენილ მოთხრობებშია ესენი მხოლოდ, მოიაზრება, ზეპირ გადმოცემებში მთხრობელიდან მთხრობელში იცვლება და საბოლოოდ სრულიად გაუგებარ წერტილამდე მიდის. სწორედ ასე საკითხებში მე მომიხდა დავა. გასაგები რომ გახდეს, გიამბობ. როგორც ქრისტიანულ მოძღვრებაშიც ეს ასეა, ისლამშიც არის აღსარება. არა, აღსარება არა ღვთისმსახურის, არამედ ღმერთის წინაშე. ე.ი. ადამიანი აღსარებას ამბობს უშუალოდ, მხოლოდ ღმერთის წინაშე. იქ ილოცებს, გარკვეულ ნამაზს შეასრულებს და აღსარებას ეტყვის ღმერთს. უფალო, მე ესა და ეს ცოდვა

ჩამიდენია და შემინდეო, მიმართავს. ამ თემაზე იყო საუბარი. საკმაოდ პატივცემული კაცი იყო და მამიდაჩემის, მამაჩემის უფროსი დის დაკრძალვაზე თქვა: „ბაქოში, ახალგაზრდობას განუმარტეს, ხომ არ გგონიათ თქვენ რამეს შესცოდავთ და ღმერთი შეგინდობთ, არა! შენდობა არ იქნება“ მე ვეუბნები: „მოხუცო, შენ მცდარად ეუბნები. რის საფუძველზე ეუბნები, რომ ღმერთი არ შეგინდობს. ისლამში ხომ ნათქვამია, რომ უფალი მოწყალეა და იგი არასოდეს იტყვის უარს თავის მონის შენდობაზე, თუ იგი გულალად მოინანიებს ცოდვას და შესთხოვს მას შენდობას. რა ცოდვაც არ უნდა ჩაიდინოს მან. ეს ერთი, მეორე, ყურანში არის ასეთი ადათი, როდესაც უფალი მიმართვას მუჰამედს და ეუბნება: „მე, შეგინდე შენ ყველა შეცოდება ყოფილი და მომავალი“ ე.ი. ეს ადამიანი გარანტირებული იყო მომავალი ცოდვების შენდობისაგან. ღმერთმა უთხრა შენდობილი გექნება შეცოდებები, რომელიც შენ ნებსით თუ უნებლიეთ ჩაიდინე, ამის მიუხედავად, ეს კაცი დღეში 70-ჯერ მიმართავდა ღმერთს, რომ შეენდო. იცოდა, რომ უცოდველი იყო და მაინც მიმართავდა 70-ჯერ. შენ კი, დღეს ამბობ – შენდობა არ იქნება. იქნებ ადამიანს იმედი აქვს, რომ რომელიღაც მომენტში სიკეთისაკენ შემობრუნდება. აქამდე ჩადიოდა სისულელეებს. ხომ ხდება, რომ ადამიანი უცებ იცვლება. გამოფხიზლდება და სიკეთისაკენ შემობრუნდება, როდესაც მას ეუბნები შენდობა არ გექნება იგი, ხომ ბოროტების კეთებას გააგრძელებს“.

ასეთი რაღაცეები რომ მესმოდა, ვერ ვხვდებოდი რატომ ამბობდნენ ასე, ნელ-ნელა ჩავერთე. როდესაც საუბარი ეხებოდა რელიგიას - თემაში ვმონაწილეობდი. ზოგჯერ, კამპანიაში ერთი იტყვის რაღაცას, მეორე და შენგანაც ელოდებიან, მიხდებოდა თქმა და აღმოჩნდებოდა - ზუსტად წერტილში ვარტყამდი.

–თქვენგან მომისმენია ქრისტიანების და მუსლიმების მეგობრული ურთიერთობა გერმანიაში. აქ როგორაა ამ მხრივ ვითარება?

–უნდა ითქვას, ჩვენთან ასეთი მდგომარეობაა ქრისტიანული მოსახლეობა, რომელიც მეზობელ სოფელში ან აქ ცხოვრობს, ისინი ჩვენ უფრო გვენდობიან ვიდრე აჭარლებს. იციან, რომ ჩვენთან არაფერი დაეკარგებათ. მეც ვიცი, რომ ჩვენი უბნიდან საქონელი ან სხვა რამე თუ მათ სოფლებში აღმოჩნდება თუნდაც ერთი თვე გავიდეს არ დაიკარგება.

–თქვენები აქ თავს უწოდებთ მესხებს. სხვა ადგილებში როგორაა თქვენი ხალხის თვითდასახელება. სხვები უფრო ხომ არ ეძახიან მათ „თურქ მესხებს“?

–სწორედაც, სწორედაც. გასულ წელს მე ავადვმყოფობდი, წავედი ექიმთან, რომელიც ამბობს, „თურქი მესხი“. ვეუბნები, „ქალბატონო, მთელი ოზურგეთი იციან, მესხები ვინ არიან და თქვენ სად იყავით. შენ არ იცი მესხები ვინ არიან?“ -„კი. ვიციო, მარა ასე ამბობენო“. „ამბობენ სხვა საქმეა“.

–სხვა ადგილებში როგორ ეძახიან მესხები თავს?

–როგორც უკვე ითქვა, ესეც ლიდერთა არყოლის გამოა, ყველა ოჯახში, ყველა სახლში, ყველა ქუჩაზე უნდა იყოს ლიდერი ადამიანი, ვალდებულია. მე, მაგალითად თუ ვცხოვრობ ამ მეურნეობის ტერიტორიაზე, მართალია ლიდერს თავს ვერ ვუწოდებ, მაგრამ როცა ამ ქუჩის მესხებზე რამე უსამართლობაა, არა ჩემი პირადი ინტერესებისათვის, ამ 23 წლის განმავლობაში რაც აქ ვცხოვრობთ, მე ჩემი ინტერესებისათვის არაფერი გამიკეთებია. ყოველთვის ვცდილობ ქუჩაზე მცხოვრებთა ინტერესების დაცვას. როცა ქუჩიდან გამოვდივარ და ოზურგეთში მივდივარ, მთელი ნასაკირალი ჩემთვის ხდება, როგორც ერთი ქუჩა.

–მაშინ, თქვენი გაგებით, რა არის სამშობლო?

. სამშობლო ესაა დიდი სახლი, ლავრენტი. სადაც ყველანი ვცხოვრობთ მაგრამ თამეთანხმე, რომ ამ დიდ სახლში ყველა მცხოვრებს აქვს თუ ოთახი არა, პატარა კუთხე მაინც. და, აი ახლა, მე ჩემს კუთხეში ცხოვრობ.

–თქვენ, აპირებთ აქედან სადმე გადასახლებას?

–გულახდილად რომ გითხრთ, თუ გადავსახლდები აქედან, მხოლოდ მესხეთში, ქალაქში მე არ მსურს.

–თქვენ უმცროს შვილს რომ სურს ქალაქში წასვლა?

. ჰოდა წავიდეს იგი. მე დიქტატორი კი არა ვარ. მართალია, საკმაოდ სიმკაცრეს ვიჩენ, ყველამ თავისი ადგილი უნდა იცოდეს, უფროს და უმცროს თაობებს შორის უნდა არსებობდეს გარკვეული ბარიერი, რომელიც არ უნდა დაირღვეს, მაგრამ ყოველთვის ვეუბნები მათ, როგორც და სადაც გსურთ, წადით და იცხოვრეთ. შევძლებ? მოგეხმარებით. თუ შეძლებთ-მომეხმარეთ.

–მესხების გარდა, აქ ახლო მეგობრები თუ გყავთ?

–როგორ არა, ახალციხეში რომ წავედი, ისეთ სომხურ ოჯახებს ვიცნობ, როგოც საკუთარ სახლში ისე მიმიღებენ.

–ორფოლში სომხები ცხოვრებენ?

– ორფოლა ცარიელია. იქ არავინ აღარ ცხოვრობს. ეს საყუნეთის ახლოსაა, საყუნეთიდან კილომეტრში არის ორფოლა. საყუნეთში მე ნამყოფი ვარ გელაშვილის ოჯახში, როგორც მგონია საყუნეთში ძირითადად ბორჯომიდან გადმოსულები ცხოვრობენ. იცი, მე რა მაოცებს? ამბობენ, როდესაც მესხების ჯგუფი ჩამოდის, ადგილობრივი მოსახლეობა იწყებს ხმაურს და წინააღმდეგობას ტეხს. თვით ყველაზე კრიტიკულ მომენტშიც კი, როდესაც იქ პოსტი იყო აწყურში მე უსაშვოდ გადავედი, მანქანით მივდიოდი, ვსეირნობდი და არავის არაფერი არ უთქვამს ვინ ხარ შენ და აქ რას დაეხეტებიო. სოფელში დავდიოდი, ვსაუბრობდი ხალხთან.

–არის ზოგიერთი შეკითხვა, რომლის დასმაც მეუხერხულება. მაგალითად რომელ ეროვნებას მიაკუთვნებთ თავს?

. –ეს უკვე ნათქვამია თუნდაც იმით, რომ 86 წელში ჩვენ დიდი წვალებით აღვადგინეთ გვარები, რასაც არცერთი თურქი არ იზამდა. უფრო მეტსაც გეტყვი სამტრედიაში, საჯავახოზე ცხოვრობს ერთი თურქი, რომელსაც გვარიც დენის ოღლზე აქვს შესაბამისად. მე ხომ გეუბნები, ვიდრე ჩამოვიდოდი და ოფიციალურ საბუთებს არ ვნახავდი, რომელიც ჩემს ქართველობას ამტკიცებდა, მეც ასეთივე თავგადაკლული თურქი ვიყავი, როგორც სარვაროვი იყო. ლიდერად გახდომა ერთია, საკითხის გაგება მეორე. იგი დიდებულიძე იყო. ერთხელ, თქვა: „მე მგონი არც ისე ცუდი სიტყვაა „დიდებულიძე“ აი, მისი გაგება. იგი, გვარს როგორც სიტყვას ისე უყურებს და არა როგორც გვარს.

რწმენასთან დაკავშირებით ერთ რივაიეთს გეტყვი (რივაიეთი - არის თქმულება, რომელიც არაა ცნობილი მართალია თუ არა, მაგრამ აზრობრივად მას დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის აღზრდის საქმეში.)

არის ასეთი რივაიეთი: ერთი კაცი იყო, რომელიც მექის (ჰაჯიზე) წასასვლელად დიდხანს აგროვებდა ფულს. არის ასეთი პირობა, რომ სალოცავად წასასვლელი ფული აუცილებლად თვითონ უნდა შეაგროვო. აგროვა, აგროვა და ბოლოს შეაგროვა იმდენი, რამდენიც სჭირდეობდა წასასვლელად და მოსასვლელად. მისი ცოლი ფეხმძიმე იყო. ჩვეულებრივ, ფეხმძიმე ქალებმა რაღაც საჭმელის მოსურვება იციან, ეს ყველგან ბუნებრივი მოვლენაა; ეს კაცი მოვიდა სახლში და ცოლი ეუბნება: -გესმის? წადი მეზობელთან, იქედან ძალიან

სასიამოვნო საჭმლის სუნი გამოდის, ეგებ ერთი ჯამი მოგცეს. ეს კაცი წავიდა მეზობელთან. ეს მეზობელი იყო წარმართი – არა ბუდისტი, არა ქრისტიანი, არა იუდეველი, არც ერთი რელიგიის მიმდევარი, ე.ი. წარმართი. მიდის მასთან და ეუბნება: „ხომ იცი, ჩემი ცოლი ამ მდგომარეობაშია, თქვენი სახლიდან ძალიან სასიამოვნო საჭმლის სუნი გამოდის, იქნებ ცოტაოდენი მომცე ცოლისათვის“. ეს წარმართი დაფიქრდა, იცის, რომ მეზობელი ძალზე მორწმუნე კაცია. დაფიქრდა და ეუბნება: „იცი, მე შემიძლია მოგცე, მაგრამ არ ვიცი შეიძლება თუ არა გამოიყენო, რადგან თქვენ რელიგიურად გეკრძალებათ „დოხლი“ ხორცის ჭამა.
მუსლიმი დაფიქრდა: „ღმერთო, მე მოსალოცავად წასასვლელ ფულს ვაგროვებ, მეზობელი კი შიმშილობს“. მან აუხსნა, რომ სამი დღეა საჭმელი არ ჰქონდათ ოჯახში, ბავშვები შიმშილობენ „დღესაც წავედი სამუშაოს საძებნად, მაგრამ ვერაფერი ვიშოვნე და როცა უკან ვბრუნდეობოდი, გზაზე შევამჩნიე მკვდარი ძროხა, მოვაჭერი ერთი ნაჭერი, მოვიტანე სახლში და მოვხარშეო“.
მუსლიმი დაბრუნდა სახლში, რაც ფული ჰქონდა მოგროვილი აიღო და ამ მეზობელს მისცა.
სხვადასხვა მხრიდან, სხვადასხვა ქვეყნებიდან შეიკრიბა ხალხი მექაში სალოცავად და რელიგიური წესების შესასრულებლად. დილით, როცა ღამით ერთ მლოცველთაგანს დაესიზმრა, რომ თეთრად შემოსილი ანგელოზები დასტრიალებენ თავზე, უთხრეს: „ღმერთმა გამოგვაგზავნა, რომ შევიტყოთ რამდენი ადამიანი იყო სალოცავად მოსული და რამდენს ჩაეთვალა“. ჩამოსულიყო ექვსასი ათასი, მაგრამ სამწუხაროდ არც ერთის ლოცვა არ მიიღო.
კაცი დაფიქრდა ამ ექვსას ათასში ხომ იგიც შედიოდა. ანგელოზებმა ნახეს, რომ ის დაღონდა და უთხრეს: „მაგრამ ამა და ამ ადგილზე ცხოვრობს კაცი, რომელიც აპირებდა ჩამოსვლას და ვერ ჩამოვიდა, ხოლო ღმერთმა ამ კაცის გამო ჩაუთვალა მასაც და მთელ ექვსასი ათასსაც ჰაჯი“.
ეს ამტკიცებს, რომ არა აქვს მნიშვნელობა ვინაა შენი მეზობელი ურწმუნო თუ მორწმუნე. აუცილებლად უნდა დაუდგე გვერდით და დაეხმარო.
– ასევეა ყურბან-ბაირამის დროსაც არა?
– ასევეა, მსხვერპლშეწირვისასაც, არა აქვს მნიშვნელობა ვინაა შენი მეზობელი მუსლიმი, ქრისტიანი თუ წარმართი. მსხვერპლის ხორცი უნდა დანაწილდეს ოთხივე მხარეს. მეზობელი თუ გაჭირვებაშია მნიშვნელობა არაა აქვს ვინაა იგი.
მეტი დიალოგია საჭირო. აი მე ძალიან მომწონს გერმანული სისტემა, იქ, ყველაფერი კარგადაა მოწყობილი. შექმნილია ორგანიზაცია, სადაც ახალგაზრდობა კათოლიკე იქნება მუსლიმი თუ ქრისტიანი დადიან ეკლესიაში, ხან მეჩეთში და მიდის დიალოგი. არ ვიცი, მაგრამ არ გამიგია, რომ რელიგიის საკითხზე გერმანიაში კონფლიქტი ყოფილიყო. კარგად ცხოვრებენ, საუბრობენ თორაზე, ყურანზე, ძველ აღთქმაზე. განიხილავენ, მსჯელობენ და რაც უფრო მეტია დიალოგი მით უკეთესია ცხოვრება.
მეფე სოლომონი, რომელსაც ყველაფერი ემორჩილებოდა ამ ქვეყნად, სულიერი თუ უსულო, იჯდა ტახტზე და ამბობდა: „განა, მე ყველაზე ძლიერი არ ვარ ამ ქვეყნად?“
ვეზირმა (მრჩეველმა) უთხრა: „ნუ აჭარბებთ მეფეო.“
- როგორ, ღვთის ნებით განა ყველაფერი მე არ მემორჩილება? ქარი თუ წვიმა, მცენარე თუ ცხოველი?
მრჩეველმა გაუმეორა: ნუ აჭარბებთ მეფეო? მეფეო, არის ამ ქვეყანაზე თქვენზე ძლიერი.

- აბა, მაჩვენე! - ბრძანა მეფემ
მან კი მოუყვანა ძუძუთა ბავშვი, ბავშვს რომ მოშივდა დაიწყო ჩხავილი. აბა, რას უზამ მშიერ ბავშვს თუ არ აჭმევ, საუბარს ვერ გაიგებს, დასჯის არ ეშინია. ამრიგად, ბავშვი ყველაზე ძლიერი აღმოჩნდა.
- იცი, ლავრენტი, მელა რატომ იპარავს ქათმებს ? ესეც ადამიანის ბრალია.
ერთი კაცი მიდიოდა გზაზე და შემთხვევით დოქი ნახა, რომელსაც მეფე სოლომონის ბეჭედი ჰქონდა დადებული. გახსნა ეს დოქი. იქედან ამივიდა ჯინი. ჯინმა კაცს მოკვლა დაუპირა.
- შენ რა - ეუბნება კაცი - მე შენ გადაგარჩინე, შენ კი მოკვლას მიპირებ? ეს უსამართლობაა.
- იცი? - ეუბნება ჯინი - მე უნდა მოგკლა იმიტომ, რომ ამ დოქში სამი ათასი წელი ვარ ჩაკეტილი. პირველი ათასი წლის გასვლის შემდეგ გადავწყვიტე ვინც გადამარჩენდა მივცემდი იმას, რაც მე მსურდა. მეორე ათასი წლის გასვლის შემდეგ გადავწყვიტე, ვინც მიხსნიდა მივცემდი, იმას რაც მას სურდა. მესამე ათასი წლის გასვლის შემდეგ კი დავიფიცე, ვინც მიხსნიდა მომეკლა და ჩემი ფიცი უნდა შევასრულო.
კაცმა უთხრთ: - არაა ეს სამართლიანი. გადაწყვიტეს, მაშინ წავიდეთ და სამ არსებას ვკითხოთ და გავარკვიოთ სიკეთე სიკეთით თუ ბოროტებით უნდა გადაიხადოსო.
წავიდნენ და შეხვდნენ წყალს. ეკითხებიან: - „სიკეთის წილ სიკეთე უნდა მიეგოს თუ ბოროტებაო?“ წყალი პასუხობს: „სიკეთე ბოროტებით უნდა გადაიხადოსო“. „აი, მე - ამბობს წყალი - მოდის ადამიანი, იბანს, გრილდება და შემდეგ სახეში მაფურთხებს. ამიტომაც, სიკეთე ბოროტებით უნდა გადაიხადოსო“. წავიდნენ გზაზე და შეხვდნენ ხეს. ჰკითხეს: -„სიკეთის წილ სიკეთე უნდა მიეგოს თუ ბოროტებაო?“. „სიკეთე ბოროტებით უნდა გადაიხადოსო“ - პასუხობს ხე. „რატომ?“ - ეკითხებიან. „აი, მე ვდგავარ მარტოკა, მოდის ადამიანი, ისვენებს და სიცხეს ჩემი ჩრდილქვეშ ეფარება, თანაც ფიქრობს - აი, ამ ტოტისაგან კარგი ნიჩაბი ან თოხის ტარი შეიძლება გაკეთდესო. ისვენებს, შემდეგ ტოტებს მამტვრევს და მიდის“.
მესამე შეხვდათ ცბიერი მელა და ეკითხებიან. მელა ადამიანს ჩუმად ეუბნება: „გამიკეთებ რაიმე სიკეთეს? მე, ხომ მუდმივად მშიერი დავდივარ.“ „რა თქმა უნდა, გამოგკვებავ“ - უთხრა კაცმა - „მე, შენ ქათმებს მოგიყვან.“
- „რაშია საქმე?“ - ხმამაღლა კითხულობს მელა.
ასე და ასე, მე ამ დოქში ვიყავი გამომწყვდეული - დაიწყო ჯინმა.
- „მოიცა, მოიცა - ეუბნება მელა - შენ რა, ამოდენა ვიღაც ამ პატარა დოქში იჯექი? თავიდან დამიმტკიცე, რომ იქ ჩაძრომა შეგიძლია“.
უტვინო ჯინი უკან ჩაძვრა დოქში.
„აბა, სწრაფად თავი დაახურე“ - უთხრა მელამ ადამიანს.
კაცმა სოლომონის ბეჭდიანი თავსახური დაახურა დოქს და გადააგდო.
ადამიანი უკან დაბრუნდა. იფიქრა, რაღა ქათმები მივცეო, ტომარაში ძაღლები ჩასვა და მელას მიუტანა. მელამ ტომარა გახსნა და ძაღლები გადმოუცვივდნენ.
„ადამიანო, ვიდრე შენ იქნები ამ ქვეყანაზე, მე მუდამ ქათმებზე ვინადირებო“ - გადაწყვიტა მელამ.

II. ინტერვიუ

ალიხან ყურაძე , დაბადებულია 1936 წელს, ცხოვრობს სოფ ნასაკირალში, მესხეთის ქუჩაზე. მასთან გასაუბრება შედგა 6 ნოემბერს, მისივე სახლში. ალიხანი საკმაოდ აქტიური მოხუცია, რომელსაც დიდი პატივისცემით ეპყრობიან დეპორტირებულები. მას დიდი როლი შეუსრულებია ამ კონტინგენტის ნასაკირალში დასახლებაში. მან, როგორც რეპატრიანტთა უმეტესობამ აღიდგინა ისტორიული ქართული გვარი, საკუთარი გილის "ყურადაგილის" მიხედვით. ბოლო ხანებამდე მისი გვარი იყო ისკანდეროვი. რესპოდენტს გარკვეული პრეტენზიები აქვს ჩვენი გამოკვლევის მიმართ (ამის შესახებ ზემოთ იყო საუბარი). ინტერვიუში საუბარია დეპორტაციის წლებზე და რეპატრიაციის პირველ ეტაპზე.

– ძია ალიხან, დაიწყეთ თქვენი თავგადასავლი, სულ თავიდან. სად დაიბადეთ?

–მე დავიბადე 1936 წელს. მაშინდელი საქართველოს სსრ-ის სოფ. აბასთუმანში. მამა ადრე გარდამეცვალა. მე ბებიასთან დავრჩი, ხოლო დედა მეორედ გათხოვდა. შემდეგ ჩვენ გადაგვასახლეს უზბეკეთის სსრ-ში და იქ დაიწყო ტრაგედია. გადაასახლეს ძირითადად უფროსი თაობა და სულ უმცროსი.

–გადასახლების ამბავი თუ გახსოვთ. საქართველოში რა გვარის იყავით?

–არა, მე არ მახსოვს რა გვარის ვიყავით, მაგრამ ეს გვარი, ყურაძე, აღვიდგინე როდესაც აქ ჩამოვსახლდით. ზურაბ ცინცაძესთან ერთად ახალციხეში დავდიოდით და ვნახე ერთი ყურაძე. ე.ი. გვარი ყურაძე არსებობდა. შემდეგ მე რადიოში მოვისმინე ასპინძის რაიონში ერთი ტრაქტორისტი იყო, გვარად ყურაძე. ჩვენი ძირძველი გვარი კი იყო ყურადაგილი. ეს თურქული წარმოშობისაა თუ ქართული - არ ვიცი, მაგრამ ძველად რომ იყო ყურადგილი, ვიცი. ე.ი. მე უნდა მიმეღო გვარი ყურატაძე. როცა მოვისმინე ეს გვარი მივხვდი, რომ ცოტაოდნავ შევცდი და გვარი შევამოკლე, მაგრამ ეს არც ისე მტკივნეულია.

– გასახლება თუ გახსოვთ?

–რა თქმა უნდა. გასახლების წინა დღეს, 14 ნოემბერს საღამოთი კინო აჩვენეს. კინო ომზე იყო. დედა აქვე ახლოს ცხოვრობდა, წავიდა და მეც წამიყვანა. ხეზე ჩამოკიდეს პლაკატი (ეკრანი) და გაუშვეს ფილმი. მახსოვს, რომ ფილმში ჯარისკაცები დარბოდნენ. ალბათ, დოკუმენტური კინო იყო ომზე. მე დედის მუხლებზე დამეძინა. მან, როგორც ჩანს, მძინარე მიმიყვანა სახლში. კარზე კაკუნმა გამომაღვიძა. ბებია ადგა. ის ამ დროს 75-80 წლის იყო. გააღო კარი. უეცრად სამხედრო ფორმიანი ჯარისკაცები დავინახეთ და მანქანების გუგუნის ხმა შემოიჭრა. ჩვენ ეს მანქანები დღისითაც დავინახეთ, კურორტ აბასთუმანის მხარეს, პალატიანი სამხედრო მანქანები, სტუდებეკერები იყო. ეს რომ ამერიკული სტუდებეკერი იყო, მოგვიანებით, არმიაში სამსახურისას გავიგე. ჯარისკაცები სოფლებში შევიდნენ. იქ სადაც მანქანებს შესვლა შეეძლოთ მანქანებით შევიდნენ, სადაც მანქანების შესვლა შეუძლებელი იყო – ხარებით და ცხენებით. და, აი ამ კოშმარში გამომეღვიძა, დავინტერესდი და დედასთან გავიქეცი. თითოეულ ოჯახზე მიამაგრეს ტრანსპორტი. თუმცა აღმოჩნდა, რომ, დედას გამოუყვეს, ჩვენ კი არა. ამ ჯარისკაცებმა გაგვაღიძეს და თვითონ წავიდნენ. დედას ვუთხარი, რომ ჩვენთვის მანქანა არ იყო. იგი უფროსთან წავიდა და ჩვენთვისაც გამოაყოფინა მანქანა. ნახევარკუზაოიანი მანქანა იყო. დედამ იცოდა, რისი წაღება სჯობდა. ლოგინები შევკრიბეთ, მანქანაზე მოვთავსდით და დავიძარით. მაშინ არ ვიცოდი, საით. ახლა კი ვხვდები -

ახალციხისაკენ. იქ ადამიანები ყოველი მხრიდან მიჰყავდათ და მანქანებზე სვამდნენ. ბებიაჩემი რელიგიური ქალი იყო და ჯარისკაცებს სთხოვა ზანდუკში წიგნები მაქვს და თუ შეიძლება მომაწოდეთო. ერთმა მეზობლის კაცმა მოუტანა ეს ყუთი, მაგრამ ჯარისკაცმა დაინახა და ისეთი დაარტყა ყუთს წიხლი, რომ წიგნები მიწაზე გაიფანტა. ბებიამ სთხოვა, მხლოდ ყურანი მაინც მომეცითო. ამ კაცმა (ჩვენი მეზობელი მესხი იყო) ყურანი მიაწოდა და ბებიამ ეს ერთი წიგნი წამოიღო.

როდესაც მანქანაზე დავსხედით, მე ავტირდი, რა მიზეზით, არ ვიცოდი. ადამიანებმა ნივთების წამოღება ვერ შესძლეს, რადგან ოჯახებში მამაკაცები არ იყვნენ, ყველანი ომში იყვნენ, დედაჩემის ქმარიც ომში იყო. მათ ვისაც 15-16 წლის ბიჭები ჰყავდათ კიდევ შესძლეს რაღაცეების წამოღება, ჩვენ კი ვერაფერი წავიღეთ. ძროხები დარჩნენ დაბმული, ჭირნახული დარჩა ამბარებში. ის წელი მესხეთში ძალიან მოსავლიანი იყო. მახსოვს, ბებიამ 5 ასკილოიანი ტომარა (თხის ბეწვისაგან შეკერილი ტომრები იყო) ლობიო დატოვა, ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ აწყვია ისინი ამბართან.

ხორბალი ბევრი არ იყო, გვქონდა უფრო სიმინდი და ხილიც გვქონდა. ყველაფერი იქ დარჩა. ასევე დავტოვეთ დაბმული ძროხები, ყველანაირი პროდუქტი, კარაქი, ყველაფერი, რაც ზამთრისათვის გვქონდა გადანახული. არავინ იცოდა რა გველოდა. მანქანები დაიძრნენ და მე გაბმით ვტიროდი, ძლივს დამაწყნარეს. დაგვსვეს მატარებლზე და გაგვიშვეს. საქართველოს ვიდრე გავცდებოდით შედარებით თბილოდა. მახაჩკალას შემდეგ აცივდა. ურალს რომ მიუახლოვდით, ასტარახანს, იქ უკვე ყინვა იყო. ზოგიერთი იყინებოდა და კვდებოდა. მართალია, გზაზე მცირეოდენ ცხელ საჭმელს გვაძლევდნენ. მაგრამ ზოგს შიმშილი კლავდა. ზოგი მატარებლიდან ჩამოდიოდა, ბევრმა ისიც არ იცოდა მატარებელი რა იყო, ტუალეტში გადიოდნენ და გზაზე რჩებოდნენ. ტირილი, გნიასი, ენით აუწერელი კოშმარი იყო. ყველაფერს ვერ იტყვი. მთელი თვე გზაზე ვიყავით. მივედით ტაშკენტამდე და ტაშკენტიდან დაიწყო ეშელონზე ვაგონების ჩამოხსნა. ზოგი სამარყანდის, ზოგი ფერღანის, ზოგი ალმა-ათის (ჯამბულის) მიმართულებით წაიყვანეს. თითოეულ სადგურზე 2-3 ვაგონს ხსნიდნენ. ძალიან მძიმე რეჟიმი იყო. არავის შეეძლო განძრეულიყო, იარაღიანი სამხედროები დარაჯობნენ. როგორც კი მატარებლიდან ჩამოგვიყვანეს, შეგვყარეს აბანოში, დავიბანეთ. მერე რაღაც კლუბში შეგვყარეს, შემდეგ აქედან დაგვანაწილეს, ბრიჩკებით გაგვიშვეს კოლმეურნეობებში. თითოეულ კოლმეურნეობას მიწერილი ჰყავდა ხალხი - შენ წაიყვან ამდენს, შენ ამდენსო.

უზბეკეთის სოფლებში ძალზე მძიმე მდგომარეობა იყო. ადგილობრივ ხალხს უჭირდა. იქ მხოლოდ ბამბა იზრდებოდა, რომელსაც ვერ შეჭამ და მხოლოდ ტანსაცმელისათვის თუ გამოიყენება. თანაც ბამბაზე სახელმწიფო მონოპოლია იყო. ადამიანები ჭამდენენ ყველაფერს რასაც პოულობნენ.

აღმოვჩნდით ყურღანის ოლქში, ქალაქი მარგელანში, სადაც რამდენიმე რაიონი იყო. ჩვენ მოვხვდით ახბაბაევის რაიონში. ამ დღიდან დაიწყო ჩვენი დეპორტული ყოფა ვისაც როგორ შეეძლო - ცხოვრობდა. მართალია, სახელმწიფოც ცოტაოდენ პროდუქტებს გვაძლევდა, მაგრამ ძალიან გვიჭირდა. ჩვენ ერთი უზბეკის სახლში მოვხვდით. ამ ქალის ქმარი ომში იყო. ამ ქალის მაზლის (რომელიც ასევე ომობდა) ოჯახმა კი დედაჩემი მიიღო მის დედამთილთან ერთად. ჩვენს მასპინძელს ორი შვილი ჰყავდა, მაგრამ რასაც

იშოვიდა, ჩვენც გვინაწილებდა, ხოლო რასაც ჩვენ ვიშოვიდით, მას ვუნაწილებდით.

დავიწყე მუშაობა, სოფლის ბუღალტერს ვეხმარეობდი, დავდიოდი მწყემსად. მე გამიმართლა, რადგან ისინი შეძლებულნი იყვნენ. ცნობილია, რომ ბუღალტერობა ერთი ყველაზე შემოსავლიანი ხელობაა სოფელში. თავადაც ვჭამდი და ოჯახსაც ვკვებავდი ჩემსასაც და მასპინძელ უზბეკებსაც. როდესაც საჭმელს მაძლევდნენ - მე ნახევარ პურს ვინახავდი და სახლში მომქონდა (ტირის). არ მეგონა თუ ასე განვიცდიდი ამ მოგონებას. არასოდეს გამიხესენებია ეს ამბები. მამის დაბრუნებამდე კარგად ვცხოვრობდი. მამინაცვალი იყო, მაგრამ მამას ვეძახდი და მამობა გამიწია. მამაჩემი ადრე მოკვდა. როდესაც მამინაცვალი დაბრუნდა, ცხოვრება უფრო გაგვიჭირდა. მან ბუღალტერისაგან წამომიყვანა. სახელმწიფომ თითოეულ ოჯახს თითო ძროხა გამოუყო და მას ვმწყესავდი, კოლმეურნეობა რას მოგვცემდა. ძროხას ვუვლიდი და მეც მასთან ერთად ვიკვებებოდი. რაღაც ბალახებს ვპოულობდი და ვჭამდი. ასე მძიმე დღეები და წლები გრძელდებოდა 1953 წლამდე. ამ წლიდან ცხოვრება გაუმჯობესდა. პროდუქტების მოცემაც დაიწყეს. საბარათო სისტემა შეიცვალა.

გადასახლების პირველ წლებში 45-დან 47 წლამდე მრავალი ადამიანი დაიღუპა. ძალიან ბევრი კლიმატმა შეიწირა. შეადარე, ჩვენი მესხეთის ჰავა და შუა აზია. გაზაფხული ადრე მოვიდა და მალე ასიცხდა. სად იყო ჩვენი ცივი წყლები. წყალი ფაქტიურად არაა. მის ნაცვლად არის რაღაც სითხე, რომელიც არხში მოედინება, ამღვრეული, როგორც აქ წვიმიან ამინდში მოდიან მდინარეები. პირველ ორ წელს მძიმე კომენდანტის რეჟიმი არ იყო. მალე ჩვენ ამ რაიონიდან სხვაგან გადაგვიყვანეს. ფერღანის მოვლენები სწორედ ამ ადგილებში დაიწყო. 50 წელს ზემოთ ადამიანები დაიხოცნენ. კაცები ყველანი ფრონტზე იყვნენ მამაკაცის ხელები არ გვქონდა. მოკვდა ჩემი უმცროსი და, შიმშილით მოკვდა იგი (ტირის). ნათესავები, მამაჩემის ბიძა - მან თუთა ჭამა და კოლექტორის წყალი დალია. დაინახა, რომ წყალი წმინდა იყო, ტკბილი. კოლექტორი კი გათხრილია იმისათვის, რომ მიწა მარილისაგან გარეცხოს სასმელი წყალი კი ისეთი ჭუჭყიანია, თუმცა, შემდეგ ამასაც მივეჩვიეთ. როდესაც წყალი დალია მამაჩემის ბიძას მუცელი გაუსივდა, კინაღამ გასკდა. ექიმი არ იყო, არაფერი არ იყო. ადამიანი ერთ დღეში ტანჯვით მოკვდა. ამრიგად, 1-2 წელიწადში (მე, პროცენტი არ შემიძლია ვთქვა, არც არავინ იცის ზუსტი რიცხვი სახელმწიფოს გარდა, სახელმწიფოსთვის კი, რათქმა უნდა ყველაფერია ცნობილია) ძალიან ბევრი დაიხოცა. მამკაცები არ იყვნენ, რომ გარდაცვლილები დაემარხათ. იძულებულნი იყვნენ ქალებს დაეკრძალათ. ჩვენთან კი, მუსლიმებთან, მიუღებელია ქალმა დაასაფლავოს მიცვალებული, მაგრამ როცა შესაძლებლობა არაა, რას იზამ. ერთი ქალი იყო, ჩემი ნათესავი, იგი კითხულობდა ლოცვას და მარხავდნენ. არაა ისლამის წესი, მაგრამ რას იზამ. ასე მიდიოდა ცხოვრება. ნამდვილი ტრაგედია იყო. ჩვენი ხალხი ასე იღუპებოდა გზაში და ჩასახლების ადგილებში. ადგილობრივი ხალხი თავიდან არ გვეკარებოდა, დააშინეს, ჩვენზე უთხეს კაციჭამიები არიან და არ მიეკაროთო. აგიტაცია-პროპაგანდას ეწეოდნენ. ხალხს ეშინოდა, როდესაც გვხედავდნენ შედიოდნენ სახლში და იმალებოდნენ. მერე შეგვეჩვივნენ. მახსოვს ერთი კაცი მოვიდა და დედაჩემს ნაჯახი სთხოვა რუსულად. დედამ რუსული არ იცოდა, მაგრამ მიხვდა, რომ ნაჯახი უნდოდა და ჩვენებურად უთხრა „ბალთა“ - გინდა? უზბეკური ენა მსგავსია თურქულის და ამრიგად, ნახეს საერთო ენა. ბალთა მათ

ენაზეც ბალთაა. ვნახეთ საერთო ენა, უზბეკებმა დაიწყეს ჩვენთან სიარული. სხვათა შორის, უზბეკები ძალზე გულუხვი ხალხია, ისინი პურის ნაჭერსაც კი გვინაწილებდნენ. იმის მერე ცხოვრება გაუმჯობესდა. დავმეგრობდით. თუმცა, კინკლაობაც იყო. შემდეგ, დაიწყო მძიმე კომენდანტის რეჟიმი. ზუსტად არ ვიცი როდის, პატარა ვიყავი. ადამიანებს უფლება არ ჰქონდათ ერთი სოფლიდან მეორეში გადასულიყვნენ, რაც ძალზე ართულება მათ ცხოვრებას. ვერ მივდიოდით ნათესავების დასაფლავებაზე, ავადმყოფის სანახავად (ასეთია ჩვენებური კავკასიური ჩვეულება).

– ძია ალიხან, აქედან წასული ნათესავები თუ მეზობლები ერთად ცხოვრობდით?

–როგორც მოხვდეობდა. ჩვენ ნათესავებთან ვცხოვრობდით, მაგალითად ახლოს ცხოვრობდა მამაჩემის ბიძა ვაჟიშვილებთან ერთად (ისინი ჯარში არ ყოფილან), მეორე ბიძა იყო, ის კი არა რომ გარდაიცვალა. ისინი გვეხმარეობდნენ, მაგრამ ნათესავებსაც არაფერი ჰქონდათ. ამრიგად, ურთიერთობა გვქონდა ვიწრო წრესთან. ამ ვიწრო წრის გარეთ ვერ გავდიოდით, აკრძალული იყო.

– მეზობელ უზბეკებთანაც გიკრძალავდნენ ურთიერთობას?

–მეზობლებთან არ გვიკძალავდნენ. უბრალოდ, მოძრობას გვიკრძალავდნენ. კომენდანტის რეჟიმს ერთი უპირატესობა ჰქონდა, რომ ჩვენს ხალხს შორს არ აგზავნიდნენ სამუშაოდ. უზბეკეთში ასეთი ჩვეულება იყო, არხებს თხრიდნენ. 40-50 კმ-ის დაშორებით მიჰყავდათ ხალხი და ხელით ათხრევინებდნენ არხებს. ტრაქტორები და ექსკავატორები არ ჰქონდათ. ჩვენები კი მხოლოდ ახლოს მუშაობდნენ, კოლმეურნეობაში.

– როგორ ეძახდნენ საკუთარ თავს მესხები იქ?

–ჩვენი ხალხი, ან კავკასიელები.

– ისინი?

–„კავკაზ“-ს გვეძახდნენ, როდესაც გაბრაზდებოდნენ იტყოდნენ „ით კავკაზ“ - ე.ი. „კავკასიელი ძაღლიო - გვლანძღავდნენ. ეროვნული საკითხი დიდხანს არ ვიცოდით. მე მგონი, გიამბე როგორ ხსნიდა დედა ეროვნებას. მოგვიანებით გავიგე, რომ 52 წელს ჩვენს ხალხში ვისაც ქართული გვარი ჰქონდა ანულირება უქნეს, შეუცვალეს მუსლიმურზე, ბერიას ბრძანებით. მაგ., იყო ერთი მოხუცი, რომელიც ქართული გვარით-მჭედლიშვილით გაასახლეს. იქ კი იძულებით შეუცვალეს გვარი, ჯემალი ნურსალ ოღლად. რაღაც ტალღა იყო ქართული გვარების ცვლილებისა. თუმცა, ნაწილმა შეინარჩუნა. 30%-ს ჩვენს ხალხში აქვს ქართული გვარი. ჩვენ მრავალ წერილს ვღებულობდით და ვიცი, რომ ზოგი ატარებს ქართულ გვარს. შემდეგში ვნახე, რომ ზოგიერთს ეროვნებაც აქვს ქართული. ქართული გვარი აქვს და პასპორტში ქართველი უწერია. მაგ. სამარყანდიდან გადმოსახლებული დვალიძეები.

– ბრეთში ხომ არ ცხოვრობდნენ.

–დიახ, ბრეთში. იგი უზბეკეთში „კომსორგი“ იყო და შეინარჩუნა ეროვნება და გვარი. ასე, რომ გვხვდებოდა ხალხი, რომელთაც გვარი და ეროვნება ქართული ჰქონდა. 56 წლიდან კომენდანტის რეჟიმი გაუქმდა და ხელწერილი დაგვადებინეს, უფლება გაქვთ იცხოვროთ მთელი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, მესხეთის გარდაო. თუმცა კომენდანტის რეჟიმისაგან განთავისუფლებისთანავე გამოჩნდა ხალხი, რომელიც დაიძრა საქართველოსკენ. ზოგიერთმა მშობლიურ სოფლამდე მისვლაც კი გაბედა, მაგრამ დაიჭირეს და გააგდეს. აქ, ოზურგეთშიც იყვნენ ასეთები 60 წლიდან, 61 წლიდან. ამირანის

(შვილია) სიმამრის ძმა 69 წლიდან ცხოვრობს ცეცხლაურში (ქობულეთში). ასეთი იყო 40-მდე ოჯახი. შემდეგ მათი ნაწილი იძულებული გახდა აქედან წასულიყო.. ხალხის დიდი ნაწილი აზერბაიჯანში გადასახლდა. 50-იანი წლების ბოლოს და 60-იანი წლების დასაწყიში ჩაასახლეს მუღანის ველზე იქ შექმნეს რაღაც ტერიტორიული წარმონაქმნი მესხებისათვის, როგორც აზერბაიჯანელებისათვის. ჩვენც 61 წელში ჩავედით. ადამიანებს ხელწერილებს ადებინებდნენ, რომ გვინდა ჩამოვიდეთ აზერბაიჯანში, როგორც აზებრბაიჯანელები. ამ გადასახლებას ხელმძღვანელობდა ბაირახტაროვი, რომელიც იმ ხანებში თბილისში იმყოფებოდა დაბრუნების თხოვნით და როდესაც არ მიიღეს იძულებული გახდა დაბრუნებულიყვო შუა აზიაში. გზაზე ბაქოში გაიარა, შეხვდა თავის მასწავლებელ ამხანაგს, რომელსაც ახალციხიდან იცნობდა. კომუნისტებს მთელი ინტელიგენცია ჩვენთან აზერბაიჯანიდან ჩამოჰყავდათ, თითქოს მესხეთი აზერბაიჯანის ტერიტორიის ნაწილი იყო. ეს საქართველოს მიწაა და აქ ხსნიდნენ უცხოენოვან სკოლებს, ხალხის 50% კი ქართულად ლაპარაკობდა, ეს ადამიანები ითხოვდნენ, რომ მათთვის ქართული სკოლები გაეხსნათ, მაგრამ არ ხსნიდნენ. ეს საგანგებოდ კეთდებოდა. ეს დიდი ისტორიაა. ძნელია მოუმზადებლად ილაპარაკო, მაგრამ რაც მახსოვს, კი ბატონო.

– აზერბაიჯანში მესხებს კომპაქტური დასახლებები ჰქონდათ?

–რვა სოფელი ჩამოყალიბდა. იყო შერეული სოფლებიც, მაგრამ სადაც მე ვცხოვრობდი, სოფელი ადიგიუნი, ამ სოფელში არ იყო შერეული მოსახლეობა.

– მე გამიგია, რომ ამ სოფლებს ქართული სახელწოდებები აქვთ. ეს ოფიციალური სახელებია თუ მხოლოდ თქვენები ეძახდნენ ასე.

– იქ არ ჰქონდათ ნებართვა, ასე მხოლოდ ზეპირად ეძახდნენ. ე.ი. არაოფიციალური სახელწოდებები იყო. მაგ. სოფ. ხევიშენი იწოდებოდა ხევიშენიდან წამოსული მესხების მიერ, სინამდვილეში ამ მეურნეობას ნიზამი ერქვა. აზიზბეკოვში ცხოვრობდნენ ჩეჩლადან წამოსული ხალხი და ეძახდნენ ჩეჩლას ოფიციალურად კი აზიზბეკოვი ერქვა. ასე იყო სხვა ადგილებშიც., მხოლოდ ადიგიუნი დარჩა ადიგიუნად ბაირახტაროვის ხელშეწყობით. ბავშვები სკოლაში სწავლობდნენ რუსულ და აზერბაიჯანულ ენებზე.

– მაინც თუ ასხვავებდნენ მესხები თავიათნთ თავს აზერბაიჯნელებისაგან?

– ძალიან.

– ამჟამად, თუ ანსხვავებთ და რით?

–დიახ, აზერბაიჯანელებს სხვა ფსიქოლოგია აქვთ, ისინი ძირეულად განსხვავდებიან ჩვენი ხალხისაგან. თქვენ, რა განსხვავებაა ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის ვერ ამჩნევთ?! მენტალიტეტი, მოქმედებებისა და ურთიერთობის მანერები.

– დავუშვათ ტანსაცმელი, საკვები?

–ბოლო ხანებში იმდენად აღარ განსხვავდებიან, რადგან აზერბაიჯანელები კულტურულად ამაღლდნენ.

– წეს-ჩვეულებები თუ განსხვავდება?

–განსხვავდებოდა თავდაპირველად. ძალიან განსხვავდებოდნენ, მერე კი დაემსგავსნენ.

– შეიცვალა თქვენი თუ აზერბაიჯანელების?

–უმცირესობა ყოველთვის უმრავლესობას ემორჩილება. თუმცა ჩვენებმაც შეინარჩუნეს რაღაც ცეკვები, სიმღერები, მუსიკა. ძველი მუსიკა შემორჩა.

– თუ შემოინახა ეს ხალხის სახელწოდებაში. რას ეძახიან მესხებს?

– თურქებს ეძახიან ჩვენებს, ხოლო თავიანთ თავს აზერბაიჯანელებს.
– თქვენი ხალხი რას უწოდეს თავს?
–თურქებს არსად არ ერწყმიან, სადაც უნდა იყვნენ: უზბეკებთან, ყაზახებთან, თვით რუსეთშიც. თუ შენც წახვალ იქ - ნახავ. ისინი ცდილობენ კომპაქტურად იცხოვრონ. შეინარჩუნონ თავიანთი სახე. მაგრამ სხვაა რამდენად ახერხებენ ამას...
– თქვენ ძალიან არ მოგწონთ, მაგრამ მაინც მინდა გკითხოთ. ამბობთ, რომ უზბეკებმა კარგად მიგიღეს, სარწმუნოებაც ერთი გქონდათ, თუ იყო თქვენ შორის საქორწინო ურითერთობა?
–არა, ძალზე იშვიათად. ვინც უპატრონო იყო ან ცოტა ისეთი ------ თუ შეირთავდნენ. – თქვენებს არ სურდათ თუ მათ?
–ერთნაირად, ისინი, არც ისე მკაცრი არიან თავიანთ ჩვეულებაში. უფრო ჩვენებს არ სურთ. კომენდანტის რეჟიმის დროსაც კი ადამიანები იკრიბებოდნენ ქალაქში, ცეკვავდნენ, მღეროდნენ და თავიანთ წრეს ინახავდნენ.
– თუ განსხვავდებოდა მესხური და უზბეკური საცხოვრებელები?
–რა თქმა უნდა. როცა ჩვენ აქ ვცხოვრობდით სახლს ჰქონდა სარკმელი და ყველაფერი. ნუ, ევროპული კულტურა გვქონდა. მართალია ახლა არ მომწონს ეს ევროპული, მათ კი ღუმელი არ ჰქონდათ. დაბალ მაგიდაზე გადააფარებდნენ ადეალას. მაგიდის ქვეშ ორმო იყო გათხრილი და რამდენი სულიც იყო ამ ორმოში მუგუზლებს ყრიდნენ. ამას ხანდალს ეძახდნენ, საღამოთი ჩაყრიდნენ ნაკვერჩხალს, ფეხებს შემოაწყობდნენ. სარკმელზე ფიცრის დარაბაბები ჰქონდათ, რომელსაც დღისით სინათლისათვის აღებდნენ. საღამოთი კი ხურავდნენ. შემდეგ ჩვენც შევეჩვიეთ ასეთ ყოფას. თუმცა, ღუმელებიც შევიძინეთ. ისინი ბალახს ნამგლით ჭრიდნენ, ცელი არ იცოდნენ. 10 ადამიანი რასაც თიბავდა, იმდენს ერთი მოცელავს ცელით. შემდეგ ჩვენებმა შექმნეს მცელავთა ბრიგადები და ცელები მხოლოდ ჩვენ მამაკაცებს მისცეს და უზბეკები სხვა საქმეს აკეთებდნენ.
–საკვები თუ განსხვავდებოდა და თუ მიიღეთ მათგან რამე?
–დიახ. ძალიან ბევრი მაგ: ფლოვი მივიღეთ. თუმცა ჩვენ, ჩვენიც გვქონდა მაგალითად ხინკალი.
– სადღესასწაულოდ ან გამორჩეულ სუფრებზე თუ მოგქონდათ უზბეკური კერძები?
– რასაც ისინი აკეთებდნენ იმას ვაკეთებდით ჩვენც. თუმც, მათი სუფრა უფრო მარტივი იყო. მხოლოდ ორიოდე კერძს გააკეთებდნენ. ჩვენ კი 7-8 კერძს ვაკეთებდით სამშობლოში.
– ე.ი. თქვენც ბევრი რამე მიიღეთ უზბეკებისაგან და პირიქით. თქვენ თქვით, რომ როდესაც უზბეკეთში ჩახვედით, იქ იყო მხოლოდ ბამბის კულტურა. მესხები კი ძველთაგან მარცვლელის მოყვანას მისდევდნენ, ამ მხრივ ხომ არ შეიტანეთ რაიმე?
–ჩვენ თავისუფლები არ ვიყავით. არამედ, სპეციალურად ჩაგვასახლეს, როგორც სამუშაო ძალა. ომის შემდგომ საბჭოთა კავშირის აღდგენის პერიოდში, ასევე, როგორც ომის დროს სჭირდებოდათ ბამბა, რადგან ტანისამოსი ხომ ბამბისაგან კეთდება. სწორედ ამიტომ ჩაგვასახლეს ჩვენ და ყირიმელები, როგორც ერთენოვანი ხალხი და თანაბარ მდგომარეობაში ჩაგვაყენეს.
– გქონდათ რაიმე ურითერთობა ყირიმელ თათრებთან?
–გვქონდა მეგობრული ურთიერთობა. იცი, ისინი ჩვენზე განვითარებული ხალხი იყვნენ რადგან, მათ მანამდე ჰქონდათ სახელმწიფო, ავტონომია ჰქონდათ. ისინი ასევე განვითარებული იყვნენ, რადგან ზღვასთან ცხოვრობდნენ და

ურთიერთობები ჰქონდათ. ისინი ძირითადად ქალაქებში ჩაასახლეს, მხოლოდ მცირე ნაწილი სოფლებში და თანაც ისეთ სოფლებში, რომელიც ახლოს იყო ქალაქებთან. მათში უფრო განვითარებული იყო ხელოსნობაც. ჩვენ კი, როგორც მიწათმოქმედი და ბედს დამორჩილებული ხალხი, საითაც გაგვაგზავნიდნენ იქით მივდიოდით. ამიტომ, ვიდრე ჩვენები ჩამოვიდოდნენ ფრონტიდან, ასე ვიყავით. ჩამოვიდნენ ხეიბრები, ავადმყოფები და ისინიც ასევე განამწესეს მეურნეობაში, სადაც არც ტექნიკეა იყო და არც არაფერი. იძულებული იყვნენ ნიჩბით და ხელით ემუშავათ ბამბაზე. 47 წელში გამოჩნდა პირველად იქ ტრაქტორები და ადამიანები გაოცებულები იყვნენ ეს რა არისო. შემდეგ, უკეთესი გახდა ამ მიმართულებით. ტაშკენტში ტრატორების ქარხანა ააგეს.

ახლა მოდი, მოგიყვები იმას, რაც შენ არ იცი. როგორ გაჩნდა ქართული ორიენტაცია. ქართული ორიენტაცია წარმოიქმნა სწორედ ამ კოლმეურნეობაში - ადიგენში, სადაც ცხოვრობდა მესხების ავანგარდი, მოწინავე და განათლებული ხალხი. მაგალითად ბაირახტაროვი იყო პედაგოგი, გოზალიშვილიც. ბაირახტაროვი, გოზალიშვილი, ბარათაშვილი მაშინ ერთად იყვნენ. მერე ლატიფშაჰ ბარათაშვილი გამოეყო. ჩვენში იტყვიან ცხვრის ორი ყოჩი თავს ერთ ქვაბში ერთად ვერ ჩაყოფსო. ლატიფშაჰ ბარათაშვილსაც სურდა რომ მეურნეობის თავმჯდომარე გამხდარიყო, მაგრამ ბაირახტაროვს მეტი მომხრე ჰყავდა. უფრო ენერგიული იყო. ამავე დროს ისინი ხალხს ჩამოშორდნენ და საერთოდ გადავიდნენ მინგეჩაურში, სადაც ჩვენი ხალხი არ ცხოვრობს. ბაირახტაროვი ამის (თავის ცოლზე მანიშნებს) ბიძაა. ჩვენს ხალხში ჭკუით გამოირჩეოდა, ძალიან გონიერი ადამიანი იყო. 1961 წელს მეც მოვხვდი მათთან აზერბაიჯანში საათლის რაიონის სოფ. ადიგიუნში. გადავსახლდი. იქ, გავიცანი გოზალიშვილი და აბაშიძე. მასწავლებლები იყვნენ, სკოლაში მუშაობდნენ. მე და ისმიხანმა მივაღწიეთ საღამოს სკოლის გახსნას 64 წელში, რადგან საშუალო განათლება არ გვქონდა. ისმიხანი ასლანოვი იყო. ახლა ხოზრევანიძეა, ორივეს დაუსრულებელი საშუალო განთლება გვქონდა. მე კი სახალხო კონტროლის თავმჯდომარედ ვმუშაობდი. ორივენი აქტიურები ვიყავით კოლმეურნეობაში, გავლენა გვქონდა. გახსნეს საღამოს სკოლა და ორივენი ვმუშაობდით. ჯემალის საშუალებით გავიცანით ერთმანეთი, ჩვენი ფესვები და ნელ-ნელა წავიდა მშობლიური ენისა და ისტორიის სწავლა. წარსული ვისწავლეთ, ენის სწავლა კი არ გამოვიდა, რადგან დრო არ გვეყო. ჩვენ შევძელით ხალხისათვის გვეთქვა, რომ არ ვართ არც თურქები, არც აზერბაიჯანელები, არამედ ქართველები ვართ. მჯეროდა ეს, გულში გვქონდა და ამიტომაც შევძელით ხალხისათვის გვეთქვა. (საუბარია ბაირახტოვზე – ლ.ჯ.) ის უძლიერესი ადამიანი იყო და შეძლო ხალხის დაბრუნებისათვის მიეღწია. მაგრამ კგბ მუშაობდა და მას ხალხი ჩამოაშორეს ისევე, როგორც მე აქ.

რაც შეეხება იდეოლოგიას, ჩვენ დავიწყეთ. ერთხელ ისინი თბილისში იყვნენ ხალილი, აბაშიძე, კიდევ ნარიმანი, კიდევ ლაშტანოვი – აჭარიდან და ეს ოთხი კაცი შეხვდნენ ვახტანგ ჯაფარიძეს (დათოს მამას) და შოთა ლომსაძეს . დაელაპარაკა მათ და ამრიგად, ჩამოყალიბდა ბირთვი. ხალილმა მიაღწია თავისას, უკვე დაიწყო ლაპარკი რომ ჩვენ არც თურქები ვართ და არც აზერბაიჯანელები, არამედ ვართ ქართველი მუსლიმები, მესხები. 1964 წლიდან ჩვენ ვნახეთ შოთა ლომსაძის მიერ 1962 წელს ცკ-სთვის დაწერილი მიმართვა, განცხადება, რომ 44 წელს გადასახლებული კონტიგენტი არც თურქი, არც აზერბაიჯანელი, არამედ ესენი არინ მესხები - ქართველი მუსლიმები. ჩვენ ეს

განცხადება მოსკოვამდე ჩავიტანეთ და ვაჩვენეთ. აი ქართველი სწავლული რას წერს ჩვეზე. იმ დროს უარყოფითი განწყობილება ჩვენს შესახებ არ ყოფილა. ვიყავით ცკ-ში, უმაღლეს საბჭოში. უკვე შეეჩვივნენ რომ ჩვენთვის მესხები ეწოდებინათ - აი, მესხები, მესხების დელეგაცია მოვიდა, ამბობდნენ ჩვენს შესახებ. ჩვენ კარგი ავტორიტეტი გვქონდა, კულტურულად ვიქცეოდით, ჩვენი ხასიათიდან გამომდინარე არ ვარღვევდიათ საზოგადოებრივ წესრიგს და საქმე წარმატებით მიდიოდა. როდესაც 64 წელს აზერბაიჯანში გადმოსახლდა ოდობაშევი, აზვარ უსუროვიჩი, ამ ადამიანის გამოისობით დაიწყო განხეთქილება ჩვენს შორის, ჩვენს ჯგუფში. ოდობაშევმა დაიწყო შემოსვლა ჩვენს წრეში და იყო იქ ერთი პედაგოგი, ბოლქვაძე-დაშტინოვი. გადაიბირა იგი და რამდენიმე სხვა აქტივისტი. ოდობაშევი პროთურქული ორიენტაციის იყო და საფუძველი ჩაუყარა ამ მიმდინარეობას. იგი ამბობდა: „ოო! თურქეთი დაგვეხმარება, პაკისტანი დაგვეხმარება, ირანი დაგვეხმარება, თუ ვიტყვით ქართველები ვართო, ვინ დაგვეხმარება?!“ ბრიყვმა ხალხმა დაუჯერა მას და თანდათან შეთხელდა ჩვენი რიგები. ჩვენ ვაგრძელებდით მაინც ბრძოლას. ხალილი ამბობდა: „თუნდაც ერთი ნაბიჯი შევდგათ საქართველოში. არა აქვს მნიშვნელობა მესხეთი იქნება, იმერეთი. საერთოდ არა აქვს მნიშვნელობა, საქართველოს ტერიტორია იყოს.“ ისინი კი ამბობდნენ – არა, მხოლოდ მესხეთში. აი, ამიტომ დაიწყო ჩვენს შორის განხეთქილება. სწორედ ამ დროს გამოჩნდნენ აფხაზეთიდან დამსაქმებლები. ჩვენ ჩავეწერეთ და 69 წელს აქ, ოზურგეთში ჩამოვიდნენ. სწორედ იმ დღეს, როცა ყუთებს ვაწყობდით ჩემმა მე-4 შვილმა ფეხი მოიტეხა. მე ჩამოვრჩი მათ, როდესაც ისინი აქ ჩამოვიდნენ ოზურგეთში, მათ წამსვე ჩაავლო ხელი უშიშროებამ და უთხრეს სასწრაფოდ დაეტოვებინათ რაიონი, აქ არ შეიძლება წადით, საითაც გინდათო და ავტობუსიც კი მისცეს უფასოდ. ადგნენ და ამ ავტობუსით წავიდნენ გალში, აჩიგვარას მეურნეობაში. 5 მაისს ჩემი ბარგი-ბარხანით მეც იქ ჩამოვედი. გულიანად ვმუშაობდით და ხელმძღვანელობა კმაყოფილი იყო. ჩვენთვის შეუკვეთეს ფინური სახლები. ჩვენ ვიყავით მე-5 განყოფილებაში. 500 ოჯახი ცხოვრობდა მეურნეობაში და 11 განყოფილება (როგორც ნასაკირალში რაიონია) იყო, 11-დან 6-ში იყო ხალხი, ხოლო 5 ცარიელი იყო და უნდოდათ ჩვენ იქ დავსახლებულიყავით, ვიდრე სახლები ჩამოვიდოდა. 40 სახლი იყო შეკვეთილი. დირექტორი მეურნეობაში იყო ჩაჩიბაია, უმაღლესი საბჭოს დეპუტატი სოციალური შრომის გმირი. ცოტაოდენი დროის შემდეგ უკვე საქართველოს სახელმწიფომ გამოაცხადა – ესაო, ისაო, არ შეიძლება მათი აქ ყოფნაო. უნდოდათ ჩვენი შეჯახება ხალხთან, როცა ადგილობრივები მოიყვანეს ჩვენს გასაყრელად ისინი უკან გაბრუნდნენ. შემდეგ, მილიციის საშუალებით უნდოდათ გავეყარეთ, მაგრამ არ გამოუვიდათ. ღამით, მალულად გავფრინდით მოსკოვში, იქ მოვახსენეთ. სოჭამდე ჩუმად ჩავედით. როდესაც ჩვენი გამოსახლების კამპანია დაიწყო მივხვდით, რომ არ შემოგვიშვებდნენ, შევიკრიბეთ და გადავწყვიტეთ. აქამდე მე არასოდეს ამიღია ცოლისაგან ნებართვა ჩემს საქმიანობაზე, ახლა კი შვილები მყავდა, იქნებ, ისინი ჩემს დაბრუნებამდე გაესახლებინათ. ბავშვები უპატრონოდ რჩებოდა. ამხანაგებს ვუთხარი: „წადით, ცოლისაგან აიღეთ ნებართვა, თუ ნებას დაგრთავთ წავიდეთ-მეთქი“. ის მაშინ ბიძასთან იყო წასული, ნარუჯაში ცხოვრობდა. საათლში ერთად ვცხოვრობდით - აბუზარ მელაძე იყო. წავიდნენ ცოლს მოელაპარკნენ, ისიც დათანხმდა. გავფრინდით ღამით. როგორ გავფრინდით? სწორედ, იმ ღამით

გროზნოში მიფრინავდნენ მენავთობები 28 კაცი და ჩვენც 7 კაცი. ღამის პირველ საათზე იყო, ვუთხარი ჩვენც გროზნოში მივფრინავთო.

განცხადება დავწერეთ ტიხომიროვის სახელზე, ცეკაში კარგი ადამიანი იყო. ისინი ჩვენ გვეუბნებოდნენ სადაც საქართველო ნებას დაგრთავთ დასახლდით. დერეფანში შედით და სახლში შემდეგ შეხვალთო - გვირჩევდნენ. მაგრამ აქ არ ვიცი რატომ, არ გვღებულობდნენ. არ უნდოდათ მიღება. შემდეგ იქედან თბილისში დარეკეს, ჩვენ თბილისში ჩავედით. აქ ამხანაგებს შევხვდით და შემდეგ უკან დავბრუნდით. აღმოჩნდა, რომ იქ იყო VI და VII განყოფილება (აჩიგვარაში). ეს ხალხი (მესხები) ჩასვეს მატარებელში, ჩამოაყალიბეს ერთი ეშელონი და ეს ხალხი გაუშვეს კრასნოდარში აქ მხარის (კრაიკომ) კომიტეტის პირველი მდივანი იყო მედუნოვი. მანამ აიღო პასუხისმგებლობა და დარეკა მოსკოვში. ჩვენ ამ დროს მოსკოვში ვიყავით და შეგვატყობინეს - ასეა საქმე გალის რაიონში ცხოვრების ნებას არ იძლევიანო. მოსკოვში საქმის კურსში არ იყვნენ და კრასნოდარში დარეკეს: ეს ხალხი დააბრუნეთ აქ საიდანაც ჩამოიყვანეთო და, ეს ხალხი ჩვენს ჩასვლამდე დააბრუნეს უკან (გალში). როდესაც ჩვენ ჩამოვედით აფხაზეთის მთელი მთავრობა შეკრებილი იყო მეურნეობის კანტორაში. გამომიძახეს მე და მითხრეს სადაც გინდათ წადით, ტრანსპორტს უფასოდ მოგცემთო. აზერბაიჯანიდანაც მოვიდა ცკ-ს მდივანი სოფლის მეურნეობის დარგში - ნიკიტა კოზლოვი - რუსი და საათლის რაიონის პირველი მდივანი ბაბევი. უნდოდათ, ხალხის წაყვანა უკან აზერბაიჯანში ამ დროს მიღებაზე ვიყავით და მეც ვთქვი ჩემი სიტყვა, რომ სხვა ადგილებში წავალთ და უკან კი არ დავბრუნდებით. ისინი გვეუბნებოდნენ რომ ჩვენ წასასვლელი არსად გვქონდა. . . მოსკოვიც ვერ დაგვეხმარა, ნელ-ნელა გვავიწროებდნენ. ყოველდღიურად ხსნიდნენ ხალხს სამსახურიდან, აწერინებდნენ ხელწერილს „ამ ადგილზე წავალ . . . ამ ადგილზე წავალ“ ხალხმა დაიწყო წასვლა. ჩვენი ოჯახი ბოლომდე დარჩა. ჩემს ოჯახს კი რა დაემართა. ამ ბიძას, აბუზარს, შეეშინდა მოვიდა და ბარგი ჩაალაგებინა. მე ამ დროს მოსკოვში ვიყავი, ჩამოვედი და ვხედავ ესენი შეკრულ ბარგზე სხედან. ლოგინი მთლიანად შეკრულია. მე ვეუბნები: „რატომ ქენით ასე“. მითხრეს: „შეგვეშინდა, რომ გაგვასახლონ ვაითუ ბარგის შეკვრა ვერ მოვასწროთ-მეთქი და ამიტომ გავემზადოთო“. მოკლედ, იძულებული გაგვხადეს წავსულიყავით. მე არ მივდიოდი, ამხანაგები - ჩემი თანამოაზრეები გადასახლდნენ აზერბაიჯანში, ყაზახის რაიონში. ზაბიარი (ჩემი მეგობარი) მეუბნება: მოდი ფრუნზეში გადავიდეთო. მე ვუთხარი „არა, მე ზღვაზე არ გადავალ იქით. აქვე, ახლოს სადმე გადავსახლდები, რომ ნათესავებსაც არ მოვწყდეთ-მეთქი. გადავსახლდით ყაბარდოში, კარგად ვმუშაობდი. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ადგილობრივი ხელმძღვანელობა ან ხალხი ჩვენებზე უკმაყოფილო ყოფილიყო. როცა იქედან წამოსვლა დავაპირეთ მათაც დაენანათ ჩვენი წასვლა. 1977 წელს საბუთები მივიღეთ. აქედან ნასაკირალიდან, 100 ოჯახზე, რომ ნასაკირალის მეურნეობა ითხოვს მუშახელს. გადმოსახლება ნიშნავდა, რომ პრემიას, დამატებით ხელფასს ყველაფერს ვკარგავდით, აქაური ამბები კი (როგორ მოვეწყობოდით) ზუსტად არ ვიცოდით. მხოლოდ 10-მა ოჯახმა დაიწყო მზადება გადმოსასვლელად. ბარგი შევკარით და კონტეინერები გამოვაგზავნეთ. შევუკვეთეთ „იკარუსი“-ს ფირმის ავტობუსები 45 ადამიანზე. 10 საათზე უნდა მოსულიყო ეს ავტობუსი იქ, „ფსკოლის“ მეურნეობაში (ყაბარდო-ბალყარეთი, ურბანსკის რაიონი). ველოდით ამ ავტობუსს, რომ ჩავსხდეთ. ბარგი კონტეინერებით უკვე გზაზეა, ხალხი

მზადაა და მე მაცნობეს „ალიხან, მორჩა, თქვენი ავტობუსი არ იქნება“. ვკითხულობ: „რატომ?“ - „ასე თქვეს“. ეს ხდება 8 საათზე. ჩვენ გვქონდა კიდევ ორი საათი. ამის წყალობით შევძელი, წავედი და დავრეკე სადგურში. დირექტორი თუ ვიღაც მეუბნება სასწრაფოდ მოდი. აქ, რაღაც მოხდა. მე დავიბენი, უბრალოდ, რა უნდა მექნა. ხალხი მზადაა, ბარგი წავიდა. მე გამოვედი იქედან (ტელეფონი მეზობელს ჰქონდა). ბიჭები უკან მომყვებიან. არავინ არაფერს ამბობს. თითქოს ყველა დაყრუვდა. სოფლის გაჩერებასთან რომ მივედი, ვხედავთ ავტობუსი, რომელიც სოფლიდან რაიონში დადის ცარიელი მიდის ქალაქისაკენ. მე, უეცრად გადავწყვიტე გამეჩერებინა ეს ავტობუსი, წავსულიყავით სადგურზე და იქ გამერკვია. ხელი ავუწიე და გამიჩერა. „საით მიდიხარ?“ – „სადილზე“. მას კიდევ დრო ჰქონდა მე-2 რეისის გაკეთებამდე. ვეუბნები: „აქეთ ხალხია - 45 კაცი წაგვიყვანე ნალჩიკამდე“. ცოტა გაუძნელდა. ამბობს: „არ შეიძლება, საგზური არ მაქვს, იქეთ-აქეთ“. ერთი ჩემი ამხანაგი მუშაობდა ავტოპარკში. დაელაპარაკა რუსულად ცოტა გამოლანძღა კიდეც და დავითანხმეთ. შემოაბრუნა ავტობუსი, აიყვანა ხადხი და გავემართეთ პირდაპირ სადგურისაკენ, საიდანაც უნდა მოსულიყო. ვნახეთ, რომ ყველა შეკრებილია. ავტოპარკის და სადგურის ხელმძღვანელობა და სხედან. შევდივარ, ვკითხულობ: „რაშია საქმე?“ - ამბობენ: „რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ ავტობუსის გაშვება არ შეიძლება. ნებას არ იძლევიან“. დავრეკეთ მრავალგან, მაგრამ ყველგან უარი გვითხრეს. გაგვიფუჭდა განწყობილება, როდესაც მოლარე ქალმა გვითხრა „რას იტანჯებით, აგერ ავტობუსი-სარეისო, ცარიელი მიდის ახალ ათონამდე, გინდათ, მოგიჭრათ ბილეთები?“ მე ვუთხარი: „მოიცა ამხანაგებს შევეკითხები“, დავუძახე „ასეა საქმე, რა ვქნათ?“ დაქირავებული ავტობუსისათვის ორივე მხარეზე ვაპირებდით ფულის გადახდას. იქდან ხომ ცარიელი უნდა წამოსულიყო. 1250 მანეთი გვქონდა შეკრებილი. გადახდას ვაპირებდით და იქ ხელმძღვანელობა ამბობდა: „არ გვახსოვს შემთხვევა, ავტოპარკი ამოდენა ფულზე უარს ამბობდესო“ როცა ასეთი წინადადება მოგვცა მოლარემ, ჩვენებმა თქვეს: „მოდით წავიდეთ“. 500 მანეთის ბილეთი მოგვიჭრა და ფულიც დაგვრჩა. სხვა ხარჯებისათვის. თუმცა, ეს ფულიც საჭირო იყო. მოსკოვში ვიყავით წასავლელი, იქეთ, აქეთ. 700 მანეთი უკან გამოვართვი, 500 - ბილეთში მივეცით. „შპიკები“ (ისევ ჩვენებიდან იყვნენ) დაგვდევდნენ უკან: „რით. მიდიხართ? როგორ აპირებთ წასვლას?“ მე ვეუბნები: „თვითმფრინავით.“ როდესაც ავტობუსში ჩავსვით ხალხი მაშინღა გაიგეს. 2 დღით მოვასწარით სახელმწიფო აპარატს. ყველაფერს ვერ მოვყვები. მოვედით და საბუთები მილიციამ წაგვართვა-რატომ ჩამოდითო. უნდოდათ ამ ცნობის - ნასაკირალის მეურნეობის მოთხოვნა მუშახელის შესახებ წართმევაც, მაგრამ წავედით და რამდენიმე ასლი გავაკეთეთ და ასლი მივეცით. არ უნდა მიგვეცა არც ასლი, მაგრამ მდგომარეობის გამწვავებას მოვერიდეთ. 5 წელი არ გვწერდნენ ამ 10 ოჯახს. ყველაზე დაბალანაზღაურებად საბუშაოზე უშვებდნენ მამკაცებს. ჩაიში მუშაობა მაშინ კარგი იყო, მაგრამ ქალებსა და ბავშვებს ამუშავებდნენ, ჩვენ კი ვენახში სამუშაოდ გვაგზავნიდნენ. აქედან 10-15 კმ-ში, ბახვში, იცი ალბათ, ჩხავერი ჰქვია.

ხალხი, ვინც გაბრუნდა და ახლა ყაბარდოში ცხოვრობს, ასევე ქართული ორიენტაციის იყო. მაგრამ 7 ოჯახი წავიდა და მხოლოდ 3 დავრჩით (I ნასაკირალიდან). ამრიგად, 5 წლის შემდეგ 1982 წელს, საქართველოს ინტილიგენციამ მიაღწია ჩვენს გადმოსახლებას. 40 კაცი შევიდა, გიული ინაიშვილი იცი ალბათ, გურამ მამულიასთან ერთად. მათ თქვეს შევარდნაძის

სიტყვები: „რად გინდათ ეს ხალხი, ისინი თავიდან გათურქებული იყვნენ, ახლა კი გარუსებულები არიან, დაანებეთ თავიო“. აიღეს ნებართვა და შევარდნაძე თავად შეხვდა იკარუსით შემოსულ კოპიტნარელებს (ვინც ახლა იანეთში ცხოვრობს) ტექნიკუმის შენობაა ჯიხაიშში და იქ, საზეიმო ღონისძიება მოაწყვეს. ფერმის კომპლექსი შექმნეს და იქ შეხვდნენ, მერე სახლებიც ააშენეს კოპიტნარში. ასე დაიწყო რეპატრიაცია. ხალხი ვინც ჩემთან ერთად ჩამოვიდა 80 წელს გაბრუნდა, ხოლო 82 წელს ეს ხალხი (ნასაკირალში ამჟამად მცხოვრები რეპატრიანტები – ლ.ჯ.) ჩამოვიდა. დაიწყეს თანდათან შემოსვლა და 89 წლისათვის საქართველოში თავი მოიყარა 500-მდე ოჯახმა.

აქ ჩამოყალიბდა ორმაგი სტანდარტი. ლავრენტი, ამ საკითხზე უნდა გამახვილდეს განსაკუთრებით ყურადღება. დადგა ნაციონალური საკითხი. რუსებს სურთ ეს ხალხი როგორც თურქები შემოვიდნენ, საქართველოში; მაშინ ისაკაძე იყო, ლევან მიხეილის ძე, შრომის მინისტრი. შევხვდი და ვუთხარი „ლევან მიხეილის ძევ, მოდით ისე ვქნათ, რომ ამ ხალხმა ჩვენზე, როგორც ხიდზე გაიროს. მათ უნდა იცოდნენ, რომ ჩვენ ვმეთაურობთ, ამრიგად მათ ეცოდინებათ რომ ქართული ორიენტაციით შემოდიან“. ეს საკითხი მაშინ ჩავარდა, იგი მოხსნეს და მის ადგილზე მოვიდა ჩიხლაძე ემზარ ბენიამინის ძე. მაშინ 1978 წელს სარვაროვს სურდა შემოსვლა საქართველოში. იგი ყირგიზეთში, ფრუნზეში ცხოვრობდა, იქიდან ჩამოვიდა პირდაპირ. აზერბაიჯანში იყო ოდობაშევი და მისი მოადგილე - ანვარ ზიატოვი, კარგი ბიჭი. სარვაროვმა მე წერილი მომწერა. „ალიხან. საქართველოში მინდა ჩამოსვლა და როგორ მირჩევ.“ ვუპასუხე: „ჩამოდი, მაგრამ იცოდე, რომ საქართველოში მოდიან ქართული ორიენტაციის ხალხი, ჩვენს რეკომენდაციებსაც უჯერებენ და თუ ჩამოსვლა გსურს, კი ბატონო, გიშუამდგომლებ. მე ამ ორიენტაციაზე ვდგავარ.“ ერთ მშვენიერ დღეს ჩაიში ვმუშაობ, სამუშაო კომისიის თავმჯდომარე მოდის ჩემთან და მეუბნება: „ალიხან, სადღაც უნდა წაგიყვანო“, ჩავჯექი მანქანაში. გამიკვირდა. სად უნდა წამიყვანოს-თქო. მივედით მე-4 რაიონში. იქ კრება მოაწყო. ვზივარ და ვფიქრობ „რაშია საქმე? სად მივყევართქო?“, წამიყვანა სადგურზე, ზუგდიდში. როდესაც ბაქანზე ავედით მე, შორიდან დავინახე სარვაროვი. ვეუბნები: „მივხვდი, რატომ მომიყვანე, თავისუფალი ხარ“, შეთანხმება რომ ყოფილიყო ნამდვილად ჩამოვიდოდა....

სარვაროვს პირადად ვიცნობდი. ჩვენ ადრეც შევხვედრივართ თბილისში, შევარდნაძესთან მიღებაზე. შევარდნაძემ მიგვიღო ხალილთან და ოდობაშევთან ერთად. მაშინ ყველა გავერთიანდით და მიგვიღო. ეს სარვაროვის ჩამოსვლამდე იყო. ამრიგად, დავინახე სარვაროვი, ვეუბნები ჩემს თანმხლებს: „ყველაფერი გასაგებია, შენ თავისუფალი ხარ-მეთქი“, მივედი ახლოს და ვხედავ კგბ-ს უფროსი, მილიციის უფროსი და სარვაროვი ოჯახით. ვეუბნები: „იუსუფ, რაშია საქმე?“ - „აი, ასე დილიდანვე დამაპატიმრესო“ – მპასუხობს. ახლა ელოდებოდნენ მატარებელი როდის დაბრუნდებოდა, რომ უკან გაებრუნებინათ. ვეუბნები: „იუსუფ შენ თბილისში იყავი?“ -„არა“- მპასუხობს. „რატომ, ჭკვაზე ხარ? რატომ არ იყავი თბილისში?“ -„არ ვიცი, ალიხან. ასე მოხდა, რომ პირდაპირ წამოვედი“. იგი, რომ პირდაპირ ჩემთან მოსულიყო აქ განხეთქილება არ მოხდებოდა. ჩვენ საერთო ენას ვნახავდით. თანასოფლელები ვიყავით. ისიც აბასთუმნელი იყო.

– სარვაროვი რა გვარი იყო, მგონი დიდებულიძე?

–დიდებულ ოღლი, დიდებულიშვილი, ჩვენ მიგვიღო. შენ ახლა წყნარად წადი და დამელოდე. მეც წამოვალ თბილისში. ჩვენ შევედით პირაპირ ნოდარ ამბროსის ძე ჭითანავასთან. ჭითანავამ იქ უთხრა – „იუსუფ, შენ ხომ ხალხს მეთაურობ და გინდა შენი ხალხი აქ შემოიყვანო, შენ ჭკუა არ გეყო, რომ ჩემთვის დაგერეკა. გეთქვა: ნოდარ ამბროსის ძევ, ჩამოვდივარ, მე შენ შეგხვდებოდი, გაგაზავნიდი და ასეთი რამ არ მოხდებოდაო.“ კარგი კაცი იყო ნოდარ ჭითანავა. ამის მერე სარვაროვმა უთხრა – „მე ალიხანთან მინდაო.“ მაგრამ ჭითანავამ გადაწყვიტა – „არა, შენ წახვალ ზუგდიდში, ალიხანი აქ იცხოვრებს, შენ კი - იქ და ვნახავთ ვინ იმუშავებს თქვენს შორის უკეთესადო.“ ალბათ, ეს განგებ გააკეთეს. იმიტომ მოხდა ჩვენს შორის განხეთქილება. მე რომ აქ დამხმარებოდნენ მე და ჩემს ამხანაგებს ჩვენი იდეა - მესხების, როგორც ქართველ ერთან ჩამოშორებული ნაწილის გაერთიანებისა და აღორძინებისა, გაიმარჯვებდა. ასე იყო. ყველა ფეხის ნაბიჯზე გვეწინააღმდეგებოდნენ. ამის მერე, მგონი, 84 წელს, ზუსტად არ მახსოვს ჩვენ აღვიდგინეთ ეროვნება, გვარი, მივაღწიეთ ჩვენსას.

– თქვენი, როგორც ლიდერის, აზრით მესხების საქართველოში დაბრუნების შემთხვევაში როგორ უნდა განსახლდნენ, მხოლოდ მესხეთში თუ მთელს საქართველოში, კომპაქტურ სოფლებად თუ მცირე ჯგუფებად ?

–ეს უძველესი კითხვაა. რომელიც მრავალჯერ დაუსვამთ ჩემთვის და ბევრიც მიფიქრია ამ საკითხზე. თავიდან ჩვენი ბირთვი ასე ვფიქრობდით, საქართველო ჩვენი სამშობლოა და უნდა დავსახლდეთ სადაც არ უნდა იყოს, ოღონდ მშობლიურ რესპუბლიკაში, ჩვენს სამშობლოში. მაგრამ შემდგომში, ეს შეცდომა აღმოჩნდა. რატომ? იმიტომ რომ გივი ღამბაშიძეს ვუთხარი, როგორც თანატოლს მე თანახმა ვიყავი 2-3 ოჯახი ჩასახლებულიყო თითოეულ სოფელში. მაგრამ იქ ხომ მოუმზადებელი ხალხია. შეიძლება, ხალხს კონფლიქტისაკენ ვუბიძგოთ. ამგვარი რამ მეც დამმართნია აქ. აქაც კი იყო საშიშროება. მიუხედევად იმისა, რომ ვუხსნიდი. მე გურამ მამულიას ვუთხარი 1995 წელს როდესაც მასთან თბილისში ვიყავით: „გურამ, მოდი, მესხეთში ჩავასახლოთ ხალხი გეგმაზომიერად. საქართველოს დანარჩენ ნაწილებში კი იყოს თავისუფალი დასახლება ვინც ჩქარობს და ვერ ელოდება ნორმატიულ რიგს. მაგალითად: 100 ოჯახი უნდა წავიდეს მესხეთში წელიწადში. სხვა კი რიგს ელოდოს. მაგრამ ვინც ჩქარობს დაე, დასახლდეს საქართველოს ტერიტორიაზე სადაც სურთ და ადგილს იპოვიან. ასეთია ჩემი ძველი მოსაზრება და დღემდე ასე ვფიქრობ.

–ძია ალიხან, თქვენ ცნობილი ხართ, როგორც პროქართული ორიენტაციის ლიდერი. როგორ გგონიათ დღევანდელი ახალგაზრდობა, აქაურების გამოკლებით, წამოყვება ამ იდეას?

–დარწმუნებული არა ვარ. მე მარტოდ ვარ დარჩენილი. თუმცა, ოფიციალური ბოიკოტი არ გამოუცხადებიათ, მაგრამ ასეა, ჩემი კავშირის ძაფები გადაკვეთეს. ჩემი მოძრაობა, ჩვენი მოძრაობა (ჩემის თქმა არაა ლამაზი, რადგან მინდა დავაფასო ჩემი თანამოაზრე ამხანაგების შრომა, ჩვენ ერთად ვმუშაობდით) დარჩა ამაო. მე ვფიქრობ, რომ ეს ახალგაზრდობა მასიურად გონებაარეულია, რადგან მათზე ძლიერ იმუშავეს. მე, როცა მარტო დამტოვეს დღეს შენთან ჩვენზე საუბარი მიდის. თქვენთან მე დამტოვეს მარტო. ეს რაღაც გამონაკლისია. ადამიანებს არ სურთ გამოამჟღავნონ თავი და აჩვენონ თავისი ნამდვილი სახე.

–თქვენი აზრით, რა უნდა მოიმოქმედოთ, რაა საჭირო, რომ თქვენი მოძრაობა „ხსნა“ გამოცოცხლდეს. რით შეიძლება სახელმწიფომ შეგიწყოთ ხელი ან რა უნდა მოიმოქმედონ ცალკეულმა პირებმა?

–სადღაც დაწერილი მქონდა და არ მომიტანია. ბოროტგანმზრახველებს გამოგვართვით ხელიდან, როგორც მამლუქები. მე, მამლუქებად ვთვლი, რომ ჰყიდდენ ჩვენს ხალხს მესხებსაც და სხვებსაც ადრე. მერე, ეს მამელუქები ერთმანეთს ებრძოდნენ. ვინ არიან ისინი, როგორც ეს ფილმშია. სასიკვდილოდ იმეტებდნენ. მე, ჩემს ხალხს მამელუქებად მივიჩნევ, რადგან ისინი იყიდეს და ამსახურებენ სხვა მიზნებს. რა შეგვიძლია ჩვენ? მე, როგორც ერთი მესხთაგანი, მესხი კი ქართველია, ჩემი მშობლიური რესპუბლიკის ინტერესებიდან გამომდინარე, ხალხს ამას ვეუბნები: „მე, მიყვარს საქართველო, და რომ არ ჩამოყალიბდეს ისეთი კერები, როგორიცაა შიდა ქართლი. . .

– ალაბთ, ქვემო ქართლს გულისხმობთ?

–აზებრაბიჯანელები სად ცხოვრობენ? ქვემო ქართლში? მაშ, ქვემო ქართლი, სამაჩაბლო, აფხაზეთი ამიტომ, მე მერაბ კოსტავას ვუთხარი ზუგდიდში: „შენ რაიმე გარანტია გაქვს, რომ რუსები მესხებს ტანკებით არ შემოიყვანენ საქართველოში? ამიტომ, ვთავაზობ საქართველოს საუკეთესო მოაზროვნეებს გადადონ ყველა საქმე და იფიქრონ ამ საკითხის გადაწყვეტაზე. ახლავე, დაუყოვნებულივ უნდა შეიქმნას პირობები, რომ ჩამოვიდეს ხალხი და იყიდოს სახლები. ხომ იყიდება საქართველოში სახლები, რამდენიც გინდა. მოეხმარონ ამ ხალხს. როდესაც გაათბობ, მიულარესებ იგი მიხვდება, რომ ჩემი ძმა მე მეხმარება. იგრძნობს ძმა ძმის სითბოს და წავა მისკენ, რადგანაც გენები არსებობს. სასწრაფოდ, დაუყოვნებლივ მე ვიღაცას ვუთხარი: „უნდა გადაიდოს აფხაზეთის და ოსეთის საკითხი, ჩვენი მესხების საკითხი მათ ხელში კოზირია.“ ცდილობენ ჩვენს გათურქებას, ამ საქმეში ჩართული არიან მეცნიერები, შუა აზიაში ჩვენი ხალხის ხელის ანაბეჭდებიც კი აიღეს. ისინი თურქების მსგავსიაო რომ დაემტკიცებინათ. თავის ქალა და ძვლებიც არ გიგავთ უზბეკებს, უფრო თურქებისას ჰგავსო. დასაკარგი აღარაფერია. მე ვუთხარი: „არაფერია საშიში, მთავარია გონებრივად ვიმოქმედოთ და არ უნდა გაიწელოს ეს საკითხი უსაშველოდ. ჯერ გვარუსებდნენ, ახლა გვაამერიკელებენ. ეს, სახიფათო საკითხია. როგორც ამ ქვეყნის მოქალაქე მე ვთხოვ ჩვენს საუკეთესო ადამიანებს, იფიქრონ ამაზე. ჩვენი ხალხი გამოადგება საქართველოს. მე 100%-ით ვარ დარწმუნებული. ისინი გახდებიან მშობლიურნი“.

III ინტერვიუ

ახაგაზრდა რეპატრიანტი მამაკაცი დაბ. 1970 წ., მცხოვრები სოფ. ნასაკირალი, პირველი რაიონი

ამ ინტერვიუში ჩანს, რომ ზოგიერთ ადამიანი გადუარჩა დეპორტაციას. იმავდროულად შევიტყობთ ახალგაზრდა თაობის დამოკიდებულებას მესხეთში დაბრუნების, ადგილობრივებთან ურთიერთობის, რელიგიის და სხვა საკითხების შესახებ.

– თქვენი სახელი და გვარი, სად დაიბადეთ?
–..., დავიბადე 1970 წელს, ოზურგეთში.
–თქვენი ოჯახი წარმოშობით საიდან არის?
–მესხეთიდან, ადიგენის რაიონი, სოფ. ღაღვიდან.
–თქვენი ოჯახი გასახლებული იყო 1944 წელს?
–გადასახლების დროს ბაბუაჩემი იყო ომში. ალი სულთანი ერქვა, რომ ჩამოვიდა ომიდან აღარავინ აღარ დახვდა, იფიქრა - სამი ძმაი მყავს - მაგათ მოვნახავო. წავიდა შუა აზიაში, მარა ვერ ნახა. ჩამოვიდა და აგერ ჩოხატაურში ნახა მისი ძმაი. იქინე ნახა - ზოტში. თავის ძმაი - ჩოხატაურში. იქინე იცხოვრა, მერე ქობულეთში უცხოვრია.
–ქობულეთში, სად?
–ქაქუთში. მერე წასულა ერთი კიდევ, აზერბაიჯანში გადასულა. 68-69 წლებში გადმოსულან.
– მამა სად დაიბადა?
–მამაჩემიც საქართველოში დაიბადა.
–რა გვარის იყო ბებია?
– ქართული გვარის თუ? ბებიაჩემი იმ დღეს, რო გადასახლება ყოფილა პატარა იყო თურმე და არ წაყვა, გაიპარა და დეიმალა. აჭარლები ყოფილან მანდ და იმათ შეიფარეს. ბებია ჩხეიძე ყოფილა. იქინე გეიზარდა - ზოტში. მერე ბაბუა ჩამოსულა ომიდან. იქინე გეიცნო და კი შეირთო თურმე ცოლად.
–ბებია საიდან იყო? ჩხეიძეები სად ცხოვრობენ?
–მაგენი დერსელია სოფელი და იქიდან არიან. მამაჩემი ზოტში დაბადებულა.
–დედაშენი სად გაიცნო მამაშენმა?
–იქინე, რომ იყო აზერბაიჯანში, საათლის რაიონში, იქ გაუცნია. კი შეირთო ცოლად და მერე აქანა წამოსულან.
–რა გვარია დედა?
–ქართული გვარი? ქართული გვარი ბარამიძეა. ისიც ღაღვიდან ყოფილა წარმოშობით. იქინე, აიბოვად იწერებოდა.
–ვიდრე დანარჩენი მესხები წამოვიდოდნენ, შენ რა იცოდი მათზე?
–მითხრენ ჩვენებმა ასე და ასეა, ჩვენ ამ ეროვნების ხალხი ვართო.
–რა ეროვნების?
–მესხები ვართო, ამბობდნენ.
–თურქული სად ისწავლე, ოჯახში? დედ-მამა ლაპარაკობდნენ თუ?
–რა თქმა უნდა, ოჯახში. დედა არ მახსოვს მე, პატარა ვყოფილვარ, რომ გარდაიცვალა. მეორე ძმები და იგი მეორე ცოლიდან არის. დედინაცვალი აჭარელია - ირემაძე.
–თურქული ენა სად ისწავლე, მაინც?
–ოჯახში ლაპარაკობდნენ. ისე, თურქული ენა არაა მაი. თურქულსა და ჩვენ რო ვლაპარაკობთ ძაან დიდი განსხვავებაა. იმდენი განსხვავებაა თურქულ და ჩვენს ენაში.
–აზერბაიჯანში თუ ხარ ნამყოფი? გყავს იქ ნათესავები?
–როგორ არ ვარ? დედის ძმა და იმისი შვილები (ტაი და ტაიოღლები) ცხოვრობენ.
–ისინი რომელ ხალხად თვლიან თავს, აზერბაიჯანელებად?

–არა, არა. მესხები ვართო ამბობენ. ჩემი ბიძა და მისი შვილები აგრე ამბობენ. ჩვენები რო ლაპარაკობენ ტონით და იმით მიხვდები, რომ არაა მაი აზერბაიჯანელი. სიტყვები ერევა ქართული ბევრი.

–აზერბაიჯანელები მათ რას ეძახიან?

–თურქი მესხები არიანო ამბობენ. ზოგი რომ თურქები არიანო, ამასაც ამბობენ.

–შენს ნათესავებს თუ უნდათ ჩამოსვლა საქართველოში და სად სურთ დასახლება?

–წამოსვლა როგორ არ უნდათ? მის ადგილებში უნდათ დასახლება. მაგრამ იქინე რო არ იქნესო, საქართველოში მაინც იყვნენ - ამბობენ.

–ხშირად ხვდები ხოლმე ამ ნათესავებს და რა შემთხვევაში ეპატიჟებით?

–არა. კაი ხანია არ გვინახავს ისინი. ვპატიჟობთ ძირითადად ქორწილში. ამ ბოლო ხანს ქორწილი იყო ბიძაშვილის - დამპატიჟეს და ვერ წავედი. რადგან ფული არ იყო.

–ისინი თუ დაგიპატიჟებიათ აქეთ?

–არა, ასეთი შემთხვევა არ იყო რომ დამეპატიჟებინა.

–აი, ბავშვის დასუნიათებაზე არ დაპატიჟეთ?

–კი. მაშინ დავპატიჟეთ, მარა ვერ ჩამოვიდნენ.

–ქირვა ვინ არის შენი ბავშვების?

–ქირვა, აი, ნურიდინა რომ არის, მისი ბიჭია რუსტამი, თბილისში რომ მუშაობს.

–ქრისტიანი თუ შეიძლება ქირვა რომ გყავდეს.

–კი, როგორ არა.

–ქირვა რას უკეთებს ბავშვს?

–აი, ქრისტიანი ხო ნათლავს, იგივეა, ოღონდ იქინე სუნიათს უკეთებენ და იგია.

–სუნიათს ვინ უკეთებს?

–არის მისი სპეციალისტი აჭარლებში. სუნეჩს ეძახიან.

–რა ხნის ბავშვს შეიძლება სუნიათი გაუკეთო?

–რაც უფრო პატარა იქნება, უკეთესია.

–ქალი თუ შეიძლება ქირვა იყოს?

–არა.

–შენ თუ მიუწვევიხარ ვინმე ქრისტიანს ნათლიად? ან მეგობრებში თუ გყავს ქრისტიანები?

–არა, ნათლიად არ მივუწვევივარ. ისე მეგობრები კი მყავს.

–აჭარლებში უფრო გყავს მეგობრები თუ სხვებში?

–რა ვიცი, აბა?

–აი, მესხებში მაგალითად, ვინ არიან შენი ძმაკაცები? აი, სუფრაზე ვის დაპატიჟებ?

–ალბათ ყველას დავუძახებ. ისე ვარ ახლა მაგათთან, რომ ერთი მეორესაგან ვერ გამოვარჩევ.

–აჭარლებიდან?

–აჭარლებიდანაც ბევრი მყავს.

–კლასელებია?

–არა, ისე, აქანე გავიცანი. ბევრი აგერ, მეზობლებია, მაგრამ ვმეგობრობთ, ვძმაკაცობთ.

–გურულებს რა ნიშნით არჩევ ძმაკაცებად? ერთად მუშაობთ, ერთად ქეიფობთ, ერთად ნადირობთ თუ რა?
–უფრო ერთად ვმუშაობთ. საქმე თუ იქნება რამე. გამოჩნდა სამუშაო, მაგალითად ყანაა მოსატეხი ან ყანა დასათესი, მეტყვის, წამოი ასეთი საქმეა.
–ნადში?
–ან ნადში, ან მაგალითად ფულითაა საქმე, ან ხდება შემთხვევა, რომ მაგიდაზე დაჯდება - მე დამიძახებს, მე დავუძახებ.
–ვისთან უფრო დადიხარ გურულებთან თუ აჭარლებთან?
–არა, განსხვავება არაა, მე არ ვასხვავებ.
–გადმოცემით თუ გაგიგია როგორი ურთიერთობა ჰქონდა თქვენს ხალს მესხეთის ადგილობრივ ქრისტიანებთან?
–ბაბუაჩემი ამბობდა, ერთად ვიყავითო - წასვლა იყო, მოსლა იყო და მე თვითონ გამიკვირდა რომ ჩამოვედი და გადასახლებულები დამხვდნენო.
–ცხოვრობდნენ ღაღვში ქრისტიანები?
–მაი არ ვიცი, მაგრამ თვითონ ამბობდა მისვლა გვქონდა, მოსვლა გვქონდა ერთმანეთთანო. რა მოხდა მერე არ ვიციო.
–სომხებთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?
–მაგათანაც კარგი ურთიერთობა გვაქვს. მისვლა-მოსვლა გვაქვს.
–სხვა მესხებთან თუ გქონდათ ურთიერთობა, აი, რუსეთში ან უკრაინაში რომ ცხოვრობენ?
–არა.
–როგორ გგონია, რატომ მოხდა ფერღანის ხოცვა-ჟლეტა?
–არ ვიცი, მაშინ ჯარში ვიყავი.
–კი, მაგრამ რომ ჩამოდი, აქ ნათესავებს არავის უთქვამს ამ საკითხზე?
–ალბათ თქვეს, მაგრამ არ დამაინტერესა და არც მომისმენია. ალბათ ისე მაი ჩვენებმაც დააშავეს - ტყვილა არავინ არაფერს უზამდა. აბა, ახლა მე, აგერ არაფერ რომ არ დავაშავო, ტყვილა ვინ რას მეტყვის? ახლა, მაგალითად დავდივარ თურქეთში მე სამუშაოდ. თურქი გლახად რამეს რავა მეტყვის თუ არაფერი დავაშავე.
–ძირითადად რით ხართ დაკავებული თურქეთში?
–ადრე ჩაიზე ვმუშაობდი, ახლა კი ქარხანაში ვმუშაობ.
–შემოსავალი რამდენი გაქვს დღეში, გყოფნის?
–ახლა ოჯახში ვიმყოფინებ. თვიურად მიხდიან, 300 დოლარს მაძლევენ.
–როდის ისვენებ? მაგათ კვირას თუ პარასკევს - ჯუმას?
–კვირას ვისვენებთ მარტო. პარასკევს მარტო მის დროზე, როცა უნდა ილოცო და მერე ვაგრძელებთ ისევ.
–მომავალში რას აპირებ, რამე გეგმა გაქვს?
–არ ვიცი, აბა?
–შვილი რამდენი გყავს?
–ორი, ბიჭი-გოგო. პატარებია ჯერ.
–რა ფიქრობ-მეთქი მომავალზე?
–მე თითონ რა უნდა გავაკეთო? იქინე იმდენ ხელფას ვერ ვღებულობ კაცმა რამე დააგროვო. იქინე 300 დოლარის აღებას, მე აქანე 100 ლარი ევიღო ათასჯერ მირჩევნია.
–მესხებში ახლა ყველაზე პატივსაცემ პიროვნებად ვინ არის მიჩნეული?
–ჩვენთან ახლა - სოფლის თავკაციო ვიტყვით. ჩემი სიმამრია - ხოჯა.

–პროკურორი?
–მაი, უფრო თვითნებური კაცია.
–კიდევ, ვინაა მასეთი პატივსაცემი მესხებში?
–ალიხანა.
–საქართველოში სხვაგან მესხებს თუ იცნობ?
–არა.
–თქვენთან მიწები დარიგდა - 0,45 ჰა, თქვენ რამდენი გაქვთ?
–მაგდენი მომცეს და მერე მე თვითონ ვიყიდე და დავამატე. ყველას ვერ ვამუშავებ. ძირითადად სიმინდი მომყავს. მანდარინი არა მაქვს და არც საქონელი მყავს.
–ხოჯას რატომ სცემენ ასეთ პატვს?
–ჭკვიანი კაცია და მერე წესებიც (მუსლიმურიც) იცის.
–შენ თუ მისდევ რელიგიას, რამაზანს თუ ინახავ?
–კი, მაგრამ გუშინ ვიმგზავრე, მთელი ღამის დაღლილი ვარ და დღეს გავტეხე. ნამაზს ვერ ვაკეთებ. იმიტომ რომ ვიღლები. ასეთ შემთხვევაში კი, როცა ყველა მარხულობს, მარტო ერთი კაცი ვერ გამოერჩევი, იქ ყველასთვის კეთდება საჭმელი საღამოზე და აზრი არ აქვს ერთმა დაარღვიო.
–ასეთ ვახშამს რას ეძახიან იქ, იფთარს?
–ხო, იფთარს. დილით 4 სთ-მდე ვისაუზმებთ იასლუღზე.
–შენ მუსლიმი კაცი ხარ და შენს შვილებს თუ მისცემენ ნებას არამუსლიმზე, მაგალითად ქრისტიანზე იქორწინოს?
–რეიზა არა, მან თვითონ გადაწყვიტოს, მე, ახლა მამიდა მყავს ჭიათურაში გათხოვილი. არაფერი არ არის მაგი.
–მესხებზე რას იტყვი, უნდა ჩამოვიდნენ თუ არა საქართველოში?
–ჩამოვიდნენ, უფრო კაია.
–წეღან თქვი, ფერღანიდან რაღაც დააშავეს და იმიტომ გამოუშვესო. აქაც რომ დააშავონ?
–ვინც დააშავებს, მაგენი არც ჩამოვლენ. მე ახლა დავლაპარაკებივარ, მაგრამ ვფიქრობ ბევრი ისე ცხოვრობს, არც უნდა იგი დატიოს და წამევიდეს. ხელმეორედ ახალი ცხოვრება დაიწყოს. არ მგონია, გააკეთოს ასე, ზოგი ამბობს არაფერი არ მოხდაო - დავტოვებ ყველაფერს და წავალო.
–რა ასაკის ხალხია ასეთები? უფრო ახალგაზრდა თუ უფრო ხადაზმულები?
–უმეტესად ახალგაზრდას აქეთ წამოსვლა არ უნდათ.
–მაგრამ თქვენში როგორაა, უფროსის სიტყვა არ უნდა შესრულდეს?
–კი.
–შენ როგორ უყურებ მაგ ტრადიციას. მამაშენმა რომ გითხრას - გადავსახლდეთო, დაუჯერებ? ისე, გინდა მესხეთში გადასახლება?
–არა, მე მაი არასწორად მიმაჩნია. მე ჩემი ჭკუა მაქვს და მითი ვმოქმედებ. მამაჩემმაც რაც მასწავლა ბაღნობაში იგია.
–სად უნდა ჩასახლდნენ, მარტო მესხეთში?
–მარტო მესხეთში ვერ ჩასახლდებიან. ადგილი არ ეყოფათ. სხვა ადგილას რო დასახლდნენ იგი ჯობია.
–როგორ უნდა დასახლდნენ ბევრი ერთად თუ რამოდენიმე ოჯახი?
–ბევრი არა, 10-15 ოჯახი ერთ სოფელში. რატომ მგონია ახლა, ბევრი რო იქნება ენის ამბავია. ახლა, აგერ ჩემები რო ცხოვრობდნენ, მარტო იყვნენ და მესხურად დამლაპარაკებელი არავინ ჰყავდათ - მარტო სახლში ლაპარაკობდნენ.

ახლა კუნძულზე რო არიან მესხები, ბავშვი სკოლაში მიდის და ქართული არ იცის პირველი კლასის დამთავრებამდე. მაგ ბაღანას უჭირს. როცა ცოტა იქნები და მაგენი ბევრი იქნება მაშინ სხვანაირად მოხდება. წესით იგი იქნება და უფრო კარგი ცხოვრება ექნებათ.

–შენ მეუღლე სიყვარულით შეირთე, ერთად სწავლობდით?

– ერთად არა, მაგრამ ერთ ბრიგადაში ვმუშაობდით და შეგვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ უარში იყო მისი ოჯახი, უარში იქნებოდა.

–რატომ?

– რა ვიცი აბა, ასე ვიფიქრეთ და მოვიტაცე.

–მერე, როგორ შეგირიგდა სიმამრი?

– მაგენს იი ქონდა, მეორე გოგო გასათხოვარი იყო და იგი დამეხმარა.

–ქორწინება ვის შორის შეიძლება. ბიძაშვილებს შორის შეიძლება?

– არა.

–ტაის შვილის შერთვა თუ შეიძლება?

–არ შეიძლება, მარა ხდება ხოლმე. ისე, ისლამი არ კრძალავს ,მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ბავშვები მახინჯი და იგი გამოდის. ისედაც, ახლა რატომ შინაური უნდა შეირთო, სხვას დავუშინაურდები უკეთესი არ იქნება?

–ქირვას შვილის და შენი შვილის ქორწილი თუ შეიძლება?

–არც რელიგიით და არც ისე არ შეიძლება

–რამდენი ქირვა შეიძლება ჰყავდეს კაცს?

– ერთი.

–შენი ქირვა სად ცხოვრობს?

– აზერბაიჯანში.

–რა მოვალეობები აკისრია ქირვას, მაგალითად შენს ქორწილში შენმა ქირვამ რა გააკეთა?

– ჩემს ქორწილში ჩემი ქირვა ვერ ჩამოვიდა.

– ისე, რა ევალება?

–აი, ქალის ნიშანი იქნება, სამკაულები ერთი კომპლექტი, ტანსაცმელი, გზის გადაკვეთაზე ფულის ხარჯვა. აი, მაგალითად ჩვენთან წესი იციან ამ სოფლიდან მიყავენ გოგო, დოუშვათ (აჭარლებშიცაა მაგრამ ნაკლებად) გადაკეტავენ გზას ბავშვები ან ახალგაზრდა ბიჭები, ეტყვის ფული მომეცი თორე არ გაგიშვებ. ფულის რაოდენობა დადგნილი არაა. დააკმაყოფილოს უნდა.

–რას ამბობენ რატომ კეტავენო?

– რა ვიცი, ძველებური წესია.

–ქორწილში სასიძო მიდის ქალის წამოსაყვანად?

– მიდის რასაკვირველია (ნაკლებად იცნობს მესხურ ტრადიციას – ლ.ჯ.).

–ხელისმომკიდეს რას ეძახიან?

– მეჯვარეს.

–მესხურად?

– მესხურად რას ეძახიან, რა ვიცი მაი მე?

–შენი დედინაცვალი ირემაძეებიდან იყო?

– რა ვიცი, მე მაგათთან მერე არ მიცხოვრია. ბებიამ გამზარდა. მაშინ ბებია და ბაბუა მპატრონობდა. ბიძასთან ვიყავი უმცროსი ბიძია იყო იქ.

–ახლა, შენი გოგო რომ შევა სკოლაში, შენც უნდა გამოიყვანო მე-6 კლასიდან თუ მისცემ სწავლის გაგრძელების საშუალებას?

– რეიზა უნდა გამოვიყვანო სკოლიდან, მაი არასწორია, განთლდეს უნდა ბაღანა.

IV ინტერვიუ

მოხუცი ქალი, დაბადებული 1930 წ. ცხოვრობს სოფ. ნასაკირალში, მესხების ქუჩაზე, ინტერვიუ ჩაწერილია 10 ნოემბერს. იგი დეპორტაციამდე დაბადებულა საქართველოში, დედა სოფ. ზანავიდან ჰყავს ; საკმაოდ კარგად ახსოვს გადასახლების ისტორია. ჰყავს ვაჟები. მესხეთის ქუჩაზე მათ 4 სახლი აქვთ, აქედან 3 კაპიტალური და ორსართულიანი სახლი აშენებულია მეურნეობის მიერ, ხოლო მეოთხე სადაც, პატარა ორთვლიანი შენობაა, მის ვაჟს აუგია. მთხრობელი ვერც ქართულად და ვერც რუსულად ვერ ახერხებს საუბარს, ამიტომ იძულებული ვიყავი თარჯიმნად მისი შვილიშვილი დამეხმარებინა.

– (გაიგო, რომ უკრაინაში ვიყავი მივლინებით და საუბარობს ქალიშვილზე, რომელიც უკრაინაში ხერსონის ოლქში ცხოვრობს.)

– ეს გვარი გასახლების დროსაც გქონდათ თუ მანამდე სხვა გვარს ატარებდით?

–ეს ძველი გვარია, დედაც ლაზიშვილი იყო ზანავიდან. მე ობოლი დავრჩი, 4 წლიდან დედაჩემი მზრდიდა და მის გვარს ვატარებდი.

– თქვენი გასახლების ამბავი გაიხსენეთ თუ შეიძლება.

– ეს ამბავი უკვე მოვუყევი კლარას (იგულისხმება კლარა ბარათაშვილი, რომელიც ამ დღეებში იყო ნასაკირალში – ლ.ჯ.). 10-11 წლისა ვიქნებოდი, ჯარისკაცები მოვიდნენ მანქანებით და გვითხრეს რისი წამოღებაც შეგიძლიათ წამოიღეთო. ბევრი არაფერი წაგვაღებინეს. მამაჩემი ომში წავიდა აღარ დაბრუნდა, მამიდაშვილი წავიდა ორი, ისინიც აღარ დაბრუნდნენ. მათი ჯავრით მამიდაჩემიც დაიღუპა. დარჩა სახლში მარტო რძალი. როდესაც გვასახლებდნენ ძირითადად ბავშვები და ქალები იყვნენ სოფელში, კაცები არავინ იყო ყველა ჯარში იყო. ჩვენ მანქანებზე ძლივს ვტვირთავდით ნივთებს, ღამის 9-10 საათი იქნებოდა, როდესაც მატარებლით წაგვიყვანეს.. მახსოვს ძაღლები ყეფდნენ. სატვირთო ვაგონებით მივყავდით და 2 თვე გზაში ვიყავით. 18 წლის ბიძაშვილი მყავდა, გაჩერებაზე მატარებლიდან ჩავიდა დარჩა და აღარც მკვდარი გვინახავს აღარც ცოცხალი. მატარებელში ადამიანი, რომ მოკვდებოდა ფანჯრებიდან ყრიდნენ, პატრონიც არ ჰყავდა. „ჩვენი ხალხი გლახა არ არის, ბაღანას გეფიცები ბიჭო" (ქართულად მეუბნება – ლ.ჯ.). ჩემ მეზობელს 2 ბავშვი ჰყავდა, ავად გახდა, სავადმყოფოში წაიყვანეს და იქვე გარდაიცვალა. დარჩნენ ობოლები, რომლებიც ბავშვთა სახლში, ინტერნატში, მოათავსეს. მეზობლები იყვნენ მამა არ ჰყავდათ, 4 შვილი დარჩა ასევე ობლად. შუა აზიაში რომ ჩაგვიყვანეს, ორი თვის ნამგზავრ ხალხს ტილი დაესია. ჩაყვანისას აბანოში შეგვიყვანეს, ხალხს ბლომად ოქროულობა ჰქონდა ჯიბეებში. მათ ტანსაცმელი გარეთ დაატოვებინეს, გარეთ რომ გამოვედით აღარაფერი აღარ დაგვხვდა, სულ მოუპარიათ ჯარისკაცებს. ენა არ ვიცოდით, ვისთვის უნდა შეგვეჩივლა, რომ გაგვძარცვეს? აქედან ვიდრე

ჩავიდოდით წინასწარ უთხრეს ხალხს, რომ სახლები გაემზადებინათ ჩვენთვის. ერთ სახლში 3 ოჯახი ვცხოვრობდით. მანდ ამ დროს ყაზახები, ჩეჩნები, ჩინელები ცხოვრობდნენ და ისინი გვეხმარებოდნენ წამლებით, რადგან 15 დღის შემდეგ ხალხმა ავადმყოფობა და დახოცვა დაიწყო. 100% დან 30 % მოკვდა. მერე ჩეჩნები და ყაზახები მოდიოდნენ, რადგან შიმშილობა იყო, გვეხმარებოდნენ, პური ყველი მოჰქონდათ და გვაჭმევდნენ, პატივს გვცემდნენ. გერმანელებიც იყვნენ იქ გადასახლებულნი თურმე. მამიდაჩემი, რომ გარდაიცვაილა, საფლავში ჩასვეს ჩეჩნებმა და ეკალბარდი დააყარეს. მე ვტიროდი ეტკინება, მაგას ნუ აყრითო. დამიჭირეს გამიყვანეს, ჯერ მაინც ბარდები დააყერეს და მერე მიწა.

– სად იყავით შუა აზიაში

– ყაზახეთში ყიზლარის ოლქში.

– თქვენთან ვინ მოხვდა ერთ სოფელში თანასოფლელები თუ სხვადასხვა ხალხი?

–თანასოფლელები, ზანავის ხალხი.

– რამდენ ხანს იცხოვრეთ ყაზახეთში?

–15 წელი,

V. ინტერვიუ

მოხუცი ქალი დაბადებული 1942 წ. ცხოვრობს სოფ. ნასაკირალში, მესხების ქუჩაზე, ინტერვიუ ჩაწერილია 10 ნოემბერს. ქ-ნი ალმაზა ცხოვრობს მოხუც მეუღლესა და 20 წლის ქალიშვილთან ერთად. მათი ოჯახი უზბეკეთიდან გადმოსახლებულა, სახლი ნასაკირალში საკუთარი ხარჯებით აუგიათ. ვაჟი ცოლ-შვილით და ერთი ქალიშვილი თბილისში ცხოვრობს, გლდანის საერთო საცხოვრებელში. ქ-ნი ბავშთა სახლში გაზრდილა უზბეკეთში და ამიტომ რუსულად გამართულად ლაპარაკობს. ქართული თითქმის არ იცის.

.- მიამბეთ მცირეოდენი რამ თქვენს შესახებ.

.-დავიბადე სოფ. გურქელში, აწყურის მახლობლად 1942 წელს. გადასახლების ამბავი მე რა თქმა უნდა ნაკლებად მახსოვს მყავდა და-ძმა, მამას ერქვა სადიკოვი ალიხანი. როდესაც გვასახლებდნენ დედ-მამა მალე გარდაიცვალა (ტირის). პირველად მამა გარდაიცვალა, სისხლის გათეთრება ჰქონდა, დედა აჯამპში საავადმყოფოში იმყოფებოდა და იქ გარდაიცვალა. მე და ჩემი და დავრჩით მარტო. შემდეგ ამ უზბეკებმა ჩაგვაბარეს ბავშვთა სახლში ტაშკენტის ოლქში. ჩემი და ჩემზე უფროსი იყო, ამიტომ მე პატარა ბავშვების სახლში აღმოვჩნდი, იგი სასკოლო ასაკისაში. ჩვენ დაგვაშორეს. აღმზრდელები ერთმანეთის ნახვის უფლებას გვაძლევდნენ. იგი მოდიოდა და მიდიოდა ხოლმე. კონტაქტი ერთმანეთთან ყოველთვის გვქონდა. ჩემს დას სალიმა ერქვა. მე-7 კლასი დავამთავრე. ომის დროს ბევრი იყო ბავშვთა სახლები შემდეგ კი დაიწყეს მათი გაუქმება, კუვასისკის ბავშვთა სახლში აღმოვჩნდი, ესეც ფერღანის ოლქშია. შემდეგ დაიწყო კომენდატის რეჟიმი და მშობლებსა და ნათესავებს აღარ შეეძლოთ ერთმანეთის ნახვა. მე უფროსი მამიდა მყავდა, რომელიც ანდიჯანში აღმოჩნადა. იგი საყუნეთში (მესხეთში – ლჯ.) იყო გათხოვილი, აქედან კი სწორედ იმ მხარეებში მოხვდნენ. მოკლე, ყველა სხვადასხვა მხარეებში აღმოჩნდა

და ერთმანეთის ნახვა არ შეეძლოთ. სტალინის გარდაცვალების შემდეგ მოვიდა ბრძანება კომენდატის რეჟიმის გაუქმების შესახებ და ნათესავებმა უკვე დაიწყეს ერთმანეთის ძებნა, შეიძლეს ერთმანეთთან კავშირის აღდგენა. შემდეგ ჩემმა დამ მუშაობა დაიწყო და ერთმა მეგობარმა უთხრა, ჩემთან წამოდი, იქნებ დედაჩემმა იცოდეს შენიანების ამბავიო. მოხუცებმა უფრო იცოდნენ ერმანეთის შესახებ, მე, მაგალითად, ყველა ჩვენს მოხუცს ვიცნობ. შემდეგ ჩემი და წაჰყვა მას სახლში და დედამისმა უთხრა, ოი მე ვიცი ბებიაშენი ანდიჟანში ცხოვრობსო. აი შენ მისამართი და წადი და ნახეო. ჩემი და მაშინ 17 წლისა იყო, წავიდა ანდიჯანში და ნახა ეს მოხუცი. ალბათ ცოცხალი აღარცაა. მერე ძმაც მოვძებნეთ. იგი 17 წლისა იყო როცა გაასახლეს, მწყემსი იყო და სხვა ადგილას აღმოჩნდა. მოკლედ ჩვენ ყველანი დავიფანტეთ. მხოლოდ და იყო სულ ჩემთან, იგი აღმზრდელებს სთხოვდა არ დავეშორებინეთ და არ გვაშორებდნენ. ასე გავიზარდეთ. დამ მუშაობა დაიწყო ფერღანის საფეიქრო ფაბრიკაში. მერე ძმამ წაიყვანა, იგი ნამანგანში ცხოვრობდა, და გაათხოვა. მერე მეც ნამანგანში გადავედი. როცა სკოლა დავამთავრე მარგელანის საფეიქრო ფაბრიკაში გამანაწილეს. ჩემი სიძეც ბავშთა სახლში იყო გაზრდილი, მან ძმა დააქორწინა და თავისთან გადამიყვანა. იქ გავიცანი მომავალი მეუღლე. ჩვენ ერთ ქუჩაზე ვცხოვრობდით. მე კიდევ ერთი ძმა მყავდა, ვალიხანი, რომელიც ასევე ბავშვთა სახლში გაიზარდა. 69 წელში გავთხოვდი.

.- თქვენ ერთმანეთი გიყვარდათ თუ გაგაცნოთ ვინმემ?

.- რატომ, მან თვითონ წამიყვანა. მას ვუყვარდი, მე კი არა.

.-რა, მოგიტაცათ?

.-არ მოვუტაცივარ, მაგრამ ასეც ხდება. ვცხოვრობთ, ერთმანეთთს ვაფასებთ, სიყვარული რა შუაშია? ველური ვიყავი. დავქორწინდით და ერთხანს ნამანგანში ვცხოვრობდით მერე კი აქ გადმოვედით. აქ გადმოვედით 1985-ში. იქ ჩვენ "კავკაზსკაია მახალას", კავკასიელ ხალხს, ქართველებს გვეძახდნენ.

.- თქვენი აზრით, რატომ მოხდა ფერღანაში თქვენი ხალხის ხოცვა-ჟლეტა?

.- ეს ყველაფერი ზემოდან მოდიოდა, ხალხი ყველა კარგია. ჩვენ უზბეკებში ვცხოვრობდით და არავიზე ცუდის თქმა არ შემიძლია. ღამით ვმუშაობდი ცვლაში და არავინ შემხებია. არა, ყველაფერი ნორმალურად იყო. ხალხი ყველგან ერთნაირია. წააქეზეს ისინი. პატიმრები გაანთავისუფლეს, ეს „ნემსები" (ნარკოტიკი – ლ.ჯ.) გაუკეთეს. ჩემი და იქ ცხოვრობდა და ყველაფერი ნახა და მიამბობდა. ამ 15-16-17 წლის ბიჭებს მისცეს ბენზინიანი ბალონები, ღამით მოდიოდნენ მინებს ამსხვრებდნენ, ბენზინს ასხამდნენ შიგნით და ცეცხლს უკიდებდნენ. ჩვენებს გაზიც ჰქონდათ გაყვანილი, გაზის მილებს ჭრიდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ, გაზი კი რას იზამდა?! ფეთქდებოდა. ჩემი რამდენი ნათესავი დაიწვა, ბავშვიც კი არ დარჩენილა.

– ადამიანები ამის გამო არ გაბოროტდნენ უზბეკებზე?

.–რატომ უნდა გაბოროტებულიყვნენ? სწორედ ეს მეზობლები იფარებდნენ მათ ბავშვებს და არავინ არ ეხებოდა. მე არ ვიცი ეს რაში სჭირდებოდა მთავრობას. მე პატარა ადამიანი ვარ, მთელი ცხოვრება ვშრომობდი. ფეიქარი ვიყავი, გადამხვევი ვიყავი, არაფერი ვიცი.

.- ნათესავები გყავთ უზბეკეთში?

.- მე და მყავს, ძალზე ცუდად რომ ვიყავი, დავურეკეთ მას. იცით ალბათ, ჩემი შვილი თბილისში ცხოვრობს, ხოლო ჩემი ქმრის უფროსი ძმა უზბეკეთში, ნამანგანშია. ჩვენ არასად არ გვივლია, არსად არ გვირბენია. სადაც დაგვასახლეს

უზბეკეთში, იქ ვცხოვრობდით. შემდეგ შვილმა თქვა, სამშობლო ერთადერთია იქ უნდა გადავიდეთო. აქ ჩვენ ძალიან კარგად შეგვხვდნენ, მეტად კმაყოფილი ვართ.

– ხალხი რას ამბობდა, რატომ გაასახლეს თქვენები აქედან?

–ხალხი? აი ბებიაჩემი ამბობდა, ცოტაოდენი დროით სულ 15 დღით მივყავართო, მერე კი უკან მოგვიყვანენო. მოხუცები ასე ამბობდნენ დროებით მივყავართ და მერე უკანვე დაგვაბრუნებენო.

–როგორ დამოკიდებულებაში იყო თქვენი ხალხი მესხეთის ადგილობრივ მოსახლეობასთან: სომხებთან და ქრისტიან ქართველებთან?

–ყველანი ნორმალურად ცხოვრობდნენ, როგორც ახლა ვცხოვრობთ, არავის ვეხებით და არავინ გვეხება. ნორმალურად ცხოვრობდნენ კარტოფილი მოჰყავდათ, სახელმწიფოს აბარებდნენ. ძროხები ჰყავდათ, ცხვრები ჰყავდთ.

–ახლა თქვენ გყავთ ვინმე უზბეკეთში მცხოვრები დის გარდა?

–და საცხოვრებლად რუსეთში გადავიდა, ჩემს მაზლს დავურეკეთ გასულ თვეში და გვითხრა გადავიდაო. რა გასაკვირია, მისიანები აღარავინ დარჩა იქ.

– უზბეკეთში თუ ბრუნდებიან?

–ბრუნდებიან, მაგრამ უკვე სოფლებში აღარ სახლდებიან, უფრო ქალაქებს ირჩევენ საცხოვრებლად.

–ალბათ სოფელში უფრო ძნელია ცხოვრება და ამიტომ?

–არა, ძნელი არაა. ჩვენ ხალხს არსად უჭირს, რადგან ბევრს მუშაობს. რას იზამ, ასეთი ბედია. როდესაც აქ ჩამოვედით რამდენი ვიწვალეთ ვიდრე ამ სახლს ავაგებდით. კიდევ გადაკეთებამ მოუწია. დღე და ღამე ვმუშაობდით. თან ფაბრიკაში უნდა მეშრომა. მოვიდოდი სახლში, საჭმელს მოვამზადებდი, აქაურობას დავხედავდი და წავიდოდი ისევ სამუშაოზე. სულ გზაზე ვიყავი, რომ სახლი აგვეგო. კარგია თუ ცუდი ჩვენი სახურავი მაინც გაგვაჩნია.

– ღმერთმა არ ქნას, კიდევ მოგიწიოთ გადასვლა.

– ეს ყველაფერი სახელმწიფოზეა, თუ საცოდავ ივანს ყველგან ქვები უწევს, შეიძლება კიდევ ქვის ქვეშ მოვყვეთ. არ ვიცი, შეიძლება ისევ მოგვიწიოს. როდესაც გამსახურდია იყო, როგორი ნაციონალიზმი იყო. ნაციონალიზმი საერთოდ ძალიან ცუდი რამ არის. გარანტია არაა. არავითარ პოლიტიკაში გარანტია არ არის.

– გარანტია ალბათ მეზობლებთან ნორმალური ურთიერთობაა.

– ეს კი ყველაზე მთავარია, შენი სამუშაო, შენი ოჯახი, შენი ცხოვრება, ესაა ძირითადი გარანტია. შენი ოჯახი კარგად უნდა მოაწყო, რომ ნორმალური ცხოვრება გქონდეს.

–თქვენი შვილი კარგად მოეწყო თბილისში?

– სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა. დაამთავრა ჩემმა მეორე ქალიშვილმაც მაგრამ სპეციალობით არ მუშაობს. ვაჟი თერაპევტია, ქირურგობაც შეუძლია, არმიაში მედმმად მსახურობდა. ყავს ორი ვაჟი, ამჟამად ცხოვრობს საერთო საცხოვრებელში. ბინა ვერ იყიდა, ჩვენ ერთ ხელფასს მას ვაძლევდით, ერთით თავს ვირჩენდით. ამჟამად არავითარი შემოსავალი არა გვაქვს, პენსიაზე ვცხოვრობთ. ხანდახან ვაჟი თუ დაგვეხმარება. ახლა საავადმყოფოში ვიწექი და მთელი წამლები მან მომიტანა. ქალიშვილიც იქაა. კარგი მეზობლები ყავს, არ ვჩივი, მაგრამ ასეთი დროა. ვაჟს ერთი მეზობელი ჰყავდა ნოდარი, რომელსაც იქ პატარა ჯიხური ჰქონდა. იგი გარდაიცვალა და ჯიხური რავშანს დარჩა.

–ვაჟი წამლებს ჰყიდის?

–არა, გასაყიდად ყველაფერი აქვს ნიჩაბი, რკინეული წვრილმანები. რაცაა შემოსავალია, რძალი ოჯახშია. შემოსავალის ნაწილს თავად იტოვებს, ნაწილს იმ ნოდარის ოჯახს აძლევს.

–თქვენი რძალი სადაურია?

–ისინი უზბეკეთიდან გადმოვიდნენ აზერბაიჯანში, შემდეგ მე აზერბაიჯანში ვიყავი, რადგან ჩვენი უფროსი ქალიშშვილი იქაა გათხოვილი, 4 შვილი ჰყავს, ორი გოგო ორი ვაჟი. მისი ქმარიც ჩვენებურია. როცა ჩავედი ვაჟიც მახლდა, მან ნახა მოეწონა და შეირთო, არა უშავს ნორმალური გოგოა.

–ქალიშვილიც გლდანში ცხოვრობს?

–დიახ, იგი თურქულ სამხედრო აკადემიაში მუშაობს საქართველოში. იგი მთარგმნელად მუშაობს.

–როგორ ფიქრობთ, თქვენი ხალხი, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში ცხოვრობს უნდა დაბრუნდეს საქართველოში?

–თუ მთავრობა აიღებს თავზე, უნდა დაბრუნდებიან. ჩემი აზრით უნდა მოვიდნენ.

– სად უნდა დასახლდნენ ისინი?

–სურვილის მიხედვით სადაც ვის ენდომება. თუ ადამიანს აუცილებლად საკუთარ სამსობლოში უნდა დაბრუნება, იქ უნდა დაბრუნდეს. მე ხომ არ ვითხოვ მესხეთში დაბრუნებას?!

–თქვენ არ გსურთ მესხეთში დაბრუნება?

–არა, უკვე მე რა, ჩემი ფეხი მიწისკენ მიდის არაა საჭირო.

.- როდესაც საქართველოში გადმოსახლება გადაწყვიტეთ, საიდან იცოდით, რომ საქართველოში უკვე ცხოვრობდნენ თქვენები?

–ამაზე ყოველთვის იწერებოდა გაზეთებში, ჩვენი ხალხი ჩამოდიოდა თბილისში, მოსკოვში ითხოვდნენ ჩამოსახლებას. ნება მისცეს და რა.

VI ინტერვიუ

I. ახალგაზრდა მამაკაცი) დაბად 1980 წ. ცხოვრობს სოფ. ნასაკირალში, მესხების ქუჩაზე, ინტერვიუ ჩაწერილია 8 ნოემბერს მის სახლში. მას ახლახან შეურთავს ცოლი, რომელიც სოფ. იანეთიდანაა. რესპონდენტი ნასაკირალში გაიზარდა, სკოლა აქ დაამთავრა, ამიტომ კარგად ეწყობა აქურ გარემოს, გამართულად ლაპარაკობს ქართულად და გადასახლებაც არსად არ აპირებს. მისი ერთადერთი სურვილია, რა,მე სამსახური იშოვოს თუნდაც მცირეოდენი ანაზღაურებით, რათა თურქეთში აღარ დაჭირდეს სამუშაოდ სიარული.

– როდის ხარ დაბადებული?

– 80-ში დავიბადე, აზერბაიჯანში.

–საქართველოში როდის ჩამოხვედი?

– 82-ში გადმოვედი საქართველოში აზერბაიჯანიდან, არაფერი მახსოვს. მერე, რო გადმოვედით აქ ბაღში მივდიოდი, იი მახსოვს.

–აზერბაიჯანში ნათესავები თუ გყავდა?

–კი, ბაბუა მყავდა, მამიდაჩემი, ბებია, ნათესავები ყველა მყავდა იქინა, დივდიოდით, ახლა ერთი ათი წელია არ ვყოფილვარ.

- ახლა კავშირი გაწყვიტეთ, თუ რატომ არ წასულხარ?

– არა კაცო, ახლა გავიზარდეთ, პატარა თუ არა იმუშავე ხო იცი, ვერაფერს ვერ გააკეთებ, მამაჩემი რუსეთში დადიოდა, ჩვენ თურქეთში დავდიოდით. ისე, მშობლებს კი ვუშვებდით, მაგრამ ჩვენ ვეღარ დავდიოდით. დრო არ იყო მაგისი რომ წავსულიყავით. 10 წელია არ მყავს ნანახი არც მამიდაშვილები, არც დეიდაშვილები, არც ბიძები. მე აგერ ქორწილი მქონდა ერთი თვის წინ, მაშინ ჩამოვიდნენ, მაშინ ვნახე.

-ყველანი ჩამოვიდნენ?

–კი, ყველანი.

–ჩაპლინკიდანაც (უკრაინაშიც ჰყავს ნათესავები – ლ.ჯ.) იყვნენ ჩამოსული?

–არა, იქედან არა, იქ ვერ გავაგებინეთ. კავშირი არ იყო, ტელეფონის ნომერი არ გვქონდა. ახლა რაია იცი? მამიდაჩემის პასპორტის პრობლემაა, ახლა აქედან გაგზავნეს იგი. ხელმოწერა უნდა, რომ პასპორტი აიღოს იქანე. იქაური პასპორტი არა აქვს.

–დიდი ხანია, რომ გათხოვდა?

–10 წელია, მანამდე, ერთად ვიყავით, ჩვენთან ცხოვრობდა. მის მერე ერთი არ გვინახავს. ბებიაჩემი იყო მხოლოდ. ახლა აპირებს მარტში წასვლას.

– მესხეთში სად ცხოვრობდით?

–ადიგენის რაიონი, სოფ. ზანავი.

–თუ ყოფილხარ მესხეთში?

–არა, მე საერთოდ არ ვყოფილვარ. მამაჩემიც არ ყოფილა. ბებიაჩემი, იგენი ადრე, იმგენში რო დადიოდნენ - ვარძიაში, იმაში - ექსკურსიებზე მაშინ იყვნენ.

–დადიოდნენ თქვენები ადრე საქართველოში?

–კი კაცო, ბებიაჩემი, ბაბუაჩემი, ყოველწლიურად ჩამოდიოდნენ დასასვენებლად ბორჯომში და იმაში. .

–შენ, ახალგაზრდა კაცი ხარ. მაგრამ გადმოცემით გეცოდინება, როგორი ურთირთობა ჰქონდათ მესხეთში ცხოვრებისას თქვენს ხალხს და სხვა ადგილობრივებს?

– მე, ჩემი აზრით, ალბათ, კარგად იქნებოდნენ. ბებიაჩემმა, ახლა გუშინ, კლარა დეიდა იყო აქანე და უთხრა არ გვაწვალებდნენ კარგად ვიყავითო, აი, ისეთი არაფერი ყოფლაო. მერე, რომ გვასახლებდენენ „პროსტო“ მოვიდნენ და გვითხრეს ყველაფერი გაიტანეთო.

–შენი აზრით, თქვენები განსხვავდებოდნენ რამით სხვა, ადგილობრივი ხალხისაგან?

–რა ვიცი, რით განსხვადებოდნენ. მე იგი მაინტერესებს, ერთი რაზე მოხდა გადასახლება. ეგეთი რა დააშავეს? რა ვიცი, ყველას ვეკითხები და კაციშვილმა არ იცის რაზე გადაასახლეს. ეგი მაინტერესებს, მაგრამ არავინ არ იცის. ამბობენ – მოვიდნენ შუაღამეს და წაგვიყვანესო.

–ახლა, შენ თუ გინდა გადახვიდე მესხეთში?

–რავა არ მინდა კაცო, აბა, რაზე ვარ ჩამოსული?

–ხარ ნამყოფი, ისე?

–მე არ ვარ ნამყოფი მარა, მე თუ არ წავალ, ვინმეს გოუშვებ. ან დედას ან მამას – მშობელს. ჩემი ოჯახიდან მინდა, რომ ერთი იქანა იყოს, ერთი აქანა

იყოს, ვართ ახლა ამდენი. როგორ არ მინდა აბა, მაგისთვის ვართ წამოსული ბაქოდან, რომ ისევე ჩვენს ადგილებზე დავბუნდეთ.

–ესეც ხომ შენი ადგილია?

–ასევე ჩემი ადგილია კაცო, აბა რა? მე რას ვუყურებ ახლა. ამასაც არ დავტოვებ, არც იმას დავტოვებ. მშობელი მყავს სახლში ან იმას გოვუშვებ ან აქანა დავტოვებ და მე თვითონ წავალ.

–ქართულად კარგად ლაპარაკობთ ახლა და აზერბაიჯანში როგორ იყო საქმე? განსხვავდებოდით რაიმეთი მესხები და იქაური ადგილობრივი ხალხი?

–თურქებს უძახოდნენ ამათ და ახლაც თურქებს უძახიან. ახლა კიდევ ასეა. ჩვენი ენა სხვაა, აზერბაიჯანული სხვაა, როგორც ქართული და აჭარული ენა. აჭარლები სხვანაირად ლაპარაკობენ, სუფთა ქართულით არ ლაპარაკობენ. აზერბაიჯანელები უფრო სხვანაირად ლაპარაკობენ. ჩვენები კიდევ ასე მგონია უფრო მოკლედ-მოკლედ მთავრდება. ახლა რო დავდივართ თურქეთში, კაცო, მირჩევნია აქანა რომ ავიღო 10 ლარი, ვირივით ვიმუშავებ დილიდან საღამომდე, საღამოს მაინც სახლში იქნები. მიდიხარ ერთი თვით, ავი დარია მაინც, გარეთ ხარ.

–რას აკეთებ ხოლმე მაინც?

–რა ვიცი ხან ჩაიზე, ხან ფაბრიკაზე, ხან შეშაზე, ხან რა ვიცი რა სამუშაოზე. ფული აქანა რომ ვიშოვი 10 ლარი აქანა ვიმუშავებ. მიდიხარ ერთი თვით და მოგაქვს 200 დოლარი, იგიც ერთ კვირაში დახარჯე და არაფერი ეტყობა. ეგია, რომ ერთი თვე ნაწვალები შენ დაგრჩება მეტი არაფერი. აქანე რო ნახო 100 ლარი იგი ჯობია, უფრო ხარისხი აქვს მაგ ფულს. იქიდან მოტანილი ფული რაია, ერთი ორ დღიანი ფულია მაი, მეიტან და. . . მეორე დღეს გეიხედავ აღარაა მაი.

–ახლა რომ დაიწყეთ სამტრედიაში მესაქონლეობა, როგორ ფიქრობთ არ გაამართლებს?

–მე როგორც ვფიქრობ, რა ვიცი ახლა ნელ-ნელა ვიმაშვრებით, საქონელი გავამრავლეთ მე მგონი ნელ-ნელა წავა.

–რძის ნაწარმს თუ ყიდით?

-დიახ, რავა არა კაცო?

–სად, ქუთაისში თუ სამტრედიაში?

–სამტრედიაში უფრო, უმეტესად ხალხი მაგით ირჩენენ თავს.

–კარგი ფასი აქვს?

–ახლა უმეტესად 2 ლარში, 3 ლარში. ასე ყიდიან.

–როგორ ყველს ამზადებენ?

–არ ვიცი ახლა, ჩვენები რო მიაქვთ ბაზარში იციან მოხდილ ყველს ამზადებენ „იახთის პენირ“ ეძახიან.

–ჩეჩილს არ ამზადებენ?

–დიახ. როგორ არა, დაბწნილი ყველია მაგი. ოჯახში იაღლი „პენილს“ - მოუხდელ ყველსაც ვამზადებთ. გასაყიდად უფრო მოხდილს. იგივე ფასი აქვს. გინდა მოუხდელი იყოს, გინდ მოხდილი.

–ძმაკაცები სად გყავს ძირითადად?

–ძირითადად მაქანე მყავს კაცო, მესხები. ისე, მყავს გურულები, აჭარლები.

–ჯარის ძმაკაცები თუ გყავს და საიდან არიან?

– იმერეთლები არიან. იანეთი, ფარცხანაყანები, მერე ჯიხაიში და რა ვიცი ყველგან არიან.
–გაქვთ ურთიერთობა?
–დიახ, აბა კაცო, მერე ხარაგაულიდან მყავს, ქუთაისიდან მყავს, ხონიდან, ფარცხანაყანებში ხშირად ვარ ხოლმე ნამყოფი.
–ქეიფობდით ხოლმე, ერთად?
–დიახ, კაცო, დავდიოდით, ახლა ქორწილში ვიყავი ორგან, ჩემი ძმაკაცების ქორწილში.
–ისინი თუ დაპატიჟე შენს ქორწილში?
–ახლა, როგორ მოხდა იცი, ჩემი ქორწილი? ჩემი ქორწილი უცბად მოხდა. მე თურქეთში ვიყავი, ჩამოვედი და 5 დღის მერე ქორწილი მქონდა. ვეღარ მოვახერხე იქანა ჩასვლა. ახლა, ლამაზი არ გამოდიოდა მე რო იქინე ჩავსულიყავი, მეთქვა 5 დღე დარჩა და ჩამოდი. თუ არა, რავა არ მინდოდა კაცო, ძმაკაცი ყოფილიყო ქორწილში. აქაური ძმაკაცები ყველა მყავდა.
–სუფრა სახლში გააკეთე?
–აქანე დიდი სეფა მქონდა. 200 კაციანი სეფა მქონდა.
–ნიშნობა თუ გქონდა და საპატარძლოს თუ იცნობდი მანამდე?
–3 თვე დანიშნული მყავდა, მერე მოვიყვანე გარიგებით.
–უმეტესი ქორწინება ასე ხდება თუ არა?
–დიახ, ასე ხდება, მშობლებმა გადაწყვიტეს.
–დედამ თუ მამამ?
–საპატარძლო მამას მოეწონა, მან გადაწყვიტა ჩემი სიმამრი პოლიციელია, მალხაზი. მაი კაი ხანია მუშაობს მაქანე და მამაჩემი ძალიან ხშირად დადიოდა, ჩვენთანაც მოდიოდა, ძმაკაცობდნენ.
–ბეშიქქერსმა (აკვანში ნიშნობა – ლ.ჯ.) ხომ არ იყო?
–არა, არა, ჩვენთან ბეშიქქერსმა არ გამიგია, ისე ყველაფერი შეიძლება მოხდეს. მამაჩემმა დაინახა და მოეწონა. მეც, ახლა კაცო, დანახული კი მყავდა, მაგრამ აზრად არ მომსვლია, რომ ამას მოვიყვანდი. 17 წლისაა ეგი კაცო, და მე ვარ 24 წლის. როცა არ ელოდები მაშინ მოხდება ყველაფერი.
–თქვენი ხალხის წარმომადგენლობიდან ახალგაზრდობაში ვინ სარგებლობს ყველაზე მეტი ავტორიტეტით?
–რა ვიცი ახლა როგორ გითხრა. როცა კითხვა დამჭირდება, შევეკითხები ახლა, ხნიერი ხალხია. აგერ მეზობელი მყავს ალიხანა. - იმას შევეკითხები. აგერ ხოჯა - იმას შევეკითხები. როცა, ახლა, მე ჩემს აზრს ვერ იმასშვრები მაგათ შევეკითხები.

VII ინტერვიუ

მამაკაცი დაბად. 1962 წ. ცხოვრობს ნასაკირალში, მესხეთის ქუჩაზე, საკუთარ ორსართულიან სახლში (აგებულია სახელმწიფოს მიერ), ინტერვიუ ჩაწერილია 27 ნოემბერს. მთხრობელი განათლებული კაცია, დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივრსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, თუმცა ამჟამად სხვების მსგავსად ოჯახს არჩენს თურქეთში სეზონურ სამუშაოზე სიარულით. განსაკუთრებით საინტერესოდ მომეჩვენა მისი დამოკიდებულება რესტიტუციის საკითხის შესახებ, რადგანაც სავარაუდოდ დეპორტირებულთა ერთ ნაწილში არსებულ განწყობილებას უნდა ასახავდეს. იგი მორწმუნე “მესხების” რიგს მიეკუთვნება,

ცდილობს ზედმიწევნით დაიცვას მუსლიმური წეს-ჩვეულებები, იგი მართალია გაუმართავად მაგრამ მაინც ახერხებს ქართულად საუბარს.

- რა შეგიძლია მიამბო თქვენი ხალხის ცხოვრებაზე აქ ჩამოსახლებამდე?
.– ბავშვობაში აზერბაიჯანში ვცხოვრობდი იქ ცუდი ჰავაა. ისე პატარა ვიყავი 9 კლასი დავამთავრე და მერე წავედი. მანამდე კი ყველაფერი კარგად იყო. შუა აზიაში წავედი სასწავლებლად, ჯარში იქედან გამიწვიეს.
- აზერბაიჯანელები როგორ ექცეოდნენ თქვენებს?
– აზერბაიჯანელები, მე მგონია, როგორც კავკასიელები, ჩვენთან უფრო ახლოს არიან - რას გეძახდნენ აზერბაიჯანელები?
.–უფრო თურქს ამბობდნენ.
–რას საქმიანობდნენ ისინი?
.– აზრბაიჯანელები იმ დროს უფრო მიწას ამუშავებდნენ.
–სად ცხოვრობდით?
.–ადიგიუნში, იქ ბამბაც მოდიოდა, ყურძენიც და ყველაფერი. ძირითადად საჭმელი ყურძენი, რომლისაგან ღვინოს არ ამზადებდნენ. ისინი ღვინოს არ სვამენ. ისე ჩვენს სოფელში ერთი ოჯახი აზერბაიჯანელი ცხოვრობდა მხოლოდ.
–ერთმანეთს თუ ეპატიჟებოდით, მაგ., აზერბაიჯანულ ქორწილში ხარ ნამყოფი?
–კი ბატონო, მაშინ პატარა ვიყავი, ჩემი მამა კი დადიოდა.
–მამაშენი აზერბაიჯანელია?
–არა, მესხია. მამის მხრიდან იქ ჩემი არავინ არ ცხოვრობს. დედის მხრიდან კი ბევრი ნათესავი მყავს, თურქეთშიც არიან.
–თურქეთში როდის წავიდნენ?
–იმ დროს 30-იან წლებში გადავიდნენ თურქეთში და იქ დარჩნენ, მაგალითად, დედაჩემის მამა. ჩვენ ხანდახან ვსტუმრობთ ხოლმე.
– სად ცხოვრობენ ?
–ჩვენს სამშობლოსთან ახლოს არის, ყარსსა და აღლიში. 9 სოფელია. იქ ძალიან ბევრი არიან ჩვენები. იქ არის ერთი დიდი სოფელი, სადაც ნახევარზე მეტი ჩვენებია.
–თურქეთში თუ ლაპარაკობენ თქვენები ქართულად?
–ზოგიერთები, ალბათ. ერთი ორჯერ გამიგია. სახლში ისინი, რა თქმა უნდა, თურქულად ლაპარაკობენ, ამბობენ თურქეთის მოქალაქეები ვართო, თუმცა იმასაც ამბობენ მოჰაჯირები ვართო.
–თურქები თუ განასხვავებან მათ?
–თურქები არა, მაგრამ ქურთები კი. ჩამოსულებად მიიჩნევენ და მოჰაჯირს ეძახიან. იქ სომხებიც არიან არზრუმისაკენ განსაკუთრებით, მაგ სოფლებშიც ადრე სომხები ყოფილან, მაგრამ მერე ხომ ჩამოასახლეს პასკევიჩის დროს საქართველოში, ახლა მხოლოდ ზოგიერთ ადგილებშიღა დარჩნენ.
–ჯარში როდის წახვედი?
–1982 წელს წავედი. როდესაც წამიყვანეს, სახლში არავის გაუგია. ბუხარაში ვცხოვრობდი, იქ ვსწავლობდი და იქედან გამიწვიეს ბელორუსიაში.
–ბუხარაში რომ ცხოვრობდი უზბეკებთან რა ურთიერთობა გქონდა?
–უზბეკები იქ ცოტა იყო, ჩვენებს ყველგან კარგი პოსტები ჰქონდათ. დავუშვათ ცუდ საქმეზე არავინ არ მუშაობდა, სუყველას თავისი საქმე ჰქონდა. მაგალითად ცეხი ჰქონდა, ან მასწავლებლად მუშაობდა უნივერსიტეტში. შავ საქმეს არავინ

აკეთებდა. ბუხარაში ჩვენები 15-20% იყვნენ. ახლაც მრავლად დარჩნენ, რადგან კარგად იყვნენ იქ.

–უზბეკები როგორი თვალით უყურებდნენ თქვენებს?

–უზბეკები იქ ცოტა იყო, ტაჯიკები იყვნენ უმეტესად. ტაჯიკებთან კარგად ვიყავით, თუმცა ჩხუბებიც გვქონია. ახალგაზრდობაში ხულიგნებიც იყვნენ. მახსოვს ინდური ფილმი გამოვიდა, გაბარ სინგ რომ იყო. ერთი ტაჯიკი იყო კანონიერი ქურდი, გაბარს ეძახდნენ.

–ტაჯიკური იცი?

–ვიცოდი 100%, ახლა ნაწილობრივ დამავიწყდა. ერთი წლის განმავლობაში ვისწავლე, ბამბაზე დავყავდით სამუშაოდ სასწავლებლიდან, სექტემბერი რომ დადგებოდა ორი თვით. ჩემ ჯგუფში სულ ტაჯიკები იყვნენ და კარგად ვისწავლე.

-როგორი ბიჭები იყვნენ ტაჯიკები.

–სოფლიდან ჩამოსულები კარგები იყვნენ, ქალაქელები უფრო ბლატნოები. ახლაც არის მასეთი რამ ალბათ. უზბეკი 1-2 იყო, მქონდა მაგათთანაც ურთიერთობა, დავდიოდით სტუმრადაც.

–ფერღანის ტრაგედიაზე რას მეტყვი, რატომ მოხდა, ვისი ბრალი იყო შენი აზრით?

.– მე ვფიქრობ, რომ ჩვენი ხალხის ბრალიც იყო. ახლა ხომ ვამბობდი, რომ პოსტები ყველა ჩვენ ხალხს ეჭირა. ისინი (ადგილობრივები – ლ.ჯ.) ამბობდნენ, რომ ჩამოსულები არიან საუკეთესო ადგილებზეო.

–მათ ვინ უშლიდა მისვლას ამ ადგილებზე?

.–ალბათ უშლიდნენ, ბუხარაში ასე იყო, ფერღანაში ასე იყო, სამარყანდში ვიყავი და იქაც ასე იყო, ჩვენები ყველგან კარგად ცხოვრობდნენ.

–შუა აზიაში რას ეძახდნენ თქვენს ხალხს?

– კავკასს ეძახდნენ. თურქებს აზერბაიჯანში გვეძახდნენ. ხომ ვიცოდი, რომ ჩვენები საქართველოდან გაასახლეს, მერე მე გავიგე, რომ ქართველები იყვნენ და გადმოსახლება გადავწყვიტე. ჩამოვსახლდი 86 წელში, დამთავრებული მაქვს თსუ-ს ეკონომიკის ფაკულტეტი. იქ კაი ამხანაგები მყავდა.

–მაშინაც ქართული გვარი გქონდა?

.–არა, მერე შევიცვალე გვარი.

–კურსზე რა ეროვნების ამხანაგები იყვნენ და ვისთან უფრო კარგი ურთიერთობა გქონდა?

.–რამდენიმე სომეხიც იყო, მაგრამ ძირითადად ქართველები. ქართველებთან ვმეგობრობდი და დღემდე ვაგრძლებ ურთიერთობას ძველ მეგობრებთან. თბილისში არიან, რუსთავში არიან. მე საერთოდ არ ვაპირებდი სწავლას, აქ სასადილოში ვმუშაობდი. იაშა იყო ერთი, ბექაძე და იმან მითხრა ლიმიტი არის, შენ ეკონომიკის რაღაც იცი და წადიო. ვუთხარი არ მინდა მეთქი, მაგრამ დამიყოლია, წავედი ჩვაბარე გამოცდები და მიმიღეს.

.-მეგობრები აქ თუ ჩამოგიყვანია, სახლში?

.–არა, მათთან კი ვარ ნამყოფი, კახეთში ვიყავი, ხაშურში ვიყავი, ყაზბეგში. კახეთში გურჯაანშიცა ვარ ნამყოფი და თელავშიც.

.-როგორ გგონია, თქვენი ხალხი ჩამოსახლების შემთხვევაში სად უნდა დასახლდეს?

.– თუ ჩამოვლენ აქ, გურიაში ან კახეთში ძნელი იქნება, გაუჭირდებათ სხვა ხალხის გვერდით ცხოვრება. მაგას ჯობია იქ ჩაასახლონ, მესხეთში 20 ოჯახი, 15 ოჯახი - თანდათანობით.

.-კი მაგრამ, მესხეთშიც სომხის ან ქართველის გვერდით არ მოუწევთ ცხოვრება?

.–მათ უნდათ სამშობლოში რომ ჩამოვიდნენ.

.-შენ კარგა ხანია აქ ცხოვრობ და თუ ხარ მესხეთში ნამყოფი?

–არა, ახლა ვაპირებ.

–როგორ გგონია, მესხეთში ყველას დასასახლებლად და დასასაქმებლად საკმარისი ადგილია?

.–ახლა ფილმი გვიჩვენეს აქ, სადაც ჩანს ნასოფლარები. სახელმწიფო მიწებს უყიდის და დასახლდებიან.

–სად არის ამდენი მიწა?

–ადიგენში, გადაღობეს ადგილები, მიისაკუთრეს და არ ამუშავებენ. ბარათის (მეზობლად ქორწილი იყო და იქ ჩამოვიდა ვინმე ბარათი, მუსიკოსები მან ჩამოიყვანა. ადიგენიდან ვიდეომასალა ჩამოიტანა და მესხებს აჩვენა – ლ.ჯ.) გადაღებულ ფილმში ვნახე. იქ ერთი სომეხი ამბობს ჩამოდით და გვერდიგვერდ ვიცხოვროთო. ზუსტად კეხვანში იყო გადაღებული, ერთი აჭარელი ამბობს თუ თქვენ ჩამოხვალთ მე წავალო. ბარათმა კი უთხრა არა, არა ყველამ ვიცხოვროთ, მიწა ყველას ეყოფაო.

–შენ როგორ ფიქრობ, მიწა ყველას ეყოფა იქ?

– ეყოფა, აბა რა ყველას ჩამოსვლის საშუალება არა აქვს, არ ჩამოვა. მოხუცებული ხალხიც იმდენი აღარ დარჩა.

–ახალგაზრდებს ჩამოსვლა არ სურთ?

–უნდათ, მაგრამ იმდენად არა. მათ აქაურობის სიყვარული არ იციან. სადაც მამა დაიბადა იგი სხვაა, სადაც შენ თვითონ – სხვა.

–შენ კარგა ხნის ჩამოსახლებული ხარ და რატომ არ გინდა მესხეთში გადასვლა?

–მე? მინდა, როგორ არა.

.-ახლა ამ სახლ-კარს გაყიდი და გადახვალ მესხეთში?

–არ გავყიდი, იყოს ერთ ბაღანას დავტოვებ, მე კი გადავალ.

–კი, მაგრამ ფული ხომ გინდა?

–ხოდა, ვნახავ სადმე. იქ ძვირი არ არის სახლები. სახელმწიფო რისთვის არის?!

–გგონია სახელმწიფო უნდა დაგეხმაროს?

–აბა! სახელმწიფომ უნდა დაასახლოს, ვინც გაასახლა.

.-რომელმა სახელმწიფომ გაასახლა შენი აზრით?

–რა მნიშვნელობა აქვს, მათი ქონება საერთო საქართველოს ფონდზე ხომ დარჩა. ქართველ ხალხს ხომ დარჩა ყველაფერი: ძროხა იყო, ოქრო იყო, სახლი იყო.

–საქართველოსაგან უნდა მიიღოთ არა?

–აბა მიწა სხვა ქვეყანაში ხომ არ არის.

–ის საქონელი, ოქრო და სახლები შენი აზრით საქართველოს დარჩა?

–საქართველოს დარჩა აბა რა, ქუთაისამდე ჩამოვიდა თქვენი საქონელიო, ხალხი ამბობს. აქ გაყიდეს.

–შენ ფიქრობ, რომ იმდენს გადაგიხდიან იქ სახლს იყიდი?

–ახლა, თუ საშუალება იქნება ერთ სახლს ვიყიდი, ერთი 3-4 ათასი უნდა.

–რატომ არ გინდა, რომ შენმა ხალხმა იმ მთავრობას მოთხოვოს ვინაც გაასახლა?

–ის მთავრობა ხომ აღარ დარჩა.

–იმ მთავრობას მემკვიდრე ხომ ჰყავს?

.– (იცინის) ჩვენზე სახელმწიფოში იმდენი ფული შემოდის ფირმებიდან რომ...

–შენი აზრით, თქვენები დაახლოებით რამდენი ადამიანი აპირებს ჩამოსახლებას ამბობენ 300-400 ათასი?

–იმდენი არიან, დავუშვათ 400 ათასი არის. მაგრამ ნახევარი ან ჩამოვა ან არა.

–შენი აზრით, საქართველოში რატომ ეწინააღმდეგებიან თქვენი ხალხის ჩამოსახლებას?

–ორი ორიენტაცია რომ არის იმიტომ. ერთი ამბობს ქართველი ვარო, მეორე თურქად მიიჩნევს. უფრო კი მუსლიმები რომ ვართ ალბათ იმიტომ.

–ხომ არიან მუსლიმები საქართველოში, მაგ., თქვენი მეზობლები, აჭარლები. თქვენ იზღუდებით მუსლიმობის გამო?

–არა. ახლა მე მგონი სააკაშვილმა მოხსნა ეგ პრობლემა.

–რა შევარდნაძის დროს იდევნებოდა?

–კი, ადრე კომუნისტების დროს იდევნებოდა. მე არ მახსოვს, მაგრამ ერთი ხოჯა იყო, ახლა გარდაცვლილია, ის ამბობდა. მის მემრე აღარ იდევნება.

–ისლამს დიდი ადგილი უჭირავს მესხების ცხოვრებაში?

–კი ბატონო.

–აი, შენ თუ შეართვევინებდი შენს ვაჟს ცოლად არამუსლიმს?

–ჩემი ბაღანა ვისაც იტყვის შეირთოს. თუ მასეთი ვარიანტი იქნება გავუშვებ ცალკე და იცხოვროს. თუ იმას სიყვარული ექნება და მოიყვანს გარეთ ხომ არ დავტოვებ.

–თუ ყოფილა მესხებში ასეთი შემთხვევები?

–ერთი იყო იმერელს გაყვა. კიდევ მეორეცაა, ისიც ქართველზეა დაქორწინებული. ეს ორი პრიმერია.

–კი მაგრამ, მე ვიცი რომ ერთს აქამდე არ შერიგებია ოჯახი.

–წინააღმდეგობა იყო.

–ჰოდა შენ თუ მოგეწონება ასეთი რამ?

–შენ ხომ იცი მე მასეთი კაცი არ ვარ, ბევრი რამ მაქვს ნანახი. თუ მოიყვანს ჩემი ბაღანა გოგოს, გარეთ არ გავუშვებ, მივიღებ. მერე კი სახლს ავუშენებ და იცხოვროს ცალკე.

–ვინ უნდა ითამაშოს გადამწყვეტი როლი თქვენი ხალხის პრობლემის გადაწყვეტაში?

–ქართულმა სახელმწიფომ.

–შენ თუ ყოფილხარ რაიმე ორგანიზაციის წევრი?

.–კი, ადრე ვიყავი მარატთან ერთად. მერე არ გამოვიდა ეს საქმე და გამოვედი. მე ძველ ორგანიზაციას ვამბობ, რაღაც ახალგაზრდული ორგანიზაცია იყო და არ გამოვიდა, მერე მე რუსეთში წავედი.

–რა, მთავრობამ შეუშალა ხელი?

– არა, მთავრობა რა შუაშია. სახლის პრობლემა იყო, ხომ იცი 7 სული ვართ და დავანებე თავი.

–„ხსნის“ წევრი არ ყოფილხარ? ვინ არის ახლა „ხსნის“ მეთაური?

.–ისა აშრაფოვი იქნება.

–კრასნოდარში რომ გყავთ ნათესავები ისინი რა ორიენტაციის არიან?

–რასული რომ ჰქვია, ჩემი ტაი, ის ჩვენი ორიენტაციის არის, ქართველობს. მეორე, რომ ვთქვით, სიძე, ის აქ ცხოვრობდა, ნასაკირალში, პირველ რაიონში. მერე ცხაკაიაში გადავიდა დანარჩენები რომ წავიდნენ იქედან, ისიც წავიდა.
–რატომ წავიდა დევნიდნენ?
.– არ ვიცი, გამსახურდიას დროს გადასახლდნენ და კრასნოდარში დარჩნენ.
–ახლა თუ უნდათ ჩამოსვლა?
–მამას უნდა, ამბობს სამშობლოში, მესხეთში მინდა დაბრუნებაო.

VIII ინტერვიუ

ახალგაზრდა მესხი ქალი დაბადებული 1972 წ. ცხოვრობს სოფ. ნასაკირალის მესხების უბანში, ინტერვიუ ჩაწერილია 22 ნოემბერს, მისი მამის ოჯახში. ქალს აშკარად არ მოსწონს მის ხალხში გამეფებული პატრიარქალური წესჩვეულებები და კატეგორიულად აცხადებს, რომ თავის შვილებს ამგავარ ყოფას განარიდებს. გამართულად საუბრობს ქართულად.

– გვიამბე რაიმე შენს შესახებ
–დავიბადე აზერბაიჯანში, აქ რომ ჩამოვედით მეოთხე კლასში ვიყავი, მართალია აზერბაიჯანულ საკოლაში ვსწავლობდი, მაგრამ აზერბაიჯანული არ ვიცი.
– რომ გადმოხვედით აქაურ ბავშვებთან თუ მეგობრობდი?
– როგორ არა, მაგრამ ერთი რამე მე თვითონ დავაშავე. რომ არ ვიცოდი ქართულად. მითხრეს, რომე წადი და ამ ბიჭს უთხარი - ბიჭო მაკოცეო. წავედი და მეც ვუთხარი. მერე მითხრა დირექტორი იყო აბესალომი, -გოგო იცი მაგ სიტყვა რას ნიშნავსო? არა-მეთქი და მერე თანდათან მასწავლეს ქართული.
–რამდენი კლასი დაამთავრე?
–მეშვიდე კლასიდან გამოვედი. აჭარლები და ეგენი იყვნენ, ჩემებს ეშინოდნენ არ მოიტაცონო და გამომიყვანეს. მარა სულ ერთი იყო ჩემდა, მე მაინც აჭარლებში ვარ, ძალიან კარგი მეზობლობა მაქვს მაგენთან, აჭარლები არიან უმეტესობა. არიან ქართველებიც. იყო ერთი ქალი, ახლა მოკვდა, თალიკო დეიდა, მაგან მასწავლა ქართული. ერთ სადარბაზოში ვცხოვრობდით, დავდიოდით ერთმანეთთან.
–აჭარლები რა ქართველები არ არიან, რატომ გამოყოფ, თალიკო ქართველი იყოო?
–ქრისტიანი იყო.
–შენმა ქმარმა თუ იცის ქართული?
– კი. კარგად ლაპარაკობს. მაგენი სახლში ლაპარაკობდნენ ქართულად, ჩვენ ენაზე მარტო ბებია ლაპარაკობდა. ჩემი ბაღნები ახლა სახლში ზოგჯერ ქართულად ლაპარაკობენ. მე კი სკოლაში არც ისე კარგად ვსწავლობდი და მხოლოდ მოგვიანებით ვისწავლე ენა. ისე ქართული წერა-კითხვა კი ვიცი, ქართულადაც ვკითხულობ, რუსულადაც, თურქულადაც. არაბულიც დევიწყე ახლა, აგერ რომ კითხულობენ ჩვენები, ხოჯიები ისეთი.
–ვინ გასწავლის?

–ვინმე არა, ჩემით. ის მაქვს თვითმასწავლებელი, თურქულად არის დაწერილი მაგი და არაბულადაც არის. ამიტომ არ მიჭირს.

–ნამაზს თუ ასრულებ ხოლმე?

–ნამაზს არა, რამაზანი რაც გავთხოვდი ორი წელი დევიკავე. ჩემი ქმარი სახლში იყო მაშინ. მარტო ჩემი გულისთვის მეზარებოდა ღამე ადგომა.

–ბავშვებმა რომელი წლიდან უნდა დაიჭირონ რამაზანი?

–ცხრა წლიდან არის მგონი გოგოსთვის და ბიჭის 12 წლიდან არის, თუ პირიქით არ მახსოვს.

–თქვენთან სხვა ეროვნების ხალხი თუ ცხოვრობს სოფელში?

–კი როგორ არა, რუსები არიან, სომხებიც.

–მათთან რა ენაზე ლაპარაკობთ?

–რუსებთან რუსულად, მათაც კი იციან ქართული, მაგრამ იმდენად არ იციან, რუსულად ვლაპარაკობთ. სომხებთან კი უფრო ქართულად ვლაპარაკობ. მე ვარ იქინე მარტო რაიონში და მე რო კარგი ვიქნები მაგათთვის, ისინიც კარგი იქნებიან ჩემთვის. მე ერთმანეთში არ ვარჩევ მაგენს.

–შენი ახლო მეზობლები უფრო ვინ არიან?

–ყველასთან ერთნაირად მივდივარ, ჩემთანაც მოდიან. დღეს აქეთ რომ მოვდიოდი, მაგალითად, მეზობელი მევიდა ფქვილზე. მე რომ არ მექნება, მე მივალ. ხან ზეთი დეილევა, ხან რაცხა დეილევა.

–შენს შესახებ რას იტყვიან მეზობლები, ვინ არისო?

–მესხი! რომ მივალ ვინმესთან ჩივის მესხი არისო.

. თუ გეძახდნენ რაიმე სხვა სახელს?

–ადრე აჭარლები თათრებს გვეძახდნენ, ბავშვები რომ ვიყავით და ენაც არ ვიცოდით ქართული. იცინოდნენ რომ არ ვიცოდით ქართული ვერ ვხვდებოდით.

–გურულებიც გაჯავრებდნენ მასე, თუ მარტო აჭარლები?

–კლასში, მაგალითად, ჩემთან სულ აჭარლები იყვნენ და ერთი მე ვიყავი. ერთი კლასელი მყავდა, ამირან ფუტკარაძე (აჭარელი), ძალიან კარგი, მეხმარებოდა და სულ მიცავდა.

–თავიდან, ქართულად როდესაც ვერ ლაპარაკობდი, ძირითადად ვინ გეხმარებოდა ენის სწავლაში, მარტო ბავშვები თუ მასწავლებლებიც?

–მასწავლებლებიც გვეხმარებოდნენ. მაგალითად, ერთი მანველიტა იყო, გვარი არ მახსოვს, ქართულს გვასწავლიდა, ცალკე მტოვებდა და მამაცადინებდა. როცა საკონტროლო გვქონდა ბაღნები რომ დაწერდნენ მე მერე დამტოვებდა და ცალკე მამეცადინებდა.

–.რა ხნის იყავი რომ გათხოვდი?

–19 წლის.

–ოჯახი ძირითადად თქვენი მეუღლის თურქეთში სიარულით ირჩენს თავს თუ სხვა რაიმეც გაქვთ?

–როგორ არა, ქვეყანა მიწა გვაქვს. მოგვყავს სიმინდი, ლობიო, პომიდორი, თხილი. ქმარი დადის თურქეთში, მაგრამ მეზობლები მყავს გვერდში. მთავარია თოხი ან ბარი დევიკავო ხელში და მაშინვე გამოვლენ მოსახმარებლად. ჩემი ქმრის მეგობარი ბიჭებიც და მეზობელი ქალებიც.

–რას ეძახით ასეთ მოხმარებას?

. ნადი. ჩვენებურად არ მახსენდება რას ეძახიან

–თხილი თუ გაქვთ?

–ძირითადად თხილი გვაქვს. ვიყიდეთ ჩვენ მიწა, იმიტომ, რომ ბინა გვქონდა ოროთახიანი. ძალიან გვიჭირდა, ხომ უნდა იმუშავო ახალგაზრდა ქალმა. მერე ვიყიდეთ მაგ რაიონში მიწა და ახლა ყველაფერი მაქვს.

–მეუღლე კარგად შოულობს ფულს თურქეთში? კმაყოფილი ხართ?

– კი საკმაოდ კარგად.

–ბავშვებმა თუ იციან ქართული?

–საკმაოდ კარგად იციან.

–თუ აპირებთ აქედან გადასვლას საცხოვრებლად ქალაქში ან სადმე?

–არა, ვერსად ვერ წავალ მე, აქ ხალხთან ვარ მიჩვეული და ვერ გოვუძლებ მგონია სხვაგან რომ წავიდე.

–ნათესავები თუ გყავთ სხვა ადგილებში?

–კი, ბევრი არიან. აზრბაიჯანში ქმრის დედის დები და ძმები არიან, მაგრამ ხუთი წელია არ ვყოფილვართ. ისე მისები არიან რუსეთშიც.

–მათთან არა გაქვთ ურთიერთობა?

–არა არ მივდივართ და ისინიც არ მოდიან.

–არც ქორწილში ყოფილან თქვენთან?

–მაგ დროს ეგენი აქ ცხოვრობდნენ, ცენტრში, საკმაოდ კარგად და შეძლებულად. ახლა კი კურსკში არიან.

–რატომ წავიდნენ აქედან?

–რა ვიცი. სახლი კაი სახლები ჰქონდათ, კაი მანდარინი. ჩვენ გვეჩხუბენ ეგენი და ისე წავიდნენ, ქმარსაც საერთოდ აღარ უნდა მაგათთან ურთიერთობა.

–ხომ არავინ ავიწროებდათ?

–არა არავინ.

–ახლა შენ კარგად იცი, რომ მესხებს უნდათ საქართველოში საცხოვრებლად გადმოსვლა, ბევრია თქვენ ხალხში შენი ქმრის ნათესავების მსგავსი?

–იქაც აღარ არიან მაგენი ლამაზად, იქედანაც უნდათ წასვლა მაგრამ წასასვლელი არსადა აქვთ. ჩემი ქმრის ძმა დეიხრჩო წყალში. მისი უფროსი ძმაც იქვე იყო და არ გადაარჩინა. ამის გამო მეზობლებს ძალიან ძულთ, თავის ძმა არ გადაარჩანა და ჩვენ რას გვიზამსო. ახლა აქეთკენ წამოსვლის პირიც არა აქვთ, ბევრი რამე დააშავეს მაგენმა ჩემთან და თუ იზამენ რა ვიცი.

–სახლში ეგენიც მესხურად ლაპარაკობდენ?

–მაგენს ქალები ყველას აჭარლები ჰყავდათ. უფრო ქალებს უნდოდათ წასვლა, რუსეთი ვნახოთო.

– მამის მხარეს ნათესავებს თუ ნახულობ ხოლმე ?

–აზერბაიჯანში ცხოვრობენ მამაჩემის ნათესავები, მაგენი ბოლოს 4-5 წლის წინ ვნახე. მაგნებს კი უნდათ აქ ჩამოსვლა.

–სად უნდათ გადმოსვლა, მაინცდამაინც მესხეთში თუ შეიძლება სხვაგანაც იცხოვრონ?

–მათ ადგილებზე (მესხეთში) უნდათ.

–შენგან მაინტერესებს, როგორ გგონია, მესხების ოჯახში გადამწყვეტი სიტყვა ქალს ეკუთვნის თუ კაცს?

-კაცს ეკუთვნის.

–ქალს არაფერი ბერკეტი აქვს, რომ მამაკაცი თავის ნებაზე ატაროს? აი, მაგალითად, შენ რომ მოისურვო ქმარს ვერ გააფიქრებინებ თურქეთში სამუშაოდ სიარულს?

–არა მისი ნებაა. ოჯახში სტუმარიც რომ მოდის, აი მაგალითად მე გუშინ მყავდა სტუმრები, რომ დავდგი მე კოფე და ყველას დავუძახე, იმ ბიჭს (სტუმარს) არ მოეწონა, შენ ახლა მთელ სოფელს უნდა დაუძახოო. ჩემ ქმართან მასეთის კითხვა არც დამჭირდება.

–ხომ არ გგონია რომ თქვენი ქალები ცოტა დაჩაგრული არიან მამაკაცების მხრიდან?

–რატომ დაჩაგრული?

–აი, თუნდაც სწავლის გამო, ხომ შეიძლება სწავლის უფლება არც შენ ქალიშვილს მისცეს შენმა ქმარმა?

–არა, მაგას არ იზამს! ბაღნები მისი იმით უნდა გაიზარდოს. რომელსაც ვინ უნდა იმაზე უნდა დაქორწინდეს და სწავლითაც უნდა ისწავლოს. ახლა ქალსაც კი აქვს ოჯახში რაცხას უფლება. მე მაგალითად ბაღანას შევეკითხები ვისზე უნდა დაქორწინება.

–დაქორწინების საკითხი ჩვეულებრივ ვიზე უფროა დამოკიდებული, მომავალ მეუღლეს ვინ ურჩევს შვილს, დედა თუ მამა?

–დედა, მგონია.

. როგორ უნდა შეირჩეს საბედო?

–კაი იყოს მთავარია, ჯანმრთელი იყოს და მიმხდენი.

–შენ როგორ შეურჩევ შენს ვაჟს საცოლეს როდესაც გაიზრდება?

–ხომ გაიკითხავ მეზებლებში, იმის მერე როდესაც ნახავ. მთავარია ადამიანი იყოს. მეზობლებს ვკითხავ კაი ოჯახია თუ არა. არის ზოგი ოჯახი, რომ გატეხილი არიან. ერთი ადამიანიც რომ იყოს ოჯახში მასეთი, კაცი პიანიცა ან გოგო ცუდ გზაზე მდგარი, მასეთი საშიშია.

–წინა თაობების შესახებ არ გამოიკითხავ?

–არა, მაი რა შუაშია მაგას რა ქონდა წინ გადახდილი

–სარძლოს რომელ ხალხში უფრო მოძებნი?

–ჩემთვის სულ ერთია, რომელიც უნდა ჩემ ბაღნებს იგი.

–მე როგორც ვატყობ თქვენები ერთმანეთზე ქორწინდებიან მხოლოდ ნასაკირალსა და კოპიტნარს შორის.

–ეს უკვე ნამეტანი, ამ ახლოს რომ არიან ფულიც აღარ დაჭირდებათ გზაზე იმდენი.

– ნათესავზე თუ შეიძლება დაქორწინდნენ?

–რა თქმა უნდა არა, არც მეგვარეზე დაქორწინებაა მიღებული, მეგრამ ზოგჯერ ხდება ხოლმე ასეთი რამ ნათესავებში.

–თუ გაგია ქალი გარდაცვლილი ქმრის ძმას გაყოლოდეს ან ცოლისდა სიძეს.

–არა, ეს ძმაა იგივე.

–დები რომ ძმებს გაჰყოლოდნენ ცოლად?

–მაი კი. აგერაა მასეთი, მეზობლები. ბაადურას შვილები, ბიჭებს დები ჰყავს ცოლად.

–მამა-შვილს რომ ჰყავდეს დები ცოლად?

–არც მაგ გამიგია. არა, კი იყო, იყო მაგიც. ადრე ცხოვრობდნენ ჩვენ რაიონში, დედაჩემს რაცხა ნათესავად ერგებოდა ეგ კაცი. ახლა აღარ არიან ცოცხლები.

–აჭარლებში თუ გაგიგია მსგავსი რამ?.

–არა, აჭარლებში საერთოდ არა.

–როგორაა მიღებული ბიჭის მხარე ეძებს სარძლოს თუ ქალიშვილის სასიძოს?

–ბიჭის.

–ვის აგზავნიან ქალიშვილის მშობლებთან

–მეზობელს, სულ ერთია ქალი თუ კაცი. ჩემსა და ჩემს ქმარზე რომ უფროსი იყოს. მივა და ეტყვის, რომ თქვენი გოგო იმას მოეწონაო. მერე რას ეტყვიან ისინი იმის მიხედვით მოვიქცევით. ჩვეულებრივ ქალის მშობლები მაშინვე თანხმობას არ ეტყვიან, უპასუხებენ: აგერ გოგოს ვკითხავ, დედამისს ვეტყვი, ნათესავებს შევეკითხებიო, რათა დრო მოიგონ და ბიჭის მხარის შესახებ გაიკითხონ.

–ამ კაცს რომელსაც აგზავნით რა ქვია?

–ელჩი. ელჩი მოვა და შეგვატყობინებს ჯერ თავს იკავებენ და ეტყობა პასუხამდე გაიკითხავენო. მერე ერთხელ კიდევ მიდის ელჩი და შეგვატყობინებს ამბავს თუ არის ოჯახი და გოგო თანახმა. მერე წავლენ ბიჭის ოჯახიდანაც. მშობლები წავლენ. ბიძა, ბაბუა თუ არის ცოცხალი, ბიჭი არა. შეიძლება მეზობელიც იყოს, უფრო კაცი.

–მშობლები კი გაიკითხავენ, მაგრამ ბიჭმა და გოგომ ერთმანეთი არ უნდა ნახოს ქორწილამდე?

–აბა, ნახავენ უჩუმარად.

–თუ არ მოეწონათ დაიშლება საქმე? აი, გოგოს შეუძლია ჩაშალოს ქორწილი?

–კი, რომ აღარ უნდა გათხოვება აბა, რას იზამენ. ამის მერე მიიტანენ ბეჭედებს და შერბეთს აადუღებენ. ძირითადად მიაქვთ რგოლი. თავსაბური შემდეგში უნდა მიართვან. ჩვეულებრივ ვაჟის მხარე ხუთშაბათს მიდის ქალის ოჯახში.

–ქალის მხარეს რა მოაქვს სუფრაზე?

–სუფრაზე ყველაფერია, მაგრამ ჯერე რომ მიხვალ ელჩმა არ უნდა ჭამოს. იი მიხვდება მერე თითონ, რომე ელჩად არი მისული. ნიშანის მიტანის დროს ვიდრე თანხმობას ზუსტად არ ეტყვიან, სუფრაზე არ დასხდებიან. მხოლოდ გადაწყვეტილი პასუხის შემდეგ გამოიტანენ შერბეთს. ეტყვიან დედ-მამა და მერე.

–ესე იგი ვაჟის მშობლების მისვლასაც ელჩობა ჰქვია?

–კი.

–დიდი ნიშანი თუ იციან?

–ჩვენებმა არა, აჭარლებმა იციან ეგე. მარტო მიდის ცოლ-ქმარი, ბეჭედს წეიღებენ ან ცეფს და მერე მიდიან ნათესავები და წაიღებენ ნიშანს.

–ესე იგი მხოლოდ თანხმობის შემდეგ გამოიტანენ შერბეთს?

–ხო, ჩეიხუტებენ ერთმანეთს და კოცნიან.

.–ოგო თუ არის ამ დროს სუფრასთან?

–არა, გოგოს მერე მოიყვანენ ნიშნის გადაცემის დროს და მაზლი ან მამამთილი გოუკეთებს ბეჭედს, თუ ცეპი იქნება. ამის მერე მოითათბირებენ ქორწილს. თუ აქვენ საშუალება უფრო მალე იქნება ქორწილი.

–ყალიმი იციან თქვენთან?

––.რა ვიცი გოგოს მამა ყიდულობს მზითევს, ყველაფერს კერავენ. არის ქალისა და ვაჟის ტანისამოსი, ავეჯი თუ ქალის მშობლებს საშუალება აქვთ და ა.შ.

–ამის ფული ბიჭმა ხომ არ უნდა გადაიხადოს?

.–ადრე ყოფილა აგრე, ახლა აღარ არის.

–რა დღეს შეიძლება გაიმართოს ქორწილი?

–სულ ერთია. ყველა დღე ღმერთის დღეა, ასე იძახიან ჩვენთან.

–ხოჯა როდის აკეთებს რიტუალს?

–იმ დღეს, როცა გოგო მიჰყავთ. იანეთში ახლა გააკეთებს იქაური ხოჯა ამას (კუნძულელები საქორწილოდ ემზადებიან – ლ.ჯ.).

–შენ ქორწილში ვინ შეასრულა რელიგიური რიტუალი, მამაშენმა?

–არა, მამაჩემი სად იყო. მამაჩემი გაგიჟებული იჯდა სახლში. (იცინის) აჭარელი ხოჯა იყო

–რას ამბობს ეს ხოჯა?

–რა ვიცი, თუ ხარო თანახმაო. ჩემს გვერდით მეზობელი იყო რადგან ჩემები მემდურودნენ და მაგას ჰკითხეს. თუ არ იქნები თანახმა, მაშინ ქორწინების უფლება არა აქვთ.

–ყოფილა შემთხვევა, რომ ვისმეს, რომელიმე პატარძალს უარი ეთქვას?

–არა.

–შენ თავად თუ ესწრებოდი ამ რიტუალს?

–არა იქ იმდენი კაცები იყო. მარტო შემეკითხენ თუ თანახმა ხარო.

–წერილობით გააფორმეს რაიმე?

–არა

–ქორწილი ორ დღეს გრძელდება?

–ახლა თუ მექორწინეები ერთ სოფელში ცხოვრობენ, მაშინ ერთ დღეს კეთდება. ახლა იქ რომ შორს არის ვერ ასწრებენ ხალხი.

–თქვენებურად ნეფე-პატარძალს რას ეძახიან?

–გიალინი და ბეი

–ქალის მშობლები თუ მიდიან ქორწილში მეორე მხარეს?

–არა პატარძლის და-ძმები შეიძლება წავიდნენ, მშობლები კი არა.

-ნეფის მხრიდან?

–შეიძლება, მაგალითად ახლა იუსუფი (მეზობლად მცხოვრები, რომლის შვილიც დღეს ცოლს ირთავს) არ წასულა, მაგრამ მისი ცოლი იქ არის.

–რატომ წესი არაა?

–არა, ხვალ წავა. ახლა მამამთილი არ მიდის, რადგან ახალგაზრდა რძალს ცეკვა უნდა მხიარულება უნდა და რომ არ მოერიდოს. ამიტომ იგი ხვალ წავა და წამოიყვანს.

–შენი ახალგაზრდა რძალი რატომ არ ელაპარაკება მამათილს?

–(იცინის) ჩემი მამამთილი ისე გარდაიცვალა ჩემი ხმა არ გაუგონია. იმ ოჯახში ბევრი ვიყავით და არც მჭირდებოდა მასთან დალაპარაკება. მართალია ჩემი ხმა მეორე ოთახიდან კი ესმოდა, მაგრამ პირდაპირ არ ველაპარაკებოდი

–დედამთილს ან უფროს მაზლს?

–დედამთილს ელაპარაკებიან, უფროს მაზლთან დალაპარაკებას კი გაურბიან, უმცროს მაზლთან შეიძლება დალაპარაკება.

–რატომ არ ელაპარაკებიან?

–წესია ასეთი ვითომ, რომ დააფასო მამამთილი. ახლა თვითონ თუ მოგცემს უფლებას შეიძლება დაელაპარაკო, ზოგიერთ მამათილს არ უყვარს რძალი რომ ელაპარაკება. ასე გრძელდება ორი-სამი წელი. ამას გენილობას ეძახიან.

–ქალებს ოჯახში ვინ მეთაურობს?

–ჩვენთან მასეთი დედამთილი იყო. მამაჩემის ოჯახში უფროსი რძალი დედამთილს ემორჩილებოდა ვიდრე ახალი რძალი შემოვიდა.

–რა საქმიანობა შედის ქალის მოვალეობაში?

–საჭმელის გაკეთება იქნება, სარეცხი, ეზოს მოხვეტა.

–დაყოფილი თუა საქალო და საკაცო საქმე?

–კი, რა თქმა უნდა.
–მამა ადვილად შეგირიგდა მის დაუკითხავად რომ გაიპარე (გათხოვდი)?
–ჩემი და რომ გათხოვდა მერე შემირიგდა.
–ქალიშვილს თუ ეკუთვნის ოჯახის გაყოფისას რაიმე წილი?
–თუ მარტოა ოჯახში კი, თუ ძმები ყავს არა. თუ გაუთხოვარი დარჩება მოკვდება იმ ოჯახში და იქნება. მე მაგალითად, რომ ვუყურებ რა წვალებით შოულობენ ჩემი ძმები სარჩოს, როგორ შევეცილები.
– მნიშვნელოვანი საქმეების გადაწყვეტისას თუ აქვს ქალს რაიმე ხმის უფლება?
.–ახლა, მაგალითად, მე ოჯახის (იგულისხმება კერძო სახლი – ლ.ჯ.) ყიდვა მინდა, მაგრამ ჩემი ქმარი წინააღმდეგია. აქ ლამაზად ვართ, ყველას ვიცნობთ, ახალ ადგილზე და ახალ მეზობლებთან შეჩვევა არ მინდაო.
–შენი აზრით, ჩამოსახლების შემთხვევაში სად უნდა დასახლდეს თქვენი ხალხი?
–სულ ერთია ახლა, საქართველო საქართველოა, აქაც საქართველოს მიწაა და ჩვენც კი ვართ აქ, მარა მათ უმეტესად იქ (მესხეთში ლ.ჯ.) უნდათ
–საქალო საქმეს ვინ ხელმძღვანელობს? დავუშვათ ქორწილში, რომელიც ახლა მეზობლებთანაა, ქალებს ვინ უხელმძღვანელებს?
–ქართველია ერთი, მე-4 რაიონიდან, ნონაი ქვია. მაი იტყვის რამდენი თეფში უნდა დაიდოს მაგიდაზე, რამდენი იგინი. და მერე დააწყობენ მაგას.

IX ინტერვიუ

ადგილობრივი, (მამრ) 65 წლის მცხოვრები სოფ. ბაილეთში. ინტერვიუ ჩაწერილი 12 დეკემბერს მის სახლში. რესპოდენტი საკმაოდ კეთილგანწყობილია მესხების მიმართ, ამავე დროს არ მალავს აჭარლებისადმი ნეგატიურ დამოკიდებულებას. ამის მიუხედავად მიიჩნევს, რომ დეპორტირებულთა მასობრივი ჩამოსახლება სიკეთეს არ მოუტანს ქვეყანას.

- რისი თქმა შეგიძლიათ თქვენი მეზობელი მესხების შესახებ?
–კაის მეტი არაფრის თქმა არ შემიძლია. 65 წლის კაცი გავდები იანვარში. ამ აჭარლებს მაგენი ჯობია ისევ. მაგენის ქურდობა არ გამიგია, მაგენის გინება და ცუდი სიტყვა არ გამიგია. მაგენის ბაღანები რომ გადმოვლენ სათამაშოდ, ერთ ბინძურ სიტყვას ვერ გეიგონებ. ვერ გეიგებ მაგ ბაღნებმა ღორი მეიპარა, თხაი ან რამეო. აქანა ჩვენ ბევრმა გაგვცალა, ცხენი მეიპარა, ხან ღორი, ხან რაი. გაგვცალეს ყველაფრისგან. თქვენთან მაი სხვანაირი სასაუბრო არაა, რაც სიმართლეა მე იმას გიყვებით. მესხებზე მე ცუდის თქმაი არ შემიძლია.
–როგორ მოხდა მესხების აქ ჩამოსახლება?
–მეურნეობას ქონდა მაგათთან თავდაპირველად ურთიერთობა. ჩამევიდნენ 3-4 ოჯახი და მერე მომრავლდნენ. ადგილობრივზე მეტი მერე თვითონ გახდნენ. მერე მოემატნენ და მოემატნენ. კი არიენ და ღმერთმა ამყოფონ, არაფერს მაი ხალხი ჩვენ არ გვიშლიენ. სხავაი რაი იქნება, მე არ ვიცი. აქანე 30-35 ოჯახია, ზუსტად მე არ დამითვლია მაი. მაგენზე მე ცუდის თქმაი არ შემიძლია, სადაც არ უნდა ვიყო მე ვისაც ვიცნობ და არ ვიცნობ მაგენზე ცუდი არ გამიგონია. ვერც ვერავინ ამ კუთხეში ახლომახლო ჩემი ხნის რომ არიენ ან ჩემზე უმცროსები მაგენზე ცუდს ვერ იტყვიენ.
. თქვენი აზრით ეს მესხები ვინ არიან ეროვნებით?

–პასპორტში ქართველები უწერიათ და ისე მე რა ვიცი. ზოგიერთი ქართულად კი ლაპარაკობენ. მესხი მაინც მესხია, ჩვენგან მაინც განსხვავდებიან.

–როგორი განსხვავებაა გურულსა და მესხს შორის, როგორც იმერელს და მეგრელს შორის?

–მაგენს მისი ადათი და წესი აქვთ, ჩვენ კიდე ჩვენი ადათი და წესი გვაქვს.

–რაში გამოიხატება მათი სხვა წესი?

. გამეიხატება მათი ჯიში და ამბავი, მისი რწმენა აქვთ, მუსლიმობა. რაფერც ჩვენ ვიცით ქალი და კაცი, მაგენი მასე არ ჯდებიენ სუფრასთან.

. ქორწილში ან ჭირის სუფრაზე თუ ყოფილან, ან თქვენ – მათთან?

. ძაან ნაკლებად, აჭარლები კი დადიან.

. თქვენთან ახლოს მაინც ვინ უფრო არის, აჭარლები თუ მესხები?

. აჭარლებთან უფრო ახლოს ვდგანვართ.

. ჩაცმულობაში თუ არის განსხვავება გურულებსა და მესხებს შორის?

. კაცები არა, მაგრამ ქალები ძალიან განსხვავდებიან ჩაცმულობით. აზიურად არიან ჩაცმულები და აჭრელებული ტასაცმელი აცვიათ. ჩვენ რომ ვიცით – გამარჯობა, ძამა შენი, ან გამარჯობა, ნენა შენი. აჭარელი ქალი რაც არ უნდა პატივი გქონდეს ნაცემი, არაფრით არ გიპასუხებს. მაგათმა უფრო იციენ კიდე. მესხებმა, თუ რამე ისესხენ აუცილებლად დააბრუნებენ. წამრთმევი და წამღლეტი ხალხი არაა. მაგენი ერთ ღერ შეშას ხელს არ მოკიდებენ და არ წეიღებენ ძაან პატიოსანი ხალხი არიენ.

. თქვენ რა აზრის ხართ მთლიანად მესხების ჩამისახლებაზე?

. თუ ამბობს თურქი ვარო, წევიდეს თურქეთში და თუ ამბობს ქართველი, მესხი, ვარო მივიღოთ რაფერც ჩვენს ადათ - წესს შეეფერება. თუ ჩვენს ადათ-წესზე არ მეიქცევიენ მაშინ იცხოვრონ სადაც არიან. თუ ჩამოსასახლებლები არიენ და ჩვენს მთავრობასაც სურს, მაინც ჩამოასახლებენ. გვაქვს ჩვენ კი მაგის ტერიტორია? მაგენი 5-6 ოჯახი თუ ჩამოსახლდებიან, არაფერია მაგი. თითო-ოროლა რომ დაასახლონ მაგის წინააღმდეგი არ ვარ. ბევრი კი ჩვენ გადაგვთელავს. მესხები მე მგონი სამტრედიაშიც არიენ.

–თქვენს სოფელში ახალგაზრდები თუ არიან?

. სხვა სოფელთან შედარებით არიენ. კი მუშაობენ პატიოსნად მიუხედავად იმისა ქარხანა არ მუშაობს, ჩაის კრეფა არაა, ციტრუსი გადასვლაზეა. ახალგაზრდას სმაი უნდა, ჭამა უნდა, არანაირი პირობა არაა. მარა ალბათ გამოკეთდება მდგომარეობა.

– მესხი ახალგაზრდობა თუ განსხვავდება ჩვენებისგან?

–არა.

–სწავლისადმი მიდრეკილება თუ აქვთ?

–ნაკლებად. ვისაც სწავლა უნდა ისწავლის, მაგას სიღარიბეს ვერ დააბრალებს. აჭარლები ამბობენ, სწავლა რა აუცილებელი არისო, მარტო წერა-კითხვა უნდა იცოდეო, ქალმა რა საჭირო არის ისწავლოსო. ქალს არ უნდა ასწავლო, 14 წლის რომ გახდება უნდა გაათხოვოო. მე თუ მკითხავ ქალს სწავლა უფრო სჭირდება.

X ინტერვიუ

გურული მამაკაცების ჯგუფი – ინტერვიუ ჩაწერილია სოფ. ბაილეთში. 2004 წ. 9 დეკემბერს. აქ ჩანს ადგილობრივების ნეგატიური სტერეოტიპები რეპატრიანტების შესახებ.

–რას იტყვით მესხებზე, რომლებიც თქვენს მეზობლად სოფ. ნასაკირალში ცხოვრობენ?

(1)–ვერც ერთი მაგენი ვერ ლაპარაკობენ ვეფერს. იმიტომ, რომ მაგენი არიან მცირერიცხოვანი. მე როგორც ვატყობ ჩემი შეხედულობით, როდესაც მაგენი აქანე მოიკიდებს ფეხს მაგარ პრობლემებს შეგვიქმნის ჩვენ. ეს საერთო აზრია. ახლა ღმერთმა ქნას რომ კარგად იყოს მაგრამ არა მგონია.

–რატომ არა გგონიათ?

–იმიტომ, რომ არც გვეკარებიან, არც კონტაქტში შემოდიან და არ ცნობს მეზობელს და არც არავის. მისდა არიან.

.(2)–ურთიერთობაში ჩვენთან არ შემოდიან, არც ჩვენ შევდივართ. მემწვანილეობაში რაღაც გამოყავენ, საგაზაფხულო იგინი, პამიდორი და რაღაცა. მაგას ყიდიან ჩვენთან სოფელში, ამის გარდა მაგენი ჩვენთან არაფერ კავშირში არ არიან, არის კი სულ 50 მეტრი შუალედი ჩვენს სოფლებს შორის, შორის მეტი კი არა.

–ჭირია, ლხინია არ მოდიან?

.(3)–არავითარი კავშირი!

–რა საჭიროა ტყუილი და ბევრმა მითხრა, თქვენმა მეზობელმა, რომ ჭირშიც მოდიანო და ლხინშიც.

. (2) – რავა გეკადრება ბატონო. თქვენ ალბათ ისეთ ხალხთან მოხვდით

. (4) – სამძიმარზე კი მოდიან.

. (2) – სად ნახე მაგენი სამძიმარზე მოსული? აჭარლები კი მოდიან. ერთადერთი რასაც აკეთებენ ნერგები მოყავენ და ჩამოივლიან სოფელში. არაფერი ქართულად არ ლაპარაკობენ კიდევ ეგენი.

. (1) – ორი მესხი ერთად თუ არის, ან ყანაში მუშაობს ან ტეხვა-კრეფაში გეხმარებიან, მაშინვე თავის ენაზე დეიწყებენ ლაპარაკს. რამდენჯერ მიჩხუბია, ქართუ;ლად ილაპარაკეო, მარა არა, თათრულზე ლაპარაკობენ

– იპარავენ რაიმეს?

.(1) – კი კაცო, ტყეი მისი არ აქვენ, მიწა მაგენს არა აქვენ, ყანა მაგენს არა აქვენ. აქვთ მაგენს 2ათასი მეტრო მიწა მოზომილი, იმაში ტყეიც უნდა, წყალიც უნდა, ყანაც უნდა, ბაღჩაც უნდა რასაც ვერ შვებიან. ქურდობენ ყანიებს. მეშოკებით არაფერს არ ტიებენ. დადიან ნაგერალაზე, ეს ცოდვა არისო მიწაზე რომ ეგდოსო. კაცო ჩემია და ჩემმა ღორმა შეჭამოს. ნარჩენებს ყველაფერს ზიდავენ ჩვენი ნაკვეთებიდან. თუ ვინმესთან ახლოს არიან იმასთან კი მიდიან სამძიმარზე.

–მაინცა და მაინც მშრომელი ხალხი არ არიან?

. (2) – კი მუშაობენ. მაგენი დიდიან პატარაიანა მუშაა.

–კი მაგრამ რატომ არა აქვთ მეტი მიწა?

. (1) – მთავრობამ ჩამოასახლა მაგენი მად, მეტი არ მისცეს მიწა. მაგენი ზვიადის დროს იყო ჩამოსახლებული, გამსახურდიას დროს მოაწერეს ხელი მაგენის ჩამოყვანას, თურქეთიდან ჩამოყვანილი ხალხია ეგენი.

. (4) – თურქეთიდან არც ერთი არაა ბიჭო. არის ეგენი აზერბაიჯანიდან, ტაშკენტიდან და მასე

. (3) – რა იცი, ბიჭო, მანდ რა ხდება, აგენი ნახევარი თბილისშია გადასახლებული. მე შემხვდა მოსკოვში, ხოჯას ბიძაშვილია თუ რაღაცა, ახალგაზრდა ბიჭია. მეო ნასაკირალიდან ვარო, მითხრა ქართულად. ხო იცი გაგეხარდება იქ მაინც ქართული. სიდან ხარო? ნასაკირალიდან-მეთქი. იქინე მესხების დასახლებააო იქინა ვცხოვრობდი 4 წელიო.

.(2)–რო ჩამოასახლეს ეს ხალხი აქ შემოიღობეს ადგილები, ახლა ზოგი შემოღობილში უშვებს თხებს და ზოგი ჩივა მიწა და ტყეო. მიწა და ტყე მის წინაპრებს არ დაუტოვებია აქანე და სიდან ექნებათ? მე არ მინახავს, მარა თუ არ მეიპარეს, მიწა მაგენს არ აქვთ და რითი გააქვთ თავი?

.(5)– არ გვაქვენ მაგენთან არავითარი შეხება. ახლოს ცხოვრობს, აგერ ღობე გვყოფს შუაზე, მარა არაფერი შეხება არ გვაქვს.

.(3)–რო ჩამეიარს აგერ, დრუჟბა ექნება მხარზე გადადებული და დაახევინებ შეშას, და გადუუხდი ფულს. საფულო საქმეზე ყველგან დადიან ეგენი, ტრაქტორისტია კიდევ ერთი, იგი, ტრაქტორი, რო ყავს ისიც დადის.

–ასე ქირით როდესაც მუშაობენ, თუ აკეთებენ საქმეს გულიანად?

.(3)–კი, მარა მაგენი ძაან უნდო ხალხია, მაინც მისებური არიან.

. (5)–მაგენი ძირითადად სამტრედიაში მუშაობენ, წასული არიან აქედან. იქინე კიდე სოფელი რომაა სამტრედიიდან რომ გადიხარ, იანეთი. იქინა მანქანის ნაწილებზე მუშაობენ და მერე ზამთრობით მოდიან აქანე.

. (3)–შარშანდელი ამბავია ახლა აგი. აპრილის თვეა და გავიხედე კაცი თოფით დადის და ნადირობს. დავუძახე, რომელი ხარ-თქო და მოვიყვანე. ვკითხე, რა გინდა მეთქი აქანე. ისე გამოვედიო. გავაფრთხილე, ყველა შვილებს გეფიცებით, აპრილის თვეია და ყველაფერი ნაშენობს, თოფი არ ესროლოთმეთქი კურდღლებს და ბაჭიებს. დაზამთრდება და მერე მეც ვინადირებ და შენც მეთქი. (კამათი). მე მახსოვს მაისის თვეში პატარა ვიყავი და ვნახე ორი ცალი ბაჭია გამოძვრა ბუჩქებიდან, სახლში წავედი და მამას ვუთხარი ასეა მეთქი. თოფს მოკიდებ ხელს და წელზე დაგამტვრევო ასე მითხრა. (ისევ კამათი)

. (2)–ესე იგი გაზაფხულზე შეიძლება ხო ჩიტის მოკვლა!

. (3) 22 თებერვლის მერე არ შეიძლება

. (5)–არ შეიძლება მაგის ლაპარაკი, ერთი მაი ბაღანაა (რომელიც ნადირობდა), აქანე გეიზარდა და ჩვენს სოფელთან უფრო ახლოს, არ შეიძლება მაგისთვის ზედმეტის თქმა. ხშირად შემომყავდა ჩემთან, კიდევაც სვამდა, და ყველაფერი. მაი ერთი მესხი გევიცანით, პატარაობიდან ნადირობდა. ბაღანა იყო და ყვავზეც ნადირობდა, ყანჩაც მოკლა და ყველაფერ და სახლში მიჰქონდა.

. (2) – მაი რაია, კი ცხენი მომიკვდე ერთი და გადავაგდე. აჭრენ უკანა ბარკალი და წეიღო ბაღანა იყო მაშინ. სად მიგაქ ბიჭო მეთქი. სახლში მიმაქვს, ამას მოვხარშავთ და შევჭამთო. როგორც თქვენთვის კურდღელისა და გოჭის ხორცია ისეთია მაიო. საერთოდ, მორწმუნე ხალხია წამთ თავისი რელიგია, მუსლიმური.

ნ. ჯალაბაძე

რამდენიმე ინტერვიუ იანეთელ მუსლიმ მესხ ქალებთან

I ინტერვიუ

შუახნის ქალბატონი (ინტერვიუს დროს დახმარებას გვიწევდა მისი მეუღლე).

(ა) : მომიყევით ცოტა რამ თქვენს შესახებ. რამდენი წელია რაც აქ ცხოვ რობთ? რატომ გადაწყვიტეთ აქ ჩამოსვლა?
(ბ): მე შუა აზიაში, ნამანგანში დავიბადე. საქართველოში 1985 წელს ჩამოვედით მე და ჩემი ქმარ-შვილი. შუა აზიაში დავქორწინდით და აქ რომ ჩამოვედი, შვილები უკვე მყავდა. სხვათა შორის, მე პასპორტში დაბადების ადგილად ტაშკენტი, ტრაყურღანის რაიონი მიწერია. მაგრამ სინამდვილეში ნამანგანში დავიბადე. ეს იმიტომ, რომ ჩვენები ნამანგანიდან ტაშკენტში გადაიყვანეს უზბეკებსა და მესხებს შორის მომხდარი უსიამოვნების გამო და ამიტომ დაბადების ადგილი შეცდომით არის დაფიქსირებული.
(ქმარი): – ომის შემდეგ, როდესაც უზბეკი ჯარისკაცები სამშობლოში დაბრუნდნენ დემობილიზაციის შემდეგ, მათ თავიანთ მიწებზე (საუბარია ფერღანის რაიონზე) უცხო ხალხი დახვდათ. ეს იყო 1945-1946 წლებში, ჩვენები კი იქ 1944 წელს გადაასახლეს. მათ ჩათვალეს, რომ უზბეკების მიწები გადამთიელებმა ჩაიგდეს ხელში და მოსთხოვეს დაეტოვებინათ ფერღანის ოლქი. ამის გამო მოხდა შეტაკება და დაიღუპა რამოდენიმე ე.წ. თურქი მესხი. მდგომარეობა რომ არ გართულებულიყო, მაშინდელმა ხელისუფლებამ ნება დართო ფერღანის ზოგიერთ რაიონში მცხოვრებ მესხებს ტაშკენტში გადასულიყვნენ, რაც კანონით იკრძალებოდა. მაგრამ შექმნილი სიტუაციის გამო, მთავრობა იძულებული იყო ეს ნაბიჯი გადაედგა. ისინი თვალს ხუჭავდნენ და მესხებს ჩუმად ასახლებდნენ კონფლიქტის ზონიდან. მაშინდელი კანონის თანახმად, დეპორტირებულებს 1956 წლამდე უფლება არ ჰქონდათ გამოსულიყვნენ დეპორტაციის ზონიდან. მაგრამ სიტუაციამ აიძულა ხელისუფლება და მთელი ღამე მანქანებით გამოჰყავდათ მესხები. მათ შორის ნამანგანიდანაც, სადაც მეუღლის ნათესავები ცხოვრობდნენ. ეს იყო პირველი დაპირისპირება უზბეკებსა და მესხებს შორის ფერღანაში.

რაც შეეხება, ჩვენ საქართველოში წამოსვლას, აქეთ იმიტომ წამოვედით, რომ მე ავად ვიყავი. 12 წელი წყალი არ დამილევია. უზბეკეთის ჰავა ჩემზე ძალიან ცუდად მოქმედებდა. საქართველოში სანამ წამოვიდოდით, აზერბაიჯანში წავედით. იქაც ჩაის ვსვამდი, წყლის მაგივრად. მეუღლე დეიდასთან წავიდა ყირგიზეთში და იქ უთხრეს, რომ ჩემთვის აუცილებელი იყო სამკურნალო წყლები, რომელიც ძალიან ბევრია საქართველოში. კერძოდ კი – წყალტუბოში. ამიტომაც გადავწყვიტეთ საქართველოში დაბრუნება. სანამ იანეთში მოვიდოდით, ჯერ წულუკიძეში (ხონში) ვცხოვრობდით. აქ რომ ჩამოვედი, მე თურქული მენტალიტეტი მქონდა. ჩემი თავი თურქად მიმაჩნდა და თურქეთის ისტორია თურქებზე ნაკლებად არ ვიცოდი. რომ ჩამოვედი, ჩემთან მამულია და რაიკომის წარმომადგენლები მოვიდნენ. დიდი კამათი გვქონდა, ისინი მიმტკიცებდნენ, რომ ქართველი ვიყავი, მე კი ვუმტკიცებდი, რომ თურქი ვარ. თუ ქართველი ვარ, აქამდე ამის შესახებ რატომ არავინ არაფერი დაწერა-მეთქი? ისეთი გამოცემა, სადაც ჩვენი ისტორია იქნებოდა აღწერილი მაშინ არ იყო. შეიძლება აქ კი იყო, მაგრამ უზბეკეთში ნამდვილად არ ყოფილა. პირველად მე ჩვენი ქართველობის შესახებ ერთი პატიმრისაგან შევიტყვე. აქ რომ ჩამოვედი, აქაც ამისი მტკიცება დამიწყეს. მერე გავეცანი ლიტერატურას და თანდათან

აზრი შემეცვალა. დიდი ბრძოლები მქონდა და დროთა განმავლობაში, მე თვითონ მივედი ამ დასკვნამდე.
(ბ): მე კი დედაშენისგან გავიგე, რომ ჩვენ ქართველები ვართ. მან მითხრა – ჩვენ ქართველები ვართ, ოღონდ ქმარს არ უთხრა, რომ გაიგოს, იმ წუთში საქართველოში წავაო და ამიტომაც არ მითქვამს შენთვის.
(ქმარი): მერე, როდესაც მოხუცების გამოკითხვა დავიწყე, ვსაყვედურობდი, ამას რატომ მალავდით-მეთქი. მიპასუხეს – გვეშინოდაო.
(ბ):საქართველოში ყოფნის პერიოდში ბევრი უბედურება და გაჭირვება გადავიტანეთ. სამოქალაქო ომის დროს ჩვენი 16 წლის ქალიშვილი ბრმა ტყვიამ იმსხვერპლა, მანამდე ხონში ცხოვრებისას დაგვაყაჩაღეს, მერე უკვე აქ რომ წამოვედით, შეიარაღებული მძარცველები დაგვესხნენ თავს და მეუღლე კინაღამ მოკლეს, მეც არ ვიცი, მაშინ როგორ გადავრჩით. ახლა წესიერი სახლიც კი არ გვაქვს. 3 ბიჭი მყავს და ერთი გოგო, რომელიც აქვე, იანეთშია ჩვენებურზე გათხოვილი. 3 შვილიშვილი გვყავს.
(ა): თქვენი ოჯახის რომელი წევრი იყო გასახლებული და საიდან?
(ბ): დედაჩემი 8 წლის იყო, საქართველოდან რომ გადაასახლეს. ბაბუა და ბებია ერთმანეთს გაშორდნენ, როცა დედა 1 წლის იყო. შვილი წაიყვანა მამამ. დედაჩემი მან გაზარდა. 8 წლამდე დედას ბებიამისი ზრდიდა, რომელიც საქართველოში გარდაცვლილა. ბაბუაჩემს ცოლი მოუყვანია, ასე რომ, დედას მერე დედინაცვალი ჰყავდა. დედაჩემი და მამაჩემი ტაშკენტში დაქორწინდნენ. ისინი ერთი სოფლიდან იყვნენ. ჩემი ბებია-ბაბუა კი ადიგენის რაიონის სოფელ ქიქინეთში ცხოვრობდნენ, საკმაოდ შეძლებულად. მაგრამ გადასახლების დროს ყველაფერი დატოვეს – საქონელი, ცხვარი. თან არაფერი წაუღიათ.
(ა): უნდოდათ თქვენს მშობლებს საქართველოში დაბრუნება?
(ბ): რა თქმა უნდა. დედაჩემს ოცნებად ჰქონდა გადაქცეული სამშობლოში დაბრუნება. იქაური წყლის ნახვა. დღემდე ყურებში მიდგას წყლის შხუილიო, თვალწინ მიდგას იქაური მთებიო – ხშირად უთქვამს.
(ა): როგორ ცხოვრობდით შუა აზიაში?
(ბ): იქ როგორც ზღაპარში ისე ვცხოვრობდით. მე ძალიან კარგად ვსწავლობდი და სწავლის გაგრძელება მინდოდა. ჩემს მშობლებს ეხვეწებოდნენ ჩემი პედაგოგები, რომ სასწავლებლად გავეშვი, მაგრამ მათ გამათხოვეს. იქ საერთოდ, ბავშვები ძალიან პატარა ასაკიდან ბამბის საკრეფად მიჰყავთ. ჩემი პატარა გოგო ნულ კლასში იყო და ისიც კი ერთ კილოგრამ ბამბას კრეფდა დღეში. ფულსაც გვიხდიდნენ, მაგრამ ცოტას.
(ა): ყოფილა თუ არა თქვენი ოჯახის რომელიმე წევრი გადასახლების შემდეგ მესხეთში?
(ბ): ჩემი მეუღლე და შვილები. მეუღლე ახლაც ხშირად დადის.
(ა): სად ცხოვრობენ თქვენი ნათესავები ახლა? გაქვთ თუ არა მათთან კავშირი?
(ბ): ჩვენ ნათესავები რუსეთშიც გვყავს, აზერბაიჯანშიც, უზბეკეთშიც, თურქმენეთშიც. ურთიერთობას თითქმის ვერ ვახერხებთ.
(ა): უნდათ თუ არა თქვენს ნათესავებს სადმე წასვლა საცხოვრებლად?
(ბ): რამდენადაც მე ვიცი, მათ სამშობლოში დაბრუნება უნდათ.
(ა): თქვენის აზრით, მესხების ჩამოსახლების შემთხვევაში, როგორ ჯობია მათი დასახლება, ერთად თუ ცალ-ცალკე?
(ბ): მე ვფიქრობ, ჯობია ქართველებთან ერთად დაასახლონ. უზბეკეთში გვერდი-გვერდ ვცხოვრობდით მესხები, კორეელები, უიგურები, ბასმაჩები, ყირიმელი

თათრები, ჩეჩნები, ჩინელები. მაგრამ ჩვენ ძალიან მეგობრულად ვიყავით. რაც უფრო მეტი ეროვნების ხალხი ცხოვრობდა დასახლებაში, მით უფრო შეკრული და მეგობრული იყო საზოგადოება. ამდენად პრაქტიკამ დაგვანახა, რომ დასახლება შერეულად ჯობია.
(ა): როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ თქვენს წინაპრებს ქრისტიან ქართველებთან გადასახლებამდე?
(ბ): ისინი ძალიან კმაყოფილები იყვნენ აქ ცხოვრებით. იძახდნენ – სამშობლოს არაფერზე გავცვლითო – იქ სუფთა წყალია, ჰაერი, გემრიელი ხილი, საერთოდ ყველაფერი ისეთია, რასაც სხვაგან ვერ ნახავ. ურთიერთობა ადგილობრივებთან კარგი ჰქონდათ, ცუდი არაფერი გამიგია. ერთმანეთში მიდი-მოდიოდნენ.
(ა): რა გაგიგია ფერღანის ცნობილ ამბებთან დაკავშირებით?
(ბ): რამდენადაც მე ვიცი, ეს რუსეთის გაკეთებული იყო. იმიტომ, რომ მათ ეს ეკონომიკურად აწყობდათ. თვითონ მე მიცხოვრია უზბეკებთან და ვიცი რანაირი დამოკიდებულებაც არსებობდა ჩვენ შორის. მე ვიცოდი უზბეკური, ვმღეროდი, ათწლედიც უზბეკურად დავამთავრე, ხუთოსანი ვიყავი, ოლიმპიადებში ვღებულობდი მონაწილეობას, ყველას ვუყვარდი, პატივს მცემდნენ. ძალიან ბედნიერი წლები მქონდა. მაგრამ ბოლო ხანს, ფერღანის ამბების მერე, დამოკიდებულება ჩვენსა და უზბეკებს შორის დაიძაბა. მათ უკვე ცოტა სხვა თვალით დაგვიწყეს ყურება. ფერღანის ამბების მერე დედას ორმოცი გვქონდა და იქ წავედი. აშკარად დავინახე, რომ იმ უზბეკების დამოკიდებულება ჩვენდამი, ვისთანაც ძალიან ახლოს ვიყავით, შეცვლილი იყო. ამბობენ, აგიტაცია გაუწიეს უზბეკებსო. არ ვიცი, რანაირად, მაგრამ როცა სტუმრად ვიყავი, შევამჩნიე, რომ ურთიერთობა უკვე გაფუჭებული იყო ჩვენს შორის და პატივისცემა აღარ იგრძნობოდა.
(ა): თქვენი აზრით, ქრისტიანი და მუსლიმი ქართველები რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან?
(ბ): ქართველები ბევრნაირი შემხვედრია. ყველგან არის ცუდიც და კარგიც. ზოგიერთი ისეთი ქართველი ვიცი, რომ ისეთ პატიოსან ადამიანს ცხოვრებაში ძალიან იშვიათად შეხვდები. მათ ენა სხვა აქვთ, სარწმუნოებაც სხვა აქვთ. შეიძლება ღვინის სმის სიყვარულითაც. თუმცა ახალგაზრდები ჩვენთანაც სვამენ.
(ა): სხვა მუსლიმი ხალხებისაგან, მაგალითად უზბეკებისგან, რით განასხვავებდით თქვენს ხალხს?
(ბ): უზბეკებისაგან – წეს-ჩვეულებებით და ენით. მაგალითად მათ ჰყავთ ბასმაჩები, რომლებიც განსაკუთრებით დაუნდობელნი არიან.
(ა): რა გამორჩეული თვისებები ახასიათებს თქვენს ხალხს?
(ბ): შრომისმოყვარეობა, სტუმართმოყვარეობა, ადამიანის პატივისმცემლები არიან.
(ა): რისი ქონა არის თქვენთვის უფრო მნიშვნელოვანი – კარგი სახლის, ბევრი მიწის, თუ ბევრი საქონლის, არჩევანზე რომ მიდგეს საქმე, რომელს აირჩევდით?
(ბ): მიწას. მიწის გარეშე როგორ შეიძლება ყოფნა. მიწა თუ იქნება, სახლიც და საქონელიც თავისთავად მოვა. თუ დაგჭირდება მიწას გაყიდი და დანარჩენს იყიდი.
(ა): გაქვთ მიწის ნაკვეთი?
(ბ): გვაქვს 1,25 ჰექტარი, როგორც ყველა რაიონში ისე. თუმცა ჩვენთან მიწა ცოტა სხვანაირად არის განაწილებული. ჩვენ ტერიტორიულად წყალტუბოს რაიონს ვეკუთვნით და მიწა ცოტა შეგვხვდა, ამის თაობაზე გაუგებრობა იყო, ანუ მიწის დაკანონებასთან დაკავშირებით.

(ა): ძირითადად რითი ცხოვრობს თქვენი ოჯახი?
(ბ): ოჯახის შემოსავალია პენსია. ვყიდით რძის პროდუქტებს, სიმინდს, მიწის თხილს და ა. შ. გვყავს ოთხი მეწველი ძროხა და ხანდახან საქონელსაც ვყიდით.
(ა): გყავთ თუ არა მეგობრები და ვინ არიან ისინი. რამდენი წელია მათთან მეგობრობთ და რამდენად ხშირად ხვდებით მათ?
(ბ): გვყავს როგორც მესხები, ისე ქართველები. მე განსაკუთრებით მენატრება ჩვენი ძველი მეგობრები და მინდა მათი ნახვა. ესენია შურა თევზაძე, კამილა (გურამ მამულიას მეუღლე). მინდა დოდოს ნახვა. ჩვენ მათთან ძალიან ვმეგობრობდით. ისინი ხშირად მოდიოდნენ ჩვენთან იანეთში.ახლა ალბათ 2 წელი იქნება არ მინახავს.
(ა): იცნობთ თუ არა თქვენს ხალხს, რომლებიც საქართველოს სხვა კუთხეებში ცხოვრობენ?
(ბ): ვიცნობ ოზურგეთში მცხოვრებ მესხებს. ჩემს მეუღლეს ჰყავს ნათესავები ახალციხეში, მაგრამ მე მათ არ ვიცნობ.
(ა): რას ეძახის საკუთან ენაზე თქვენი ხალხი თავს?
(ბ): უზბეკეთში ჩვენ „კაფკაზებს“ გვეძახდნენ. ხან თურქებს. ჩვენ ჩვენ თავს – აჰისკა თურქლარს.
(ა): იცავთ თუ არა რელიგიურ წესებს?
(ბ): მე რაც ვიცი, რაც ოჯახში მასწავლეს, იმას ვასრულებ.
(ა): მისცემდით თუ არა თქვენს შვილს უფლებას დაქორწინებულიყო ქრისტიან ქართველზე, თურქზე, აზერბაიჯანელზე, რუსზე, სომეხზე?
(ბ): ალბათ, თუ შეუყვარდებოდა, წინააღმდეგი არ წავიდოდი. ცხოვრებით ხომ მათ უნდა იცხოვრონ ერთად. ჩვენები საერთოდ მიჰყვებოდნენ სხვა ერის ხალხს და ცოლადაც მოჰყავდათ. ძირითადად რუსებზე ქორწინდებოდნენ . ჩვენთან საერთოდ იდგა ეს პრობლემა. უზბეკეთში ჩვენები ამბობდნენ, რომ თანახმა ვართ რუსი მოიყვანოს და ქართველი არაო. და იცით რატომ? იმიტომ, რომ ისინი რუსებს ხედავდნენ, იცნობდნენ, ურთიერთობა ჰქონდათ და ქართველებს – არა. რუსებს თავისიანებად თვლიდნენ. ჩვენ ახლა ქართველებთან გვაქვს ურთიერთობა და ამდენად ჩვენს წინაშე აუცილებლად დადგება ეს პრობლემაც – მესხების ქართველებთან საქორწინო ურთიერთობის საკითხი.
(ა): რომელია თქვენი სამშობლო?
(ბ): ადიგენი.
(ა): თქვენი თავი რა ეროვნების ადამიანად მიგაჩნიათ?
(ბ): მე ვარ მესხი.
(ა): გაქვთ სურვილი აქედან გადახვიდეთ სხვაგან საცხოვრებლად და სად?
(ბ): დიახ, მინდა ადიგენში წავიდე.
(ა): მიუხედავად იმისა, რომ არც კი გინახავთ?
(ბ): დიახ, არ მინახავს, მაგრამ მინდა.
(ა): გაქვთ თუ არა ურთიერთობა საქართველოში მცხოვრებ სხვა მუსლიმებთან?
(ბ): სხვა მუსლიმებიდან ურთიერთობა აჭარლებთან გვაქვს. ვიცნობ ჟუჟუნას, აჭარელს, რომელიც ქართველზეა გათხოვილი და ბაზარში მუშაობს. ის გვიყვება, რომ ჩვენი და მათი რწმენა ერთნაირია. ჩვენ ერთმანეთს სიხარულით ვხვდებით და ვსაუბრობთ.
(ა): გყავთ თუ არა სოფელში, გამორჩეული კაცი, უხუცესი?
(ბ): არა. ახლა არ გვყავს. იყო სეიფულ იბრაგიმოვი, რომელიც ბაბუად მეკუთვნოდა, ნათესავები ვიყავით. ის ძალიან ჭკვიანი კაცი იყო და ყველა მას

ეკითხებოდა რჩევას. აქ, იანეთში, ერთად ვცხოვრობდით, შუა აზიაში კი, ჩვენი ოჯახები ფერღანის ველზე ერთად იყვნენ. მერე ისინი წავიდნენ გულისტანში, სირდარიისკში. ჩვენ კი ტაშკენტში.

ინტერვიუ 2

ასაკოვანი ქალბატონი, მუსლიმი მესხი

(ა): მომიყევით ცოტა რამ თქვენს შესახებ. რამდენი წელია რაც აქ ცხოვრობთ?
(ბ): საქართველოში 1996 წლიდან ვცხოვრობ. ჩემი ქართული გვარი – შაქრიძეა. ისე მამედოვს ვატარებ. ჩვენ ვიყავით ახალციხიდან, ანიდან. ჩემი ძმისშვილები ახლა შაქრიძეებად იწერებიან.

გადასახლების შემდეგ შუა აზიაში ვცხოვრობდი. ბევრი ტანჯვა გადავიტანე. მერე გავთხოვდი ტაშკენტში, ქურთზე. ისიც საქართველოდან იყო გადასახლებული.

მყავდა შვიდი შვილი. ორი ვაჟი დამეღუპა – 22 და 28 წლის. ახლა თხუთმეტი შვილიშვილი მყავს. დღეს ძალიან გვიჭირს, არც მე მაქვს პენსია და არც ჩემს ქმარს. 2000 წელს ციხეში მოვხვდი. ვვაჭრობდი, აზერბაიჯანიდან ჩამომქონდა პროდუქტი და ვაბარებდი სამგორის ბაზრობაზე. პოლიციამ ჩამიგდო ნარკოტიკი, იფიქრეს ბევრი ფული აქვს და წავართმევთო. ჩვენ აზერბაიჯანელები ვგონივართ და ისინი კი ფულიანი ხალხია. მაგრამ ვერაფერი რომ ვერ გადავიხადე, ორი წელი ციხეში უდანაშაულოდ ვიჯექი. სააკაშვილი მაშინ იუსტიციის მინისტრი იყო. ერთ-ერთი შემოვლის დროს მნახა და გაუკვირდა – რატომ ზიხარ ციხეშიო? მიხვდა, რომ დამნაშავე არ ვიყავი და შემპირდა – სამ დღეში გაგათავისუფლებო, მართლაც გამომიშვეს და მისი დიდი მადლობელი ვარ.
(ა): რატომ გადაწყვიტეთ აქ ჩამოსვლა?
(ბ): ფერღანის ამბების შემდეგ გადავედით რუსეთში, სმოლენსკში ვცხოვრობდით ძალიან ცუდ პირობებში, ძალიან ციოდა, მინუს 45-46 გრადუსი იყო. იქ ვმუშაობდით ფერმაში – მე, ჩემი ქმარი და შვილები. მოგვცეს სახლი, ცხვარი, საქონელიც მყავდა, მაგრამ ძალიან ცუდად ვიყავი, სიცივე ვერ ავიტანე, რამდენჯერმე მძიმე ავად გავხდი. გადავწყვიტეთ საქართველოში წამოსვლა. მე ვუთხარი ჩემი ოჯახის წევრებს, ჩემი მამა-პაპის სამშობლოა და იქ დავბრუნდეთ –მეთქი. ჯერ ცოტა ხანი აზერბაიჯანში ვიყავით, მერე – აქ ძმა მყავდა და აქეთ წამოვედი სამშობლოში. ბოლოს მაინც სამშობლოში დავბრუნდით.
(ა): იცნობდით თუ არა იმ მესხებს, რომლებიც ახლა აქ ცხოვრობენ?
(ბ): დიახ, ვიცნობდით. აქ ჩემი ძმა ცხოვრობდა. ახლა გარდაიცვალა, მაგრამ მისი ოჯახი იანეთშია.
(ა): თქვენი ოჯახის რომელი წევრი იყო გასახლებული და საიდან? გასახლების შემდეგ, სად და როგორ ცხოვრობდა თქვენი ოჯახი?
(ბ): ჩემი მშობლები უზბეკეთში გადაასახლეს. მე მაშინ ორი წლის ვიყავი. მილიციონერებს წაურთმევიათ დედაჩემისთვის ჩემი თავი და გადაგდება უნდოდათ – გზაში მაინც მოკვდებაო. ჩემს მშობლებს უთქვამთ, თუ მოკვდება, ჩვენს ხელში მოკვდესო და გამოურთმევივარ. უზბეკეთში ანდიჟანში დავსახლდით. მერე ტაშკენტში გავთხოვდი.
(ა): რომელენოვან სკოლაში სწავლობდით?

(ბ): ვსწავლობდი უზბეკურ სკოლაში.
(ა): სად ცხოვრობენ თქვენი ნათესავები ახლა? გაქვთ თუ არა მათთან კავშირი?
(ბ): სამი გოგო და ორი ბიჭი ჩემგან შორს ცხოვრობენ. ორი გოგო თხუთმეტი წელიწადია არ მინახავს, ისინი ახლა ყაზახეთში არიან. ომის მერე მნახეს ჩემმა შვილებმა. ჩემი შვილებიდან მარტო ერთია ჩემ გვერდით. დანარჩენი ზოგი რუსეთში, ზოგი აზერბაიჯანში. თორმეტი შვილიშვილიდან რამდენიმე საერთოდ არ მინახავს.
(ა): უნდათ თუ არა თქვენს ნათესავებს სადმე წასვლა საცხოვრებლად?
(ბ): პირველ რიგში მე მინდა ძალიან, რომ ჩვენი ხალხი ჩამოასახლონ და მაშინ ჩემი შვილებიც ჩემს გვერდზე იქნებიან. მათაც უნდათ სამშობლოში ცხოვრება. ჩემთვის მთავარია, რომ ჩემს მიწაზე ვიყოთ. თუ ახალციხეში დაასახლებენ, მე ვიქნები აქ და მათ სანახავად ვივლი-ხოლმე. უკვე მოხუცი ვარ და დღეს ვარ, ხვალ არ ვიქნები. ისე ჩემთვის სულ ერთია, ჩემს ხალხთან ვიყო, გინდა ქართველი დაწერონ, გინდა ძაღლი და გინდა სომეხი. რაც გინდა ის დაწერონ მე მინდა ჩემი მამას მიწა. (თურქულად ამბობს ლექსს სამშობლოზე – ვათანუმ ყაფილარი – ... „სამშობლოს კარი გაიღება და ყველა შვილი დაბრუნდება...“, ბოლომდე ვერ თქვა, ტირილი დაიწყო).
(ა): თქვენის აზრით, მესხების ჩამოსახლების შემთხვევაში, როგორ ჯობია მათი დასახლება, ერთად თუ ცალცალკე?
(ბ): თუ ჩამოასახლებენ, ჩვენი მამა-პაპის მიწაზე უნდა დაასახლონ. ისევ ისე, როგორც თავის დროზე ცხოვრობდნენ. ჯობია ქართველებთან ერთად.
(ა): როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ თქვენს მშობლებს ქრისტიან ქართველებთან აქ ცხოვრების დროს?
(ბ): რამდენადაც მე ვიცი, ძალიან კარგი.
(ა): რა გაგიგია ფერღანის ამბებთან დაკავშირებით?
(ბ): ფერღანის ამბების დროს იქ ვიყავით. იქ ძალიან ბევრი ხალხი დაიღუპა – ყველა ეროვნების. უზბეკეთში ძალიან კარგად ვცხოვრობდი. ყველაფერი მქონდა, მაგრამ ეს ამბები რომ დაიწყო, ისე წამოვედი, ერთი ჭიქა არ წამომიღია. ჩვენთან დიდი შეტაკება იყო. ღამე გამოვიქეცით და სასაფლაოზე დავიმალეთ. დილამდე იქ ვიყავით. მერე მოვიდა რიჟკოვი, რუსი ჯარისკაცები და გამოგვიყვანეს, ავტობუსებში ჩაგვსვეს და წაგვიყვანეს პირდაპირ რუსეთში. გზაზე ბავშვებს ტილი დაეხვათ, შიმშილისაგან ხალხი გვეხოცებოდა. ერთი თვე ვიყავით როსტოვში. ვცხოვრობდით ვაგონებში. იქაურებმა რომ ნახეს, რა დღეში ვიყავით, მოდიოდნენ და გვეხმარებოდნენ, ბავშვები აბანოში წაიყვანეს... ოთხი ბავშვი მოგვიკვდა (ტილებისაგან). ისინი ჩემოდანში ჩავასვენეთ და გავუგზავნეთ გორბაჩოვს. გორბაჩოვმა ყურადღება არ მოგვაქცია. ფერღანის ამბების რამოდენიმე ხნის მერე, რუსეთში ჩამოიყვანეს ერთი თვითმფრინავი ქალები, რომლებიც მხეცურად გააუპატიურეს და სულ შიშვლები გამოუშვეს უზბეკეთიდან. შევუთვალეთ, რამე გვიშველეთ, თორემ დავიხოცებითო.
(ა): თქვენი აზრით, ქრისტიანი და მუსლიმი ქართველები რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან?
(ბ): ჩვენ ადრე ქართველები ვიყავით. ჩვენ რომ მუსლიმანები ვართ, ეს ჩვენი ბრალი არაა. სამი წელია მე ქრისტიან ქართველებთან ვმუშაობ. ძალიან წესიერი ხალხია, მე პატივს მცემენ. ხანდახან ფერმაში რომ ვმუშაობ, იქ ახალგაზრდები მოდიან და თუ რამეს ცუდად იტყვიან ქართველები უბრაზდებიან და ეუბნებიან, ზედმეტი არ ილაპარაკო, არ შეიგინო, აქ პატივცემული ქალბატონიაო.

(ა): რა გამორჩეული თვისებები ახასიათებს თქვენს ხალხს და რა ურთიერთობა აქვთ ქრისტიან ქართველებთან?
(ბ): ჩვენ მუშა ხალხი ვართ, სხვისი არავის ლუკმა არ გვინდა. ჩვენთან „მოპარვა არაა, ქურდობა არაა, ბოზობა არაა – ბოზობა ძალიან სირცხვილია. კაცებმა შეიძლება იარონ ქალებში, მაგრამ ქალისთვის ისეთი სირცხვილია, რომ მოკლავენ. სუფთა ხალხი ვართ."
(ა): რისი ქონა არის თქვენთვის უფრო მნიშვნელოვანი – კარგი სახლის, ბევრი მიწის, თუ ბევრი საქონლის, არჩევანზე რომ მიდგეს საქმე, რომელს აირჩევდით?
(ბ): მე მიწას ავირჩევდი.
(ა): ძირითადად რითი ცხოვრობს თქვენი ოჯახი?
(ბ): მე 43 წელი ვმუშაობდი ფერმაში. ახლა, ამ ხნის ქალი კიდევ ვმუშაობ, რომ ოჯახს მივეხმარო. ჩემი ბიჭი მუშაობს ბენზინგასამართ სადგურზე. იქიდან იღებს ხელფასს. რძალი და ორი შვილიშვილი მყავს. მიწაზე ვთესავთ. მოგვყავს სიმინდი, მიწის თხილი და ვყიდით. გვყავს ძროხები. რძის პროდუქტებს: ყველს, ნადუღსაც – ვყიდით.
(ა): გყავთ თუ არა მეგობრები და ვინ არიან ისინი. რამდენი წელია მათთან მეგობრობთ და რამდენად ხშირად ხვდებით მათ?
(ბ): მეგობრები მყავს როგორც მესხები, ისე ქართველებიც, მაგრამ ახლა ჯანმრთელობა არ მიწყობს ხელს და მისვლა-მოსვლა აღარ გვაქვს, მარტო აქაურებთან თუ მივალ.
(ა): გაქვთ თუ არა ურთიერთობა არამაჰმადიან ქართველებთან და სხვა ეროვნების ადამიანებთან?
(ბ): ადგილობრივ მოსახლეობასთან, რა თქმა უნდა, მაქვს ურთიერთობა. ფერმაში ვმუშაობ. ქართველი კაცის საქონელს ვუვლი. მანამდეც ვმუშაობდი ქართველებთან ერთად.
(ა): იცნობთ თუ არა თქვენს ხალხს, რომლებიც საქართველოს სხვა კუთხეებში ცხოვრობენ?
(ბ): ძირითადად, ვიცნობ ნასაკირალელ მესხებს.
(ა): რას ეძახის საკუთან ენაზე თქვენი ხალხი თავს?
(ბ): გურჯი მუსლიმანი.
(ა): იცავთ თუ არა რელიგიურ წესებს?
(ბ): მეტ-ნაკლებად ვიცავ. ასაკი და ჯანმრთელობა არ მიწყობს ხელს, რომ ნამაზი შევასრულო. ვერც რამაზანს ვიცავ.
(ა): მისცემდით თუ არა თქვენს შვილს უფლებას დაქორწინებულიყო ქრისტიან ქართველზე, თურქზე, აზერბაიჯანელზე, რუსზე, სომეხზე?
(ბ): ჩემზე არ არის დამოკიდებული, თუ შეუყვარდებოდა, ალბათ კი. ჩემი ქმარი თვითონ ქურთია – კუჟმიანი. ჩემი მულის ქმარი სომეხია – შაუმიანი.
(ა): რომელია თქვენი სამშობლო და რატომ მიგაჩნიათ ის სამშობლოდ?
(ბ): ჩემი სამშობლო ახალციხეა, მე იქ დავიბადე და ჩემი წინაპრები იქ ცხოვრობდნენ.
(ა) : თქვენი თავი რა ეროვნების ადამიანად მიგაჩნიათ?
(ბ): მე, რა თქმა უნდა ქართველი ვარ – ქართველი მუსლიმანი.
(ა): გაქვთ სურვილი აქედან გადახვიდეთ სხვაგან საცხოვრებლად და სად?
(ბ): მე მინდა ახალციხეში ცხოვრება. ჩემი მიწაა, ჩემი ხალხია. თუ მოვკდები, იქ მოვკვდები, ჩემ მიწაზე. არ ვნანობ, რომ წამოვედი და არსად წასვლა არ მინდა ახალციხის გარდა. იქ მინდა ყოფნა. მე ვიყავი ახალციხეში. ძალიან ლამაზია.

ინტერვიუ 3

შუახნის ქალბატონი, მუსლიმი მესხი,

(ა): მომიყევით ცოტა რამ თქვენს შესახებ. რამდენი წელია რაც აქ ცხოვრობთ? რატომ გადაწყვიტეთ აქ ჩამოსვლა?
(ბ): 22 წელია გათხოვილი ვარ და 19 წელია აქ ვცხოვრობ. დავიბადე აზერბაიჯანში. ვცხოვრობდით სოფელში. 4 წელი იქ ვსწავლობდი. 11 წლის რომ ვიყავი, ნალჩიკში გადავედით საცხოვრებლად, ე. ი. 1974 წელს. მამა ძალიან ავადმყოფობდა და ურჩიეს იქ „მინერალურ წლებთან“ ახლოს ცხოვრება. იქ ნათესავები არ გვყავდა და არც ახლა გვყავს. მარტო ვიყავით. ჩვენები რომ გამრავლდნენ, დღეს იქ უკვე იმათი შთამომავლები არიან. ჩემი ქმარი აქაურია და მეც ამიტომ ვცხოვრობ აქ.
(ა): ნანობთ თუ არა აქ რომ ჩამოხვედით?
(ბ): არა. ნორმალურად ვცხოვრობთ, მაგრამ მთელი უბედურება ისაა, რომ ნათესავები აქ არ მყავს.
(ა): თქვენი ოჯახის რომელი წევრი იყო გასახლებული და საიდან?
(ბ): ჩემი მშობლები გადაასახლეს ადიგენის რაიონის სოფელ ხევაშენიდან, ისინი უზბეკეთში შეუღლდნენ. გადასახლების დროს დედა 9 წლის იყო, მამა – 12 წლის. ისინი ფერღანაში, ანდიჟანში მოხვდნენ. მამაჩემი საქართველოში სწავლობდა და ქართული კარგად იცის. აქ რომ ჩამოვედით, საქართველოში, თავისი პირველი მასწავლებელი მოძებნა. მან მაშინვე იცნო – შენ მუსა ხარო, უთხრა.
(ა): უნდოდათ თქვენს მშობლებს საქართველოში დაბრუნება?
(ბ): ბაბუა ოცნებობდა სამშობლოზე. როდესაც იხსენებდა, სულ ტიროდა. სიკვდილის წინ გვითხრა, ცოტა მიწა მაინც მომიტანეთ სამშობლოდან და საფლავზე დამაყარეთო. ის ნალჩიკში გარდაიცვალა.
(ა): შენ და-ძმებს, რომლებიც საქართველოში არ დაბადებულან, უნდათ აქ ჩამოსვლა?
(ბ): რა თქმა უნდა, ყველას ერთად უნდა ყოფნა.
(ა): ყოფილა თუ არა თქვენი ოჯახის რომელიმე წევრი გადასახლების შემდეგ იმ სოფელში, როდის, რა შთაბეჭდილება დარჩა?
(ბ): მე რომ გავთხოვდი, მამა რამდენჯერმე ჩამოვიდა საქართველოში, ნებართვა აიღო და წავიდა თავის მიწაზე. ჩემი მეუღლეც არის ნამყოფი, მე – არა.
(ა): გასახლების შემდეგ, სად და როგორ ცხოვრობდა თქვენი ოჯახი?
(ბ): ჩემი მშობლების უზბეკეთში ყოფნის პერიოდი მე არ ვიცი, აზერბაიჯანში კი სოფელში ცხოვრობდნენ.
(ა): სად ცხოვრობენ თქვენი ნათესავები ახლა? გაქვთ თუ არა მათთან კავშირი?
(ბ): ჩემი და-ძმა, მამა და მათი ოჯახები ნალჩიკში ცხოვრობენ. ნათესავები შუა აზიაშიც მყავს, როსტოვშიც და აზერბაიჯანშიც. მათთან ურთიერთობა ბოლო დროს ძალიან ძნელია, შექმნილი ვითარების გამო. ორი წელია ჩემები არ მინახავს, დედის სიკვდილის მერე. ახლა მამა მყავს ძალიან ცუდად, საოპერაციოა და ვერ მივდივარ. ნათესავებთან სამ-ოთხ თვეში ერთხელ ძლივს ვახერხებ დარეკვას.
(ა): უნდათ თუ არა თქვენს ნათესავებს სადმე წასვლა საცხოვრებლად?

(ბ): მათ სამშობლოში დაბრუნება უნდათ.
(ა): თქვენი აზრით, მესხების ჩამოსახლების შემთხვევაში, როგორ ჯობია მათი დასახლება, ერთად თუ ცალ-ცალკე?
(ბ): ოღონდ ერთად შეგვყარონ და დაგვაბრუნონ, საქართველოში ვიცხოვროთ და არ არის აუცილებელი, რომ ხევაშენში წავიდე. ესეც ხომ ჩვენი მშობლიური მიწაა. მთავარია, რომ ერთ ქვეყანაში ვიყოთ ყველა ნათესავი. დასახლება ქართველებთან ერთად უკეთესი იქნებოდა. მე ქართველი მეზობელი მყავდა და ბავშვებმა ქართული კარგად იცოდნენ. აქ თავიდან რომ მოვედით, რამოდენიმე ქართული ოჯახი ცხოვრობდა, ფერმაში მუშაობდნენ. ვინც მათთან ახლოს იყო, ქართული ყველამ იცოდა. განსაკუთრებით, მათმა შვილებმა. ერთად ჯობია დასახლება იმიტომ, რომ ენის გარდა, სწავლობ წეს-ჩვეულებებსაც, კულტურასაც და ეს ძალიან მნიშვნელოვანია.
(ა): თქვენ იცით ქართული?
(ბ): მე ვიცი აზერბაიჯანული და რუსული, ანუ ის ენები, რასაც სკოლაში ვსწავლობდი. ქართული არ ვიცი. მარტო აუცილებელი სიტყვები. მინდა, რომ ვისწავლო, მაგრამ ვერ ვსწავლობ. რამდენი წელია უკვე აქ ვარ და მაინც ვერ ავითვისე. ჯერ ერთი ენებს ძნელად ვსწავლობ, მეორეც, ცალკე ვცხოვრობთ, ქართველებისაგან იზოლირებულად და ესეც ამის ერთ-ერთი მიზეზია. ჩვენთან რამდენიმე წლის წინ კურსები გახსნეს, კაცები დადიოდნენ, წერა-კითხვა ისწავლეს. ჩემი შვილებიც ქართულ სკოლაში დადიან.
(ა): როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ თქვენს წინაპრებს ქრისტიან ქართველებთან აქ ცხოვრების დროს?
(ბ): აქ რომ ცხოვრობდნენ ქრისტიანების გვერდით, ურთიერთობა ძალიან ნორმალური ჰქონიათ. ბაბუა ქართულ სკოლაში სწავლობდა.
(ა): რა გაგიგია ფერღანის ამბებთან დაკავშირებით?
(ბ): მე იქ არ ვყოფილვარ. ჩემი ნათესავები კი იყვნენ. სახლი დაუწყვეს. ერთ-ერთს ქმარი მოუკვდა და ბავშვით მარტო დარჩა. ახლა როსტოვში ცხოვრობს. არავინ იცის, ვინ ჩაიდინა ეს სინამდვილეში. იქ უზბეკებიც იყვნენ. ამ ამბების მერე, მთელი მესხების სახლები გაძარცვეს. როგორც ამბობენ, ბაზარში შელაპარაკება მოხდა უზბეკებსა და მესხებს შორის და აქედან დაიწყოო, მაგრამ ეს არ არის სწორი. ეს რაღაც შიგნით მოხდა და არავინ იცის, ისევე როგორც არავინ იცოდა, თუ რატომ გადაგვასახლეს მშობლიური მიწიდან. ამის მიზეზსაც სინამდვილეში ვერ გაიგებ, რა და როგორ მოხდა.
(ა): თქვენი აზრით, ქრისტიანი და მუსლიმი ქართველები რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან?
(ბ): ჩვენ განვსხვავდებით რწმენით, წეს-ჩვეულებებით. თუმცა ადამიანი ადამიანისგან რით უნდა განსხვავდებოდეს? მე, მაგალითად, ბაზარში რომ შევდივარ, ყველა მეუბნება – ქართველი ხარო. ისე, ძალიან ბევრი საერთო სიტყვები გვაქვს და აქამდე არ ვიცოდი.
(ა): სხვა მუსლიმი ხალხებისაგან, მაგალითად, თურქებისგან, უზბეკებისგან, რუსებისგან რით განასხვავებდით თქვენს ხალხს?
(ბ): ენით, გარეგნობით, წესებით.
(ა): რა ურთიერთობა გაქვთ ქრისტიან ქართველებთან?
(ბ): არიან ქართველები, ვისაც კარგად ვეწყობით. არიან ისეთებიც, ვინც იკბინება და თანაც ძალიან მწარედ. ბაზარში გვყავს ბევრი ნაცნობი და კარგი ურთიერთობა გვაქვს. ზოგიერთი საუკეთესო ბუნების ადამიანია. მისვლა-

მოსვლაც გვაქვს. ზოგიერთებს ვუყვარვართ, ზოგიერთებს არა, გვეუბნებიან: ვინ ხართ, საიდან ხართ, ეგეთი ეროვნება საქართველოში არ არისო. არ შეიძლება იყოს მესხი თურქიო, მუსლიმიო. კი, მაგრამ, აჭარელი შეიძლება იყოს? ისინიც ხომ მუსლიმები არიან, იმათი რატომ არ უკვირთ. მე ჩემი ისტორია არ ვიცი, რომ ავუხსნა, როდის და რატომ გაგვამუსლიმეს. ჩვენთვის ხომ ეს არავის უსწავლებია.

(ა): რისი ქონა არის თქვენთვის უფრო მნიშვნელოვანი – კარგი სახლის, ბევრი მიწის, თუ ბევრი საქონლის, არჩევანზე რომ მიდგეს საქმე, რომელს აირჩევდით?

(ბ): მიწას, რა თქმა უნდა. ეს არის ფულიც, სახლიც, საქონელიც. მიწაზე ძვირფასი არაფერია. რად მინდა ფული, სიმდიდრე. რომ მოვკვდები, მიწა დარჩება.

(ა): გაქვთ მიწის ნაკვეთი და რითი ცხოვრობს თქვენი ოჯახი?

(ბ): გვაქვს, როგორც ყველას იმდენი. ვთესავთ სიმინდს, მაგრამ ძალიან ცოტა შემოსავალი გვაქვს. ვწვალობთ ძალიან. ვალიც ხშირად გვაქვს. ოთხი ძროხა მყავს. ყველს ბაზარში ვყიდით. ისეთი დროც არის, როცა ბავშვებს თვეობით ყველს ვერ ვაჭმევთ. ახალგაზრდებს ჩაცმა უნდათ. ხარჯი ბევრია. ბაზარში ქართველებს გონიათ, რომ ძალიან ბევრი ფული გვაქვს, მდიდრები ვართ. ორი-სამი ბატი და ცხვარი თუ დაინახეს, ასე ფიქრობენ. სინამდვილეში, ამით თავს ვერ გაიტან, განსაკუთრებით მაშინ, როცა ხელფასს არ იღებ. ჩემს ქმარს საქონელმცოდნის დიპლომი აქვს და ტრაქტორისტად მუშაობს. ისიც სეზონურია. ბიზნესი არანაირი არ გვაქვს. ჩვენი ბიზნესი ძროხები და ქათმებია.

(ა): გყავთ თუ არა მეგობრები და ვინ არიან ისინი. რამდენი წელია მათთან მეგობრობთ და რამდენად ხშირად ხვდებით მათ?

(ბ): მეგობრები მყავს. ძირითადად აქაურები.

(ა): იცნობთ თუ არა თქვენს ხალხს, რომლებიც საქართველოს სხვა კუთხეებში ცხოვრობენ?

(ბ): ვიცნობ ნასაკირალიდან.

(ა): იცნობთ თუ არა საქართველოში მცხოვრებ სხვა მუსლიმებს?

(ბ): კი, აჭარლებს ვიცნობ. მე ნათესავებიც მყავს. ბაბუაჩემის და აჭარელს გაყვა ცოლად და ქობულეთში ცხოვრობენ. გადასახლებამდე, აჭარლები და მესხები ერთმანეთს ირთავდნენ. იყო შერეული ქორწინებები. და ახლაც არის (ოზურგეთში), ოღონდ ჩვენთან – არა.

(ა): რას ეძახის საკუთან ენაზე თქვენი ხალხი თავს?

(ბ): ახსხა თურქლარი, ანუ ახალციხელ თურქებს.

საერთოდ, ვერ გაიგებ. ქართველები ზოგი მესხს გვეძახის, ზოგი თათარს და თურქს. საერთოდ ვინ ვართ და რა ვართ, არ ვიცი. ჩვენ გვეძახიან თურქებს ადგილ-მდებარეობის მიხედვით: აზერბაიჯანელ თურქებს, უზბეკ თურქებს, თურქმენ თურქებს, იმიტომ, რომ თურქულენოვანები ვართ.

(ა): იცავთ თუ არა რელიგიურ წესებს?

(ბ): არც ისე აქტიურად.

(ა): გყავთ თუ არა სოფელში პატივცემული პიროვნება, უხუცესი?

(ბ): არა. ყველა თავის აზრს იცავს და თავის თავს პატრონობს. ახლა დემოკრატიაა და ყველა თავის პრობლემას თვითონ უვლის.

(ა): მისცემდით თუ არა თქვენს შვილს უფლებას დაქორწინებულიყო ქრისტიან ქართველზე, თურქზე, აზერბაიჯანელზე, რუსზე, სომეხზე?

(ბ): თუ სიყვარული იქნება, ალბათ ხელს ვერ შევუშლი.

(ა): მაგრამ თქვენ ხომ მკაცრი კანონები გაქვთ ამ თვალსაზრისით?
(ბ): ჩვენ რომ ასეთი სიმკაცრე არ გვქონოდა, ჩვენ, როგორც ნაცია გავქრებოდით. სად არ ვიცხოვრეთ, გზა ხსნილი იყო, შეგეძლო გათხოვება რუსზე, უზბეკზე, ყაბარდოელზე, ბალყარელზე, აზერბაიჯანელზე. და ეს რომ ასე ყოფილიყო, ჩვენ გადავშენდებოდით. ეს სიმკაცრეა, თვითმყოფადობას რომ გვინარჩუნებს, 60 წელი სხვადასხვა ქვეყანაში ჩვენი ხეტიალის პერიოდში. ჩვენი კანონებია, რასაც ჯერ-ჯერობით მკაცრად ვიცავთ, მაგრამ 10-15 წლის მერე მაინც მოხდება ეს შერევა, ამისგან თავს ვერ დავიზღვევთ. ახლა კი მე მას მკაცრად ვიცავ, რადგან არ ვიცი, ხვალ რა მელოდება. ჩემი შვილი ქართველს რომ გაყვეს და ჩვენ აქედან გაგვყარონ, ის ხომ აქ დარჩება და მე სხვაგან ვიქნები.
(ა): რატომ უნდა გაგყარონ?
(ბ): როგორ თუ რატომ? აქ რამდენი იყო ჩვენებური და ყველა გაყარეს გამსახურდიას დროს. პირდაპირ მანქანები მიაყენეს და გაიყვანეს. აქ ბევრნი იყვნენ მესხები ზუგდიდში, ხონში და სხვაგან... მარტო ჩვენთან და ოზურგეთში დარჩნენ. ჩემი ქმრის დებიც აქ ცხოვრობდნენ, ზუგდიდში. ახლა ერთი ვორონეჟშია და მეორე ბაქოში. არ ვიცით რა მოხდა, რატომ გააკეთა ეს გამსახურდიამ, ჩვენთვის გაუგებარია. ჩვენთანაც კი ვერ მოდიოდნენ. აი ჩემმა მაზლის ცოლმა – ფირუზამ, ბავშვი რომ გააჩინა, დედამისი წულუკიძეში ცხოვრობდა, საქართველოს მოქალაქე იყო, მაგრამ აქ არ შემოუშვეს, გააგდეს აქედან, იმიტომაც გვაქვს ჩვენ შიში. გოგოს თუ ქართველზე გავათხოვებ, რომ გაგვყარონ, მერე რაღა ვქნათ? ჩვენ უმძიმეს მდგომარეობაში ვართ. ამიხსენით, რა უნდა ვქნათ, რამდენი წელი შეიძლება ვიტანჯოთ? რამდენი წელია საკითხი ვერ გადაჭრეს. წინათ ამბობდნენ: მოსკოვი არ წყვეტსო. ახლა ხომ დამოუკიდებლები არიან, რატომ არ წყვეტენ?
(ა): რა აზრისა ხართ სომხებზე?
(ბ): არ ვიცნობ, მათთან არ მიცხოვრია და აზრს ვერ გეტყვით. სამტრედიაში ბევრნი ცხოვრობენ და ჩვენთვის ძალიან კარგები არიან. შეიძლება იმიტომ, რომ ისინიც თავიანთ მიწაზე არ ცხოვრობენ და ამიტომ უფრო ახლოს არიან ჩვენთან. უფრო გვიგებენ.
(ა): რომელია თქვენი სამშობლო?
(ბ): ჩემი სამშობლო ჩემი მამა-პაპის მიწაა.
(ა): რატომ მიგაჩნიათ ის სამშობლოდ?
(ბ): რას ქვია რატომ? ჩვენი წინაპრები ხომ იქ ცხოვრობდნენ, იქიდან გადაასახლეს.
(ა): გაქვთ სურვილი აქედან გადახვიდეთ სხვაგან საცხოვრებლად და სად?
(ბ): ერთადერთი სურვილია, ვცხოვრობდე ჩემი ნათესავების გვერდით ჩემს სამშობლოში. ჩვენ კი კარგად ვცხოვრობთ, ყველაფერი გვაქვს, მაგრამ მაინც გვინდა, რომ ჩვენი შვილები საკუთარ მიწაზე ცხოვრობდნენ, რომ მეორე დღეს არავინ უთხრას, ეს შენი მიწა არ არის და აქედან წადიო. ვის არ უნდა აქ ყოფნა?
(ა): დატოვებ ყველაფერს და წახვალ?
(ბ): რა თქმა უნდა, ყველაფერს დავტოვებ, თუ ჩემი ნათესავები ჩამოვლენ და ჩვენ მიწაზე წავალთ თუ დაბრუნება იქნება, რაზეა ლაპარაკი!
(ა): როგორ დაახასიათებდით მესხებს?

(ბ): ძალიან შრომისმოყვარე ხალხია. საცა არ უნდა მოხვდეს მესხი, თავის საარსებო პურს ყოველთვის იშოვის. ეს არის მათი ყველაზე დამახასიათებელი თვისება. არიან სტუმართმოყვარეები. ისე, ცუდი და კარგი ყველა ხალხშია.

ინტერვიუ 4

ქრისტიან ქართველზე გათხოვილი მესხი ქალბატონი

(ა): მომიყევით ცოტა რამ თქვენს შესახებ. რამდენი წელია რაც აქ ცხოვრობთ?
(ბ): დავიბადე 1955 წელს შუა აზიაში, სამარყანდში. ჩემი ქართული გვარი მჭედლიშვილია. შუა აზიაში რომ გადაგვასახლეს იქ გვეწერა აბდულაევი. მამაჩემი ვალედანაა, დედა – აწყურიდან. სამარყანდში ცხოვრე- ბის დროს გავიცანი იმერელი ბიჭი, კიკაჩეიშვილი გენადი. ერთმანეთი შეგვიყვარდა. ჩემი მშობლები ძალიან წინააღმდეგი იყვნენ, მაგრამ მე მაინც გავყევი და წამოვედი ქმართან ერთად საქართველოში. მქონდა რაღაც პრობლემები, მაგრამ ძირითადად კმაყოფილი ვარ, რომ აქ წამოვედი. კმაყოფილი ვარ, რომ ჩემი ქმარი იმერელია და ოთხი შვილი მყავს მასთან.
(ა): იცნობდით თუ არა იმ მესხებს, რომლებიც ახლა აქ ცხოვრობენ?
(ბ): მე რომ ჩამოვედი საქართველოში 1973 წელს, მესხები ჯერ არ იყვნენ ჩამოსახლებული. ისინი კი 80-იან წლებში ჩამოასახლეს. ჩვენი გაცნობა უფრო გვიან მოხდა. სამტრედიაში ჩემთან სახლში მოვიდა აქაური მასწავლებელი, მუსრადინი. მას გაუგია – ჩვენებური გოგო ცხოვრობსო და გაცნობა მოისურვა. შევიპატიჟე სახლში, დავახლოვდით ოჯახებით და მას მერე დავიწყე იანეთელებთან ურთიერთობა.
(ა): თქვენი ოჯახის რომელი წევრი იყო გასახლებული და საიდან?
(ბ): ბებია, ბაბუა, მამა და დედა. მამა ვალეს სკოლაში სწავლობდა და რვა კლასი ჰქონდა დამთავრებული. ცოლი სამარყანდში მოიყვანა.
(ა): ყოფილა თუ არა თქვენი ოჯახის რომელიმე წევრი გადასახლების შემდეგ მშობლიურ სოფელში? თუ ყოფილა, როდის და რა შთებეჭდილება დარჩა?
(ბ): დიახ,როცა მამა ცოცხალი იყო, დადიოდა. ეს ის დრო იყო, როცა საზღვარი იყო ჩაკეტილი. ის თითქმის ყოველ წელს ისვენებდა ბორჯომში. წასვლის წინ მიდიოდა ახალციხის საზღვარზე, წაიღებდა საჭმელს, დასალევს, დაჯდებოდა, დაუძახებდა იქაურ ბიჭებს, დაილოცებოდა, იძახდა – ჩემი სამშობლო ეს არისო, იტირებდა, იტირებდა, აკოცებდა მიწას და წამოვიდოდა. სიგიჟემდე უნდოდა დაბრუნება. მაგრამ მაშინ საბჭოთა კავშირი იყო და ადვილი არ იყო. მამა გარდაიცვალა და მისი სიტყვები იყო – მე ვკვდები და მინდა, რომ მესხები სამშობლოში დაბრუნდნენო. ქართული იცოდა და ჩვენც გვეუბნებოდა, რომ ქართველები ვართო. მე თვითონ არ ვყოფილვარ წინაპრების სამშობლოში. სულ ვიძახი უნდა წავიდე-მეთქი, მაგრამ ხან რამ შემიშალა ხელი და ხან რამ. ჯერ ბავშვები მყავდა პატარები და მარტო ვერ ვბედავდი წასვლას. მაინც მეშინოდა. ახლა ესენი, იანეთელები თუ წავიდნენ, მეც აუცილებლად წავალ. ძალიან მინდა ვნახო ჩემი სამშობლო. მე მგონია, ბებიაჩემის სახლი ახლაცაა ახალციხეში.
(ა): გასახლების შემდეგ, სად ცხოვრობდა თქვენი ოჯახი?
(ბ): გადასახლების შემდეგ, ჩემი ოჯახი სამარყანდში დასახლდა. სანამ სახლები ექნებოდათ, უზბეკებთან ცხოვრობდნენ. ბებიამ მითხრა, პირველად რომ შევედი

მათ სახლში, გული შემიწუხდაო. რვა-ცხრა ტიტველი და ბინძური ბავშვი პირდაპირ იატაკზე ეწვინათო. ბებიაჩემი – დედის დედა – ძალიან გაჭირვებაში იყო თავიდან. მან მითხრა არც სახლი მქონდა, არც კარიო. საქართველოდან რომ წამოსულან, არაფერი წამოუღიათ ტანსაცმლის გარდა. სამი შვილი ჰყავდა გასაზრდელი. დაუწყია კერვა, უზბეკების კაბებს კერავდა და ასე ცხოვრობდა. ჩემმა მამამ ინსტიტუტი დაამთავრა.

(ა): სად ცხოვრობენ თქვენი ნათესავები ახლა? გაქვთ თუ არა მათთან კავშირი?

(ბ): მე რომ წამოვედი, ნათესავები ყველა იქ დარჩა – დედა, დები, დეიდები. სისხლით ნათესავები მე აქ არ მყავს, მარტო ვარ. ჩემები ყველანი შუა აზიაში არიან . ცამეტი წელია იქ არ ვყოფილვარ. მაგრამ ერთმანეთს წერილებს ვწერთ და ტელეფონით ვუკავშირდებით. ძალიან მინდა, რომ წავიდე და ვნახო ჩემები. დედას ვეუბნები საქართველოში წამოდი-მეთქი. მითხრა – საქართველო დიდია, მე ჩემი სოფელი, ჩემი მიწა-წყალი მინდაო. შენთან რომ მოვკვდე, მერე რა ვქნაო, როცა გაიხსნება გზა და წასვლის უფლებას მოგვცემენ, მაშინ დავბრუნდები ჩემს სამშობლოშიო. .

(ა): უნდათ თუ არა თქვენს ნათესავებს სადმე წასვლა საცხოვრებლად?

(ბ): იქ არ უნდათ ყოფნა, მაგრამ არც სხვაგან არ უნდათ წასვლა. მითხრეს, თუ სადმე წავალთ, ისევ საქართველოში წავალთო. თუ არ დაგვაბრუნებენ, ისევ იქ ვიქნებით, სადაც ვცხვრობთ ახლაო. რუსეთს ჩვენ არ ვუნდივართ, თურქეთს არ ვუნდივართ და სამშობლოში თუ არ გაგვიშვებენ ისევ აქ ვიქნებითო. ჯერ მაინც ეშინიათ და ელოდებიან, როდესაც მასიურად დაიწყება წასვლა და ყველაფერი რიგზე იქნება, ალბათ, მაშინ დაბრუნდებიან.

(ა): თქვენის აზრით, მესხების ჩამოსახლების შემთხვევაში, როგორ ჯობია მათი დასახლება, ერთად თუ ცალ-ცალკე?

(ბ): მე მგონია შერეულად ჯობია. კომპაქტურად რომ არიან, მაინც არ ვარგა. ისე, როგორც სამარყანდში ვიყავით იმის მსგავსად— ჩემი მეზობელი რუსი იყო, კორეელი, თათარი. ენაც კარგად ვიცოდით, ერთი-მეორის ჩვეულებებიც და ტკბილად ვცხოვრობდით.

(ა): როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ თქვენს მშობლებს ქრისტიან ქართველებთან აქ ცხოვრების დროს?

(ბ): ძალიან კარგი. ბებია ამბობდა-ხოლმე, რომ იქ სომხებიც იყვნენ, ქართველებიც, მაგრამ ერთმანეთისთვის გადაბრუნებული სიტყვა არ გვითქვამსო. ბაბუა, დედის მხრიდან, აწყურის სკოლის დირექტორი იყო. დედაჩემის ქართული გვარი არ მახსოვს. ისე ჩალაევა იყო სამარყანდში. ბაბუა რომ მასწავლებელი იყო, ეს ნამდვილად ვიცი. პოლიტიკური მუშაკი იყო და ომი რომ დაიწყო წაიყვანეს. იქიდან აღარ დაბრუნებულა.

(ა): რა გაგიგია ფერღანის ამბებთან დაკავშირებით?

(ბ): დაპირისპირებას სამარყანდამდე არ მოუღწევია. თანაც მე უზბეკეთში უკვე აღარ ვცხოვრობდი. როგორც დედაჩემი ამბობს, დიდი უბედურება დატრიალდა. რამდენადაც მე ვიცი, უზბეკებსა და მესხებს შორის მანამდე საერთოდ კონფლიქტი არ ყოფილა. დედასგან ვიცი, რომ ეს ნამდვილად ასე იყო. როგორც ჩანს, პოლიტიკის ამბები იყო.

(ა): სკოლაში რომელ ენაზე სწავლობდით?

(ბ): მე ვსწავლობდი სამარყანდში რუსულ სკოლაში. უზბეკურიც ვიცოდი, მაგრამ დამავიწყდა. ჩემები ოჯახში რუსულადაც ლაპარაკობდნენ.

(ა): თქვენის აზრით, ქრისტიანი და მუსლიმი ქართველები რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან?
(ბ): თითქმის ერთნი არიან. მაგრამ ერთი მუსლიმია და მეორე ქრისტიანი.
(ა): სხვა მუსლიმი ხალხებისაგან, მაგალითად, თურქებისგან, უზბეკებისგან, რით განასხვავებდით თქვენს ხალხს?
(ბ): თურქებთან შედარებით, ჩვენი ხალხი უფრო სტუმართმოყვარეა. ჩემი ქმარი თურქეთში რომ მუშაობდა, ამბობდა, რომ თურქს რომ სტუმარი ჩამოუვიდოდა, არასოდეს სახლში არ ამყოფებდა, სადილად თუ მიიყვანდა. ისე სასტუმროს უქირავებდა და იქ აცხოვრებდა. ჩვენი ხალხი ისეთივე სტუმართმოყვარეა, როგორც ქართველები. თურქები უფრო დისტანციურები არიან.

უზბეკებისაგან, პირველ რიგში, კულტურულად განვსხვავდებით. ჩვენი ხალხი ძალიან კულტურული იყო. ბებიასგან ვიცი, რომ უზბეკეთში რომ ჩავედით, კულტურა ჩვენ შევიტანეთო. იძახდა – ჩვენ გამოვიყვანეთ უზბეკებიო.სადაც კაი სამუშაო იყო, ყველგან ჩვენი ხალხი იყო, იმიტომ რომ ნიჭიერი ხალხი ვართ და საქმე ვიცოდით.
(ა): რუსებისაგან რით განასხვავებთ თქვენს თავს?
(ბ): რუსებმა დაადგინეს, რომ ჩვენ საბჭოთა ხალხი ვართ. რუსებისაგან განვსხვავდებით წესებით, ჩვეულებებით, ლაპარაკით. მე ვიცი, რომ რუსი არ ვარ და არასოდეს ვიქნები.
(ა): რა გამორჩეული თვისებები ახასიათებს თქვენს ხალხს და რა ურთიერთობა აქვთ ქრისტიან ქართველებთან?
(ბ): ერთნაირი ხალხი ვართ. ჩვენც ქართველები ვართ. ამდენი წელი, საუკუნე თურქების ქვეშ ვიყავით. ჩვენ პირველი ქრისტიანები ვიყავით. ძალა თუ მოდიოდა, ჯერ ჩვენზე მოდიოდა. დარტყმას ჩვენ ვიღებდით. იმერლებს იმდენი სიმწარე არ უნახავთ, რამდენიც ჩვენმა ხალხმა ნახა. ახლა კი თათრებს გვეძახიან. თათრები ჩვენ არა ვართ. იმერლები ცოტა ნაციონალისტები არიან, იძახიან, ჩვენ დონე ვართო. მართალია იმერლების დონე უფრო მაღალია, ვიდრე მესხების, მათი ქორწილები, აზროვნება, სახლის მოწყობა – ქრისტიანების უფრო კულტურულია, ვიდრე ჩვენი ხალხისა, მაგრამ ჩვენმა ხალხმა უფრო მეტი ტანჯვა ნახა, ვიდრე ქართველმა ქრისტიანებმა. ჩვენებს კულტურისთვის დრო არ რჩებოდათ. რომ ყოფილიყო დაწყნარებული ცხოვრება, ჩვენც ვიქნებოდით ასე.
(ა): გყავთ თუ არა მეგობრები და ვინ არიან ისინი. რამდენი წელია მათთან მეგობრობთ და რამდენად ხშირად ხვდებით მათ?
(ბ): კი, მე მეგობრები რა თქმა უნდა მყავს. ქართველებიც, სომხებიც, რასაკვირველია, ჩემი ხალხიც. მათ გარეშე ყოფნა წარმოუდგენლად მიმაჩნია. მიჩვეული ვარ მათთან ყოფნას, სიარულს. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ესენი სადმე წავიდნენ. მე ძალიან გამიჭირდება. მე ჩემი ნათესავებს ვერ ვნახულობ და ესენი მივსებენ დანაკლისს.
(ა): იცნობთ თუ არა თქვენს ხალხს, რომლებიც საქართველოს სხვა კუთხეებში ცხოვრობენ?
(ბ): ვიცნობ, ძირითადად, ნასაკირალელ მესხებს.
(ა): რას ეძახის საკუთან ენაზე თქვენი ხალხი თავს?
(ბ): მუსლიმ მესხებს.
(ა): იცავთ თუ არა ისლამურ წესებს?
(ბ): მე ქრისტიანობა მივიღე.
(ა): რომელია თქვენი სამშობლო? რატომ მიგაჩნიათ ის სამშობლოდ?

(ბ): სამშობლოდ მიმაჩნია სამარყანდი – სადაც მე დავიბადე და ახალციხე – ჩემი მშობლების სამშობლო, რადგან იქ არიან დაბადებული.
(ა): გინდათ თუ არა სადმე საცხოვრებლად წასვლა და სად?
(ბ): არსად წასვლა არ მინდა. აქ მირჩევნია, საქართველოში.
(ა): როგორ დაახასიათებთ მესხებს?
(ბ): პირველ რიგში, ისინი არიან ძალიან მშრომელები. არ არიან ბოროტები. არც ქურდები. ათასი მანეთი რომ დატოვო, მე ვიცი, რომ კაპიკი არ დააკლდება და არ დაიკარგება. მესხები უღალატო ხალხია. სიტყვის ხალხია. ეგენი სამტრედიაში ბაზარში რომ ვაჭრობენ, ყველა ამბობს, გადასარევი ხალხიაო. არ იფიქრო, რომ ნისიად წაიღოს რამე და არ გადაიხადოს ან დააგვიანოს. მიეცი ჩვენს ხალხს თოხი და სადაც არ უნდა იყოს გინდა რუსეთში, ამერიკაში ან სადმე, მშიერი ის არ დარჩება. მე ვიცი, რომ ჩვენები მაშინ იმიტომ გადაასახლეს, რომ სამამულო ომის დროს შეეშინდათ, გერმანელების მხარეზე არ გადასულიყვნენ. ეს სსრკ-ს პოლიტიკა იყო. მიკვირს, მესხები თვითონ ქართველები იყვნენ და გერმანელების მხარეზე რატომ უნდა გადასულიყვნენ? ერთადერთი ნაკლი ისაა, რომ ჩვენი ხალხი შეკრული არაა. ერთი პირი არ გვაქვს. თანაც ერთად რომ არ ვცხოვრობთ, ესეც ამის მიზეზია. ერთი პირი რომ გვქონოდა, ჩვენ ახლა სამშობლოში ვიცხოვრებდით.
(ა): თქვენი თავი რა ეროვნების ადამიანად მიგაჩნიათ?
(ბ): ქართველად, აუცილებლად ქართველად.

ინტერვიოუ 5

ხნიერი მუსლიმი მესხი ქალბატონი

(ა): მომიყევით ცოტა რამ თქვენს შესახებ. რამდენი წელია რაც აქ ცხოვრობთ? რატომ გადაწყვიტეთ აქ ჩამოსვლა?
(ბ): დავიბადე 1939 წელს. მაგრამ ისიც არ ვიცი სწორია თუ არა ეს თარიღი. ქიქინეთში დავიბადე. გადასახლების დროს 5 წლის ვიქნებოდი. ისე მახსოვს, რომ პირველი კბილი შუა აზიაში ამომიღო ბებიამ. სუფრასთან ვისხედით. ეს კარგად მახსოვს. ვცხოვრობდით უზბეკეთში, აზერბაიჯანში, ყაბარდო-ბალყარეთში, და ბოლოს, საქართველოში. აზერბაიჯანში დავქორწინდი. ჩემი მეუღლე მასწავლებელი იყო. სამი წელი მსახურობდა შუა აზიაში, მერე აზერბაიჯანში.
(ა): თქვენი ოჯახის რომელი წევრი იყო გასახლებული და საიდან?
(ბ): ჩვენ ვიყავით ადიგენის რაიონიდან, სოფელ ქიქინეთიდან. გადასახლების წინა ღამეს არაფერი არ ვიცოდით. დილას ადრე გაგვაღვიძეს და სახელდახელოდ რაც კი რამ მოგვხვდა ხელში ის წავიღეთ თან. ერთი ტომარა ფქვილი, ერთი ტომარა ქერი... ჩვენ ვიყავით: დედა, ბებია, ბაბუა და ჩემი ძმა. მამა ომში იყო. საერთოდ ახალგაზრდები ყველანი ომში იყვნენ. მოხუცებს კი რა შეეძლოთ, რა უნდა წაეღოთ თან. ჩემი მეუღლეც ქიქინეთიდან იყო.
(ა): ყოფილა თუ არა თქვენი ოჯახის რომელიმე წევრი, გადასახლების შემდეგ იმ სოფელში, რა შთაბეჭდილება დარჩა?
(ბ): მე და ჩემი მეუღლე ვიყავით ერთად ქიქინეთში. იქ რომ დავინახე „ჯამე“, ყველაფერი გამახსენდა და ბევრი ვიტირე. იქ ბევრი იანეთელი წამოვიდა

ჩვენთან ერთად. მერე ჩემი მეუღლე გარდაიცვალა და მე და ჩემი უფროსი შვილი –იახია ვიყავით, ახლაც მინდა ზაფხულში წასვლა.

(ა): გასახლების შემდეგ, სად და როგორ ცხოვრობდა თქვენი ოჯახი?

(ბ): გადაგვასახლეს ფერღანაში, ტრაყურღანის რაიონში. თავიდან ძალიან ცუდ პირობებში ვიყავით. ისეთ სახლებში ვცხოვრობდით, ფანჯრები საერთოდ არ ჰქონდა. როდესაც გადაგვასახლეს, სტალინს უზბეკებისთვის უთქვამს ჩვენს ხალხზე – ისინი ადამიანის მჭამელები არიან, ცუდად არ მოექცეთ, თორემ საქმე ცუდად წაგივათო. ეს რომ არ ეთქვა, რაც წაღებული ჰქონდათ ჩვენებს, ყველაფერს წაართმევდნენ და შიმშილით დაიხოცებოდნენ. სწორედ ამის გამო, უზბეკები ვერ ეკარებოდნენ ჩვენებს. ერთ დღეს ასეთი შემთხვევა მოხდა: დედაჩემი კითხულობდა ყურანს და ერთ ქალს დაუნახავს თურმე. გაკვირვებია, ასე იძახიან, რომ ადამიანებს ჭამენო და საიდან, როგორ, ყურანს როგორღა კითხულობენო. რომ დაუნახავთ, გაქცეულა. მერე კიდევ მოსულა და ყურანის კითხვის დროს კიდევ დაუწყია თვალთვალი დედასთვის. როგორც იქნა დაუჭერიათ ეს უზბეკი და უკითხავთ – რატომ გვითვალთვალებო. რატომ გარბიხარ, ჩვენც ხომ თქვენნაირი ხალხი ვართო. იმას უთქვამს, რომ ისეთი რამეები გამოაცხადეს თქვენზე, რომ მოკარების გვეშინიაო. თქვენ კარგი ადამიანები ყოფილხართ და ასე ცუდად რატომ გიხსენიებენო. სტალინმა ჩვენ ხალხს უთხრა – ომი რომ დამთავრდება, მერე მოგაბრუნებთ უკანო. იქ მე უზბეკურ სკოლაში ვსწავლობდი. დავამთავრე რვა კლასი. საერთოდ ნორმალურად ვცხოვრობდით. პატივს გვცემდნენ. უზბეკეთში თხუთმეტი წელი ვიცხოვრეთ, მერე აზერბაიჯანში წამოვედით. იმიტომ, რომ სამშობლოსთან ახლოს გვინდოდა ყოფნა. ჩვენთან შუა აზიაში ჩამოვიდა ვიღაც (ვინ, აღარ მახსოვს) და გვითხრა – თქვენი სამშობლო აზერბაიჯანიაო. ჩვენ ვიძახდით, აზერბაიჯანი არ გვინდა, ჩვენ ჩვენი სამშობლო გვინდა-თქო. ჯერ აზერბაიჯანში გადადით და მერე ნელ-ნელა სამშობლოში გადაინაცვლეთო. ამიტომ, ცოტა ხანს აზერბაიჯანში ვიცხოვრეთ. ვფიცავარ, სამშობლო გვინდოდა. როგორი ვაგონებითაც უზბეკეთში წაგვიყვანეს, ისეთივე ვაგონებით ჩავედით აზერბაიჯანში. იქ საკმაოდ ბევრნი ჩავედით. საქართველოში ჩვენი დაბრუნების ხელისშემშლელი, ფაქტიურად, ბაირახტაროვი იყო. ჩემი ქმარი ქართული ორიენტაციის იყო. ასეთი იყო ხალილ გოზალიშვილიც. ისინი იყვნენ საქართველოში დაბრუნების მოთავეები. მაგრამ ბაირახტაროვს ორიენტაცია თურქული ჰქონდა. საერთოდ სხვადასხვა ორიენტაციის ხალხს შორის შიგნითვე დაიძაბა ურთიერთობა. 1967 წელს გამოვიდა ბრძანება, რომ მესხები უნდა გადმოესახლებინათ საქართველოში. ჩვენ მაშინ აზერბაიჯანში ვიყავით. ჩემი უფროსი ქალიშვილი დაიბადა იმ წელს. ეს ისეთი სასიხარულო ამბავი იყო, რომ გოგონას სახელად „სიხარული“ (თურქულად ვერ ვარჩევ) დავარქვით. მაგრამ, სამწუხაროდ, თურქული ორიენტაციის ხალხმა საქმე გააფუჭა. ხალხს მოაწერინეს ხელი სიებზე, სადაც გრაფაში მითითებული იყო – » ჩვენ გვინდა სამშობლოში დაბრუნება » . შემდეგ ჩუმად გადააწებეს ზევიდან ქაღალდი, სადაც ეწერა – » ჩვენ არ გვინდა სამშობლოში დაბრუნება ». ეს გააკეთა იმან, ვისაც არ უნდოდა, რომ ჩვენი ხალხი აზერბაიჯანიდან სამშობლოში დაბრუნებულიყო. და ამის მოთავე ბაირახტაროვი იყო. ეს სიები წაიღეს და აჩვენეს საქართველოს ხელისუფლებას. უთხრეს, აი, არ უნდათ საქართველოში დაბრუნება და ძალით რატომ მიგყავთო. აქ დიდი ფული გადაიხადეს და ისე გააკეთეს ეს საქმე. ამის მერე მივხვდით, რომ ჩვენ უკვე ერთად ვერ

ვიცხოვრებდით. მერე ისევ დაიწყო სამშობლოში დაბრუნების მოთხოვნები, მოსკოვში და თბილისში მიმოსვლა. ხალხმა დაიჭირა დამნაშავე, ის, ვინც ყალბი ხელმოწერები შეაგროვა და პოლიციას გადასცა. ამის მერე წავედით სწორედ აზერბაიჯანიდან ყაბარდო-ბალყარეთში– ნალჩიკში. ჩემმა ქმარმა თქვა: თუ საქართველოში წავალ, მასწავლებლობას თავს დავანებებო, და მართლაც, აქ რომ ჩამოვიდა, პედაგოგად აღარ უმუშავია.

(ა): როგორი ურთიერთობა გქონდათ უზბეკებთან?

(ბ): მეზობლებთან ძალიან კარგად ვიყავით. კარგი მეზობელი ნათესავს ჯობია. უზბეკეთში, ბავშვები როცა ვიყავით, მეზობელი ძალიან დიდ ყურადღებას გვაქცევდა, მე და ჩემი და მივყავდით და გვაჭმევდა-ხოლმე. დედაჩემმა მეზობლებისაგან უზბეკური საჭმელების კეთება კარგად ისწავლა.

(ა): სად ცხოვრობენ თქვენი ნათესავები ახლა? გაქვთ თუ არა მათთან კავშირი?

(ბ): ჩემი ერთი ქალიშვილი ყაზახეთშია, ერთი აზერბაიჯანში და ერთიც უკრაინაში. აზერბაიჯანში რომელიც არის, ის სამი წელია არ მინახავს. დანარჩენები შვიდი წელია. აზერბაიჯანში მიმოსვლა შედარებით იოლია. მაგრამ ძალა აღარ მაქვს რომ წავიდე. ურთიერთობა ტელეფონით უფრო გვაქვს. აქედან რომ მიდიან ჩვენები რაღაცეებს ვატან და მასთან ამბავს ვაბარებ.

(ა): უნდათ თუ არა თქვენს ნათესავებს სადმე წასვლა საცხოვრებლად?

(ბ): ჩემებს საცხოვრებლად სამშობლოში უნდათ წამოსვლა. ეს ბევრი ახალგაზრდის სურვილიცაა. მაგრამ, პირველ რიგში, აქეთ წამოსვლა მოხუცებს უნდათ, რაც შეიძლება ჩქარა, რომ თავიანთ მიწაზე მოკვდნენ. 60 წელია ისინი ამას ელოდებიან. აზერბაიჯანში რომ კვდებიან მოხუცები, შვილებს უბარებენ, ჩვენი სამშობლოდან მიწა ჩამოიტანე და საფლავზე დაგვაყარეო, თითქოს საკუთარ მიწაში ვწევართო. უმრავლესობა შვილებს ამას უბარებს. მათ თავიანთ მიწაზე უნდათ დასაფლავდნენ.

(ა): თქვენი აზრით, მესხების ჩამოსახლების შემთხვევაში, როგორ ჯობია მათი დასახლება, ერთად თუ ცალ-ცალკე?

(ბ): ჯობია ისევ ისე, როგორც ცხოვრობდნენ, ქართველებთან ერთად დაასახლონ. წინათ ხომ ასე ვცხოვრობდით. ნაწილი ჩვენ, ნაწილი სხვა. უფრო კარგად ვიცხოვრებთ, კარგი ურთიერთობა გვექნება, საკუთარ ენასაც მალე ვისწავლით.

(ა): როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ თქვენს წინაპრებს ქრისტიან ქართველებთან აქ ცხოვრების დროს?

(ბ): მაშინ, აქ ცხოვრების დროს, მათ ძალიან კარგი ურთიერთობა ჰქონდათ.

(ა): თქვენი აზრით, ქრისტიანი და მუსლიმი ქართველები რით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან?

(ბ): ჩვენები წინდაცვეთილები არიან (იცინის). წეს-ჩვეულებებით. ხასიათით ერთმანეთს გვანან. აი, ხომ უყურებ ჩემს ხუთ თითს, ყველა ერთმანეთისგან განსხვავებულია. ადამიანებიც ასევე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მუსლიმ მესხებს, სხვა ხალხებთან შედარებით, ყველაზე მეტად ქართველებთან აქვთ საერთო.

(ა): როგორი ურთიერთობა გაქვთ ქრისტიან ქართველებთან?

(ბ): ძალიან კარგი.

(ა): რისი ქონა არის თქვენთვის უფრო მნიშვნელოვანი – კარგი სახლის, ბევრი მიწის, თუ ბევრი საქონლის, არჩევანზე რომ მიდგეს საქმე, რომელს აირჩევდით?

(ბ): მიწას. არაფერი არ მინდა, მიწის გარდა. მიწა მთავარია. ისე სახლსაც ავირჩევდი. მართალია სახლი გვაქვს, მაგრამ მაინც სახლი მირჩევნია. ისე თუ სამშობლოში ხარ, იქ ერთი მუჭა მიწაც გეყოფა.
(ა): გაქვთ მიწის ნაკვეთი?
(ბ): გვაქვს, ისე როგორც ყველას.
(ა): ძირითადად რითი ცხოვრობს თქვენი ოჯახი?
(ბ):. მართალია სახლი სარემონტო გვაქვს, მაგრამ მაინც ნორმალურად ვცხოვრობთ. გვყავს საქონელი, ცხვარი, რაღაცეებს ვყიდით. ხანდახან ისეც ირის, რომ მარტო პური გვაქვს და იმას ვჭამთ. ვიღებთ პენსიას.
(ა): გყავთ თუ არა მეგობრები და ვინ არიან ისინი. რამდენი წელია მათთან მეგობრობთ და რამდენად ხშირად ხვდებით მათ?
(ბ): ჩემს მეუღლეს ყავდა განსაკუთრებით ბევრი მეგობარი. ყავდა გიორგი, გვარი აღარ მახსოვს, ისინი როგორც ძმები ისე იყვნენ. ერთხელ ჯამალ ახმედოვიჩს და გიორგის ჩანგლები აუღიათ თითიდან სისხლი გამოუშვიათ — დაძმობილებულან. ჩემი მეუღლე რომ გარდაიცვალა, ამ კაცს უთქვამს მე ბაღდათში, ბორჯომში ძმები მყავსო, მოვიდნენ ჩვენთან და იცხოვრონ, როგორც ჩემმა ძმისშვილებმა, კაპიკი არ მინდაო. ახლა ვინც მიდის მათთან სოფელში, ყველას ეუბნება ჯემალის შვილები რატომ არ მოდიანო. მაგრამ ჩემებმა წასვლა ვერ მოახერხეს. ჩვენი მეგობარი იყო გურამ მამულია, რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ჩვენი ხალხისათვის, შურა თევზაძე და სხვები, ვინც კარგა ხანია არ მინახავს და ძალიან მენტრებიან.
(ა): იცნობთ თუ არა თქვენს ხალხს, რომლებიც საქართველოს სხვა კუთხეებში ცხოვრობენ?
(ბ): რა თქმა უნდა ვიცნობ, პირველ რიგში ნასაკირალელ მესხებს.
(ა): რას ეძახის საკუთან ენაზე თქვენი ხალხი თავს?
(ბ): ახსხას. ჩვენი რაიონი ადიგენია, მაგრამ ახსხა-თურქლარს (ახალციხელ თურქებს) ვეძახით ჩვენ თავს. თურქეთშიც ასე გვეძახიან.
(ა): იცავთ თუ არა რელიგიურ წესებს?
(ბ): ვიცავ. ახლაც, თქვენ რომ მოხვედით, მე ნამაზს ვასრულებდი და იმიტომ შემაგვიანდა. ჩვენთან გოგონებს ლოცვებს და რელიგიურ წესებს 9 წლიდან ასწავლიან, ბიჭებს კი 12 წლიდან. მე ვიცი ლოცვების კითხვა, მაგრამ არაბული ანბანი არ ვიცი და ფურცელზე მაქვს დაწერილი ლათინური შრიფტით. ქალები და კაცები ცალ-ცალკე ატარებენ ნამაზს. ისინი შეიძლება იყვნენ ერთ სახლში, სხვადასხვა ოთახებში ან ცალ-ცალკე სახლებშიც. პირველ რიგში მამაკაცები კითხულობენ ლოცვებს. საერთოდ მამაკაცი ყოველთვის ქალზე წინ დგას. ლ ოცვის დროს კაცებსაც და ქალებსაც ყავთ წინამძღოლი, ის ვინც წინ დგას და კითხულობს, ამავე დროს ის თავის თავზე იღებს ყველა დანარჩენის ცოდვებს.
(ა): მისცემდით თუ არა თქვენს შვილს უფლებას დაქორწინებულიყო ქრისტიან ქართველზე, თურქზე, აზერბაიჯანელზე, რუსზე, სომეხზე?
(ბ): თუ მისი სურვილი იქნებოდა, ალბათ, კი. მაგრამ მე, საერთოდ, მირჩევნია ისევ ჩემი ჯიშისა. მე სამი ქალიშვილი მყავს და სამივე სხვადასხვა ადგილას ცხოვრობს. ქალი რომ აქ გავათხოვო და მე ქიქინეთში წავიდე, ის ხომ აქ დარჩება, მე კი ეს არ მაწყობს. ისე შერეული ქორწინებები უზბეკეთში და აზერბაიჯანში იყო. რაც შეეხება ქორწინებას, საერთოდ ჩვენთან ნათესავების შეუღლება არ შეიძლება. მაგრამ თურქების გავლენით, ერთმანეთს ირთავენ. ოღონდ, ბიძაშვილებსა და მამიდაშვილებს შორის ასეთი რამ კატეგორიულად

იკრძალება. დეიდაშვილებში ქორწინება შეიძლება. თუმცა ჩვენი წესით, ხუთ თაობამდე ამის დაშვება აკრძალულია.
(ა): რომელია თქვენი სამშობლო? რატომ მიგაჩნიათ ის სამშობლოდ?
(ბ): ჩემ სამშობლოდ ქიქინეთს ვთვლი. საქართველო დედა-სამშობლოა. სადაც დავიბადე, ის არის ჩემი სამშობლო და მეც იქ მინდა ცხოვრება.
(ა): თქვენი თავი რა ეროვნების ადამიანად მიგაჩნიათ?
(ბ): მე პასპორტში მეწერა აზერბაიჯანელი. ჩვენ თავს ვუწოდებთ თურქებს. თურქულად რომ ვლაპარაკობთ, იმიტომ გვეძახიან თურქებს. ისე მე მესხი ვარ. აზერბაიჯანში თურქებს გვეძახდნენ. აზერბაიჯანელს რომ მეძახდნენ, ეს მწყინდა. აქ თათრებს გვეძახიან. ერთხელ ვუთხარი – თათარს რატომ მეძახი, მე ხომ თათარი არ ვარ-თქო. არ გეწყინოს, ჩვენ ყველა მუსლიმანს თათარს ვეძახითო, მითხრეს.
(ა): გაქვთ სურვილი აქედან გადახვიდეთ სხვაგან საცხოვრებლად და სად?
(ბ): არსადაც არ წავალ. არც თურქეთი მინდა და არც ამერიკა. აქ არის ჩემი სამშობლო. რომ გვითხრან, წადით ქიქინეთშიო, ახლავე წავალ. ჩემი შვილებიც ყველა წამოვა. ჩემი დისშვილები თუ ჩამოვიდნენ, მე მათ ჩემს სახლს დავუთმობ, მე კი ქიქინეთში წავალ.
(ა): როგორ დაახასიათებდით მესხებს?
(ბ): ჩვენ ძალიან კარგი ხალხი ვართ. სხვას ცუდს არ გავუკეთებთ და ამიტომ არც ჩვენ არავინ გვიკეთებს ცუდს. ჩვენი კეთილი განწყობის და დამოკიდებულების საპასუხოდ, დადებითი რეაქცია მოდის.

ინტერვიუ 6
ქრისტიანი ქართველი ქალბატონი

(ა): ქალბატონო მანანა, რამდენი ხანია იცნობთ მუსლიმ მესხებს?
(ბ): მე მოვედი მასწავლებლად იანეთის სკოლაში 1996 წლის აპრილში და მას შემდეგ აქ ვარ. ისე, რომ ამ ხალხს ძირ-ფესვიანად ვიცნობ ოჯახებით და მათი ახლო ნათესავებითაც კი.
(ა): როგორი ურთიერთობა აქვთ მუსლიმ მესხებს ქრისტიან ქართველებთან?
(ბ): ჩემი ყველა კოლეგა დამეთანხმება, რომ მათ შორის ძალიან კარგი ურთიერთობაა. მე ვერ დავასახელებ ვერც ერთ ფაქტს, ქართველებსა და მუსლიმ მესხებს შორის კონფლიქტის თაობაზე.
(ა): რა შეხების წერტილი აქვთ მათ, რის საფუძველზე შეიძლება მოხდეს კონფლიქტი მათ შორის?
(ბ): აქ, სოფლის გარშემო მიწის ნაკვეთებია, მესხებს კი აქვთ ტრაქტორები და მუშაობენ ქართველები ქირაობენ მათ, ხნავენ, მკიან და მამაკაცებს, ძირითადად, ქართველებთან ასეთი ურთიერთობა აქვთ. ქალები ვაჭრობენ ბაზარში, ძირითადად, სამტრედიაში.
(ა): თქვენი აზრით, უნდა მიეცეს თუ არა მესხებს, საქართველოში ჩამოსახლების შესაძლებლობა?
(ბ): თუ მართლა მესხებზეა საუბარი, ნამდვილ მესხებზე, რომლებიც თავს ქართველებად თვლიან და არა იმათზე, ვინც ამბობს, რომ მე გვარი მაქვს ქართული და სხვანაირად მე ქართველი არა ვარო, მაშინ ასეთ მესხებს არა აქვთ საქართველოში ცხოვრების უფლება. ეს მე, როგორც რიგით ქართველს, ასე

მიმაჩნია. ის, რომელიც სისხლით, ხორცით, გულით (მართალია სარწმუნეობას ვერავის ვერ დააძალებ) ქართველობს, ის უნდა ჩამოასახლონ.
(ა): თქვენი აზრით, ჩამოსახლების შემთხვევაში, სად უნდა დასახლდნენ ისინი, სადაც თვითონ მოისურვებენ?
(ბ): არა, სადაც თვითონ მოისურვებენ, არა, ასე არ ივარგებს. უკეთესი იქნება, თუ მათ ისევ ქართველ მოსახლეობასთან ჩავასახლებთ, რომ დაიბრუნონ ის, რაც დაკარგული აქვთ.
(ა): ისინი ხომ ითხოვენ, რომ ჩვენ ჩვენი სამშობლო გვინდა და დაგვასახლეთ ჩვენი მამა-პაპის მიწაზეო?
(ბ): ისინი სამშობლოსთან აიგივებენ მარტო მესხეთს. ვერ გაერკვნენ, თუ არ უნდათ რომ გაერკვნენ, რომ მათი სამშობლო მარტო მესხეთი არაა. რა არის ამის მიზანი და მიზეზი, რა ამოძრავებთ ამ შემთხვევაში, მე არ ვიცი. მე არ ვიცი შიგნით რა ხდება, მაგრამ, თუ კაცი იძახის, რომ მე ქართველი ვარო, სულ ერთი არაა მისთვის სად იცხოვრებს, ოღონდ საქართველოში იცხოვროს?! ადამიანებს, რომლებსაც ათეული წლების მანძილზე დაკარგული აქვთ თავანთი ქვეყანა, განა მათთვის პირველ რიგში საქართველოში ცხოვრება არ უნდა იყოს მნიშვნელოვანი?!
(ა): თქვენ თქვით, რომ გადმოსახლების შემთხვევაში, ჯობია მათ ქართველების გვერდით იცხოვრონ. რატომ თვლით ასე?
(ბ): მე ამას იმიტომ ვამბობს, რომ აგერ მაგალითმა მაჩვენა, რომ ეს კომპაქტურად, იზოლირებულად დასახლებული ჯგუფი ვერ ერწყმის იმ ქართულ გარემოს და ტრადიციებს, რაც აუცილებელია ინტეგრაციისათვის. რამდენი წელია, რაც ისინი ჩამოსახლებულები არიან საქართველოში, 1980-იანი წლებიდან. აგერ ნასაკირალი აიღეთ, თითქოს ისინიც კომპაქტურად ცხოვრობენ, მაგრამ მაინც ურთიერთობა აქვთ ქართულ მოსახლეობასთან, მათი ლაპარაკიდან, ვერ მიხვდები, რომ ისინი ე. წ. თურქი მესხები არიან. ქართლში, ხაშურში, ცხოვრობენ მესხები შერეულად და ბევრად უკეთესი მდგომარეობაა. რა თქმა უნდა, რაც საუკუნეებით ჩაიდო ადამიანში, იმას ერთი და ორი წელი ვერ მოერევა. წლებია საჭირო, ეს ვიცით, მაგრამ, თუ შეიძლება ისე დასახლდნენ, რომ ადვილი იყოს მათი ჩვენსკენ მობრუნება, რა თქმა უნდა, უკეთესია.
(ა): თუ არის რაიმე პრობლემები, ადგილობრივ მესხებთან დაკავშირებით, და თუ არის, რა ტიპის?
(ბ): მე ვილაპარაკებ, როგორც სკოლის წარმომადგენელი. სახელმწიფოსგან ათჯერ მეტი ყურადღებაა საჭირო, რადგანაც აქაურ ბავშვებთან იმავე პროგრამით მუშაობა, რასაც იყენებენ ქართულ სკოლებში, არ არის მიზანშეწონილი. ისინი მოდიან სკოლაში და არც ერთი სიტყვა არ იციან ქართული, ერთი სიტყვა რომ გააგებინო უნდა დახარჯო უზარმაზარი ენერგია და მთელი დღე ერთ ბავშვს მოანდომო. ეს არის ჩვენი უდიდესი პრობლემა. გარდა ამისა, ბავშვებს არ აქვთ მეცადინეობის, კითხვის, ცოდნის მოთხოვნილება და არც კულტურა. ძირითადად აქცენტი გადატანილია ფიზიკურ შრომაზე. მესხები მშრომელი ხალხია და მათთვის მთავარი ესაა. ბავშვები 5-6 წლიდან ფიზიკურად შრომობენ, სქესს მნიშვნელობა არ აქვს. საერთოდ ბიჭებს უფრო მეტი მოთხოვნილება აქვთ სწავლაზე. გოგონებს აქ სასწავლებლად სკოლის მერე არ უშვებენ. არადა ძალიან ნიჭიერი ქალები ჰყავთ. თუ ვინმემ გარისკა და ერთი გოგო გაუშვა სწავლის გასაგრძელებლად, მერე ალბათ დანარჩენებიც მიბაძავენ. არის აქ, მაგალითად, გულიერი, რომელსაც იშვიათი ხმა აქვს, მაგრამ მშობლებს არ უნდათ, რომ ხელი

შეუწყონ. გაკვეთილის გარდა, ბავშვებისთვის აუცილებელია გარე კონტაქტები, საჭიროა ისინი გარეთ გავიყვანოთ, აქაურობას მოვწყვიტოთ – ექსკურსია ჩავატაროთ. შარშან, მაგალითად, წავიყვანეთ ექსკურსიაზე და ჩვენდა გასაოცრად ბავშვებმა სურამის ეკლესიაში სანთლები აანთეს.
(ა): თქვენის აზრით, ეს ხალხი ქართველია თუ თურქი?
(ბ): რა თქმა უნდა, ქართველი.